

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ენის ისტორია

პროფესორ ტ. ფუტყარაძის საერთო რედაქციით

სახელმძღვანელო

უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის

ქუთაისი
2006

Akaki Tsereteli State University

A History of the Georgian Language

Under the General Editorship of
Professor **Tariel Putkaradze**

Course Book
for Undergraduate Students

Kutaisi
2006

ქართველობისთვის დღეს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა **დედაენის** (ზოგადად, მშობლიური კულტურის) ისტორიისა და აწმყოსეული პრობლემების **მცოდნე მომავალი თაობების აღზრდა**. საქართველოს ახალდორძინებული სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესები და განათლების ევროპულ სივრცესთან კოორდინაციის აუცილებლობა მოითხოვს მეცნიერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების **თანამედროვე დონის** შესაბამის სახელმძღვანელოებს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

ქართული ენის ისტორიის ავტორები არიან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები: ტარიელ ფუტყარაძე, ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, მანანა მიქაძე, მარინე ქაცარავა, რუსუდან სალინაძე, ეკატერინე დადიანი, იზოლდა რუსაძე, თამარ ლომთაძე, ნინო ფხაკაძე.

წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სახელწოდება გარკვეულწილად პირობითია, ვინაიდან მასში ზოგადადაა მიმოხილული არა მხოლოდ **ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია**, არამედ **ქართველოლოგიის შესავალი** კურსისა და ქართული **სამწიგნობრო ენის ნორმირების** ზოგი საკითხი.

რეცენზენტები:

პროფ. დამანა მელიქიშვილი

პროფ. მანანა ტაბიძე

პროფ. რევაზ შეროზია

გამომცემლობა “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

© ტ. ფუტყარაძე

ISBN-99928-79-69-4

სარჩევი

წინასიტყვაობა: ქართველი ერის ისტორიული გზა (ძირითადი წახნაგები)	7
--	---

თავი I - ქართველთა ენობრივი სამყარო

1.1. ქართული ენა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს საეკლესიო ენა, საქართველოს სამწიგნობრო ენა / ტ.ფუტკარაძე /.....	10
1.2. ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ენათა შორის / მ.ქაცარავა /.....	21
1.3. საერთოქართველური ენის მოდელის საკითხი და ქართველური ენობრივი ერთეულების ისტორიული მიმართების სქემა / ტ.ფუტკარაძე ; საერთოქართველური ენის დათარიღების პრობლემა / ნ.ფხაკაძე /	25
1.4. ქართველთა სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების მიმართების საკითხი; თანამედროვე ქართველური დიალექტები / ტ.ფუტკარაძე /.....	32
1.5. თანამედროვე ქართველური დიალექტების გავრცელების ველი / ე.დადიანი /.....	45

თავი II - ქართული დამწერლობა და სამწიგნობრო ენის განვითარების გზა

1. 2 ქართული დამწერლობის სახეები და შექმნის დრო / უ.ფეიქრიშვილი /.....	74
2. უძველესი წერილობითი ძეგლები (ეპიგრაფიკული წარწერები, ხელნაწერები, ძველი ქართული თხზულებები) / უ.ფეიქრიშვილი /.....	85
3. 2 ძველი ქართველი მწიგნობარნი / მ.მიქაძე /	95
2 ძველი ქართული საგანმანათლებლო და კულტურული	

4.	კერები საქართველოსა და უცხოეთში /ჟ.ფეიქრიშვილი/.....	102
5.	2 უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგები /ჟ.ფეიქრიშვილი/.....	116
6.	2 ქართული ენის მკვლევრები /ი.რუსაძე/.....	139
7.	2 ქართული სამწიგნობრო ენის პერიოდიზაციის პრობ- ლემა /მ.ქაცარავა/.....	149

**თავი III - ქართული სამწიგნობრო ენის თეორიული
კურსის ძირითადი საკითხები**

3.1.	სამეტყველო ბგერები და სატრანსლიტერაციო სქემა /ტ.ფუტყარაძე/.....	156
3.2.	სახელის პარადიგმა /რ.სალინაძე/.....	162
3.3.	ზმნის პარადიგმა /ე.დადიანი/.....	172
3.4.	სიტყვათმეხამება /ტ.ფუტყარაძე/.....	184
3.5.	მარტივი წინადადება /მ.მიქაძე/.....	188

თავი IV - ქართული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოება

4.1.	ქართული ლექსიკისა და ტერმინოლოგიის შესწავლის ის- ტორიის ძირითადი საკითხები /თ.ლომთაძე/	193
4.2.	საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკა /ე.დადიანი/.....	197
4.3.	საერთოქართველური ლექსიკა /ე.დადიანი/.....	200
4.4.	ქართველური დიალექტური ლექსიკა - ქართული სამწიგ- ნობრო ენის ულვეგი წყარო /ი.რუსაძე/.....	204
4.5.	სიტყვაწარმოება /თ.ლომთაძე/.....	211

4.6. ნასესხები ლექსიკა და ბარბარიზმები / ე.დადიანი /.....	215
4.7. ლექსიკონები / ი.რუსაძე /.....	221
თავი V - ქართული ენის ნორმირების საკითხები	
5.1. ნორმირების ისტორია / რ.სალინაძე /.....	253
5.2. ნორმირების პრინციპები / რ.სალინაძე /.....	262
5.3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები / რ.სალინაძე /.....	267
პირთა საძიებელი	279
დანართი	290

14 აპრილი

საქართველოს სახელმწიფო ენის დღე

წინასიტყვაობა

ქართველი ერის ისტორიული გზა (ძირითადი წახანაგები)

ძველ ქართველ მემკვიდრეთა წარმოდგენით, სხვა ძირძველ ხალხთა მსგავსად, ქართველთა წინარეისტორია სათავეს ღვთაებრივი კალთიდან იღებს, კერძოდ, ბიბლიურ ეთნარქთა სქემა ასე გამოიყურება: ნოე - იაფეტი - იავანი - თარშიში - თარგამოსი (იბერიელ-კავკასიელთა ეთნარქი). მითოლოგიურ სიუჟეტებშიც ჩანს იაფეტი - პრომეთეს მამა; სპეციალისტთა დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ პრომეთე იაფეტის ძე და ქართველურ-კავკასიური ძველი ღვთაება ამირანი ერთი და იმავე პერსონაჟის სახელებია.

ძვ.წ. V-III ათასწლეულების კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ მონათესავე წინააზიურ-კავკასიური ტომები. პირველი დიდი გაერთიანებები შექმნეს: ხურიტებმა - ჩრდილოეთ შუამდინარეთში, ხათებმა - ცენტრალურ მცირე აზიაში/ანატოლიაში; ძველი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. I ათასწლეულში, ანატოლიასა და კავკასიაში (ჰალისის, ჭოროხის, მტკვრის, რიონის, ეფრატის, არაქსის ხეობებში) ჩანან: მუსხები, ქაშქები, ურარტუელები, კოლხები, დაიანელები... თანამედროვე კვლევები საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ერაზიის სხვა ხალხების ენებისგან განსხვავებით, წინააზიურ-კავკასიური მოსახლეობის ენას ჰქონდა მოთხრობითი (ერგატიული) ბრუნვა, შესაბამისად, მათ შეიძლება ვუწოდოთ “მოთხრობით ბრუნვიანი ენის მქონე ხალხები“.

ლოგიკური ჩანს სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრება: გვიანი ენეოლითის ამიერკავკასიის ადრესამიწათმკმედო ცხოვრების წესის მემკვიდრე მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც ძვ.წ. IV ათასწლეულიდან ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი, შექმნილია ერგატიული კონსტრუქციის ენის/ენების მქონე კავკასიურ-ხურიტული მოდემის ხალხის მიერ. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე რთულია საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაითვალოს ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ ევროპისა (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს ძველი არაინდოევროპელი ხალხების (შუმერების, ხათების, პელაზგების, ეტრუსკების...) ქართველებთან

ნათესაობის პრობლემა, თუმცა საამისოდ ბევრი საყურადღებო არ-გუმენტი არსებობს. სამეცნიერო წრეებში მეტი მხარდამჭერი ჰყავს ბასკურ-ქართველური (კავკასიური) ნათესაობის თემას: ნ.მარის, არნ.ჩიქობავას, ი.ბრაუნის, ი.ზიცარისა და სხვათა აზრით, ერგატიუ-ლი კონსტრუქციის მქონე **ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენე-ბის (ხალხების) ნათესაობაც “უთუოდ დადებითად წყდება”**. ბას-კურ-კავკასიური ნათესაობის შესახებ ფასეული მსჯელობები აქვთ, აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილს, კ.ულენბეკს, ჰ.ფოგტს, რ.ლაფონს, ჰ.კინ-ტანას, შ.დიდიგურს, გ.ჩანტლაძეს, ნ.სტურუას, ს.გაბუნიას... (სა-კითხის ისტორიისათვის იხ. ტ.ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან **დღევანდელ ქართ-ველთა წინაპრები** ჰალისის, მტკვრის, ჭოროხის, რიონ-ყვირილის, ენგურის, ლიხვის ხეობებსა და ჩრდილო-კავკასიის ნაწილში ქმნიან **დიდ კოლხურ-ყობანურ კულტურას**, რომელსაც, პირობითად, შე-იძლება ვუწოდოთ **აია-კოლხეთის** ეთნოკულტურა.

კოლხური კულტურის შემქმნელი ხალხის **სახელმწიფო ენა**, სა-ვარაუდოა, იყო საერთოქართველური კოინე/ენა, რომლის უშუალო მემკვიდრეა **სამწიფოებრო ქართული**.

ქართველი მემატინანეი ცნობილ მეფეთა ცხოვრების აღწერას **აზოს, ფარნავაზისა და ქუჯის** ისტორიით იწყებენ; ამ დროიდან ბერ-ძენტათვის კარგად ცნობილი “ოქრომრავალი აია-კოლხეთი” ისევ აღორძინებულია ერთიან **სახელმწიფოდ**, ოღონდ უფრო მცირე ტე-რიტორიაზე და ძირითადი ცენტრით - მცხეთაში (პირობითად - ფარნავაზის სახელმწიფო); შდრ.: ქართველური სახელმწიფოს დედაქალაქი სხვადასხვა დროს იყო: სამხრეთ საქართველოში (თორ-თუმი, შაშილუ/სასირე, არტანუჯი), დასავლეთ საქართველოში (ქუ-თაისი, ნოქალაქევი), აღმოსავლეთ საქართველოში (უფლისციხე, მცხეთა, თბილისი).

უძველესი პერიოდიდან დღემდე ქართველი ერის **სავარაუდო** ის-ტორიული ჯაჭვი ასეთ სახეს მიიღებს:

- **წინარექართველური (იბერიულ-კავკასიურ-ახლოაღმოსავ-ლური კულტურის) ეპოქა** - ძვ.წ. V-III ათასწლეულები;
- **კოლხური (საერთოქართველური) კულტურის ეპოქა** - ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პე-რიოდამდე;

- სრულიად საქართველოს აღორძინება აზოს, ქუჯისა და ფარნავაზისა ქართლად - ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი;
- გარდამავალი ეპოქა - წელთაღრიცხვათა მიჯნა;
- ქრისტიანობის შემოსვლიდან გორგასალის მკვლევლობამდე - ახ.წ. IV-V საუკუნეები;
- დიდი მარცხიდან ქართულ მესიანიზმამდე - VI-X საუკუნეები;
- დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა - ოქროს ხანა;
- დრო ლაშა-გიორგიდან გიორგი ბრწყინვალემდე;
- სპარს-თურქობის დიდი პერიოდი - პატარ-პატარა საქართველოებად დაშლა;
- რუსობის პერიოდი - მეფე გიორგი მეთორმეტედან - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიამდე.

ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართველი ერი დღენიდაც ქმნიდა დიდ სულიერ კულტურას; ქართველთა ყველაზე შთაბეჭდავი შემოქმედება მრავალსაუკუნოვანი მწიგნობრული კულტურაა.

თავი I

ქართველთა ენობრივი სამყარო

“ენა არის ერის სული და
ერის სული არის მისი ენა“
ვილჰელმ ჰუმბოლდტი

1.1. ქართული ენა — საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს საეკლესიო ენა, საქართველოს სამწიგნობრო ენა

ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე და მკაცრად ნორმალიზებული ერთ-ერთი უძველესი ენაა. საუკუნეების მანძილზე ქართული ენა კულტურის ენა იყო არა მხოლოდ ქართველთათვის, არამედ კავკასიაში მცხოვრები ბევრი სხვა ეთნიკური ჯგუფისთვისაც; მაგ., ჩრდილო კავკასიაში დღემდეა შემორჩენილი ქართულწარწერებიანი ეკლესია-მონასტრები.

სამყაროში იშვიათია ენა, რომლის სამეტყველო ბგერებს (ფონემებს) ზუსტად ასახავს უძველესი და თანამედროვე ანბანის ასო-ნიშნები; ამ მხრივაც გამოჩეულია ქართველთა დედაენა. სწორედ სამეტყველო ბგერათა ზუსტი კვალიფიკაციითა და ნორმირებული ენის საყრდენი ენობრივი ბაზისის სიმყარით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ, სხვა ძველ ენათაგან განსხვავებით, არქაული ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა და თანამედროვე ქართული ერთ მთლიანობას ქმნის...

ქართული სამწიგნობრო ენის უძველესი კერები იყო: ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთ-ეგრისის, ლაზეთ-ჭანეთის, სვანეთ-თაკვერის, ქართლ-კახეთის, გურია-აჭარის, მთიულეთ-ხევის, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთის, ჰერეთის სასულიერო ცენტრები; ეკლესია-მონასტრებში ჩამოძერწილ ქართულ სამწიგნობრო ენას არსებითი ცვლილება დღემდე არ განუცდია - იგი დღესაც გასაგებია; ამჟამადაც საქართველოს ეკლესიებში, როგორც წესი, წირვა-ლოცვა აღესრულება საუკუნეების წინ შემუშავებული ენობრივი ნორმების დაცვით. ამ საინტერესო ფაქტს ახსნა აქვს: სამწიგნობრო ქართულის ისტორიის მანძილზე განცდილი გარკვეული ცვლილებები ევოლუციური ხასიათისაა და არა - რადიკალური; შდრ.: სამწიგნობრო ენის არსებით მეტამორფოზას იწვევს რადიკალური ენობრივი

რეფორმა ან საბაზო ენობრივი ერთეულის (კოინეს, დიალექტის) შეცვლა, როგორც ეს მოხდა ბერძნულის, სომხურისა და სხვა შემთხვევებში. აღსანიშნავია ისიც, რომ, დროთა განმავლობაში, ყოველ ენაში ჩნდება ახალი ლექსიკა და გრამატიკული ნორმების დახვეწის აუცილებლობა, მაგრამ დიდი ტრადიციების მქონე ენა მაინც ინარჩუნებს საკუთარ კალაპოტს;

ქართული ენის ისტორიული გზისა და პერსპექტივის შესახებ საინტერესოა ქართველ კლასიკოსთა შეხედულებები:

ვაჟა-ფშაველა: “ჩვენი ენის სათავეა ძველი კლასიკური ქართული ლიტერატურული ენა... მწერალი უნდა იბრძოდეს საერთო-ეროვნული ენის ინტერესებისთვის, რომელიც აერთიანებს ენობრივ განშტოებებს, დიალექტების სახელით რომ ვიცნობთ... **ახალი ქართული მწერლობის ვალია**, საერთოეროვნულ ენაში დაამკვიდროს ჩვენი ენის არქაული ფორმები, თანამედროვე ქართველების დიალექტებში არსებული გაუარესებული ფორმები“...

კონსტანტინე გამსახურდია: “ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამდიდრება უნდა მოხდეს ცალკერძ ძველი ქართულის მარაგიდან, ცალკერძ ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავების წიაღიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გახდეს... უნდა შემოვთავაზო ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული“...

“ქართველთა ეროვნული გადაგვარების მოსურნეთ უწინარეს ენაზე მიჰქონდათ ხოლმე იერიში“ (ბ.ჯორბენაძე). **დიდი ისტორიის მანძილზე** იმპერიათა თუ ბარბაროსთა აგრესიების დროს ქართველ ერს, შესაბამისად, ქართულ ენას მრავალგზის დამუქრებია საფრთხე: მომხდური ცდილობდა ქართველობისათვის დაევიწყებინა საკუთარი წარსული, კულტურა და ენობრივ-ენთიკურად დაემალა იგი; საამისოდ ესწრაფოდა, ქართველური კილოების ბაზაზე შეექმნა ახალი "სამწიგნობრო ენები" (დიალექტებზე თარგმნიდნენ სახარების ცალკეულ ეპიზოდებს, ლოცვებს და ა.შ.) და ამ კილოთა მფლობელთათვის გაეუცხოებინა წინაპრების მიერ შექმნილი დედაენა, დაევიწყებინა დედაკულტურა... XX საუკუნეში ბოლო საშიშროება შეიქმნა 70-იან წლებში კომუნისტური იმპერიის მიერ:

1978 წელს საბჭოთა იმპერია შეეცადა დაემცრო ისედაც ფორმალურად არსებული კონსტიტუციური სტატუსი ქართული ენისა; საქართველოს საზოგადო მოღვაწეებმა და სტუდენტობამ (განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა) არ დაუშვეს საბჭოთა კონ-

სტიტუციაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის დაკნინება და 14 აპრილს გრანდიოზული აქცია გამართეს. იმპერია მოერიდა ვითარების გამწვავებას და უკან დაიხია. ამ დღიდან საქართველოში **ეროვნული მოძრაობის** ახალი ეტაპი იწყება: ზვიად გამსახურდიას მეთაურობით არსებული ანტიიმპერიული დისიდენტური ბრძოლა ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ **14 აპრილი** გამოაცხადა **საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ**. აღსანიშნავია ისიც, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებაში მყოფი საოკუპაციო ადმინისტრაცია ამ დღეს **დედაენის დღედ** ან **ქართული ენის დღედ** მოიხსენიებდა, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს მოქალაქეებს (განსაკუთრებით, არაქართული წარმომავლობისას) ხელს უშლიდა, აღენიშნათ და ეზეიმათ **საქართველოს სახელმწიფო ენის დღე**.

ბოლო პერიოდის საქართველოში იზრდება უცხოენოვანი სკოლებისა და უნივერსიტეტების რიცხვი. საქართველოს სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, კარგად გაანალიზდეს არსებული ვითარება და ძირითადად **ქართული კულტურული ფასეულობების** შესწავლა-პროპაგანდის მიზნით დაიგეგმოს განათლების რეფორმა; წინააღმდეგ შემთხვევაში, **საბჭოური რუსიფიკაცია ენისა და ერის გადაგვარების ახალი სახეობით შეიცვლება**.

ბუნებრივია, ქართველმა სტუდენტმა კარგად უნდა იცოდეს ერთი უცხო ენა მაინც, მაგრამ აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდობა პირველ რიგში ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას და განათლებას იღებდეს სახელმწიფო ენაზე, რამდენადაც, **კულტურის ენა** განსაზღვრავს პიროვნების ცნობიერებასა და სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემას... **უცხო ენით - დედაენის გარეშე გაზრდილი ადამიანი შორდება საკუთარ ფესვებს, კულტურას, ტრადიციას და ვერც სხვის კულტურას ეზიარება სრულყოფილად**; შედეგად ვიღებთ **სნობურ, არასრულფასოვან თაობას**, რომელიც ნაკლებოვნად ახდენს თვითრეალიზებას და მწირად აღიქვამს გარესამყაროს.

სახელმწიფო ენის სტატუსსა და მოქმედების არეს განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია (აგრეთვე — სხვა კანონები). სახელმწიფო ენა ამთლიანებს მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ინტერესსა

და სულისკვეთებას. იგი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების საფუძველია; შდრ.: საქართველოს ისტორიაში ერთიანი სახელმწიფოს იდეის განხორციელების ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არსებობს და ორსავე შემთხვევაში ენის როლის სახელმწიფოებრივი გაგება წამოიწია წინა პლანზე: ერთია ფარნავაზის მოღვაწეობის პერიოდი: “არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა“ და მეორე - გრიგოლ ხანძთელის ეპოქა, როცა ითქვა: “ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“.

მოცემული საზოგადოების მიერ თავისი **სამწიგნობრო ენის ფლობა** და ამ ენის მიხედვით თვითაღქმა უშუალოდაა დამოკიდებული **აკადემიური განათლების** ხარისხზე. მაგ.:

მრავალწახნაგოვანი ისტორიული კატაკლიზმების გამო, ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ფაქტორებზე; კერძოდ: **ლაზთა ერთი ნაწილი** (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, ამ მოსახლეობამ იცის, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ-ჭანურ-მეგრული წარმოშობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუმისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა. **ლაზთა მეორე ნაწილი** აღიზარდა თურქეთის სახელმწიფოში. მას დავიწყებული აქვს თავისი კილო და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევს. თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე **ლაზთა მესამე ნაწილისათვის** უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან. ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი მეტყველების ბა-

ზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და “გადაარჩინოს” თავისთავადობა.

საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების გარეთ მცხოვრებ ქართველებს ხშირად არა აქვთ ინფორმაცია საკუთარი ისტორიის/კულტურის შესახებ. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ძნელი არაა სამეცნიერო ცოდნის განსაზოგადოებრიობა; ჩვენს შემთხვევაში **საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში** უნდა შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს იცოდეს:

1. კოლხური (კოლხურ-ყობანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ კოლხური სახელმწიფო ოცზე მეტ **ქართველურ თემს** აერთიანებდა და თავისი არსით ქართველური (ზოგადქართული) ხასიათისაა.

2. ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთო ქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართულს, კახურს, ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი და სხვ.

3. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-მეგრული წარმოშობის დიდგვაროვნები (ბაგრატიონები, ჭყონდიდლები და სხვა);

4. ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხვევლთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს - თამარს; ქართველთა საერთო ისტორიის ამსახველი ეს მასალა ი.ყიფშიძის მიერ ერთი საუკუნის წინაა ჩაწერილი.

...ამ და სხვა ანალოგიური ფაქტების ცოდნა ობიექტურ ველს შექმნის **ლაზთა თვითაღქმისათვის. ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს/ერთობას (ბუნებრივია, ლაზებსაც) აქვს უფლება, იცოდეს თავიანთი წარმომავლობა.**

სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპაში მცხოვრები გარკვეული პირებიც **ცდილობენ** ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობად გა-

მოაცხადონ და ამ გზით დიდ ისტორიულ სამწიგნობრო კულტურას მოსწყვიტონ ქართველთა ერთი ნაწილი. ამგვარი ენობრივი დივერსია ზოგს უნებურად გამოსდის საკმარისი სამეცნიერო ინფორმაციის ვერფლობის გამო; მაგ., “ევროპის ენების ცენტრის“ გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ რუკებდართულ წიგნში “Europe of the Peoples” და 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში “საფრანგეთი და სამყარო“ (La France et le Monde, Atlas) რუკის სხვადასხვა ფერით, დროშითა და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები...

საქართველოშიც დღესაც არის ჯგუფი, რომელიც ზოგ ქართველურ კილოს გააზრებულად უწოდებს დამოუკიდებელ უმწერლობო ენას, მათთვის ქმნის დამწერლობას და **ევროსაბჭოს დოკუმენტების** არსის **გაყალბებით** ესწრაფვის ქართველთა ერთი ნაწილი საქართველოში ენობრივ ან ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადოს:

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს “**ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ**“, ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე ხელი მოეწერა “**ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ**“. აღნიშნული დოკუმენტები ევროსაბჭოს წევრებისა და წევრობის მსურველთათვის წარმოადგენს სახელმძღვანელო დებულებების კრებულს ეროვნულ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში; კერძოდ, **ქარტია** და **კონვენცია** ითხოვს:

სახელმწიფოს **ძირითადი მოსახლეობისგან განსხვავებული** ავტოქთონი, **აბორიგენი** ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული საზოგადოებებისათვის **უმცირესობის სტატუსის** მინიჭებასა და სათანადო უფლებებით აღჭურვას.

კონვენციისა და ქარტიის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შთამბეჭდავია:

უმცირესობის ენაზე საქმისწარმოება და სწავლება ბავაბალში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში... იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის I.ე. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა “ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ: კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **ეროვნულ უმცირესობად** აღიარებული საზოგადოების ენა მოცემულ რეგიონში ადმინისტრაციული ორგანოების საქმისწარმოების ენად გამოცხადდება, თუკი სახელმწიფოში **ტრადიციულად მცხოვრები უმცირესობები** ამ რეგიონში **დღესაც უმრავლესობაში არიან, ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ და, თუკი, ამავე დროს, მათ ეს სურთ (იხ. აგრეთვე 6-ე განმარტება).**

იხ., აგრეთვე:

ქარტიის მე-8 მუხლის I.ზ. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები “რათა უზრუნველყოფილ იქნეს **იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება**, რომლის გამონახატულებასაც წარმოადგენს **რეგიონალური ან უმცირესობის ენა**“.

ქარტიასა და კონვენციას დღემდე შეუერთდა 44 ქვეყანა, რატიფიკაცია კი მოახდინა ოცდაცხრამეტმა: ბელგიის, საბერძნეთის, ისლანდიისა და ლუქსემბურგის პარლამენტებს ჯერჯერობით არ დაუდასტურებიათ მთავრობების ხელმოწერები. ევროსაბჭოს ამ დოკუმენტებს არ უერთდება საფრანგეთი.

საქართველოს ფაქტობრივი მთავრობა ევროპულ დოკუმენტებს მიუერთდა 2000 წელს; 2005 წლის 13 ოქტომბერს “საქართველოს პარლამენტმა” დაამოწმა კონვენცია; უახლოეს ხანში იგეგმება ქარტიის რატიფიკაციაც.

ქარტიისა და კონვენციის ეთნიკურ-ლინგვისტური ცნებების არაკომპეტენტური განმარტებებით, კერძოდ, ტერმინების: ეროვნული უმცირესობა, ენობრივი უმცირესობა, ენა, რეგიონალური ენა, უმცირესობის ენა, დიალექტი... **ულოგიკო გააზრებით, 2000 წელსვე გაჩნდა საშიშროება, საქართველოში დაკანონებულიყო ათამდე რეგიონალური სახელმწიფო ენა; ავტოქთონად აღიარებულიყო ამდენივე ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც, საკუთარ ენაზე საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების გახსნის გარდა, უფლება ექნებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში საქმისწარმოებაც** ქართულისგან განსხვავებულ ენაზე ეწარმოებინა და ა.შ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამადაც **ცდილობენ, საქართველო გამოცხადდეს მრავალეროვან და მრავალენოვან** სახელმწიფოდ და საქართველოს რეგიონებში შეიზღუდოს **საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ენის ფუნქციონირება**. არადა, ქართული ენისთვის ამგვარ საფრთხეს ნამდვილად არ ქმნიან საერთაშორისო

მნიშვნელობის დოკუმენტები, ვინაიდან ევროპულ ქარტიასა და კონვენციაში კარგადაა ჩამოყალიბებული უმცირესობათა უფლებები, მაგრამ განმარტებული არ არის ტექსტში გამოყენებული ცნებები: **ეროვნული უმცირესობა, ენობრივი უმცირესობა, კულტურული უმცირესობა, ენა, დიალექტი, ენის სახესწავობა და სხვ.**

სტრასბურგის დოკუმენტებზე ხელისმომწერი ქვეყნების ხელისუფლებების აზრით, ამ ცნებების/ტერმინების გააზრება და ეთნიკური უმცირესობებისა თუ უმცირესობათა ენების ჩამონათვალის შექმნა კონკრეტული **სახელმწიფოს კომპეტენციაა**, ვინაიდან დასახელებულ ტერმინთა მნიშვნელობის შესახებ **ევროპაში ვერ მოხერხდა შეთანხმება** მრავალწლიანი დავა-კამათის შემდეგაც კი. ამ საკითხს საგანგებოდ ეხება კონვენციის განმარტებითი მოხსენების მე-4 და მე-12 ნაწილები; მაგ., კონვენციის მე-12 განმარტებაში ვკითხულობთ:

“კონვენცია არ იძლევა **ეროვნული უმცირესობის** ცნების განმარტებას იმ პრაქტიკული მოსაზრების გამო, რომ მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა იმგვარი ფორმულირების შემოთავაზება, რომელსაც ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო დაუჭერდა მხარს“.

მსგავს აზრს გადმოსცემს ქარტიის მე-17 განმარტებაც:

“ქარტია არ განსაზღვრავს ენას არც სოციალურ-პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით, როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის საშუალებას; ამგვარად, ქარტია არ იძლევა **ენობრივი უმცირესობის ცნების განსაზღვრებას**“.

ეს აზრი უფრო მკვეთრად გამოთქმულია ქარტიის 32-ე განმარტებაში: “ქარტია არ განსაზღვრავს თუ **რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ცალკე ენად გამოხატვის ესა თუ ის ფორმა**“. აქვე ვიტყვით, რომ არ არსებობს ენისა და კილოს გამიჯვნის უკამათო კრიტერიუმები; შდრ., მაგ., საყოველთაოდ მიღებული ენის განმარტება: **ენა არის გარკვეული სემანტიკის მქონე ბგერით ნიშანთა - ენობრივ ნიშანთა - ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა**, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, ცოდნის შენახვის და კომუნიკაციის საშუალებას...

ცალკე აღებული **დიალექტიც ბგერით ნიშანთა ბუნებრივად მოწესრიგებული სისტემაა**; დიალექტიც წარმოადგენს სამყარ-

როს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის საშუალებას; შესაბამისად, ენის ამ ლოგიკური დეფინიციის მიხედვით ვერ გავმიჯნავთ ენასა და კილოს (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ქარტიისა და კონვენციის განმარტებების მიხედვით, ეს და სხვა მსგავსი ტერმინები “ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში **ინდივიდუალურად განისაზღვრება**“ (იხ. ქარტიის განმარტებების მე-18 ნაწილი).

მდრ., აგრეთვე, ქარტიის 21-ე განმარტება:

“ქარტიის ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ქარტიისთვის დაერთოთ **რეგიონალური და უმცირესობათა ენების სიები**, ვინაიდან, ლინგვისტური თუ სხვა სახის არგუმენტების გამო, იგი უეჭველად გახდებოდა ცხარე კამათისა და უთანხმოების საგანი...”

აქვეა დაზუსტებაც:

“ქარტია პრეროგატივას ანიჭებს კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებას, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი“ (32-ე განმარტება).

მიუხედავად წარმოდგენილი განცხადებებისა, ევროსაბჭოს დოკუმენტებში არის **ფრიად საყურადღებო აქცენტები**; კერძოდ:

ქარტიის განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში ვკითხულობთ: “ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის **მკვიდრი ავტოქთონური ჯგუფები**, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისგან”.

ე.ი. ევროპული სახელმწიფოები თვლიან (სამართლიანადაც - ტ.ფ.), რომ ეროვნულ თუ ენობრივ უმცირესობად მისაჩნევი საზოგადოება **აბორიგენი, მოცემული ტერიტორიის თავდაპირველი, ძველისძველი ბინადარი** (ავტოქთონი) უნდა იყოს; მაგ., დაბადებიდან გერმანიის მოქალაქე რამდენიმე მილიონ თურქსაც კი გერმანელები არ მიიჩნევენ ეროვნულ უმცირესობად, ვინაიდან, მიუხედავად ამ დიასპორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიისა, ისინი აქ მაინც **მიგრანტებად არიან ჩათვლილი** (მდრ.: ავტოქთონი - ამა თუ იმ ქვეყნის ძველისძველი მკვიდრი მოსახლეობა).

მიგრანტ და ავტოქთონ ჯგუფთა ენების განსხვავების აუცილებლობა მკვეთრადაა გამოთქმული ქარტიის სხვა მონაკვეთებში:

განმარტებითი მოხსენების 31-ე ნაწილი: “ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ **ისტორიულ ენებს**, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე”.

არსებითაა შემდეგი დებულებაც (რომელიც ჩამოყალიბებულია ქარტიის პირველი მუხლის ა პუნქტის მეორე ნაწილსა და ქარტიის 32-ე განმარტებაში):

“რეგიონალური/უმცირესობათა ენები არ გულისხმობს (არ მოიცავს) **სახელმწიფოს ოფიციალური ენის სახესხვაობებს, დიალექტებსა და მიგრანტთა ენებს**“.

საზოგადოების ერთ ნაწილში განსაკუთრებით არაადეკვატურად იქნა გააზრებული ტერმინები **რეგიონალური ენა** და **უმცირესობის ენა**; არადა, ამ ტერმინებს ნათლად განმარტავს ქარტია:

ქარტიის I მუხლითა და ქარტიის მე-18 განმარტებით, **რეგიონალურ ენად** მიჩნეულია სახელმწიფოში მცხოვრები იმ ავტოქთონი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში, ხოლო **უმცირესობის ენად** ჩათვლილია ისეთი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც რიცხვობრივ უმცირესობაშია თავისთავად რეგიონშიც (ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005⁹).

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს:

როგორც წესი, ენობრივ/ეთნიკურ უმცირესობად მიიჩნევა მოცემული სახელმწიფოს ავტოქთონი **არაძირითადი** (სხვა კულტურისა და წარმომავლობის მქონე) მოსახლეობა, მაგ., ბასკები ესპანეთში). საქართველოში ერთი რომელიმე კუთხის ქართველობის მიჩნევა **ენობრივ** ან ეთნიკურ **უმცირესობად** და ქართველური კილოების სახელმწიფო ენებად გამოცხადება (იხ., აგრეთვე, ჯ.პიუიტის, ვ.ფოიროშტაინისა და სხვათა მოლგაწეობა; მასალა ვრცლად იხ. თ.გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006) **საქართველოს ენობრივი პოლიტიკის “გარედან” დაგეგმვის მცდელობაა, რაც ვერასოდეს შეცვლის ფაქტს:**

მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა თვითნებურად ერთნაირად იქმნებოდა სამეგრელოშიც, სვანეთშიც, მესხეთშიც და ქართლ-კახეთშიც; ამ კუთხეთა მოსახლეობისთვის **ქართული ისტორიული დედაენაა**, ადგილობრივი (საშინაო) ზეპირი მეტყველება კი - ერთ-ერთი ქართველური დიალექტი (და არა უმცირესობის ენა!).

სამწიგნობრო ენის შექმნისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით საქართველოში უნიკალური ვითარება გვაქვს:

ტ. ბერძნული, გერმანული, ესპანური, ფრანგული თუ სხვა სალიტერატურო ენებისგან განსხვავებით, **ქართველთა სამწიგნობრო ენა არ ეფუძნება ერთ რომელიმე დიალექტს;** შდრ.: ესპანური, კატალონიური, პროვანსული (ანუ ოქსიტანური) ლათინურისგან მომდინარე ერთგვაროვანი მოძმე ენა-კილოებია, რომლებზეც სხვადასხვა დროს შეიქმნა დამწერლობა; მათგან ზოგი გამოცხადდა სახელმწიფო ენად, ზოგი - არა; შესაბამისად, მათ შორის დღემდე გრძელდება მეტოქეობა იმის მიუხედავად, რომ ზოგ მათგანს ენის სტატუსი აქვს მინიჭებული, ზოგს - დიალექტისა (მაგ., დღემდე საკამათოა კატალონიური და პროვანსული ერთი ენის კილოებია თუ ორი დამოუკიდებელი ენაა). **სულ სხვაგვარია ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია: თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენა უშუალო მემკვიდრეა არქაული საეკლესიო ენისა, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართლურ, კახურ, იმერულ, მეგრულ, მესხურ თუ სვანურ ენობრივ ერთეულებს;**

ჟ. ქართული სამწიგნობრო ენა ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც, სულ მცირე, 15 საუკუნეა უწყვეტად ფუნქციონირებს, როგორც სახელმწიფო, საეკლესიო და სალიტერატურო ენა.

ქართული სამწიგნობრო ენა (ქართველური სამწიგნობრო ენა; რ.შეროზია) - ქართული კულტურის, ცნობიერების ჩამომძვრწავი ფენომენი და ქართველთა თვითობის/იდენტობის განმსაზღვრელი ძირითადი, მრავალსაუკუნოვანი ფაქტორია.

**დედაენა პიროვნების სახეა;
ხალხი ქმნის ენას და ენა ქმნის ერს;
სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია.**

ლიტერატურა

თ.გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000.

- მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.
- მ. ტაბიძე, ქართული ენის ფუნქციონირების აღმნიშვნელი ტერმინები და ფრაზები ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ თხზულებებსა და დოკუმენტებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XV, თბ., 2003.
- მ. ტაბიძე, ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები დავით აღმაშენებლის ეპოქაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XV, თბ., 2003.
- ტ. ფუტყარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, ქუთაისი, 2005°.
- ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

1.2. ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ენათა შორის

დედამიწის მოსახლეობის ენათა რაოდენობა ზუსტად არ არის დადგენილი; ასახელებენ 4000-დან 7000-მდე ენას. ასეთ დიდ სხვაობას იწვევს არა **ენობრივ ერთეულთა** რიცხვის დაუდგენლობა, არამედ მათი სტატუსის სხვადასხვაგვარი განსაზღვრა (მოცემული ლინგვისტური მონაცემი ენაა, დიალექტი თუ კილოკავი?). რთულია **უმწერლობო ენისა და დიალექტის** გამოიჯვნა. ვფიქრობთ, ლოგიკურია, რომ უმწერლობო ენად ჩაითვალოს იმ ხალხის ენა, ვისაც დედაენაზე სამწიგნობრო კულტურა არა აქვს, ხოლო დიალექტია ის მეტყველება, რომელიც ენათესავება საერთოეროვნულ ენას.

ბუნებრივია, ადამიანს ოდითგანვე აინტერესებს თავისი დედაენის მონათესავე ენების დადგენა, ვინაიდან, როგორც წესი, ენათა ნათესაობით განისაზღვრება ეთნოსთა ნათესაობა. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე **ისტორიულ-შედარებითი მეთოდის** საშუალებით **ძირითადად დადგენილია** მსგავსი სტრუქტურისა და ურთიერთმონათესავე ენათა ოჯახები. გავრცელებული შეხედულებით, მსოფლიოში გამოიყოფა: ინდოევროპულ, სემიტურ, ფინურ-უნგრულ, თურქულ, იბერიულ-კავკასიურ, სამოდიურ, მონგოლურ, ტუნგუსურ-მანჯურულ, ჩინურ-ტიბეტურ, დრავიდულ, მუნდა, მალაიურ-პოლინეზიურ, პალეოაზიურ, ავსტრალიის, პაპუა, აფრიკულ, პალეოაფრიკულ, ჩრდილოეთ ამერიკულ, ცენტრალურ ამერიკულ, სამხრეთ ამერიკულ ენათა ოჯახები; ცალკეა: იაპონური, კორეული, აინუური და ბასკური ენები (სპეციალისტთა ერთ ნაწილს ბასკური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შეაქვს).

დიდი ხნის ისტორია აქვს ქართული ენის ძირეული კავშირების ძიებას წინა აზიის უძველეს ენებთან - ხურიტულთან, ხეთურთან, შუმერულთან. ფ.ბოპიდან მოყოლებული დღემდე არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი ქართული ენისა და ინდოევროპული ენების ნათესაობის საკითხიც, მაგრამ ამ მიმართულებით დამაჯერებელი არგუმენტები ჯერჯერობით არ ჩანს. თ.გამყრელიძის, ვ.ივანოვისა და სხვათა მიხედვით, ინდოევროპულ-ქართველური ტიპოლოგიური შეხვედრები კვლევის საინტერესო სფეროა. გ.დეეტერსის აზრით, ქართველურში თანაარსებობს ინდოევროპული და იბერიულ-კავკასიური ფენები (ამ მოსაზრებას იზიარებს გ.მაჭავარიანიც).

ყველაზე გავრცელებული თეორიით, ქართული ენა ენათესაება აფხაზურ-ჩერქეზულ, ჩეჩნურ-ინგუშურ (ნახურ) და დაღესტნურ ენებს. ამ თეორიის ფუძემდებლები არიან ივ. ჯავახიშვილი და არნ. ჩიქობავა. XX საუკუნის მეორე ნახევარში არნ.ჩიქობავამ ჩამოაყალიბა **იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლა**, რომლის წარმომადგენლები ათწლეულების მანძილზე წარმატებით იკვლევდნ ქართველური და ჩრდილოკავკასიური ენების ნათესაობას; შედეგად გამოვლენილია მრავალი მსგავსი ენობრივი მოვლენა და ლექსიკური პარალელი; კერძოდ, ქართველურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებს საერთო წარმომავლობისა აქვთ ძირითადი ლექსიკური ფონდის შემდეგი სიტყვები (ვასახელებთ ერთ ნაწილს):

დედა, მამა, ცოლი, ობოლი... თვე, დღე, მზე, ყინავს, ცა, ზაფხული, სამხარი... ბარკალი, ბაყვი, გული, იდაყვი, მარჯვენა, მკერდი, მხარი, პირი, ძუძუ, წამწამი, წვერი, ჭიპი, ტვინი, ფილტვი, ფხა, ხელი, ძვალი, მუხლი... გუგული, მგელი, ღორი, ყვავი, თაგვი, ციყვი, ქათამი, მატლი, მწერი, კალია, პეპელა, ჭიანჭველა, ძუ, ხვადი, ბერწი, ღულღუნი, ხვიხვინი... დიკა, მახა, სელი, ყანა, ვაშლი, მსხალი, ლეღვი, კაკალი, სოკო, ჭინჭარი, ანწლი, ძეძვი... ვინ, მან, შენი, თქუენი... სამი, ხუთი, ათი, ასი, ცალი, ტყუპი... დიდი, მრგვალი, რბილი, თეთრი, ყვითელი, თხელი, ძველი, მსხვილი... კედელი, ყველი, ძმარი, ცელი, ჯაჭვი... სუნი/სული, სელი, სერი (ღამე), ნემსი, სუელი/შრატი, სოფელი, ნესტო, ასული, უსუარი (ვაჟი), მზე, შეშა, ვაშლი, უშვერი, მშვენიერი, სთუელი, ძაღლი, ძეძვი, ძუალი, ძუ, ხუეზი, ცალი, ფარცხი, ფრჩხილი, ციცი(ნათელა), ჩხართვი, ბერწი, წყალი, ნერწყვი, მწიფე, წუეთი, წოდება, წვევა, წუერი... შეაზანზარებს, ეშინია, წოვს, წვაგს, ჭამს, სვამს, სუსხავს, უსტვენს, ფუვდება, დგას, იცინის, ლოკავს, გო-

რავს, ურტყამს, აბამს, ქსოვს, თესავს, ჭედს... სტვენა, წასმა, მოსვა, ქსოვა, ვსება...

ენათმეცნიერული კვლევის ამ ეტაპზე მეტი არგუმენტები აქვს **საერთოქართველური, საერთონაზურ-დაღესტნური და საერთო-აფხაზურ-ადიღური ძირითადი ლექსიკური ფონდისა და ენობრივი სტრუქტურების** სისტემური ერთგვარობის მტკიცებას. საყურადღებოა ისიც, რომ მუსიკათმცოდნეთა დასკვნით, ქართველთა, აბაზა-აფხაზთა, ვაინახთა (ჩეჩენ-ინგუშთა) და დაღესტნელთა **მუსიკალური ენები** მომდინარეობენ საერთოკავკასიურ-წინააზიური მუსიკალური ფუძეენიდან.

თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ენათა და დიალექტთა დაჯგუფების რამდენიმე სქემა არსებობს; აქ წარმოვადგენთ არნ.ჩიქობავასა (1952) და თ.გვანცელაძის ვარიანტებს:

არნ.ჩიქობავა: იბერიულ-კავკასიური ენები შედგება ოთხი ჯგუფისგან:

I. **ქართველური ანუ იბერიული ენები:** ქართული, ზანური, სვანური.

II. **აფხაზურ-ადიღური ენები:** აფხაზური (“ენათმეცნიერების შესავალში” არნ. ჩიქობავა აფხაზურ ენაში აერთიანებს **აბაზურ დიალექტებს:** ტაპანთურსა და აშხარულს; “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ ეს ორი კილო აბაზური ენის სახელითაა წარმოდგენილი - **რედ.**), ადიღური ანუ ჩერქეზული ყაბარდოულითურთ (ზემო ადიღური კილო ანუ ყაბარდოული ცალკე ენადაა წარმოდგენილი “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ - **რედ.**), უბიხური ენა.

III. **ქისტურ-ბაცბური ენები:** ქისტური, ბაცბური ანუ წოვათეშური (“ენათმეცნიერების შესავალში“ ამ ჯგუფში დასახელებული არ არის ჩეჩნური და ინგუშური, ვინაიდან 1952 წელს **ჩეჩენ-ინგუშები** გადასახლებულნი იყვნენ შუა აზიაში და საბჭოთა ცენზურის მიერ იკრძალებოდა მათი ხსენებაც კი; 1979 წელს გამოქვეყნებულ “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალში“ III ჯგუფის **დასახელება და შემადგენლობა ასე გამოიყურება: ნახური (ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური) - რედ.**).

IV. **დაღესტნური ენები:** ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი (ხუნძური ანუ ავარიული ენა და ანდიური ხეობის **ენა-კილოთა** [არნ.ჩიქობავას ტერმინია! - **რედ.**] წყება: ანდიური, ბოთლიხური, კარატაული, ტინდიური, ბავალური (ტინდიური და ბავალური **ერთ ენადაა** წარმოდგენილი 1979 წელს - **რედ.**) ჰამალური, ახვანური, ხვარ-

შიული, დიდოური და კაპუჭური); **ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფი (ლაკური, დარგუული); ლეზგიური ქვეჯგუფი (ლეზგიური, წახურული, რუთულური, აღლულური, ტაბასარანული, ხინალულური, ბუდუხური, კრიწული, არჩიბული, უდური).**

თ.გვანცელაძე: იბერიულ-კავკასიური ენები შედგება სამი ჯგუფისგან:

I. სამხრეთის ჯგუფი:

ქართველური (ქართული) სამწიგნობრო ენა (ზანური, სვანური, მესხური, ჰერული... დიალექტური ჯგუფების ჩათვლით).

II. ჩრდილო-დასავლეთის ჯგუფი:

1. აფხაზურ-აბაზური ენა; 2. ჩერქეზული (ადიდურ-ყაბარდოული) ენა; 3. უბიხური ენა (აწ უკვე მკვდარი).

III. ჩრდილო-აღმოსავლეთის ჯგუფი:

ტ. ვაინახური ქვეჯგუფი: 1. ვაინახური (ჩეჩნურ-ინგუშური, ანუ იჩქერიულ-ინგუშური) ენა.

ღ. ხუნძური ქვეჯგუფი: 1. ხუნძური ენა; 2. ანდიური ენა (ბოთლიხურის, დოდობერიულის, ახვახურის, კარატაულის, ბაგვალურის, ტინდიურის, ჭამალალურის ჩათვლით);

3. დიდოური ენა (პინუხურის, ხვარშიულის, კაპუჭურ-ჰუნზიბურის ჩათვლით).

ღ. ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფი: 1. ლაკური ენა; 2. დარგუული ენა.

ბ. ლეზგიური ქვეჯგუფი: 1. ლეზგიური ენა (თაბასარანულისა და აღლულურის ჩათვლით); 2. წახურ-რუთულური ენა; 3. არჩიბული ენა; 4. კრიწული ენა; 5. ბუდუხური ენა; 6. ხინალულური ენა; 7. უდური ენა.

ლიტერატურა

თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I-II, Тбилиси, 1984.

თ.გვანცელაძე, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003.

- თ.გვანცელაძე**, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შემადგენლობისათვის, ტ. VIII, ქუთაისი, 2004.
- გრ. გიორგაძე**, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსი და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002.
- G. Deeters**, Das khartvelische Verbatum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der sudkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.
- ენათმეცნიერების შესავლის საკითხები**, გ.ახვლედიანის რედაქციით, თბ., 1972.
- ქ. ლომთათიძე**, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, თბ., 1976.
- დ. ლოსაბერიძე**, ქართველთა ეთნოგენეზის საკითხისათვის; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №2, 1992.
- ნ.მაისურაძე**, ქართული ხალხური მუსიკა და ქართველთა ეთნოგენეზი; ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002.
- გ.მაჭავარიანი**, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
- ბ.ფონჩუა**, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ტ. ფუტყარაძე**, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
- არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- არნ. ჩიქობავა**, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
- მ.ჩუხუა**, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2006.
- მ. ჩუხუა**, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003.
- ს. ჯანაშია**, შრომები, ტ. III, თბ., 1959.

1.3. საერთოქართველური ენის მოდელის საკითხი და ქართველური ენობრივი ერთეულების ისტორიული მიმართების სქემა; საერთოქართველური ენის დათარიღების პრობლემა

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა დამუშავებული არსებულ ენათა მონაცემების შეპირისპირებით **წინარე ენების** სახის (მოდელის) აღდგენის მეთოდები (იხ., მაგ., თ.გამყრელიძე, 2003, გვ. 558-589); კერძოდ, შინაგანი რეკონსტრუქციით, შედარებითი რეკონსტრუქციითა და ლექსიკურ-სემანტიკური რეკონსტრუქციით წარმოიდგინება მონათესავე ენობრივ ერთეულთა ამოსავალი ენობრივი მოდელი.

ქართველური ენობრივი სამყაროს თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქართველურ ენა-კილოთა ამოსავალ საერთოქართველურ მოდელს ძირითადად მიჰყვება ქართული სამწიგნობრო ენა. აზრთა სხვადასხვაობაა მხოლოდ საერთოქართველურში სონანტებისა და ნუნისმიერ თანხმოვანთა რაოდენობასთან დაკავშირებით:

აღიარებულია, რომ საერთოქართველური ფუძეენის ფონემატურ სტრუქტურაში სამი კლასი გამოიყოფა: **თანხმოვნები** (ჩქამიერები, სონორები), **სონანტები** და **ხმოვნები**. ფუძეენის ხმოვანთა სისტემაში თანამედროვე ქართველურ ენა-კილოთა მიხედვით აღდგება **ა, ე, ო** ხმოვნები. **ი** და **უ** ბგერები ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ალოფონებით წარმოდგებიან და, შესაბამისად, ქმნიან **სონანტთა კლასს**. **ი/ა** და **უ/ჟ/ვ** სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში (შდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიხედვით, თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში სონანტთა კლასი გამოირიცხება).

თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურ სონანტთა რიგში აღდგება **მ, ნ, რ, ლ** ფონემებიც. არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, თ. გვანცელაძე და სხვა ცნობილი მეცნიერები სამართლიანად თვლიან, რომ საერთოქართველურშიც და დღესაც **მ, ნ, რ, ლ** ბგერები **სონორებია და არა სონანტები**.

სპეციალისტთა დიდი ნაწილი საერთოქართველურში ძირითადად იმავე თანხმოვნებს აღადგენს, რაც გვაქვს არქაულ სამწიგნობრო ქართულში:

ხშულები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ; ჰ, ყ.

ნაპრალოვნები: ზ, ს; ჟ, შ; ღ, ხ; ჰ.

სონორები: მ, ნ, რ, ლ.


მკვლევართა ერთი ნაწილის (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, მ. ქურდიანი) აზრით, საერთოქართველურ ენაში წინანუნისმიერი ძ, ც, წ, ზ, ს და უკანანუნისმიერი ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ ბგერების გვერდით დამატებით სავარაუდოა შუანუნისმიერი (შუასიბილანტური) ძ', ც', წ', ზ', ს' თანხმოვნების არსებობა.

ქართველური ფუძეენის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურებიც არსებითად არქაული სამწიგნობრო ქართული ენის მსგავსია.

სპეციალისტთა შორის დიდი კამათის საგანია ქართველურ დიალექტთა დივერგენციის სქემა (საკითხის მიმოხილვისათვის იხ.,


მ.ქურდიანი, 1996); კერძოდ, მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ საერთოქართველურ ენას ჯერ გამოეყო სვანური და ზანურ-ქართული, შემდეგ კი ზანურ-ქართული დაიშალა ქართულად და მეგრულ-ლაზურად; ავტორის მიხედვით, ქართველურ ენობრივ ერთეულთა დაშლის ამ სქემას დეეტერსის სქემას უწოდებენ:

გ.დეეტერსის სქემა:



განსხვავებული და უფრო არგუმენტირებული შეხედულება ჩამოაყალიბა აკად. არნ. ჩიქობავამ; მისი აზრით, საერთოქართველურს ჯერ გამოეყო ზანურ-სვანური დიალექტური ჯგუფი, რომელიც შემდეგ დაიშალა ზანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებად:

არნ. ჩიქობავას სქემა:



თანამედროვე სამეცნიერო კვლევების მიხედვით ნათელია, რომ საერთოქართველური ენის მემკვიდრეა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის (საეკლესიო) ენა, რომლის უშუალო გაგრძელებაა **თანამედროვე სამწიგნობრო ქართული ენა; არქაული ქართულის** მეტ-ნაკლებად შეცვლილ განშტოებებს კი წარმოადგენს ქართველური დიალექტური ჯგუფები: ცენტრალური, სვანური, ზანური, მესხური, ფხოური, რაჭული, ჰერული... (დივერგენციის სქემა იხ. ქვემოთ: თანამედროვე ქართველური დიალექტები).

საერთოქართველური ენის არსებობის დრო. საერთოქართველური ენის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტ-

ერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. საკითხი კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს და დასკვნების სანდოობასაც ისტორიკოს-არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა და ლინგვისტთა ერთობლივი მუშაობა განსაზღვრავს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოქართველური ენის არსებობის დროდ ძვ. წ. II-I ათასწლეულებს ასახელებს (არნ.ჩიქობავა, კ.ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, ტ.ფუტკარაძე...), მეორე ნაწილი კი საერთოქართველური ენის ფუნქციონირებას შესაძლებლად მიიჩნევს ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში (თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, თ.მიქელაძე, მ.ქურდიანი...).

საერთოქართველური ენის ისტორიული ქრონოლოგიის დადგენა პირველად სცადეს ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენებით. ამერიკელი ლინგვისტების - მორის სვოდენისა და რობერტ ლიზის მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში შექმნილი **გლოტოქრონოლოგიური ანუ ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით** მონათესავე ენათა დიფერენციაციის დრო განისაზღვრება ძირითადი ლექსიკური ფონდიდან აღებული 100 ან 200 სიტყვის ცვლილების კოეფიციენტის მიხედვით. ეს მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვალებადობის სიჩქარის ერთგვარობას ყველა ენაში.

ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით ქართველურ ენობრივ ერთეულთა დიფერენციაციის დათარიღება სცადეს გ.კლიმოვმა, თ.გამყრელიძემ და გ.მაჭავარიანმა. ერთი და იმავე მეთოდით შესრულებული ორი გამოკვლევის შედეგები 1000-წლიანი სხვაობის მქონე აღმოჩნდა, კერძოდ, გ.კლიმოვის აზრით, საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა დაიწყო II ათასწლეულის, ხოლო ზანურისა - I ათასწლეულის დასაწყისში (გ.კლიმოვი, 1952, გვ. 119). თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით კი, საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა ძვ. წ. X საუკუნეში მოხდა, ხოლო ქართულ-ზანურის დიფერენცირება - ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 17).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია გლოტოქრონოლოგიური მეთოდის ნაკლზე. იგი მხედველობაში არ იღებს ენის ცვლილების განსხვავებულ ტემპს სხვადასხვა ეპოქაში და ლექსიკის ცვლის სიზშირის ხარისხის განსაზღვრისას ვერ ითვალისწინებს ინტენსიური გავლენის ან სამეტყველო კოდთა შერევის როლს; ეს მეთოდი ნაკლებსანდოა იმიტომაც, რომ საანალიზო ერთეულთა სიაში

ერთი უზუსტო ფორმის მოხვედრაც კი მკვეთრად ცვლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს (იხ. კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972; დ. კრისტალი, 1989, გვ. 331; ტ.ფუტკარაძე, 2000, გვ. 327; თ.გვანცელაძე, 2004...).

საერთოქართველური ენის დივერგენციის განსხვავებული სქემაა წარმოდგენილი თ.გამყრელიძისა და ვ.ვიანოვის შრომაში “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები”; კერძოდ, ამ ნაშრომში საერთოქართველური ენის არსებობის დროდ მიჩნეულია ძვ. წ. IV ათასწლეული.

კ.ბერგსლანდისა და ჰ.ფოგტის აზრით, “საერთოქართველური ენა ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვათავსოთ“ (კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972, გვ.255).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, **საერთოქართველურის არსებობა ძვ. წ. I ათასწლეულშია სავარაუდებელი**. ცნობილი მეცნიერი ასე მსჯელობს:

“იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, **სამი ათასი წლის წინანდელს** და, ალბათ, ძველ ადგილსამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არა ერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა, გათქვეფილა სხვა ენაში. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს გასაოცარი ნაირგვარობა ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგიასინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიათ“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 253).

ტ.ფუტკარაძის აზრით, ძვ.წ. V-IV ათასწლეულში საერთოინდოევროპულის თანადროულად არსებობდა იბერიულ-კავკასიური კონტინენტში (ენობრივი განფენილობა), რომლისგანაც საკუთრივ ქართველური ენობრივი სამყაროს გამოიქვანა დაწყებული ჩანს კავკასიასა და ანატოლიაში ინდოევროპული ნაკადის შემოსვლის შემდეგ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე; **მკვეთრი დაშორება** კი სავარაუდოა ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე, კერძოდ, სკვით-კიმერიელთა და სპარსული მოდემის ტომთა შემოსევების დროს. ქართველური მოდემის მიერ კოლხურ-ყობანური (**ყობანი** - სოფელი ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, თანამედროვე ოსეთში) კულტურის შექმნის დროს, **ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან** (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრამდე), ჩანს, უძველეს ქართველურ ტომთა დიალექტებიდან

ყალიბდება **საერთოქართველური ენობრივი კოინე** - ძველ ქართველ ტომთა საერთო-სამეტყველო ენა. შდრ.: ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევარში ჩანან შემდეგი თემები: მუშქები/მესხები, დაიანელები/ტი-ოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპეირები, ქუთები/კვიტები, კორაქსები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდეები/ქალდეები, მაკრონები, ფასიანები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი, ჰენიოხები, სანები, სანიგები/სანიკები...

საერთოქართველური ენის არსებობის დროის შესახებ გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს ქართველურ კილოებში არსებულმა იმ სიტყვებმა, რომელთა **საერთოქართველური ფორმა** ნასესხებია და შესაძლებელია სესხების დათარიღებაც; მაგ., სავარაუდოა, რომ **საერთოქართველურშივე არსებული სპარსულიდან ნასესხები ზოგი სიტყვაფორმა ძვ.წ. VI საუკუნეს ვერ გაშორდება** (შესაბამისად, უფრო ადრე ნაკლებადაა სავარაუდო საკუთრივ ზანური და სვანური ენობრივი ერთეულების არსებობა); ასეთები ჩანს: **ზარი, კუართი, ტყე, ძეწკვი, წით-ს...**

აღსანიშნავია ისიც, რომ ძვ.წ. V-III ათასწლეულებში არსებული მსოფლიოს ყველა ენა ამჟამად უკვე მკვდარია; აღდგენილი წინარეენების (პროტოენების) სტრუქტურა მნიშვნელოვნად (არსებითად!) განსხვავდება თანამედროვე ენებისგან; გარდა ამისა, **მსოფლიოში არ არსებობს დიდი სამწერლობო ტრადიციის მქონე ერთი ენაც კი, რომელსაც 30 საუკუნის განმავლობაში შეენარჩუნებინოს თავისი ძირითადი სახე**; მით უმეტეს, ასეთი ვერ იქნება უმწერლობო ტომობრივი ენა თუ კილო. 1000 წლის მანძილზეც კი მხოლოდ დიდ სამწერლობო ტრადიციას შეუძლია, შეანელოს ენის მნიშვნელოვანი ცვლილების პროცესი; 4000-5000-წლიან თვისობრივ უცვლელობაზე კი, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია.

მეზობელ ხალხთა ენებში ქართველურიდან შესული ონომასტიკური მასალის, ქართველური ნასესხობისა და ე.წ. თარიღიან ტოპონიმთა (ქუთაისი, ფათისი...) ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართველური ენა-კილოები (სამწიგნობრო ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური, ფხოვეური, მესხური და სხვა კილოები) სათავეს იღებენ წელთაღრიცხვათა მიჯნიდან.

მაშასადამე, დღევანდელ ქართველთა: ლაზთა, მეგრელთა, იმერხეველთა, მესხთა, კახთა, სვანთა, ჰერთა, ფხოველთა და სხვა ქართველთა ამჟამინდელი საშინაო მეტყველება (კილოები) სათავეს იღებს წელთაღრიცხვათა მიჯნიდან; საყურადღებოა, რომ სწორედ ამ დროს

ჩნდება მათი სახელები ისტორიულ წყაროებშიც.

შეგვიძლია ვთქვათ: ქართველური მოდემის თემთა დიდი წინაპრები: მითებში გადასული აიეტიც, მოგვიანებით, აზონიც, ქუჯიც, ფარნავაზიც, გორგასალიც, ჭყონდიდლებიცა და იოვანე პეტრიწიც ოფიციალურად საერთოქართველურ, ან მის სტრუქტურულად ადეკვატურ, ზოგადქართულ სამწიგნობრო ენაზე მეტყველებდნენ, წერდნენ და, რაც მთავარია, ერთობლივად ქმნიდნენ რამდენიმეათასწლოვან ქართველურ სამწიგნობრო კულტურას.

ლიტერატურა

- რ. აბაშია**, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი (სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით): ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003.
- კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი**, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის; მიმომხილველი, 6/9, თბ., 1972.
- თ. გამყრელიძე**, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.
- თ. გამყრელიძე**, “ოქროს საწმისი“ და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? ლიტერატურული საქართველო, 20-27 მარტი, 1998.
- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი**, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- T. Gamkrelidze, V. Ivanov**, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
- G. Deeters**, Das khartvelische Verbatum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der sudkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.
- Г. Климов**, О Глотохронологическом методе датировки распада языка, ВЯ, Москва, 1952, №2.
- D. Crystal**, The Cambridge Encyclopedial of Language, New York, 1989.
- დ. ლოსაბერიძე**, ქართველთა ეთნოგენეზის საკითხისათვის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №2, 1992.
- გ. მაჭავარიანი**, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
- გ. მაჭავარიანი**, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

- თ. მიქელაძე, ძიებანი კილხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
- გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, თბ., 1952.
- გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
- თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
- ტ. ფუტყარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.
- ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
- მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1996.
- მ. ქურდიანი, ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა; საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003.
- მ. ჩუხუა, ისტორიული ფონეტიკის ზოგიერთი საკითხის თაობაზე სვანურში; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, თბ., 2003.
- მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003.

1.4. ქართველთა სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების მიმართების საკითხი; თანამედროვე ქართველური დიალექტები

მსოფლიოს ხალხებისა და ენა-კილოების მიმართებებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ენობრივი ვარიანტების სტატუსი ძირითადად რეგულირდება: ეთნოკულტურული (სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებით და სხვ.), სოციოლინგვისტური (სამეტყველო ერთეულის ფუნქციონირების მიხედვით) და სახელმწიფოებრივ-რელიგიური მიდგომებით... ზოგჯერ, წერილობითი ტრადიციის, საერთოკულტურული ფასეულობების არმქონე მონათესავე ხალხების მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას, გამოყენებულია გაგებინების “კრიტერიუმიც” (საკითხის ისტორიისათვის იხ., ტ.ფუტყარაძე, 2005; თ.გვანცელაძე, 2006). აღსანიშნავია, ისიც, რომ მსოფ-

ლიოში არსებული **მწიგნობრობის მქონე** არც ერთი ენობრივი ერთეული **ენად სახელდებული არ არის არც საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით** (ფონეტიკის/ბგერათმეცატყვისობის, მორფოლოგიის თუ სინტაქსის მიხედვით) და არც **“გაგებინების”** მიხედვით... ტრადიციულად, სამწიგნობრო კულტურისა და ეთნიკურ-კულტურული ისტორიის გათვალისწინებით, მიიჩნეოდა, რომ ქართველებს ერთი **სამშობლო ენა** და მრავალი **შინაური (“თემიური“)** კილო გვაქვს. მართლაც, სულ მცირე 15 საუკუნის მანძილზე ქართველი ერი - საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველობა (მეგრელები, ლაზები, სვანები, კახელები, მესხები, ჰერები, იმერლები, ჯავახები, თუშები, აჭარლები, რაჭველები, ტაოელები, ქართლელები...) ქმნის სამწიგნობრო კულტურას; შესაბამისად, იგი **ყველა ქართველის დედაენაა**. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის ყამსაც კი წირვა-ლოცვა ქართველთა მთელ ტერიტორიაზე ქართული სამწიგნობრო ენით აღესრულებოდა (სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა: ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, **იოვანე მინჩხის**, X საუკუნეში მოღვაწე ჰიმნოგრაფისა და მთარგმნელის, **სტეფანე სანანოს ძე ჭყონდიდლისა** და XVII საუკუნეში მოღვაწე **ანტონ ჭყონდიდლის** ქმნილებების ენა).

ქართველთა ერთიანი ენობრივ-ეთნიკური ცნობიერების წარმოსაჩენად განსაკუთრებით საინტერესოა **“ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“**, რომელსაც 1790 წელს მოაწერეს ხელი ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა. ისტორიულ დოკუმენტში მკაფიოდაა ნათქვამი:

“ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (=ურთიერთვალდებულებითი) სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“.

ისტორიული ტრადიციის თვალსაზრისით, საყურადღებო ფაქტია ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეში (მათ შორის, სამეგრელოსა და სვანეთშიც) ლაპიდარული და ეპიგრაფიკული ძეგლების, აგრეთვე, პირადი მიმოწერის ენა ყოველთვის იყო ქართული სალიტერატურო ენა.

ძველი დროიდანვე ქართველთა დიალექტებით უწყვეტად მდიდრდებოდა სალიტერატურო ენა; კერძოდ, მეგრული, სვანური, მესხური, ფხოველური, ქართლური თუ იმერხეული თვისობრივად ერთნაირად იყო მასაზრდოებელი ხანმეტი ტექსტების, “ვეფხისტყაოსნის” თუ პეტრიწის შრომების ენისთვის. საინტერესოა არნ.ჩიქობავას თვალსაზრისი: ძველი ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით (არნ. ჩიქობავა, 1948).

შდრ., აგრეთვე, ნ.მარის მოსაზრება: “ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები და სხვანი... საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხეულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, **ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის**“ (ნ.მარი, 1905).

კავკასიაში რუსეთის იმპერიის გავლენის გაძლიერების შემდეგ ცარიზმის მოხელეები შეეცადნენ, ქართველთა ნაწილისთვის გაეუცხოებინათ წინაპართა მიერ შექმნილი წერილობითი კულტურა და **საშინაო კილოები უმწერლობო ენებად გამოუცხადეს**; მათ (ი.ვოსტოროგოვი, ქ.პატკანიანმა...) ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის თითქოსდა უწყინარი **თემის მძაფრი პოლიტიზება** მოახდინეს; იმპერიის მიზანი იყო ენობრივად “სხვადასხვა” ქართველობა ცალკეულ ეთნოსებად წარმოედგინა და ამგვარად დაცალკეებული ქართველი ერის ისტორიული მიწა-წყალი იოლად დაეპყრო (დღესაც არის ამგვარი მცდელობანი).

დიდი ილიას მეთაურობით საქართველოში საპასუხო ანტიიმპერიული მოძრაობა დაიწყო: ქართველმა საეკლესიო და საერო მოღვაწეებმა ქართული ენა **ეროვნების ბურჯად გამოაცხადეს** და “დაუშრეტელი ზრუნვის საგნად აქციეს“ (ბ.ჯორბენაძე, 1987, გვ. 17). განსაკუთრებით აღსანიშნავია **“წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრთა** და სხვა სასულიერო პირთა ღვაწლი (რომელთა ნაწილი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა; შდრ.: რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2000 წელს წმინდანად შერაცხა ი.ვოსტოროგოვი...). XX საუკუნეშიც ბევრმა ქართველმა დაიცვა თავისი ეროვნული ენის ღირსება და არგუმენტირებულად უკუაგდო ქართველთა დამა-

ქუცმაცებელი ენობრივი “თეორია“. დავასახელებთ ბოლო ორი საუკუნის სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა ერთ ნაწილს: ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, წმინდა ილია მართალი, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, წმინდა კირიონ კათალიკოსი, პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე, წმინდა ამბროსი ხელაია, ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, დავით გიორგის ძე დადიანი, ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი, პეტრე ჭარაია, მოსე ჯანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, პეტრე მირიანაშვილი, წმინდა ალექსი შუშანია, იაკობ გოგებაშვილი, ლუარსაბ ლოლუა, სოსიკო მერკვილაძე, ვალერიან გუნია, პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, სილოვან ხუნდაძე, ივანე ჯავახიშვილი, თედო სახოკია, თედო ჟორდანიას, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, ოთარ გიგინეიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, ერეკლე საღლიანი, იაშა თანდილავა და სხვ.

შდრ.: საქართველოში რუსეთის იმპერიის გაბატონებამდე მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებს ქართულ კილოებად აცხადებდნენ ქართველთა საზოგადო მოღვაწენიც და მეცნიერთა დიდი ნაწილიც; სანიმუშოდ მოვიხმობთ რამდენიმე თვალსაზრისს:

პეტრე ჭარაია (მოსაზრება წარმოადგინა გამოკვლევებში: “ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა“ და “მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“): **ნაციას აქვს ენა, ხოლო თემს (ტომს) - დიალექტი**. მეგრულ-ჭანურ-სვანური თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დიალექტები კი არ არის, არამედ იმ ენის, რომლის ნაწილებიცაა თანამედროვე სალიტერატურო “ენა“, მისი დიალექტები და ისტორიული ქართული სალიტერატურო “ენა“... ქართველთათვის ისტორიული ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთია და თითოეული ქართული კილო არ უნდა გავიხადოთ სალიტერატურო ენად: გერმანიის თითოეულ კუთხეში, ოლქში და თითქმის სოფელში სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სალიტერატურო ენა ყველგან არის ერთი: მიწიერობულ ენად მიიჩნიათ ის ენა, რომელიც შეუქმნიათ და განუმეცნიერებიათ ლიტერს, ლესინგს, გიოტესა და სხვ. თუ ასეთ მრავალრიცხოვან ერს, როგორც გერმანელები არიან, რომლებიც ამასთანავე სდგანან განათლების სათავეში, ერთი საყოველთაო სალიტერატურო ენა საჭი-

როდ უცვნიათ, ჩვენ რადანი ვართ, რომ თითოეული კილო სალიტერატურო ენად გავიხადოთ...” (პ.ჭარაია, 1997, გვ.203-204).

შდრ., აგრეთვე, **მ.ჯანაშვილი** და **რ.ერკერტი**: სამეცნიერო ლიტერატურაში **იბერიული** (ქართველური, ქართული) **ენის** არსებობის აღრეულ სახეობად მიჩნეულია **ძველი ქართული**, რომლის განშტოებაა სვანური მეტყველება. იმავე ძველი ქართულის გაგრძელებაა ახალი ქართული, რომლის განშტოებაა მეგრული, მეგრულის განაყარი კი ლაზურია (რ.ერკერტი, 1895, გვ.287).

ი.გოგებაშვილი (სტატია “დაბალი ღობე ერთა შორის”; 1894):

“სად თქმულა და გაგონილა, რომ დაბალმა მოხლეებმა (იგულისხმება რუსეთის იმპერიის მოხლეები - ტ.ფ.) ერს მოჰგლიჯონ ღვიძლი, მთელი მხარე, გაჰყარონ შეხორცებულნი ერთად ღვთისა და ბუნების ნებით, გასწყვიტონ ათასის წლის ძმური კავშირი, ორივე მხრის შესასუსტებლად და ჩასაყლაპავად, და უბრძანონ მთელს მხარესა, კარგა ბლომა ნაწილს ქვეყნისასა: აღარ გაიხსენო შენი ნათესაური დამოკიდებულება და ძმური ურთი-ერთობა დედა-ქვეყანასთანა, **ილაპარაკე მხოლოდ შენს შინაურს კილოზედ, ზურგი შეაქციე შენს მთავარს დედა-ენასა**, და დაივიწყე იგი, გადააგდე იქით მშობლიური ანბანი, შენი მონაწილეობით მოგონილი, უარჰყავ სამშობლო ლიტერატურა, რომლის სალაროში არც ერთს ძმაზედ შენ ნაკლები არ შეგიტანია, გააუქმე შენი საღმრთო მეტყველება, რომელთანაც შეხორცებულია შენი სარწმუნოება, დაივიწყე შენი ათასის წლის ისტორიული არსებობა და გადაიქეც ველურ ხალხად, რომელმაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოსო... მეგრელთათვის იმის თქმა, რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ მათ არა აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ **ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შეიქმნას**, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წავართვათ მათ მთელი მათი **სახელოვანი წარსული**, მთელი ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი გონებრივ ლატაკებად და გვერდით ამოვუყენოთ ისეთ **ბარბაროსულ ტომებს**, რომელთაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ...”

შდრ., აგრეთვე, **სილოვან ხუნდაძე** (გაზ. “სახალხო საქმე“, 1919, №709): “...ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება **მონათესავე კილო-კავების** ფორმებთან ინტერესს აორკეცებს. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს, რომ მეგრული და სვანური შტოებია ქართული ენისა და არა

განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდენ და დღესაც **ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა**“.

ცარიზმის დროს ვერა, მაგრამ საბჭოთა იმპერიაში აშკარად გაბატონდა ქართველური “ენების” თეორია; საბჭოთა პერიოდის ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ი.სტალინის მიერ “ერთადერთად” აღიარებული მოსაზრებისთვის. რეპრესიული რეჟიმის პირობებში ენათმეცნიერთაგან წინააღმდეგობის გაწევა ან განსხვავებული თვალსაზრისის მტკიცება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ **საბჭოური ტრადიციის გავლენით, ზოგმა მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი - ლაზრე-სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობა - ისეთ უმწიგნობრო ტომებად გამოაცხადა, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა არა აქვთ და მონათესავე ხალხის (ქართველების) ენაზე წერენ. თუმცა, ამგვარ უმართებულო დასკვნას დიდი პოლემიკა უძღოდა წინ; განსაკუთრებით საინტერესოა ივ.ჯავახიშვილისა და ნ.მარის, ა.შანიძისა და ს.ხუნდაძის დისკუსიები; წარმოვადგენთ ორიოდ ეპიზოდს:**

ივანე ჯავახიშვილი (1992, გვ. 53-54): 1908 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად **“ქართულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს** გარდა, ესე იგი ეგრეთ წოდებულ ქართველისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას ქართველისა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან“-ო (ნ. მარი, 1908, გვ.1). მამასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, **ნ. მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის “ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები”, დიალექტები იყო მხოლოდ...** ნ. მარის შემომოყვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაოცებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში “კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები” იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეხვდება: “ქართველთმცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი, უგულვებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ. სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის “დამახინჯებულ” თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ“-ო... ავტორს დავიწყებია, რომ ამგვარივე “ნაციონალისტური”

შეხედულება მასაც ჰქონდა 1905 და 1908 წლებში "მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა".

შდრ., ი.სტალინი (მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი; პირველად გამოიცა ვ.ლენინის აქტიურობით 1913 წელს ვენაში; შემდეგ საგანგებო წესით გამოქვეყნდა 1920, 1934 და 1951 წლებში; ვიმოწმებთ 1951 წლის თბილისის გამოცემის მიხედვით): "არ არსებობს ერი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ერი (გვ. 18) "... კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოცხალ თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა. მაგრამ კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?" (გვ. 138-139) ... "ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩვენია - ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142) ...

ს.ხუნდაძე: "შანიძემ უნდა იცოდეს, რომ ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება მონათესავე კილო-კავების ფორმებთან ინტერესს აორკეცებს. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს, რომ მეგრული და სვანური ენები მტოვებია ქართული ენისა და არა განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდნენ და დღესაც ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა" (გაზეთი "სახალხო საქმე", 1919წ., №709, გვ. 2-3).

შენიშვნა: სილოვან ხუნდაძის ქართულ გრამატიკას, რომელიც 7-ჯერ იყო გამოცემული (V გამოცემა, 1917, ქუთაისი; VI გამოცემა, 1919, ქუთაისი; VII შესწორებული და შევსებული გამოცემა, "მერანი" ქუთაისი, 1920) ბოლოს დართული აქვს "ქართული ენის კილოკავების (მეგრულისა და სვანურის) გრამატიკული ფორმები". ს.ხუნდაძე გარდაიცვალა 1928 წელს.

შდრ., ზვიად გამსახურდია (ფრაგმენტები წერილიდან "სამეგრელოს საკითხი", თბ., 1989): "1928 წლის თებერვალში მოსკოვიდან ჩამოვიდა ცკ კპ (ბ)-ს ინსტრუქტორი პშენიციანი, რომელმაც მოიხილა სამეგრელოს სოფლები და გამოიტანა "ობიექტური" დასკვნა: "მეგრელ გლეხს უნდა მივცეთ სკოლა, სასამართლო და პოპულარული ბროშურა მშობლიურ ენაზე ("მშობლიური ენა

პშენიციინისა და ძმათა მისთა ტერმინოლოგიით, მეგრულია“ - ზ.გამსახურდია). 1928 წლის 25 დეკემბერს საქართველოს ცკ IV პლენუმზე მოისმინეს პშენიციინის მოხსენება, სადაც დაისვა საკითხი “სამეგრელოში მეგრულ ენაზე ბროშურების გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ“. ცკ-ს მდივანი კახიანი წახალისა პშენიციინის მხრით გამხსნევებამ და გამოიტანა ახალი დადგენილება 1929 წლის მარტს მეგრული ენის პრივილეგიების აღსადგენად სკოლაში, სასამართლოში საქმის წარმოებისას, გაზეთის გამოცემის საქმეში, ამ დადგენილებაში მეგრულს უკვე ენა ეწოდა და არა ენაკავი...” (ზ.გამსახურდია, 1989)...

საბჭოთა იმპერიას წინ აღუდგა სამეგრელოს მოსახლეობა, განსაკუთრებით ამ კუთხის შვილი ცნობილი მოღვაწეები; დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ კი ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის საფუძველზე დღესაც აქტუალური თეორიული მოძღვრება ჩამოაყალიბა:

“ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოღებულა ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც **მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები**, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...” (კონსტანტინე გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, 1983, ტ. VII, გვ. 411); შდრ., აგრეთვე: “XX საუკუნის მწვერულბამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება **იდეალური ლიტერატურული ქართული**“ (კონსტანტინე გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ. VII, გვ. 499)...

კითხვაზე: რატომ მიაჩნდათ დიდ ქართველ მოღვაწეებს მეგრული, სვანური, ლაზური... ქართული ენის კილოებად, პასუხი ერთია: **ორი დედაენა არ არსებობს**; ყველა ქართველის ისტორიული დედაენაა ქართული; **შდრ., ისტორიული დედაენა და ერი ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია** (და არა მხოლოდ ჩვენი წინაპრებისთვის):

გრიგოლ ორბელიანი: “რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“;

ილია ჭავჭავაძე: “ენა ისტორიაა ერისა, პირველი ნიშანი ერის ვინაობისა - ენაა“;

ვაჟა-ფშაველა: “ერი დედაა ენისა“;

ზვიად გამსახურდია: “ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, ენა მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ ხალხს, ეროვნებას, მოდემას“;

შდრ.: ვ.ჰუმბოლტის, ლ.ვაისგერბერის, გ.რამიშვილისა და მრავალ სხვათა მიხედვით, ერი განიმარტება, როგორც ენობრივი ერთობა; შდრ., აგრეთვე, გ.რამიშვილი, 2000, გვ.172: “ენა სხვა არაფერია, თუ არა ერის მსოფლხედვა“ (ვრცლად იხ. ტ.ფუტკარაძე, 2005)...

საერთოქართველური ენის მოდელირების ყველა აკადემიური ცდა და **ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია** ცხადყოფს, რომ თანამედროვე სამწიგნობრო ქართულის ფონემატური, სახელური, ზმნური, სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად საერთოქართველური ენის იგივეობრივია; ქართველთა საშინაო კილოები კი თეორიულად აღდგენილი ამ საერთო ენის **მეტ-ნაკლებად შეცვლილი** ვარიანტები არიან. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ისტორიულ **საერთოეროვნულ ენასთან** მიმართებით დიალექტებად განვიხილოთ წინარეენისგან მომდინარე დღევანდელი სახესხვაობანი; **შდრ.: დიალექტი** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საერთო-სახალხო ენის განშტოებას, ადგილობრივ მეტყველებას, რომელზეც ლაბარაკობს მოცემული ერის (ეთნოსის) ერთი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ სამწიგნობრო ქართულსა და კილოებს შორის სხვაობა მატულობს დედაქალაქთან (სასულიერო-კულტურულ და მმართველობით ცენტრთან) კილოს დაშორების პროპორციულად. სამწიგნობრო ქართულის გავლენის კლების შესაბამისად, **ქართველთა თანამედროვე საშინაო-სამეტყველო ერთეულები** უნდა დაიყოს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტებად; თავის მხრივ, განაპირა დიალექტურ ჯგუფებს ექვს ქვეჯგუფად წარმოვადგენთ:

ცენტრალური კილოები: კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

განაპირა კილოები: მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭან-ლური, იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჯავახური;

ჭერული კილოები: კაკური, ალიაბათური;

ფხოვური კილოები: ჩაღმათუშური, ფშავური, ხევსურული, მოხევეური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე, “ასოცირებულ“ დიალექტად შეიძლება განვიხილოთ წოვათუშურიც, რომელიც შეიცავს როგორც ჩინურ-ინგუშურის, ასევე, ქართულის მსგავს ფენებს;

რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული;


სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური;

ზანური კილოები: მეგრული, ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქარ-

თველთა კილოები: ფერეიდნული, “ჩვენებურების ქართული“ (ბურსა-ინე-გოლში, ადაფაზარ-იზმიტში, გონენსა და კაიზერში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება) და ყიზლარ-მოზდოკურ-პლასტუნკური ქართული.

ქართველთა ენობრივი ერთეულების ისტორიული სქემა ასე გამოიყურება:





**თანამედროვე სამწიგნობრო
ენა**

მდრ., სხვაგვარი დაჯგუფებით, **ქართველური ენობრივი სამყარო** წარმოდგენილია სამ/ოთხ ენად; კერძოდ, ზოგი მკვლევარი თვლის, რომ სალიტერატურო ქართულის პარალელურად არსებობს უმწიგნობრო სვანური და მეგრულ-ლაზური ენები; კერძოდ, “სვანურ ენაში” აერთიანებენ სვანეთის ქართველთა 4/5 დიალექტს: ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლენტეხურს, ლაშხურსა და ჩოლოურს (ზოგჯერ). მერი აზრთა სხვადასხვაობაა ზანური კილოების კვალიფიკაციისას: მკვლევართა ნაწილი (არნ.ჩიქობავა, ვ.თოფურია...) მეგრულსა და ჭანურს “ზანური ენის” დიალექტებად მიიჩნევს, ნაწილი კიდეც (თ.გამყრელიძე, გ.კარტოზია...) ლაზურსაც და მეგრულსაც დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევს.

სამეცნიერო ლიტერატურაში წინააღმდეგობრივია საკუთრივ ქართული (სალიტერატურო) ენის დიალექტებად მიჩნეულ ერთეულთა კლასიფიკაცია; კერძოდ: გასული საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კილოთა დაჯგუფების რამდენიმე ვარიანტი არსებობს: 1920 წელს **ა.შანიძემ** გამოკვლევაში “სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში” ქართული კილოები ორ ჯგუფად დაყო: აღმოსავლურად და დასავლურად; აღმოსავლურ ჯგუფი გააერთიანა: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური და თუშური, ხოლო დასავლურში: იმერული, გურული და რაჭული (ა.შანიძე, 1920, გვ. 144). მოგვიანებით ა.შანიძე დიალექტთა სხვაგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს, კერძოდ, გამოყოფს ექვს დიალექტურ ჯგუფს: 1. ფხოური: ხევსურული, მოხეური, თუშური (მათ შემონახული აქვთ მრავალი არქაული მოვლენა); 2. მთიულურ-ფშაური (ორივეს ბევრი საერთო აქვს ფხოურ დიალექტებთან — მოხეურთან, ფშაურთან, ხევსურულთან); 3. ქართლურ-კახური (ორივე ახლოს არის სალიტერატურო ქართულთან); 4. დასავლური ჯგუფი: იმერული (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული), გურული და რაჭული; 5. სამხრეთ-დასავლური ჯგუფი: აჭარული და იმერხელი; 6. ინგილოური (ა.შანიძე, 1957, გვ. 828-832).

შ.ძიძიგური (1935) ასახელებს 5 დიალექტურ ჯგუფს: 1. ინგილოური, ფერეიდნული; 2. თუშური, ფშაური, ხევსურული, მთიულური, მთარაჭული; 3. კახური, ქართლური, მესხური; 4. ზემომიერული, ქვემორაჭული, ქვემომიერული; 5. გურული, აჭარული, იმერხეული.

არნ. ჩიქობავა (1965, გვ. 5-6) ქართულ ცოცხალ მეტყველებას მთისა და ბარის მეტყველებად ყოფს; მთის კილოებია: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრული), მოხეური, რაჭული. მთისა და ნაწილობრივ ბარის კილოებს უკავშირდება მოზდოკისა და ყიზლარის ქართველთა მეტყველება; ბარის კილოებია: ქართლური (მესხურ-ჯავახურით), კახური (ქიზიყურით, ინგილოურითა და ფერეიდნულით), იმერული (ლენხუმურითურთ), გურული, აჭარული, იმერხეული..

გ.ნებიერიძე (1965, გვ. 21) ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების ხასიათის მიხედვით 6 დიალექტურ ჯგუფს გამოყოფს: 1. გლოლური, მთარაჭული; 2. ქართლური, კახური, ქიზიყური, თიანური, ზ.აჭარული; 3. ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, ინგილოური, ფერეიდნული; 4. ზემო და შუამიერული, ლენხუმური, ქვემორაჭული და იმერხეული; 5. ქვემო იმერული და თუშური; 6. გურული და აჭარული.

ბ.ჯორბენაძის მიერ ქართული ენის კილოები დაყოფილია აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს კილოებად. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა) მთის დიალექტები: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ბ) ბარის დიალექტები: ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, გ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი — მესხურ-ჯავახური; დასავლეთ საქართველოს კილოები სამ ზონად იყოფა: ა) ზემო ზონის დიალექტი - რაჭული, ბ) შუა ზონის დიალექტები - იმერული და ლენხუმური, გ) ქვემო ზონის დიალექტები - გურული და აჭარული.

ლიტერატურა

- ამბროსი (ხელაია)**, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, გამოსაცემად მოამზადა ნ.პაპუაშვილმა, თბ., 2005.
- ვ. ბოდერი**, ენა და კილო ქართველოლოგიაში: ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2005.
- კ. გაბუნია**, ქართველური ენების კლასიფიკაციის საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამიჯვნისათვის: ენათმეცნიერების საკითხები, თბ. 2004.
- თ. გვანცელაძე**, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, თბ., 2003.

- თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია**, ღვთისმსახურებისა და განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. V, ქუთაისი, 2001.
- თ. გვანცელაძე**, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.
- И. Кипшидзе**, Грамматика мингрельского языка, С.-Петербург, 1914.
- ბ. მარი**, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905.
- გ. მელიქიშვილი**, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
- Г. Небиеридзе**, Фонологический анализ вокализма грузинского языка (Автореферат канд диссертации) Тб., 1965.
- ა. ონიანი**, ენა და დიალექტი (ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები?): ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბ., 2003.
- გ. რამიშვილი**, დედაენის თეორია, თბ., 2000.
- მ. ტაბიძე**, ენობრივ საკითხებზე გამართულ პოლემიკათა სოციო-ლინგვისტური ასპექტები (ქართულ სინამდვილეში): ქუთაისური საუბრები, საერთაშორისო სიმპოზიუმი, VI, ქუთაისი, 1999.
- მ. ტაბიძე**, ენობრივი ვარიანტების კვლევის საკითხისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003.
- მ. ტაბიძე**, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.
- ტ. ფუტყარაძე**, ქართველთა დიალექტების დაჯგუფებისათვის: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, მასალები, თბ., 2001.
- ტ. ფუტყარაძე**, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
- მ. ქურდიანი**, საერთო-ქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1996.
- ა. შანიძე**, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920.
- А. Шанидзе**, Принципы классификации грузинских диалектов, Труды объединенной научной сессии Академии наук СССР и академии наук Закавказских республик по общественным наукам (29 марта - 2 апреля 1954 г.), Стенографический отчет, Баку, 1957.
- Ш. Дзидзигури**, 1938 Опыт классификации диалектов грузинского языка, (Тезисы на степень кандидата наук). 1935.
- Арн. Чикобава**, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იკე, ტ. II, თბ., 1948.

არ.ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

პ. ჭარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა), წიგნში: პ.ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992.

ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

1.5. თანამედროვე ქართველური კილოების გავრცელების ველი

საქართველოს კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრთან სიშორე-სიახლოვის მიხედვით გამოიყოფა დიალექტთა 3 ჯგუფი: **ცენტრალური, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული კილოები** (იხ. ზემოთ, 1.5.). ამ პარაგრაფში ზოგადად წარმოვადგენთ თანამედროვე ქართველურ კილოთა გავრცელების ველს რაიონებისა და ხეობების მიხედვით (ვრცლად იხ., ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი, “ქართველური დიალექტოლოგია“, 2006).

ცენტრალური კილოები:

ქართლური დიალექტი. ქართლური ყველაზე მსხვილი დიალექტური ერთეულია. ქართლურ კილოზე მეტყველი ქართველობა საქართველოს დღევანდელი საზღვრების მიხედვით ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში - ქართლში ცხოვრობს; ქართლი ძირითადად მოიცავს მტკვრის შუა წელის ხეობას, კასპის, ქარელის, მცხეთის, გორის, ცხინვალის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ახალგორის, წალკის, ჯავის, თეთრიწყაროსა და ხაშურის რაიონებს.

ქართლური კილო ყველაზე ახლოს დგას სამწიგნობრო ქართულთან. სხვა ქართველურ კილოთაგან ყველაზე მეტ საერთოს იგი პოულობს კახურთან. ეს ბუნებრივია მათი ტერიტორიული სიახლოვისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობის გამო.

დიალექტური თავისებურებების გათვალისწინებით, ქართლურ კილოში ოთხი ძირითადი კილოკავი გამოიყოფა: ცენტრალური ანუ **შიდა ქართლური** (მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის რაიონების მეტყველება), ჩრდილო ანუ **ზემო ქართლური** (ახალგორის, აგრეთვე, დუშეთის რაიონში შემავალი სოფლების მეტყველება),

სამხრეთი ანუ **ქვემო ქართლური** (გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური თქმები) და **დასავლური ქართლური** (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მეტყველება).

კახური დიალექტი. კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზეა გაშლილი. მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით კახეთში შედის: ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს რაიონები და თბილისის გარეუბანი. კახელები საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ თიანეთის რაიონში.

კახეთი იყოფა: გარეკახეთად (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყად (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთად (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხრად (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). მიუხედავად ფართო გავრცელებულობისა, კახური მეტყველება ძირითადად ყველგან ერთნაირია; გამოიყოფა სამი კილოკავი: **გარეკახური, შიგნიკახური და ქიზიყური.** ქიზიყურის სახელწოდებით ცნობილია სიღნაღისა და ნაწილობრივ დედოფლისწყაროს რაიონების მოსახლეობის მეტყველება. დანარჩენი კილოკავებისაგან განსხვავებით, ქიზიყური მეტყველებისათვის დამახასიათებელია არქაული მოვლენები.

გურული დიალექტი. გურული მეტყველება გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სამ რაიონში: ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში. გურუას ჩრდილოეთით სამეგრელო ესაზღვრება, სამხრეთით - აჭარა, აღმოსავლეთით - იმერეთი, დასავლეთით - შავი ზღვა. გურულ დიალექტში შთამბეჭდავია მეგრულ-ჭანური დიალექტური ფენა.

გურული კილო იყოფა ორ კილოკავად: **ზემო და ქვემო გურულად.** ზემო გურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურისა და ოზურგეთის მთიანი რეგიონის მოსახლეობის მეტყველებას, ქვემო გურული - ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონების მეტყველებას. გურული კილოს კილოკავებად დაყოფას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ლექსიკური და, მეორე მხრივ კი, მორფოლოგიური სხვაობა. ზემო გურული დიალექტური თავისებურებებით უფრო უახლოვდება ქვემო იმერულს, ვიდრე ქვემო გურულს.

იმერული დიალექტი. იმერეთი ერთ-ერთი დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა დასავლეთ საქართველოში. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან: **იმერეთი**, ე.ი. ლიხის

მთის გადაღმა მხარე (შდრ.: ამერეთი). მოგვიანებით იმერეთი კუთხის სახელწოდებად, ხოლო “იმერელი” - ამ კუთხის ქართველთა სახელად (თემონიად) ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტის თხზულებაში “იმერეთი” ძველი მნიშვნელობით გამოიყენება - გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს: **“ბაგრატიონთა რაჟამს დაიპყრეს ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შვერთებისათჳს; აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთს... ცხენისწყალს-ზეითს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე...”** (ვახუშტი, 1941).

იმერეთი გეოგრაფიულად ორ დიდ რეგიონად იყოფა: ზემო და ქვემო იმერეთად. ზემო იმერეთი მოიცავს საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონებს, ხოლო ქვემო იმერეთში მოიაზრება თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიისა და ვანის რაიონები, ნაწილობრივ აბაშის რაიონი (საზღვრისპირა სოფლები).

ზემო იმერეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ლიხის ანუ სურამის ქედი, სამხრეთით - აჭარა-იმერეთის ქედი, ჩრდილოეთით - რაჭის ქედი, დასავლეთით - სამეგრელო. ქვემო იმერეთს სამხრეთით ესაზღვრება მესხეთი, ჩრდილოეთით ნაქერალას ქედი და ხვამლის მთა, აღმოსავლეთით - ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონები, სამხრეთით - გურია.

იმერული ერთ-ერთ მსხვილ დიალექტურ ერთეულს წარმოადგენს. იყოფა **ზემოიმერულ** და **ქვემოიმერულ კილოკავებად**.

იმერულის ენობრივი ერთეულების სტატუსის შესახებ სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა: მეცნიერთა ნაწილი (შ.ძიძიგური, ქ.ძოწენიძე...) იმერულ დიალექტს ორ კილოკავად ყოფს, ნაწილი (ა.შანიძე) - სამად (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული); კ.კუბლაშვილი ზემო- და ქვემოიმერულს დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულებად მიიჩნევს. ამასთანავე, გამოყოფენ **შუაიმერულ კილოსაც** (ვ.ფანჩვიძე). შუაიმერულად მიიჩნევა ზემო და ქვემო იმერეთს შორის არსებული გარდამავალი ზოლის მეტყველება (თერჯოლური, ბაღდათური, ტყიბულური), რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც ქვემოიმერულის, ისე ზემოიმერულის ენობრივი ნიშნები.

ლენხუმური დიალექტი. ლენხუმური დიალექტი ძირითადად ცავერის რაიონშია გავრცელებული, ნაწილობრივ მოიცავს ამბროლაურისა და წყალტუბოს რაიონების სოფლებს.

ლენჩუმი ცხენისწყლის, რიონისა და ლაჯანურის ხეობებშია მოქცეული. ლენჩუმს აღმოსავლეთით რაჭა (მდინარე ასკი) ესაზღვრება, დასავლეთით - სამეგრელო (ასნის მთა), ჩრდილოეთით - ქვემო სვანეთი (ყვედრეშის ლეღე), სამხრეთით - იმერეთი.

ლენჩუმი წყაროებში პირველად მოიხსენიება VI საუკუნეში (პროკოფი კესარიელი) **სკვიმნიის** სახელით. სავარაუდოა, რომ **სკვიმ-** ფუძე იგივეა, რაც **ლე-ჩხუმ-** (**ლე-** დანიშნულების მაწარმოებელი საერთოქართველური პრეფიქსია).

გეოგრაფიულად ლენჩუმს ორ ნაწილად ყოფენ: **ზემო ლენჩუმად** (ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობათა, აგრეთვე, რიონის ხეობის ერთი ნაწილის სოფლები) და **ქვემო ლენჩუმად** (რიონის ხეობის სოფლები ტვიშიდან ლეხიდრის ხეობის ჩათვლით სოფელ ღვე-დამდე).

განაპირა კილოები:

ფხოვრი კილოები:

ფხოველები წყაროებში პირველად IV საუკუნეში იხსენიება. წმინდა ნინომ, სხვა ქართველ მთიელებთან ერთად (ჭართალელები, წილკნელები, გუდამაყრელები), ფხოველებსაც უქადაგა ქრისტიანობა. მათ ქრისტიანობა არ მიუღიათ, რის გამოც "ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს" (ქართლის ცხოვრება, 1995, გვ.125-126). ტერმინი "ფხოვი" ძველ ისტორიულ წყაროებში გამოიყენებოდა ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის, კერძოდ, ფშავისა და ხევსურეთის აღსანიშნავად, შესაბამისად, "ფხოელნი" გულისხმობდა ხევსურებსა და ფშავლებს; ამის შესახებ ვახუშტიც აღნიშნავს: "...აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურეთს, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი" (ვახუშტი, 1941, გვ.93). ფშავ-ხევსურულთან მსგავსების გამო გამართლებული ჩანს, ამავე ჯგუფში გაერთიანდეს მთის სხვა კილოებიც: თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული.

ხევსურული დიალექტი. ხევსურეთი ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ **პირიქითა ხევსურეთი** და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე, ანუ **პირაქეთა ხევსურეთი**. პირიქითა ხევსურეთი მოიცავს არდოტისა და შატილის ხეობებს (ახლანდელი დუშეთის რაიონის შატილის სასოფლო საბჭოს ტერიტორია), პირაქეთა ხევსურეთი - ხევსურეთის არაგვის ხეობას (დუშეთის

რაიონის ბარისახოსა და გუდანის სასოფლო საბჭოების ტერიტორია). პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი ერთმანეთს არხოტისა და დათვისჯვრის უღელტეხილით უკავშირდება.

ხევსურეთი აღნიშნული კუთხის აღსანიშნავად XV საუკუნიდან ჩნდება. სახელი დარქმეულია მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო.

ხევსურეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით - თუშეთი, დასავლეთით - ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით - ფშავი. ხევსურეთი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს დუშეთის რაიონს. ხევსურები ცხოვრობენ, აგრეთვე, გუდამაყრისა (სოფლები: ბაკურხევი და საკერპო) და ხევის (სოფლები: ჭუთა და ართხმო) ტერიტორიაზე და თიანეთის რაიონში.

ხევსურულ დიალექტში გამოიყოფა ორი კილოკავი: **მატილურ-მიღმანეური** და **პირაქეთულ-არხოტული**.

ფშაური დიალექტი. ფშავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს. სახელწოდება “ფშავი“ XV საუკუნიდან გვხვდება. ძველი ისტორიული სახელი **ფხოვი** დღეს მხოლოდ ერთ სოფელ - **შუაფხოს** შერჩენია. ფშავის მთავარი მდინარე არაგვია, რომელიც სამი შენაკადისაგან შედგება: ბოთანას წყალი, ასისხევი და ბოგოჩარის ხევი.

ფშავის საზღვრებია: ჩრდილო-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი - პირიქითი ხევსურეთისაგან; დასავლეთით - პირაქეთი ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, სამხრეთით - დუშეთის რაიონი.

ფშავლები დღეს გაფანტულნი არიან მდინარე არაგვის, ივრის, ილტოსა და ალაზნის სათავეებში. დიდი რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე გომბორში, ერწო-თიანეთსა და შირაქში. **ერწო-თიანეთს** ხშირად ფშავის სახელითაც მოიხსენიებენ. **ფშავლები** საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში; თელავის რაიონის ორ სოფელში (ლუჩური და ლაფანყური); ყვარლის რაიონის სოფელ გძელჭალაში. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, **ფშავი** დუშეთის რაიონს მიეკუთვნება.

თუშური დიალექტი. თუშეთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთს ეკუთვნის; მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით. აღმოსავლეთით თუშეთს დაღესტანი ესაზ-

ღვრება, დასავლეთით - ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით - ჩაჩნეთ-ინგუშეთი, სამხრეთით - კახეთი. თუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით. პირიქითა ქედი თუშეთს ორად ყოფს: ჩრდილოეთ მხარეზეა **პირიქითა ხეობა** და სამხრეთით - **გომეწრის ხეობა**. თუშეთში ორი მდინარე მიედინება: გომეწრისა და პირიქითის ალაზანი.

წყაროებში თუშები II საუკუნიდან ჩანან. თუშეთის ქართველობა (**თუშთა თემი**) დღეს ოთხ თემად იყოფა: წოვები, გომეწარანი, ჩაღმები და პირიქითნი. თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრია სოფელი ომალო. თუშეთი ანმეტის რაიონში შედის.

გომეწრის, ჩაღმისა და პირიქითის თუშები თუშურ დიალექტზე მეტყველებენ, წოვათას თუშების საოჯახო სამეტყველო კოდი კი წოვათუშურია (სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ენობრივი ერთეული **ბაცბურის** სახელითაც მოიხსენიება), რომელიც ვაინახურ ენებსაც ენათესავება და ქართულსაც. სხვა ქართველებთან წოვათუშები კახური დიალექტის მსგავს გარდამავალ კილოზე მეტყველებენ.

მოხეური დიალექტი. ხევი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელზედაც გადის საქართველოს სამხედრო გზა. **ხევს**, თავისი მდებარეობის გამო, საქართველოს ისტორიაში ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო და სტრატეგიული როლი. ხევის საშუალებით საქართველო უკავშირდებოდა ჩრდილოეთით მცხოვრებ მეზობლებს. ამ გზის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტებია - ჯვრის უღელტეხილი და დარიალის კარიბჭე. ჯვრის უღელტეხილს მოხევეები ეძახიან ჯორთვაკეს (ჯვართვაკეს ანუ ჯორს (ჯორი//ჯვარი). ხევის ტერიტორია მოიცავს, აგრეთვე, სნოს ხეობას, რომელსაც ლიტერატურაში ლუღლუშაურის ხეობასაც უწოდებენ. თერგისა და სნოს ხეობებთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებში მოქცეულია თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეები და თრუსოს ხეობა - ისტორიული დვალეთის ერთი ნაწილი.

დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, **ხევი** ყაზბეგის რაიონში შედის. ჩრდილოეთიდან ხევს ჩრდილოეთ ოსეთი და ინგუშეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან - მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ერთეულები, აღმოსავლეთიდან - ხევსურეთი, დასავლეთიდან ხევს თერგისავე ხეობაში მდებარე მცირე ეთნოგრაფიული ერთეული, თრუსო ესაზღვრება, საიდანაც ისტორიულ დვალეთშია გადასასვლელი.

მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი. მთიულეთ-გუდამაყარის მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მთიულეთი მოიცავს მდინარე თეთრი არაგვის ხეობას. მისი უკიდურესი სამხრეთი საზღვარია მთიულთკარი, ჩრდილოეთით - თრუსოს ხევი და საკუთრივ ხევი, აღმოსავლეთით - გუდამაყარი, დასავლეთით - ლომისის ქედი.

საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, მთიულეთი მდებარეობს ნაწილობრივ დუშეთის, ნაწილობრივ ყაზბეგის რაიონების ტერიტორიაზე.

გუდამაყარი მდებარეობს შავი არაგვის ხეობაში. შავ არაგვს ქმნის ორი მდინარე: ბოსლისა და ბურ-საჭილის არაგვი. შავი არაგვი ფასანაურთან უერთდება თეთრ არაგვს. გუდამაყარს ჩრდილოეთით ხევი ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთით - ხევსურეთი, აღმოსავლეთით - ფშავი, დასავლეთით - მთიულეთი.

დღევანდელი მთიულეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი ორი დამოუკიდებელი მხარის - ხადისა და ცხავატის გაერთიანების შედეგადაა მიღებული. მთიულეთი ცნობილი იყო კოშკების სიმრავლით. მარტო ხადაში 60 კოშკი ყოფილა. "...გარდა სვანეთისა, ჩვენ არ ვიცით არც ერთი კუთხე, სადაც მცირე ტერიტორიაზე ასე ბევრი კოშკი იდგეს" (პ.ზაქარაია, 1962, გვ. 50).

მესხური კილოები:

"მესხეთი" ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლის) ძველი სახელწოდებაა. ტერმინით: **"მესხური კილოები"** მოვიაზრებთ ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა (თემთა) მეტყველებას (სამეცნიერო ლიტერატურაში "მესხური" ძირითადად გამოყენებულია ან საკუთრივ სამცხურის, ან სამცხურ-ჯავახურის აღსანიშნავად); შედარებით ვრცლად წარმოვადგენთ ტაოკლარჯულ კილოებს, რამდენადაც, ჯერ-ჯერობით, მათ შესახებ ინფორმაცია მწირია სამეცნიერო ლიტერატურაში.

მესხეთის ტერიტორია მოიცავდა მდ. მტკვრის აუზის ზემო ნაწილს (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და მდ. ჭოროხის აუზს მთლიანად (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ მესხები. აქედან მოდის მხარის სახელწოდებაც - მესხეთი. XVI საუკუნეში მესხეთი ოსმალებმა მიიტაცეს და იქ ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული - ახალციხის საფაშო შექმნეს. ისტორიული მესხეთის

ნაწილი (სამცხე და ჯავახეთი) საქართველოს დაუბრუნდა რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შედეგად, ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების (1829) თანახმად, ხოლო აჭარა - რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის (1878 წ.) გადაწყვეტილებით. ამჟამად თურქეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილია: ისტორიული ტაო, კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, მაჭახელა, ლაზეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი...

მესხური კილოებიდან დღეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში მხოლოდ აჭარული, სამცხური და ჯავახურია, დანარჩენი კი თურქეთის საზღვრებშია.

აჭარული დიალექტი. აჭარული დიალექტი ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულია. აჭარული მეტყველება გავრცელებულია შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ხულოს, ქობულეთის რაიონებში, ნაწილობრივ, გურიის მხარეში.

აჭარას ჩრდილოეთით ესაზღვრება გურია, აღმოსავლეთით - სამცხე, სამხრეთით - თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

აჭარული იყოფა **ზემო** და **ქვემო აჭარულად**: ზემოაჭარული მოიცავს ხულოს, შუახევის, ქედის და, ნაწილობრივ, ხელვაჩაურის რაიონებს; ქვემოაჭარული - ხელვაჩაურსა და ქობულეთს.

სამცხური დიალექტი. ისტორიული სამცხე (ახლანდელი მესხეთი) მდებარეობს მტკვრის ხეობაში; მოიცავს ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებს.

სამცხეს დასავლეთით ესაზღვრება აჭარა, აღმოსავლეთით - ჯავახეთი, სამხრეთით - საქართველოს ისტორიული კუთხეები: ერუშეთი და შავშეთი, ჩრდილოეთით - გურია და იმერეთი. სამცხის ნაწილი - ფოცხოვის ხეობა - დღეს თურქეთშია.

სპეციალისტთა უმრავლესობა (ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ა.მანიძე, არნ.ჩიქობავა, ზ.ჭუმბურიძე...) თვლის, რომ სახელწოდება “სამცხე” მომდინარეობს სატომო სახელისაგან: “მესხი” **სა-ე** მაწარმოებლის დართვით, კერძოდ: მესხი > სა-მესხ-ე > სა-მსხ-ე (ე ხმოვნის ამოვარდნით) > სამცხე (>ც პროცესის შედეგად).

სამცხური მეტყველება მეტად ახლოს დგას ჯავახურთან.

ჯავახური დიალექტი. ჯავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ საზღვარზე. თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილე-

ბით ჯავახეთი მოიცავს მთლიანად ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, ნაწილობრივ - ასპინძის რაიონს.

ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებია: აღმოსავლეთით - ქართლი (წალკისა და დმანისის რაიონები), დასავლეთით - სამცხე (ასპინძის რაიონი), ჩრდილოეთით - ბორჯომის რაიონი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - სომხეთი, სამხრეთ-დასავლეთით - თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

იმერხელი (შავშური) დიალექტი. ისტორიული შავშეთის ხეობებს შორის ქართული ენა და ქართული ტოპონიმები ყველაზე უკეთ დაცულია ბერთისწყლის/შავშეთისწყლის შენაკადის - იმერხევისწყლის (ფაფართისწყლის) ხეობის სოფლებში: ივეთში, იფხრეველში, იმნიეთში, ქოქლიეთში, წყალსიმერში, ბზათაში, შოლტისხევში, წეთილეთში, აგარაში, ხოხლევეში, მანატბაში, ზაქიეთში, თეთრაკეტში, ბაძვირეთში, ხევწვრილში, ზიოსში, უბეში, დაბაში, დასამოზში, ჩაქველთაში, ჩიხორში, თეთრაკეთში, უსტამისში, სურევანში, დევიეთში, თეთრაკეთში, დიდმერეში, ლიონეთში, დავლათში, ჩიხორში, შერთულში, ფარნუხში, მახხატეთში, ჯვარისხევში, ანდრიაწმინდაში და სხვ. ადრე, ტერმინი “იმერხევი“ გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელი იყო (გადაღმა ხევი), შემდეგ კი თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართული კუთხის - შავშეთის - ერთი ნაწილის სახელად იქცა.

ვახუშტი შავშეთის შესახებ წერს: *“ხოლო შავშეთის-წყალი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთილად დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს — სამკრეთს შუაღამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს ზეით, მოერთვის მდინარედ ჭილოვნის-ჰევი, გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩდილოდამ სამკრით ვრეხით... და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის-ჰეობას და ზარზმა-ყელს; სამკრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთილად დასავლეთად, ვიდრე კნინლა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი და თჯნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩდილოთ მთა, არსიანილად ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი... (ვახუშტი, 1914, გვ.135-136).*

იმერხევი დღემდეა შემორჩენილი ქართული ციხეები და ეკლესიების ნანგრევები; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მხოლოდ იმერხევი, დიობანსა და უბეს შორის, სათავესთან (მთის სახელია)

ახლოს დასტურდება ტოპონიმი **ხანძთა** (სადაც ეკლესიის ნანგრევებიცაა); ხალხური გადმოცემით, აქ, ხანძთაში, ძველად არსებობდა “უნივერსიტეტი“ (დღემდე ხანძთად ითვლება ისტორიული პორტას სამონასტრო კომპლექსი). იქაურ სოფლებსა და სხვა გეოგრაფიულ ადგილებს (მთებს, ხეობებს, ველებს...) ოფიციალურად შეუცვალეს ქართული სახელი და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქურთული სახელები. ამაზე ვახუშტიც აღნიშნავს: “...დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოღჯის ჯეობა ახუ საქართველოს-ყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ (დღევანდელი **ერზურუმი** - ე.დ.), მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე“ (ვახუშტი, 1941, გვ. 141).

შავშეთ-იმერხევი, სხვა ისტორიულ ქართულ მხარეებთან ერთად, XVI საუკუნიდან თურქეთის ქვეშევრდომობაშია. ოთხ საუკუნეზე მეტია, იგი უცხო ენობრივ გარემოში იმყოფება. იმერხევიში მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილი დღემდე ქართულად მეტყველებს. შავშეთში ძირითადად თურქულია გაბატონებული, შავშეთის სოფლების მიკროტოპონიმიანიც მომრავლებულია თურქულენოვანი სახელები. სოფლის როგორც ძველი, ისე ახლანდელი (როგორც ქართული, ისე თურქული) სახელები სინონიმური ტოპონიმებია. იხმარება ორივე სახელი. თუმცა არის საშიშროება იმისა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართული სახელი გაქრეს. შავშეთ-იმერხევის სოფლებში ბევრი ქართული წარმომავლობის გვარსახელი დღემდე შემორჩა, თუმცა ოფიციალურად მოსახლეობას მიღებული აქვს თურქული გვარები. იციან წინაპრების გვარებიც. ეს გვარები ბოლოვდება **-ძე, -შვილი, -ინთი, -ეთ, -ებ, -ოსან** სუფიქსებით (ნ.ცეცხლაძე, 2002, გვ. 239-243).

იმერხეული მეტყველების ნიმუშები პირველად გამოაქვეყნა ნ.მარმა (1911 წ.); 1993 წელს უფრო სრულყოფილი მასალა გამოსცა შ.ფუტკარაძემ. იმერხეველ ქართველთა უდიდესი ნაწილი დღემდე დედაენაზე თავისუფლად მეტყველებს (თუმცა ბავშვებს უკვე უჭირთ ქართულად მეტყველება). იმერხეული დიალექტი აჭარულსა და მაჭახლურს ჩამოჰგავს, მაგრამ სერიოზული სხვაობა შეინიშნება ფონეტიკაშიც (ჰ ბგერა, პალატალიზებული ხმოვნები, დეზაფრიკატიზებული ძ...), მორფოლოგიაშიც (II სუბიექტური პირის ნიშნად ჰ-ს აქტიური გამოვლენა, მა-, წამა- ზმნისწინების, მატოპონიმებელი -თი სუფიქსის აქტიური გამოყენება) და ლექსიკაშიც (ღენჭი/ღარჭი - მოზრდილი ბიჭი, ბახალა - გოგო, ამეზლამ - ამალამ, ძტაქანი/იტაქანი - სტაქანი, ლახანა - კომბოსტო, კოდავი -

კოდალა, კუმატაჟ/ყართოფი - კარტოფილი, ჯაჭკვი - ჯაჭკვი...); შდრ., იმერხეველის დაკვირვება: “აჭარული და აქეური გურჯიჯა ერთმანეთ არ ეწყობა” (შ.ფუტკარაძე). იმერხეულ კილოში გამოიყოფა ზემო-იმერხეული და ქვემოიმერხეული კილოკავები.

ტაოური დიალექტი. ტაო ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებში შედის. ტაო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით იყოფოდა ორ ნაწილად და “ორსავე კერძოსა ტაოსა თავისი სახელი ჰქონდა: ამიერთაო - ქვემო ტაო და იმიერთაო - ზემო ტაო. ამიერი და იმიერი ტაო ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა ოლთისისწყლის (დღევანდელი ოლთუ-ჩაი) ქვემო წელით და მისი შენაკადი ბარდუსის წყლით [დღევანდელი ბარდუს-ჩაი] (ი.ჯავახიშვილი).

ტაოს საზღვრების შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: “არამედ ართვინს ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოსკარი, ანუ ტაო. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამჯრით თორთომიდან ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა. და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მოსავლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, ვორიანი, ლელოვან-ჯრამოვანი, ღრატოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჭევთა დაბნეში. კაცნიცა ეგრეთნივე. ვარნა იღი და ნარუმაკი არიან, ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი ყოვლითურთ ... (ვახუშტი, 1941, გვ.138).

ტაო “ჭევების” სიმრავლით გამოირჩეოდა. ტაოს ქვეყანა (მხარე) რვა “ჭევს” მოიცავდა; კერძოდ, მათი სახელებია: კოლა, ბერდაცვორი, პარტიზაცვორი, ჭყატქი, ბუხა, ოქალე, აზორდაცვორი და არსიაცვორი პარკალის მთებთან (დ.მუსხელიშვილი, 1980, გვ.160). ლოგიკურია მოსაზრება, რომ უძველესი ქართველური სახელმწიფოს - **დიაოხის/ტაოხის** - სახელი **ტაოს** ფორმითაა შემორჩენილი. შემდეგ **ტაო** კოლხეთის სამეფოში შედიოდა. ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან იგი ძველი კოლხეთის მემკვიდრე ქუჯ-ფარნავაზის **ქართლის** ორგანული ნაწილია. ძვ. წ. II საუკუნეში **ტაო** სომხეთმა დაიპყრო; ახ. წ. I-II საუკუნეებიდან კი კვლავ ქართლის სამეფოშია; VIII-IX საუკუნეებში აქ ფართო სამონასტრო მშენებლობა მიმდინარეობდა: აშენდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი...

ტაოური კარგადაა შემონახული **ჭევაის ხევში**, პარხალთან ახლოს მდებარე სამ სოფელში: ხევაიში (ხევეგში), ბალხსა და ქობაიში

(ქვაბაგში); შ.ფუტკარაძის ცნობით, პარხალისწყლის ქართულად მოლაპარაკე სოფლებია, აგრეთვე: არჯევანი, არმენხევი, ახალთი, ბალხიბარი, ბერტახევი, ბოწმინდა, გოდუეკარი, გუდასხევი, დევთისა, დიდიღელე, დიდიხევი, დოლეკარი, ელიასხევი, ვანისხევი, ვაჩეკარი, ვეჯანკეთი, იეთი, იმტკორი, კილიონი, კლდეკარი, კონწოლი, კრეველათი, კუეპრეთი/კუპრეთი, მახატეთი, ნავანევი, ნიკლოვი, ობლეკარი, ოლდემი, სარიგოლი, საფარანტე, სოროხევი, უტავი, ფარისხევი, ფიქალთი, ფიხხეთი, ქისორეთი, ქონობანი, ქორიეთი, ცირეკარი, წვევიბარი, ჭედლიან კარი, ჭილათი, ხეემუდი, ხუცეკარი... ოლთისისწყლის ხეობის ქართული სოფლებია; ავწალა, ანზავი, ბანა, იშხანი, კარნავაზი, კიახი, კოსორი, ოლორი, ორთისი, სოლომონისი, ფანასკერტი... თორთომისწყლის ხეობაშია: ოშკი, ხახული; ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიაზეა: ბინათი, გუმფალი, კოწახური, დორთქილისა, უშხუმი, ქორთა, ხოთი, ხომხალი.

ტაოური ქართული საგრძნობლად განსხვავდება სხვა მესხური კილოებისგან; ტაოური კილოს გაგება რთულია საგანგებო შესწავლის გარეშე. ფონეტიკურ მოვლენათაგან აღსანიშნავია: ხმოვან პრეფიქსთა ჰარმონიზაცია და ო-ს პალატალიზება (შემოვიარეთ . შიმივიარეთ, წამოვა > წომოვა, შემოვიდა > შომოვიდა > შომმოვიდა), ჯ ბგერის არსებობა და სხვ. მორფოლოგიური მოვლენებიდან აღსანიშნავია: შა- ზმნისწინი (მაწონ შააყენებ), ზოგ სახელურ სემანტიკურ ჯგუფთან ებ- მრავლობითობის ნაცვლად ნარ- სუფიქსის გამოყენება (გზევნარი “გზები“, ჯევნარი “ხეები“, ხევნარი “ხეები“, კაპნარი “კაპნები“, კარნალი “კარები“, თევნარი “მთები“), გაუხარდათ ფორმის ნაცვლად დასტურდება: გუუხარნეს, III სუბიექტური პირის ნიშნად ზოგჯერ ა-ს გამოყენება ს-ს ნაცვლად: გვაქვა “გვაქვს“, მაქვა “მაქვს“; ძველი ქართულის მსგავსად ა-ს გამოყენება -ში-ს ნაცვლად “მოსკოვა ჩაველ“, დასტურდება კითხვითი ნაწილაკი ა (“რამდენი ღარჭი გყავსა?“)... ლექსიკაშიც არსებითია სხვაობა: ხვარათი “საუბარი“, იარენობა “ძველი ამბების გახსენება“ (აქ სიტყვა “ლაპარაკი“ საერთოდ არ იცინან), ღენჭი “ბიჭი, გოგო 10 წლამდე“, ბგანო “გოგო 10 წლის შემდეგ“, დედეკაცი “გათხოვილი“, ქართოლი “კარტოფილი“, აგარა “იაილები“, ჭანი “ლაზი“, ფხიკია “ფრთხალი“, დაზგნა “ანთება“, ტიკი “გუდა-სტირი“, გუმუღლებთ “დავიბრუნებთ“, ჩაზავდება “ჩაცვივდება“, ვედ- ფუძის ნაცვლად ზოგჯერ ვლინდება ვენ- (წევნეთ “წევდეთ“), ტრინკი “ფეხი“, ძგა “გზა“, თავშხამ “თავაღმა“, პოპოჭიკი “ჩლიქი“, ისკამი “სკამი“, კედი “ძაფი“,

კოწიწი (მწვანე დიდი ხვლიკი), ხულუი (პატარა ხვლიკი), სლიკვი (უფრო პატარა ხვლიკი), ყური მიყარე “ყური დაუგდე“, მუცელი მენტება “მუცელი მტკივა“ და სხვ.

მაჭახლური დიალექტი. მაჭახელი/მიჭიხიანი ისტორიული ქართული თემია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდინარე მაჭახელას და მისი შენაკადების: მინდიეთის წყლისა და ეფრატის ღელის ხეობებში (მდინარე მაჭახელა სოფელ მაჭახლისპირთან უერთდება ჭოროხს). თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მაჭახელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, პირველ რიგში, ჭოროხის ხეობის მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაჭახელას ხეობის წარსულის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული უძველეს ქართულ ხელნაწერ დოკუმენტში, რომელიც ცნობილია “მაჭახლის ხეობის სულთა მათიანის“ სახელწოდებით. მასში აღნიშნულია მამინდელი გვარსახელები, ადგილის სახელები, ტოპონიმები. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალებმა დაიპყრეს მთელი სამცხე-საათაბაგო. ამავე პერიოდიდან ლაზეთთან ერთად აჭარა-მაჭახელი ჩამოაცილეს საქართველოს; მიტაცებული ტერიტორიები სანჯაყებად (ოლქებად) დაყვეს. თავდაპირველად ცალკე სანჯაყს წარმოადგენდა მაჭახელი, რომელიც ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთში შედიოდა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მაჭახლის მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა: **მუჰაჯირობა** განაპირობა მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილმა მძიმე პირობებმა (საზღვრისპირა რეგიონებში რუსეთი სომხებს უფრო ენდობოდა; ამავე დროს, სულთნის თურქეთს იაფი მუშახელი ესაჭიროებოდა). დღეს ზემო მაჭახელი თურქეთის საზღვრებშია, ქვემო მაჭახელი კი საქართველოს შემადგენლობაშია, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონში შედის: ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარისალმართი, ქედქედი, სინდიეთი, ჭანიგრი, გორგაძეთი, საფუტკარეთი და სხვ. თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია: ხერთვისი (აქ ერთმანეთს ერთვის მინდიეთისა და ეფრატის ღელეები), მინდიეთი, აკრია, ქვაბისთავი, ზედვაკე, ეფრატი.

თურქულის ინტენსიური გავლენის მიუხედავად, ზემო მაჭახელშიც დღესაც მშვენიერი ქართულით (მაჭახლური დიალექტით) ლაპარაკობენ; მაჭახლურ კილოს ორი კილოკავი აქვს: ზემომაჭახლური და ქვემომაჭახლური; დიალექტური მახასიათებლები უფრო მკაფიოდ ჩანს ზემომაჭახლურში. მაჭახლურის თავისებურებათაგან

აღსანიშნავია: რ სონორის დაკარგვა, შა- ზმნისწინის აქტიური გამო-
ჩენა (“უღელი შაადგის ქედზე”; შ.ფუტკარაძე), წა > წო პროცესი
(წოველით, წოვდა...), არქაული ხოლმეობითის მსგავსი ფორმების
(ითიბვის, იყიდვის, დეირგვის, ვკლიდით, ვასხმიდით...) პოვნიერება;
ამ კილოში -არ სუფიქსი წარმომავლობას აწარმოებს ძველი ქართუ-
ლისა და ზანურის მსგავსად (ჩხუტუნ-არ-ი: ჩხუტუნეთელი); არაიშ-
ვიათად, თავისებურია ლექსიკაც: მიწახაპაჲ “კარტოფილი“, წან-
წალაკი “საცალფენო ხიდი“, დედლუცა “პატარა დედალი“, დაწონ-
დება “მოეწონება“ და სხვ.

ლივანური დიალექტი. ისტორიული ლივანა მდებარეობდა ფეო-
დალური ხანის სამხრეთ საქართველოში, მდ.ჭოროხის ქვემო დინე-
ბაში. ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება:

ლივანი, ნივალი. პირველად იხსენიება XI საუკუნეში (ნივალი).
ვახუშტის მიხედვით, მოიცავდა მდ. ჭოროხის ხეობის ქვედა წელის
ორივე მხარეს ართვინის სანახებითურთ: “და ამ **ართვანის** (< არ-
ღვანი - ტ.ფ.) სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის
ვეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლივანის ვეობად. და არს ეს
ლივანის ვეობა თვნიერ სივარჯისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით,
თურინჯით, ლიმოთი, ზეთისხილით...” (ვახუშტი, 1941, გვ.136).
შემდგომში **ლივანად** მოიაზრებოდა მდინარეების აჭარისწყლისა და
ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია.

1549 წელს **ლივანა** ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმალეთის
1877-78 წლების ომის შემდეგ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შე-
მაღდგენლობაში შევიდა. ამჟამად ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილს
ფლობს საქართველო, დიდი ნაწილი კი, თურქეთის საზღვრებში
რჩება. ქართული ენის ლივანური კილოზე მოლაპარაკე ქართველო-
ბის სოფლებია: ხელვაჩაურის რაიონში: მირვეთი, კირნათი, მა-
რადიდი; მურღულის რაიონში: აგარა, ადუჩა, არხვა, ბაგა, ბაშქოი,
ბუჯური, გველი, გოგლიეთი, გურბუნი, დიალეთი, დურჩა, ერეგუნა,
ისკები, კაბარჯეთი, კასიმეთი, კორიდსეთი, ლომეკეთი, ოზმალი,
ტრაპენი, ფოროსეთი, ქამილეთი, ქვამჩირეთი, ქობეკეთი, ქორ-
თუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჩხალეთი, ძანცული, წყალყა, ჭილაგრი,
ხანური, ხორსოლი, ჯუანი... ბორჩხის რაიონში: აგარა, ავანა,
არჰავეთი, ახალდაბა, ბაგენი, ბანაკნა, ბელღევანი, ბეშავლი, დამ-
ფალი, დევსქელი, ებრიკა, ვაზრია, ვალაშენი, ვინტავლი, ზედუბანი,
ზელიეთი, თხილაზორი, კატაფხია, კვარჩხანი, კინცხურეთი, კირსა,

ზედა მარადიდი, მურკივეთი, ნიგია, ომანა, ორჯი, ოფუჯა, ოხორჯი, პეტრული, საბავრი, უზრუმა, უკარნერე, ქართლა, კლასკური, ღვია, შუახევი, ჩარბიეთი, ჭინკური, ხება, ხინწკანა... ართვინის რაიონში: არდოლა, ბერთა, გვერდაბალები, დოლისყანა, ერთა ხიდი, თოლგომი, ისკება, კაპარი, კორძული, ლომაშენი, მამაწმინდა, მოხობანი, ნეძვი, ოპიზა, სინკოთი, უსტამისი, ფერასხევი, შურმახი, ჩიდილა, ჩხაკათი, წეფთა, წყალოქრო, ხაიფეთი, ჯმერკი... (შ.ფუტკარაძე). ზოგადი დაკვირვებით, ლივანურში გამოიყოფა; მარადიდული, მურღულუთი და ბორჩხული კილოკავები. ლივანურში 3 ნაკლებად ჩანს, სხვა მესხური კილოებისგან განსხვავებით შეზღუდულია აგრეთვე ეე > იე პროცესი; ლანურის მსგავსად, ლივანურშიც გააქტიურებულია ერგატივის როლი (“მან ჩანს“, “გოგომ აკეთეფს საჭმელ“), რიგ შემთხვევაში თავისებურია ზმნური პარადიგმა, აქტიურია II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნები, ზანურისა და ძვ. ქართულის ნორმის მსგავსად, გვ- პირის ნიშნის ნაცვლად გამოიყენება მ- (ჩვენ მაქვან; არნ.ჩიქობავა), -ნენ/-ენ მრავლობითის სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება -ეს (ბიჭები ციხიდან გამოვიდეს; შ.ფუტკარაძე), შემონახულია არქაული ქართულისთვის დამახასიათებელი კითხვითი ნაწილაკი ა და სხვ.

რაჭული კილოები:

რაჭა დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და შემოზღუდულია მთებით. ასეთი მდებარეობის გამო, მას ყოფენ ზემო და ქვემო რაჭად. **ზემო რაჭა** ძირითადად მოიცავს ონისა და, ნაწილობრივ, ამბროლაურის რაიონებს, **ქვემო რაჭა** კი - ამბროლაურის რაიონს (ლიხეთის ხეობის გამოკლებით); გამოყოფენ აგრეთვე **მთის რაჭას**, რომელიც ზემო რაჭის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და, ისტორიული წყაროების მიხედვით, **მთიულეთი** ეწოდებოდა (ამ კუთხის რაჭველები დღესაც თავიანთ თავს “მთიულებს“ ეძახიან). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სახელი არ იხმარება იმის გამო, რომ არ მოხდეს აღრევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთთან (დუშეთის რაიონი). სახელები: **მთის რაჭა, მთარაჭა** რამდენადმე პირობითია. ტერმინი “მთის რაჭა“ ხალხურია და სამეცნიერო ლიტერატურაში ს.მაკალათიას ამავე სახელწოდების ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დამკვიდრდა.

ჩრდილოეთით რაჭას ესაზღვრება ოსეთი (მამისონის უღელტეხილით უკავშირდება), აღმოსავლეთით - ცხინვალის მხარე (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ანუ შიდა ქართლი),

ჩრდილო-აღმოსავლეთით - ქვემო სვანეთი, დასავლეთით - ლეჩხუმი, სამხრეთით - იმერეთი.

მთის რაჭა მდებარეობს მდ.რიონის სათავესა და გლოლის ანუ ჭანჭახის წყალს შორის. აერთიანებს ლეხისა და გლოლის თემს და შედგება სამი სოფლისაგან: ლეხი, ჭიორა და გლოლა. მთის რაჭის სოფლები ვახუშტის თავის გეოგრაფიაში მოხსენიებული აქვს როგორც “კომკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი სოფლები”.

ხშირად რაჭა ლეჩხუმთან ერთად (რაჭა-ლეჩხუმი) მოიაზრება, რასაც ისტორიული საფუძველი აქვს, კერძოდ, ეს ორი კუთხე ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს, **თაკვერს** წარმოადგენდა. მოგვიანებით თაკვერს რაჭა გამოეყო და “თაკვერის” სახელწოდებით მხოლოდ ლეჩხუმი აღინიშნებოდა (რ.თოფჩიშვილი, 2002, გვ.71).

რაჭულში რამდენიმე კილოკავს გამოყოფენ; შიძიგური სამ კილოკავს ასახელებს: **ქვემორაჭული, ზემორაჭული და მთარაჭული**; ვ.თოფურია რაჭულში ოთხ ერთეულს გამოყოფს: **რივნისთაური — ლეხი-ჭიორას მეტყველება, გლოლური, ზემორაჭული და ქვემორაჭული**. ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლებელია რაჭული მეტყველება უფრო ორ დიალექტად დავეყოთ: **მთარაჭულად და ბარისრაჭულად**.

ჰერული კილოები:

ისტორიული **ჰერეთი** (დღევანდელი საინგილო) ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაშია მოქცეული და მოიცავს კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებს.

დღევანდელ **საინგილოს** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით კახეთი ესაზღვრება, სამხრეთით - მდ. აგრი-ჩაი, აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთაგრეხილი.

IV-V საუკუნეებში **ჰერეთი** საქართველოს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა, ხოლო XI საუკუნიდან კახეთის სამეფოშია. XV საუკუნიდან სახელწოდება “ჰერეთი” საისტორიო წყაროებში თანდათან გაქრა, იგი კახეთის ორგანულ ნაწილად იქცა. XVII-XVIII საუკუნეებში ჰერეთი არაერთგზის აოხრდა ლეკთა თარეშისა და შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად. შემდეგ კი რუსეთ-თურქეთის დავის საგანს წარმოადგენდა. 1921 წლიდან ს.ორჯონიკიძის “დამსახურებით” საინგილო აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა.

საინგილოში ქართველებთან ერთად ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხი: წახურელები, ხუნძები, აზერბაიჯანელები,

რუსები, სომხები. ბუნებრივია, აღნიშნულ ენებთან ურთიერთობამ ქართულ მეტყველებას თავისებური დალი დაასვა. გავლენა იგრძნობა ყველა დონეზე: ფონემატურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ სისტემებში.

ინგილოთა მეტყველება განიყოფა ორ კილოდ: **ალიაბათურად** და **კაკურად** (ამ კილოებზე მოლაპარაკეთ ხშირად ურთიერთგაგებინებაც კი უჭირთ); ჰერულ დიალექტებზე მეტყველებენ 12 სოფელში; აქედან, კაკურად - კანის რაიონის 7 სოფელში (კახინგილო ანუ კაკი, ალათემური, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო, თასმალო, ზაგამი), ალიაბათურად - ზაქათალის რაიონის 3 სოფელში (ალიაბათი, მოსული, ენგიანი) და ბელაქნის რაიონის ერთ სოფელში (ითითალა); თერთმეტივე სოფელი აზერბაიჯანშია. ინგილოთა ერთი სოფელი - სამთაწყარო - დედოფლისწყაროს რაიონშია.

ტერიტორიულად ქართული სოფლები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია, რაც უთუოდ განაპირობებს მათ შორის ქართული მეტყველების საგრძნობ განსხვავებას (გრ. იმნაიშვილი). “ერთიანი (საყრდენი) ეროვნული ენისგან თითქმის სრულმა მოწყვეტამ, სარწმუნოებრივმა სხვაობამ, სხვაენოვანი მოსახლეობის მოძალეობამ შედეგად ის იქონია, რომ არც ერთ სხვა ქართულ კილოს არ ახასიათებს კილოკავებად, თქმებად, ქცევებად ისეთი მრავალფეროვანი და მკვეთრი დანაწილება, როგორც ინგილოურს“ (ბ.ჯორბენაძე).

ზანური კილოები:

ზანურ დიალექტთა ჯგუფში გაერთიანებულია ორი კილო: **მეგრული** და **ჭანური**. სპეციალურ ლიტერატურაში მეგრული და ჭანური კვალიფიციერებულია ენებადაც (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, გ. კარტოზია, ა. ონიანი...), ზანური ენის კილოებადაც (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...) და ქართველურ სამწიგნობრო ენასთან მიმართებით - ქართველურ კილოებადაც (გიულდენშტედტი, ნ.მარი, ს.ხუნდაძე, ტ.ფუტყარაძე, თ.გვანცველაძე...). მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად ზანურის პარალელურად გამოიყენება “**კოლხური**“ (გ. როზენი, კ. დანელია...); სავარაუდოა, რომ ძველი კოლხეთი მოიცავდა საერთო-ქართველური ენის მთელ ველს - ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიას, შესაბამისად, მეგრულ-ჭანური კილოების აღსანიშნავად უფრო გამოსადეგია ტერმინი: **ზანური**.

მეგრული დიალექტი. მეგრულს უჭირავს ვრცელი ტერიტორია: ოდიშის ზეგანი და თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობი - შავი

ზღვიდან სვანეთის მთებამდის და ცხენისწყალ-რიონიდან მდ. ღალიძგამდის (არნ. ჩიქობავა, 1937, გვ. 4-5).

მეგრული დიალექტი გავრცელებულია: ფოთის, აბაშის, სენაკის, ხობის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, წალენჯიხის რაიონებში.

მეგრული მეტყველება უფრო დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს. ამას ცხადყოფს ტოპონიმები; ივ.ჯავახიშვილი წერს: "...იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები და იმერლები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ., მთა ჯიხანჯირი (ჯიხა - ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი - მუხა), მდ. ოჩხამური (ო-ჩხამური, ჩხომი - თევზი), ოჭილაური (ო+ჭილაური - სა-ჭილაო), ჭყვიში, ჭყვიაშაური, ჭანეთი, მდ. გობაზოული, მდ. კინტრიში, ონჭიკუთი, ონჯოხეთი, სოფ. ოცანა გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო" (ივ. ჯავახიშვილი, 1913, გვ.56). მეგრული წარმომავლობისაა ტოპონიმები: ოკრიბა, ცხენიში, წყალტუბო, ჭყვიში, ჯიხაში... ჩანს, სამწიგნობრო ენის გავლენით, რეგიონში მეგრული მეტყველება შეიზღუდა.

ისტორიულად სამეგრელოში შედიოდა **სამურზაყანო** (დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, **გალის რაიონი** და **ოჩამჩირის რაიონის** დიდი ნაწილი), რომელიც **ენგურსა** და **ღალიძგას** შორის მდებარეობს. სახელწოდება უკავშირდება მურზაყან შერვაშიძის სახელს, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში (1705 წ.) მემკვიდრეობით მიიღო აღნიშნული ტერიტორია. სამურზაყანო რომ სამეგრელოს ორგანული ნაწილი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელიც დამოწმებულია შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც, შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული)" (პ. ცხადაია, 2002, გვ.29).

აღმოსავლეთით სამეგრელოს ესაზღვრება იმერეთი, სამხრეთით - გურია, ჩრდილო-დასავლეთით - აფხაზეთი, დასავლეთით - შავი ზღვა.

მეგრულის კილოკავური დიფერენციაცია ი.ყიფშიძის სახელს უკავშირდება და დღემდე უცვლელი რჩება. გამოიყოფა ორი კილოკავი: სენაკური (დასავლურ-მეგრული მეტყველება) და ზუგდიდურ-სამურზაყანოული (აღმოსავლური მეტყველება) (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. XVIII).

ჭანური (ლაზური) დიალექტი. ლაზეთ-ჭანეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია. ადრეულ ხანაში (III-VI სს.) მოიცავდა შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს - აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდილოეთ კალთებს, მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზს (ახლანდელი თურქეთი, ბაიბურთისა და ისპირის მაზრების ტერიტორია). VI საუკუნის I ნახევარში ჭანეთი ბიზანტიამ დაიპყრო; საქართველოს მთლიანობის აღდგენის შემდეგ მისი დიდი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია; ვარაუდობენ, რომ ბაგრატიონები - საქართველოს მეფენი, ლაზეთ-კლარჯეთიდან იყვნენ. XIII-XIV საუკუნეებში ლაზეთის ნაწილი საქართველოს ხელშეწყობით წარმოქმნილ ტრაპიზონის იმპერიაშია. XIV საუკუნეშივე ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი სამცხის სამთავროს შემადგენლობაშია. 1461 წელს, თურქეთ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის განადგურების შემდეგ, ჭანეთი მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა; მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში. დღეს საქართველოს შემადგენლობაში არის ერთადერთი სოფელი **სარფი**, სადაც ლაზები ცხოვრობენ.

რთული ისტორიული ბედის შედეგია ის რომ, დღემდე ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, ლაზებში განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ფაქტორებზე; კერძოდ: **ლაზთა ერთი ნაწილი** (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, მათ იციან, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ-

მეგრული წარმოშობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები: იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარტუშისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა; ისინი დიდ პატივს სცემენ თამარ მეფეს, რომელიც ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამოჩეულადაა წარმოდგენილი. **ლაზთა მეორე ნაწილი** აღიზარდა თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში. მას დავიწყებული აქვს თავისი დედაქართულიც, მშობლიური კილოც და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევს. თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე **ლაზთა მესამე ნაწილისათვის** უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან, ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი კუთხური მეტყველების (ლაზური დიალექტის) ბაზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და “გადაარჩინოს“ თავისთავადობა.

საბჭოთა პერიოდში იჩქმალებოდა ქართველი ერის ნამდვილი ისტორია; ევროამერიკულ სივრცეშიც საბჭოური სტერეოტიპები ვრცელდებოდა; შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი დღემდე მოკლებულია ობიექტურ ინფორმაციას ლაზთა, მეგრელთა, აჭარელთა, მესხთა, ჰერთა თუ სხვა ქართველთა ისტორიის შესახებ. სწორედ მეცნიერულად არგუმენტურებული ცოდნის ნაკლებობის შედეგია ის, რომ ზოგი **ევროპული ფონდი** ცდილობს სულ მცირე 15 საუკუნის წინ უნიკალური ქართული ანბანის შემქმნელ ქართველთა ერთ ნაწილს **XX-XXI** საუკუნეთა მიჯნაზე “შეუქმნას“ ანბანი და დამწერლობა.

მეგრული და ჰანური დღეს ერთმანეთს მოწყვეტილია, მაგრამ საუკუნეების წინ მათ შორის სხვაობა მინიმალური იყო. დღეს ჰანურს, მეგრულისაგან განსხვავებით, ძლიერი დიალექტური დიფერენცია ახასიათებს (მათ შორის ხშირად გაგებინება ჭირს), რაც სამწიგნობრო ქართულისგან იზოლაციითა და უცხო ენობრივ გარემოში არსებობით აიხსნება. ჰანურის კილოკავებია: **ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური**. ათინურში გამოიყოფა ბულეფფურ-ართაშენული, ხოფურში - ჩხალური, ხოლო ვიწურ-არქაბულში - ვიწური და არქაბული თქმები .

სვანური კილოები:

სვანეთი მდებარებს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის კალთებზე და გარშემორტყმულია რაჭის, ლეჩხუმ-სამეგრელოსა და აფხაზეთის ქედებით. იგი იყოფა **ზემო სვანეთად** (მესტიის რაიონი) და **ქვემო სვანეთად** (ლენტეხის რაიონი). ზემო სვანეთში მიედინება **ენგური**, ხოლო ქვემო სვანეთში - **ცხენისწყალი**. ცალკე გამოიყოფა **კოდორის (დალის) ხეობის სვანეთი**, რომელიც აფხაზეთში, გულრიფშის რაიონშია.

სვანეთს აღმოსავლეთით რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით - ლეჩხუმი და სამეგრელო, დასავლეთით - აფხაზეთი (დასავლეთი ნაწილი), ჩრდილოეთით - ყარაჩაი და ბალყარეთი.

სვანები პირველად მოიხსენიება სტრაბონთან.

სვანეთი თემებად იყოფოდა. **ზემო სვანეთის** შვიდი საზოგადოება (უმგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი) შეადგენდა **თავისუფალ სვანეთს**, ხოლო ექვსი თემი (ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ჩუბხევეი და ლახმულა) - **სადადეშქელიანო სვანეთს** (მფლობელი: დადეშქელიანი). **ქვემო სვანეთის** შემადგენლობაში შემავალი სამი საზოგადოება (ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი) სამეგრელოს მთავრების მფლობელობაში შედიოდა და ერქვა **სადადიანო სვანეთი**.

სვანური კილოებისა და კილოკავებ-თქმების გამოყოფა ნ.მარის სახელთანაა დაკავშირებული; მანვე დაადგინა ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები (ხმოვნის სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და უღლებაში, ლექსიკური თავისებურებანი); კერძოდ, ზემო სვანეთში გამოიყოფა: **ბალსზემოური** და **ბალსქვემოური**, ქვემო სვანეთში - **ლაშხური** და **ლენტეხური**; ზოგი მკვლევარი ცალკე კილოდ გამოყოფს **ჩოლურულს**. ბალსზემოური და ბალსქვემოური დარქმეულია ლატალსა და ბეჩოს შუა მდებარე **ბალის გადასასვლელი ქედის** მიხედვით.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ ქართველთა მეტყველებანი:

ფერეიდნული დიალექტი. ფერეიდანი ერთ-ერთი პროვინციაა ირანში, სადაც XVII საუკუნის დასაწყისში (1614-1617 წწ.) ირანის შაჰმა აბას I საქართველოდან აყრილი ათასობით ქართველი (კახელი) ჩაასახლა. ასე შეიქმნა შუა ირანში ქართული სოფლები: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, შულურეთი (ჩოლიურეთი), აფუსი

(რუისპირი), სიბაჯი (ვაშლოვანი)... ფერეიდანი ერთადერთი ირანული რაიონია, სადაც იძულებით გადასახლებულმა ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. სხვა რაიონებში (ზორასანი, მაზანდარი, ფარსი...) ქართული მეტყველება აღარ ისმის. იქაური ქართველები თანდათან აითქიფნენ ირანის სხვადასხვა ტომებში. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მასალებით, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა 12-14 ათასს შეადგენს.

ფერეიდნული კილო წარმოიქმნა კახურისგან: სამნახევარი საუკუნის წინ შუა სპარსეთში (ირანში) გადასახლებული **კახელების ქართული** მეტყველება იზოლირებულად განვითარებისა და სპარსულის გავლენის გამო ახალ ქართულ კილოდ ჩამოყალიბდა.

არნ. ჩიქობავა: “ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდანის ქართველობას აკავშირებს ქართულ სულიერ სამყაროსთან; გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება, რომ ის “გურჯია“, როგორც კი გამოესალმება ამ შეგნების ბურჯს, ენას; ვერ უშველის ამ მხრივ ვერც ქართული ურემი, ვერც ტიპიური ბანიანი სახლი და სხვა ნაშთი ქართველურ კულტურულ სახეობისა, რომელიც მას დღემდე შერჩენია“.

ყიზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური. ყიზლარ-მოზდოკურისა და პლასტუნკურის სახელით ცნობილია იმ ქართველთა მეტყველება, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში ქალაქ მოზდოკში, ყიზლარის ოლქის ორ სოფელში: სასოფლოში (ალექსანდრო-ნევესკაია), სარაფანში (შელკოვსკაია) და სოჭის მახლობლად - პლასტუნკაში.

ყიზლარსა და მოზდოკში ქართველები დასახლებულან 200 წლის წინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (ხევი, კახეთი, ქართლი, იმერეთი...). გადასახლების ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო ლეკთა გამანადგურებელი თარეში. ბევრიც შამილის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყოფილა და შემდეგ იქ დამკვიდრებულა.

ისტორიული წყაროების ჩვენებით, პირველად ყიზლარში ქართული ახალშენი დააარსა რუსეთს მიმავალი ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ამაღლის ერთმა ნაწილმა 1724 წელს. XIX საუკუნეში ქართველთა რაოდენობა აქ თანდათან გაიზარდა (ამას ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობებიც). დღეს ყიზლარ-მოზდოკში

ქართველობა მცირეა; რუსებთან ასიმილაციის გამო, ქართული ენა და ტრადიციები ძირითადად მოხუცებს ახსოვთ.

ყიზლარ-მოხზოკური და პლასტუნკური ქართულნარეგ სამეტყველო ერთეულს წარმოადგენს: რუსულის გავლენით ქართული მეტყველება საგრძნობლად არის შეცვლილი.

“ჩვენებურების“ მეტყველება. “ჩვენებურების ქართულით“ აღინიშნება თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების - **მუჰაჯირთა შთამომავლების** - მეტყველება (“მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს). მუჰაჯირი ქართველები თავისიანებს ანუ იქაურ ქართველებს “ჩვენებურებს“ ეძახიან.

იძულებით გადაადგილებული ქართველების შთამომავლები დღეს ცხოვრობენ: ფაცაში, ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში. მათ კარგად აქვთ შენარჩუნებული როგორც ქართული თვითობა (იდენტობა), ასევე ქართული ენა. ნ.მარის შემდეგ პირველად “ჩვენებურების ქართულის“ მრავალი გამორჩეული ნიმუში ჩაიწერა, ვრცლად გამოიკვლია და გამოაქვეყნა პროფესორმა უშუშანა ფუტკარაძემ.

ლიტერატურა

- მ. ალავიძე**, ლეჩხუმურის თავისებურებანი: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, ქუთაისი, 1941.
- გრ. ბერიძე**, ჯავახური კილო, თბ., 1988.
- ი.გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი.ქავთარაძე**, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
- ი.გიგინეიშვილი, ი.კობლატაძე**, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.
- ვანუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
- ვ. თოფურია**, მთარაჭულის დახასიათებისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
- ვ. თოფურია**, შრომები, ტ. II, თბ., 2002.
- ვ. თოფურია, მ. ქალდანი**, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
- გრ. იმნაიშვილი**, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
- გრ. იმნაიშვილი**, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1975.
- პ.ინგოროყვა**, გიორგი მერჩულე, თბ., 1956.
- ნ.კახიძე**, მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან: ჟურნ. ხერთვისი, 2005, № 1.

- კ. კუბლაშვილი, ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
- ა. მარტიროსოვი, ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.
- მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება: იკე, XXII, თბ., 1985.
- ა. მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
- ა. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972.
- შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
- ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.
- ს. ჟღენტი, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), ტფილისი, 1936.
- თ. სარალიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.
- ი.სინარულიძე, შავშეთ-იმერხევი: საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988.
- ი.სინარულიძე, ნიგალი (ლივანა): საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988.
- ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968.
- ნ.სურმავა, კირნათ-მარადიდული მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991.
- თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
- თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966.
- მ.ფალავა, მ.ცინცაძე, ე.მაკარაძე, რ.დიასამიძე, ლ.თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები: ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.
- შ.ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993.
- შ.ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით: სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1995.
- ტ.ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
- ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
- ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-III, თბ., 2001-2002.
- ი. ყიფშიძე, თხზულებანი, თბ., 1994.
- მ.შაჰინი, მაჭახლური თქმანი: ყურნ. ხერთვისი, 2005, № 1.
- გ. ჩანგაშვილი, საინგილო, გეოგრაფიულ-ისტორიული ნარკვევი, თბ., 1970.
- არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.

- არნ. ჩიქობავა**, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II(1), ტფილისი, 1937.
- სტ. ჩხენკელი**, ყიზლარ-მოზდოკური ქართული: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, ტფილისი, 1936.
- დ. ჩხუბიანიშვილი**, ქვემო ფერეიდნულის ზოგი თავისებურება (სოფ. დაშქესანას მონაცემების მიხედვით): XXII დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ., 2002.
- დ. ჩხუბიანიშვილი**, ენობრივი დიფერენციაციისათვის ფერეიდნულში: ქუთაისური საუბრები, VI, ქუთაისი, 1999.
- დ. ჩხუბიანიშვილი**, ნაცვალსახელის ზოგი სახეობისათვის ქვემო ფერეიდნულში: XXIV დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ., 2004.
- დ. ჩხუბიანიშვილი**, ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი: არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.
- ნ. ცეცხლაძე**, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.
- მ. ცინცაძე**, კირანთ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954.
- მ. ცინცაძე, მ. ფაღავა**, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998.
- გ. ცოცანიძე**, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი: ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კრებული, თბ., 1970.
- მ. ცინცაძე**, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება: XXI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2001.
- გ. ცოცანიძე**, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
- შ. ძიძიგური**, დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
- ქ. ძოწენიძე**, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
- ა. ჭინჭარაული**, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
- ა. ჭინჭარაული**, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
- ბ. ჯორბენაძე**, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1989.
- ბ. ჯორბენაძე**, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

ადმინისტრაციული რუკა ჩემი წიგნიდან

დაღმართების რუკა

II ათასწლეულის რუკა

I ათასწლეულის შუა პერიოდი რუკა

თავი II

ქართული მწიგნობრობის განვითარების გზა

2.1. დამწერლობის სახეები და ქართული ანბანის შექმნა

დამწერლობა არის მეტყველების ნაკადის დოკუმენტირება გრაფიკულ ნიშანთა სისტემების მეშვეობით; დამწერლობის მიზანია სამეტყველო ინფორმაციის გადაცემა და შენახვა. ყოველი ერის სალიტერატურო ენის ისტორია დამწერლობის შექმნიდან იღებს სათავეს.

დამწერლობაში გრაფიკული ნიშანი წარმოადგენს მეტყველების ამა თუ იმ ელემენტის (მთელი გამონათქვამის, სიტყვის, მარცვლის, ბგერის) სიმბოლოს. ამის მიხედვით, გამოიყოფა დამწერლობის სამი ძირითადი ტიპი: **პიქტოგრაფიული** (ნახატებით გადმოიცემა აზრი), **იდეოგრაფიული** ანუ **იეროგლიფური** (ნიშნებით გამოსახება სიტყვები) და **ანბანური** (ნიშნებით აღინიშნება სამეტყველო ბგერები).

კაცობრიობის ისტორიაში პირველი ანბანური დამწერლობა შექმნეს **ფინიკელებმა** (ჩრდ. სემიანებმა - ებრაული მოდგმის ხალხმა) დაახლ. ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში. ფინიკიური ანბანი შედგებოდა 22 ასო-ნიშნისაგან - მხოლოდ თანხმოვნებისაგან. წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ. ანბანის შემქმნელად ითვლება ვინმე **პალამიდე**.

დაახლოებით ძვ. წ. X-IX საუკუნეებში ფინიკიური ანბანისაგან წარმოიშვა ორი ახალი დამწერლობა (განშტოება): **არქაული ბერძნული** და **სემურ-არამეული**. პირველმა სათავე დაუდო დასავლურ ანბანებს, მეორემ - აღმოსავლურს. ძვ. წ. 403 წელს არქაული ბერძნულისაგან შეიქმნა **კლასიკური ბერძნული დამწერლობა**, რომელშიც თანხმოვნების გარდა შეიტანეს ხმოვნებიც, ე.ი. ფინიკიური კონსონანტური ანბანი გახდა ვოკალიზებული. ბერძნებმა შეცვალეს წერის მიმართულებაც მარცხნიდან მარჯვნივ.

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, დღეს მსოფლიოში არსებობს 14 ორიგინალური სახის დამწერლობა. ესენია:

ლათინურის საფუძველზე შედგენილი ანბანები
სლავურ-კირილურის საფუძველზე შედგენილი ანბანები
არაბულის საფუძველზე შედგენილი ანბანები
ინდური მარცვლოვანი დამწერლობის საფუძველზე
შედგენილი ანბანები

ჩინეთის ლოგოგრაფიული (იდეოგრაფიული) დამწერლობა
იაპონური იდეოგრაფიული დამწერლობა
კორეული ბგერობრივი დამწერლობა
ეთიოპიური მარცვლოვანი დამწერლობა
ბერძნული

ქართული

სომხური

ებრაული

სირიული

მონღოლური (ჩინეთის მონღოლეთში).

2.1.1. ისტორიული ცნობები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. ანტიკური წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ისტორიული კოლხეთის საზღვრები მოიცავდა ისტორიულ საქართველოს მთლიანად და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილს. თანამედროვე ქართველთა უმუშალო წინაპრებს - კოლხებს ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ლეგენდარული მეფე აიეტის ეპოქაში, ჰქონიათ **კვირბები** - მაგარ სხეულზე ამოკვეთილი ნიშნები (თანამედროვე რუკის მსგავსი); კოლხეთში ინახებოდა ტყავზე ნაწერი წიგნი (“ოქროს საწმისი“), რომელშიც აღწერილი იყო ოქროს მოპოვების ხერხები. ჩვენთვის უცნობია, როგორი სახისა იყო ეს დამწერლობა.

ქართული ანბანური დამწერლობის შესახებ წყაროებში დაცულია რამდენიმე ცნობა:

1) **ქართული საისტორიო ტრადიციით**, ქართველებს ფარნავაზამდეც ჰქონიათ დამწერლობა. იგი შეუდგენიათ ქართველ ქურუმებს ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე: **“არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაჲცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე. წერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი ქურუმთა მიერ, რომელ-**

თაც უზუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერბთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე სუცური ჩვენი... წერილნი სუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი სუცურნი“... (ცნობა შემონახულია თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომში: “ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ”; თავად თეიმურაზ ბაგრატიონს დოკუმენტი დამოწმებული აქვს ანტონ II კათალიკოსის კუთვნილი წიგნიდან “მატიანე შემეცნებათა”. 1836 წელს ეს ისტორიული საბუთი ფრანგულად გამოაქვეყნა **მარი ბროსემ**).

2) XI საუკუნის მემატინის - **ლენტი პროველის** მოწმობით, ქართული ანბანის შექმნა მიეწერება მეფე ფარნავაზს (ძვ. წ. IV-III საუკუნეები): “ამან [ფარნავაზმა] განავრცო ენა ქართული... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (“ქართლის ცხოვრება”).

3) V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის - **კორიუნის** თხზულებათაში: “მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა“ დაცულია ცნობა, რომ სომხური დამწერლობა შექმნა მესროპ მაშტოცმა (361-440 წწ.), მანვე გამოიგონა ქართული და ალბანური (ალვანური) დამწერლობები.

ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა კორიუნის ზემოაღნიშნული თხზულება და მიუთითა, რომ კორიუნის შრომაში მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია მერმინდელი, კერძოდ, VI საუკუნის დამლევის ჩანართია. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი **ლაზარ ფარბელი**, რომელიც კარგად იცნობდა კორიუნის თხზულებას, მაშტოცს მიიჩნევდა მხოლოდ და მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად. ამის შესახებ ასევე არაფერია ნათქვამი სომეხი ისტორიკოსების **ფავსტოს ბუზანდისა** (V ს.) და **მხითარ აირივანელის** (XIII ს.) ნაშრომებში. პირიქით, აირივანელი ქართული დამწერლობის შემქმნელად **ფარნავაზს** ასახელებს.

სომხურ ცნობათა სიყალბე ჩანს, აგრეთვე, “ეპისტოლეთა წიგნში“, სადაც შეკრებილია სომხეთის ეკლესიის მესვეურთა მიმოწერა სხვა ქვეყნების ეკლესიის მეთაურებთან V-XIII საუკუნეების მანძილზე. წიგნი სომხურიდან თარგმნა და გამოკვლევითურთ გამოცდა ზაზა ალექსიძემ. “ეპისტოლეთა წიგნიც“ მოწმობს, რომ მოგვიანო პერიოდის გადამწერლებმა და რედაქტორებმა ძველი ტექსტები საკუთარი შეხედულებებისა და სურვილისამებრ გადააკეთეს. ამის ერთ-ერთი ნიმუშია XIII საუკუნის სომეხი მოღვაწის ვარდაპეტის

სიტყვები: "...მესრობმა მისცა მათ (ქართველებს - უ.ფ.) ანბანი და მესრობმავე უკურთხა ვარძიის ჯვარი".

სომხური წყაროების წინააღმდეგობანი და ქართული ანბანის შესახებ ჩანართის მერმინდგლობა კარგად არის შესწავლილი **ზ. ალექსიძისა და ალ. აბღლაძის** მიერ. დადგენილია, რომ VII საუკუნის დასაწყისში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სომხური ეკლესიები (სპარსეთი ხელს უწყობდა სომხურ ეკლესიას და ავიწროებდა ქართულ და ალბანურ ეკლესიებს), შაჰისა და არაბების წაქეზებით გაძლიერებული სომხები ცდილობდნენ რეგიონში პირველობის დაჩემებას და ამ მიზნით ისტორიული დოკუმენტების გაყალბებასაც არ ერიდებოდნენ.

მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა დაუყვრებელია იმ მიზეზითაც, რომ მას ქართული არ სცოდნია (ასევე არ სცოდნია ალბანური ენაც). და, საერთოდ, ანბანის შექმნა ისეთ დიდ მომზადებას მოითხოვს, რომ შეუძლებელია V საუკუნის დასაწყისში ერთ კაცს შეექმნა სამი სხვადასხვა სისტემის ენისათვის არსებითად განსხვავებული დამწერლობები; მეტიც, უკანასკნელ ხანებში ისიც გაირკვა, რომ სომხური ანბანის ავტორი სირიულ და ბერძნულ დამწერლობებთან ერთად სანიმუშოდ იყენებდა ქართულ ანბანს.

ქართული დამწერლობის წარმომავლობის კვლევის თანამედროვე ეტაპზე სომხურ ვერსიას ჩვენში აღარავინ აღიქვამს სერიოზულად, მისი სიყალბე საფუძვლიანადაა დასაბუთებული. ამიტომ ქვემოთ, დამწერლობის წარმოშობის თეორიების განხილვისას, მას აღარ შევხებით.

2.1.2. ქართული დამწერლობის წარმომავლობის თეორიები.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება ქართული ანბანის წარმომავლობის ბერძნული და სემური თეორიები.

ბ ე რ ძ ნ უ ლ ი თეორიის მიხედვით, ქართული ანბანი გენეზისურად არის დაკავშირებული ბერძნულ ანბანთან. ამ თეორიის ფუძემდებლად ითვლება **კ. გარდტჰაუზენი**. მისი აზრით, ასო-ნიშნების ფონეტიკური მნიშვნელობა და თანამიმდევრობა ქართულში ბერძნულის მსგავსია. საქართველოში ბერძნული თეორია პირველად წამოაყენა **დიმ. ბაქრაძემ**. იგი თვლიდა, რომ ქართული ანბანის რიგი ძველი ბერძნული ასო-ნიშნების რიგს მისდევს; ქართული ანბანი შეიქმნა ბერძნული კულტურის გავლენით ჯერ კიდევ

შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში, ბევრად უფრო ადრე ფარნავაზამდე.

კ. კეკელიძის დაკვირვებით, “იმ ჰიპოთეზებიდან, რომელნიც ჩვენში თუ საზღვარგარეთ წამოუყენებიათ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, უფრო მისაღებია ის, რომელსაც ეს ანბანი ბერძნულისაგან გამოჰყავს“.

პ. ინგოროყვა ქართულ ანბანს მიიჩნევდა არქაული ბერძნული ალფაბეტის საფუძველზე შექმნილად მცირე აზიაში. **თ. გამყრელიძის** მიხედვითაც, ქართული ასომთავრული ანბანი მომდინარეობს ბერძნულიდან, ოღონდ შექმნილია ქრისტიანობის შემოღების შემდეგ... ძველი ქართული ასომთავრულის სისტემური შეპირისპირება სემიტურ და ბერძნულ დამწერლობებთან ავლენს ქართული დამწერლობის სტრუქტურულ თანხვედრას არქაულ ბერძნულ სისტემასთან.

ქართული ანბანის ბერძნულისგან წარმომავლობის თეორიას ბევრი სხვა ქართველოლოგიც იზიარებს (კ.დანელია, ვ.ბოედერი, ზ.სარჯველაძე...).

ბერძნულ თეორიას სამეცნიერო ლიტერატურაში იმთავითვე დაუპირისპირდა **ს ე მ უ რ ი** თეორია, რომელიც წამოაყენა გერმანელმა მეცნიერმა **ფრიდრიხ მიულერმა**. იგი თვლიდა, რომ ქართული და სომხური დამწერლობა არამეულ-სპარსული დამწერლობიდან უნდა იყოს წარმომდგარი. ჩვენში ამ თვალსაზრისს იზიარებდა **ს. გორგაძე** (“წერილები საქართველოს ისტორიიდან“, 1906).

ქართული ანბანის წარმოშობის სემური თეორია მეცნიერულ საფუძველზე ჩამოაყალიბა **ივ. ჯავახიშვილმა** თავის ფუნდამენტურ ნაშრომში: “ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (შემოკლებით - “ქართული პალეოგრაფია“). დიდმა მეცნიერმა საფუძვლიანად გააკრიტიკა ქართული ანბანის ბერძნულისგან მომდინარეობის არგუმენტები. მისი აზრით, ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია და ფინიკიურ-სემიტურის (არამეულის) ბაზაზეა შექმნილი, თუმცა შემდგომ, ელინისტურ ხანაში, არაერთგზის განუცდია ბერძნული მონუმენტური დამწერლობის გავლენა. წარმოდგენილი მოსაზრება გაამყარა შემდგომმა აღმოჩენებმა და გამოკვლევებმა. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეული აღმოჩნდა **არმაზის ბილინგვა** (საფლავის ქვაზე შესრულებული ეპიტაფია, დაწერილი 2 ენაზე - ბერძნულად და არამეულად. სახელწოდება “ბილინგვა“ ამის მიხედვითაა დარქმეული). ძველი აღ-

მოაჩინა **ივ. ჯავახიშვილმა** 1940 წელს, მეცნიერულად შეისწავლა **გ. წერეთელმა**. მკვლევარმა, პირველ ყოვლისა, დაადგინა არამეული ანბანის სახეობა (რომელსაც “არმაზული დამწერლობა“ უწოდა), შეუდარა ქართულ ანბანს და დაასკვნა: ქართული ანბანი მონათესავეა არმაზულისა, ორივე კი მომდინარეობს საერთო წყაროდან - არამეულიდან. არმაზული ანბანის სახით აღმოჩნდა შუამავალი, რომლის მეოხებით ქართული ანბანი უშუალოდ დაუკავშირდა არამეულს.

განსაკუთრებით საინტერესოა **რ. პატარიძის** დებულებები; წიგნში: “ქართული ასომთავრული“ მან საისტორიო წყაროების, არსებული თვალსაზრისებისა და ლეგენდისმაგვარი ვერსიების შეჯერებითა და კრიპტოგრამების (პირობითი, საიდუმლო ნიშნებით ჩანაწერი) ზედმიწევნითი ანალიზით ივარაუდა: ქართული დამწერლობა შექმნილი ჩანს წარმართულ ხანაში ფინიკურ-ბაბილონური დამწერლობისაგან; იგი თვით ბერძნულ მონუმენტურ (კლასიკურ) ანბანზე ადრინდელია.

ქართული ანბანის ფინიკურ-სემურ წარმომავლობას სარწმუნოდ მიიჩნევს ბევრი ცნობილი ქართველოლოგი.

2.1.3. ქართული დამწერლობის შექმნის ქრონოლოგია. ქართული ანბანის შექმნის თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი თვალსაზრისი:

ტ. ქართული დამწერლობა შექმნილი უნდა იყოს ახ. წ. IV-V საუკუნეებში,

ღ. ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია, შექმნილი ჩვენს ერამდე.

პირველი თვალსაზრისი ჩვენში ჩამოაყალიბა **კ.კეკელიძემ** XX საუკუნის 20-იან წლებში. იგი მიუთითებდა, რომ მეოთხე საუკუნის გასულს თუ მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა... დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისა... ქართული დამწერლობა უნდა შექმნილიყო **ახ. წ. 420-422** წლებში ქრისტიანული ეკლესიის ინიციატივით.

ქართული ანბანის შექმნას უკავშირებდა ქართლის მონათვლისა და გაქრისტიანების პერიოდს **თ.გამყრელიძეც**: ქართული ასომთავრული დამწერლობა შექმნილი უნდა იყოს **IV** საუკუნის დასასრულსა და **V** საუკუნის დასაწყისში. იგი საგანგებოდ მსჯელობდა

აგრეთვე ლეონტი მროველის ცნობაზე - ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული. მეცნიერის აზრით, “მწიგნობრობა ქართული“ ფარნავაზისდროინდელი საქართველოსათვის უნდა ნიშნავდეს, ალბათ, იმ დროს ქართული წერის შემოღებას სპეციფიკური სახით, ე.ი. ქართული ტექსტის ჩაწერას რომელიმე - იმ დროს გავრცელებული ანბანის - ბერძნულის ან არამეულის საშუალებით და ამგვარად ჩაწერილი ტექსტების წაკითხვას კვლავ საწყის - ქართულ ენაზე. წერის ეს მეთოდი “ალოგლოტოგრაფია“ ფართოდ იყო გავრცელებული ირანულ სამყაროში. ცოტა მოგვიანებით თ.გამყრელიძე თავის წიგნში “წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ წერდა: ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შესაძლებელია არც წარმოადგენდეს ქართული ენისათვის დამწერლობის შექმნის პირველ ცდას და ქრისტიანობამდელ საქართველოში სავარაუდოა არსებულიყო კიდევ უფრო ძველი წერილობითი ტრადიციები. არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა ან გამოაძევა მანამდე არსებული წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა.

როგორც წესი, ქართული ანბანის შექმნის სავარაუდო თარიღად **ახ. წ. IV-V** საუკუნეებს ასახელებდნენ ის მკვლევრები, რომლებიც ქართულ ანბანს გენეზისურად აკავშირებდნენ ბერძნულთან. გარდა ამისა, მათი აზრით, ქართული ანბანის წარმართულ ძეგლად მიჩნევა გაჭირდებოდა იმის გამოც, რომ არ მოიპოვება ქრისტიანობამდელი წერილობითი ძეგლებიო.

ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე არ გაიზიარა კ.კეკელიძის მიერ სავარაუდო ქრონოლოგია ქართული ანბანის წარმოშობისა. მან უძველესი ხანმეტი, ჰამეტი ტექსტებისა და ბოლნისის წარწერების გამოწვლილვითი ანალიზით წამოაყენა ჰიპოთეზა: ბოლნისის ასომთავრული წარწერა იმდენად ჩამოყალიბებული და დახვეწილია, რომ შეუძლებელია მისი მიჩნევა პირველ ქართულ წარწერად. ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია. იგი შექმნილი უნდა იყოს არაუგვიანეს **ძვ. წ. VII** საუკუნისა. მეცნიერი იქვე დასძენდა: ალბათ, ქართული მიწის წიაღში აღმოჩნდება ძეგლები, რომლებიც ამ ჩვენს ჰიპოთეზას დაადასტურებენო.

ბ. ინგოროყვას დაკვირვებითაც, ქართული ანბანი გამომუშავებულია **ძვ. წ. VIII-VII** საუკუნეთა მიჯნაზე.

ცნობილია, რომ XX საუკუნის 50-იან წლებამდე პირველ ქართულ წერილობით ძეგლად ითვლებოდა **492-493** წლებით დათარიღებული **ბოლნისის წარწერები** და, შესაბამისად, ამ დროიდან იწყებოდა ქართული ანბანის ისტორიაც. მაგრამ 1950-1952 წლებში პალესტინაში აღმოჩენილმა ქართულმა წარწერებმა ახლებურად დააყენა ქართული ანბანის ქრონოლოგიის საკითხი. **მ.თარხნიშვილის, შ.ნუცუბიძის, ს.ყაუხჩიშვილის, გ.წერეთლის, ე.მაჭავარიანისა** და სხვა მკვლევართა აზრით, **პალესტინის წარწერები** შესრულებული უნდა იყოს **V საუკუნის I ნახევარში** (დაახლ. 430-433 წლებში). ისინი ნახევარი საუკუნით მაინც უსწრებენ წინ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებს (გ.წერეთელი).

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემას ახალი შუქი მოჰვინა 1984 წელს ღუშეთის რაიონის სოფელ დავათში აღმოჩენილმა წარწერებმა. **დავათის სტელას** ათარიღებენ **361-382** წლებით. მან კიდევ ერთი საუკუნით წასწია წინ ქართული ანბანის თვალხილული ისტორია.

ბოლო წლებში მიკვლეული ძეგლების შესწავლისა და ტრადიციული მასალების ახლებური ანალიზის საფუძველზე **რ.პატარიძემ** ქართული ანბანის შექმნის თარიღად ივარაუდა **ძვ. წ. 415** წელი.

ქართული ანბანის წარმართულ ძეგლად მიჩნევას თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის **ნეკრესის უძველესი წარწერებიც**. ისინი აღმოჩენილია საფლავის ქვებზე ნეკრესის ნაქალაქარის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების შედეგად (საველე მუშაობა დღესაც მიმდინარეობს). **ლ. ჭილაშვილის** აზრით, ნეკრესის წარწერები თარიღდება დაახლ. **ძვ. წ. IV - ახ. წ. II-III** საუკუნეებით. ამ წარწერებმა ქართული ანბანის შექმნის ისტორია 7-8 საუკუნით მაინც დააძველა... ამის შემდეგ ქართული ასომთავრულის განვითარება არ შეიძლება დაუკავშირდეს ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებას. საგულისხმოა ისიც, რომ ნეკრესის ერთ-ერთი წარწერა **რ. პატარიძემ** მიიჩნია ფარნავაზის ეპოქაში - დაახლ. **ძვ. წ. 274 წელს** შესრულებულად.

სხვადასხვა პროფილის ბევრი სხვა მკვლევარიც (აკ.ბაქრაძე, გ.ნარსიძე, მ.ჩხარტიშვილი, ზ.ალექსიძე...) ქართულ ანბანს წარმართული ხანის ძეგლად თვლის.

მაშასადამე, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული დამწერლობის ისტორიისათვის მეტად ფასეული ბევრი ახალი მასალა იქნა აღმოჩენილი. თუ ამ მონაცემებთან ერთად გავითვალისწინებთ ტრადიციული ისტორიოგრაფიის კვლევის შედეგებს (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. წერეთელი), აგრეთვე მოვიგონებთ “მატიანე შემეცნებათას” ცნობას (“არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა ფარნავაზამდე...”) და არნ. ჩიქობავასა და თ. გამყრელიძის მოსაზრებებს, მაშინ მიახლოებით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ ქართული ანბანის განვითარების გზა:

სავარაუდოა, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში ერთ ან რამდენიმე ქართველურ ტომს უკვე ჰქონდა საკუთარი ანბანი, რომელიც ფარნავაზის ეპოქაში იქცა ქართველთა საერთო ეროვნულ დამწერლობად.

ქართული ანბანის შემოქმედის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ქართული დამწერლობის გენეზისი კვლავ რჩება აქტუალურ პრობლემად ლინგვისტურ ქართველოლოგიასა და კულტუროლოგიაში.

2.1.4. ქართული ანბანის აგების პრინციპები. ქართულში ასო-ნიშნები გამოხატავს ბგერას, რიცხვით მნიშვნელობას, აქვს ასტრონომიული და კალენდარული დანიშნულებაც.

რ.პატარიძის აზრით, ქართული ანბანის პირველი ასომთავრული ნიშანია **Ⴀ**. რკალზე ზედა ჰორიზონტალური ხაზი (-) აღნიშნავს მთვარის გამოჩენას. როცა მთვარე ცაზე მიაღწევს უმაღლეს წერტილს, ზუსტად შუალამეა, ე.ი. ქართულის პირველი ასო **Ⴀ** (ანი) ასტრონომიული ნიშანია - დღე-ღამის დასაწყისი; მთვარის კულმინაციური დგომა შუალამეა. ბაბილონურსა და ეგვიპტურშიც ქართულის მსგავსი ვითარებაა - დღე-ღამის დასაწყისია შუალამე, სემურში კი - განსხვავებული.

მართალია, ქართული ანბანი მზის კალენდარიცაა, მაგრამ იგი მთვარის აღნიშვნით იწყება, რადგან ძველად დღე-ღამის ათვლა ხდებოდა მთვარის საშუალებით. მართლაც, მთვარის მოძრაობა ზუსტად ერთ თვეს გრძელდება: 28 დღეს მოჩანს ცაზე, 2 დღეს კი - არა. 30 დღის შემდეგ კვლავ ახალი მთვარეა.

მაშასადამე, ქართული ანბანის პირველ ასოდ **ან**-ის ჩათვლა ბაბილონური დამწერლობის პრინციპითაა განხორციელებული. გარდა ამისა, ქართულ ანბანში აღნიშნულია, თუ რამდენ საათს

გრძელდება დღე და ღამე. ქართული ანბანის 24-ე ასო არის **ქ (ქან)**. იგი წარმოადგენს ქვეყნის სიმბოლოს, ქვეყნის ოთხ მხარეს (ასომთავრულით **†**). ქვეყნის არსი 24 საათია, ე.ი. **ან** (პირველი ასო) დღე-ღამის დასაწყისია, **ქან** (24-ე) - დღე-ღამის დასასრული.

ან-ი და **ქან**-ი ასტრონომიული ნიშნებია. ირკვევა, რომ ანბანის შემქმნელმა ქურუმმა ასტრონომიაც კარგად იცის. მისთვის ცხადია, რომ დედამიწა (ქვეყანა-მიწა) ღერძის გარშემო 24 საათში ერთხელ შემობრუნდება.

ამრიგად, ქართველ ქურუმებს ბაბილონური ლურსმული და ებრაულ-ფინიკიურ ანბანურ დამწერლობათა პრინციპების მიხედვით შეუქმნიათ მთვარის კალენდარული ანბანი, რომელიც შედგებოდა 35 ასო-ნიშნისაგან. პირველი ასო იყო **ა** (ანი) — ქალდეურ-ბაბილონური მთვარის ღვთაების სიმბოლო (ნიშნავდა დღე-ღამის დასაწყისს), 24-ე ასოა **ქან** (დღე-ღამის დასასრული), 34-ე - **ჭ** (ხარის იდეოგრამა, ხარის ღვთაება - მთვარის ღვთაების შვილი), სულ ბოლო ასო **ჯან** არის ჯგრის იდეოგრამა (დაწვრ. იხ. რ.პატარიძე, 1980).

2.1.5. ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები.

ქართულმა დამწერლობამ განვლო განვითარების სამი საფეხური და შესაბამისად შეიქმნა დამწერლობის სამი გრაფიკული ნაირსახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული დამწერლობის პირველი სახეა **ასომთავრული**. იგი გამოიყენებოდა მე-9 საუკუნემდე, ასოები იყო მრგვალი და დიდი მოხაზულობისა. სახელწოდება - “ასომთავრული“, “მრგლოვანი“ - ამის მიხედვითაა დარქმეული.

ასომთავრულითაა შესრულებული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები: ნეკრესის, პალესტინის, ბოლნისის, დავათის ქვაჯვრისა და სხვა წარწერები; ასევე ხანმეტი და ჰამეტი ტექსტები. ტერმინი “ასომთავრული“ გვხვდება X-XI საუკუნეების ერთ ხელნაწერში, “მრგლოვანი“ კი - XI საუკუნისაში (ზ. სარჯველაძე).

ნუსხური ასომთავრულის გვიანდელი ვარიანტია. მკვიდრდება IX საუკუნიდან და გაბატონებული ხდება X-XI საუკუნეებში. ნუსხური წერის პირველი ნიმუში დადასტურებულია ხელნაწერებიდან “სინურ მრავალთავში“ (864 წ.), ეპიგრაფიკულ ძეგლებზე კი - ატენის სიონის წარწერაში (835 წ.). ნუსხურში ასოები მცირე ზომისაა და თანაც კუთხოვანი, ამიტომ მეორენაირად წერის ამ სახეს

კუთხურსაც უწოდებენ. გარდა ამისა, ნუსხური იწერებოდა გაკრული ხელით. ანბანის ამ სახეობას სწორედ ამის მიხედვით დაერქვა ნუსხური (ტერმინი ნაწარმოებია სიტყვისაგან **ნუსხა**, რაც ძველად ნიშნავდა “დედანსაც” და “გაკრული ხელით წერასაც”).

ნუსხური პრაქტიკულად უფრო მოხერხებული აღმოჩნდა ასომთავრულთან შედარებით, რადგან ამ უკანასკნელით წერა მოითხოვდა დიდ დროსა და ბევრ საწერ მასალას.

ნუსხურის შემდგომი განვითარებით წარმოიქმნა **მხედრული**. მართალია, მხედრული წერის უძველეს ნიმუშად ითვლება 1054 წლის ძეგლი, მაგრამ, საზოგადოდ, მხედრული გაბატონდა XII საუკუნიდან, დღევანდელი სახე კი მიიღო XIV საუკუნეში.

სახელწოდება “მხედრული” დარქმეულია იმის გამო, რომ ამ სახეობას იყენებდნენ საერო პირები - ვაჭრები, მეომრები ანუ **მხედრები**... მხედრულით იწერებოდა საერო ხასიათის ნაწარმოებები და სახელმწიფო-საკანცელარიო ძეგლები. საგულისხმოა, რომ იმავდროულად ეკლესიისათვის კვლავ ძირითადი იყო ასომთავრული და ნუსხური: ნუსხური შრიფტით წერდნენ საეკლესიო თხზულებების მთლიან ტექსტს, სათაურებსა და სიტყვის დასაწყის ასოებს კი აფორმებდნენ ასომთავრულით. ამ უკანასკნელით სრულდებოდა აგრეთვე წარწერები საფლავის ქვაზე.

როგორც ვხედავთ, საერო დამწერლობას იმთავითვე დაუპირისპირდა საეკლესიო დამწერლობა — ასომთავრული და ნუსხური, რომელთაც ცოტა მოგვიანებით ეწოდა **ხუცური** (ამოსავალი სიტყვაა ხუცესი = მღვდელი); პარალელურად გამოიყენება ნუსხა-ხუცურიც.

ივ.ჯავახიშვილის აზრით, ტერმინები “ხუცური” და “მხედრული” ენაში შემოსული უნდა იყოს XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დამდეგს.

ქართული დამწერლობის სახეების ქრონოლოგიური მიმართების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი.

თანამედროვე ქართულში დამწერლობის ძირითადი სახეა მხედრული, ასომთავრული და ნუსხური კი გამოიყენება სპეციალური დანიშნულებით.

ლიტერატურა

- ა. ბაქრაძე, კრიტიკული გულანი, თბ., 1977.
- თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990.
- თ. გამყრელიძე, მწიგნობრობა ქართული: გაზეთი “ლიტერატურული საქართველო“, 1987, 20 ნომერები.
- ავთ. იოსელიანი, ქართული მწიგნობრობის, წიგნის და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- ბ. ინგოროვცა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978.
- კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
- ბ. კილანავა, ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან; თბ., 1990.
- ვ. ლიჩელი, კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები, თბ., 2000.
- ე. მაჭავარიანი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982.
- რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
- რ. პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1992.
- ჟ. ფეიქრიშვილი, ნეკრესის წარწერების მნიშვნელობა ქართულ წერილობით ტრადიციაში: ეტიმოლოგიური ძიებანი, ქუთაისი, 2005.
- ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ., 1975-87.**
- ბ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
- ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004.
- ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

2.2. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები

2.2.1. ეპიგრაფიკული ძეგლები. ქართველი ერის ისტორიაში გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება უძველეს წერილობითს ძეგლებს - ქართველთა დიდი მწიგნობრული კულტურის ამსახველ დოკუმენტებს.

ბ ო ლ ნ ი ს ი ს წარწერები. XX საუკუნის 50-იან წლებამდე პირველ ქართულ წარწერად მიჩნეული იყო ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერები, რომელთაგან ერთ-ერთი **ა. შანიძემ** დაათარიღა

492-493 წლებით. ეს წარწერები ქრონოლოგიური ასპექტით მოგვიანებით კვლავ შემოწმდა სპეციალისტების მიერ და დაწერის თარიღიც დაზუსტდა; კერძოდ: **ე. მაჭავარიანი, მ. მღებრიშვილი** მათ **478-493** წლებით ათარიღებენ, **რ.პატარიძე** კი მიიჩნევს, რომ ერთი წარწერა შესრულებულია **357** წელს, მეორე - **392** წელს (ეს და სხვა უძველესი წარწერები იხ. დანართში).

პ ა ლ ე ს ტ ი ნ ი ს წარწერები. 1950-1952 წლებში იტალიელი არქეოლოგის - **ვირჯილიო კორბოს** მიერ ჩატარებული გათხრების დროს **პალესტინაში**, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოჩნდა ქართული მონასტრის ნანგრევები სამი ქართული წარწერით. ერთი მათგანი მოღწეულია დაუზიანებლად, მეორე და მესამე კი - ფრაგმენტების სახით.

მკვლევართა აზრით, პირველი წარწერა თარიღდება 532-552 წლებით, მეორე და მესამე გაცილებით ადრინდელია და შესრულებული უნდა იყოს V საუკუნის I ნახევარში, დაახლ. 440-იან წლებში (ე. მაჭავარიანის მიხედვით - 433 წელს).

ღ ა ვ ა თ ი ს ქვაჭვრის წარწერები. 1984 წელს ღუშეთის რაიონის სოფელ **ღავათში** ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. აღმოჩნდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში ჩაშენებული ქვისტელა/ქვაჭვარი უძველესი ქართული წარწერებით. ვარაუდობენ, რომ ეკლესია აშენებული უნდა იყოს არაუგვიანეს 419 წლისა. **ღავათის ქვაჭვარი** ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მას იკვლევდნენ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები (ისტორიკოსები, თეოლოგები, არქეოლოგები, მათემატიკოსები, ენათმეცნიერები...).

სტელა შედგება ორი მონაკვეთისაგან: პირველზე (ზედა ნაწილზე) გამოსახულია ორი მთავარანგელოზი: **მიქაელი** (აწერია ქარავმით) და **გაბრიელი**. დიდებულთა საკადრის სამოსში საზეიმოდ გამოწყობილ მთავარანგელოზებს ხელთ უპყრიათ გრაგნილი, რომელზედაც ამოკაწრულია ქართული ასომთავრული ანბანი. ასოები განლაგებულია 6 სტრიქონად.

ქვედა მონაკვეთზე წარმოდგენილია ორი პიროვნება - ორი ხელისუფალი. რაკი მთავარანგელოზები ფრთებდაშვებულნი არიან, ჩანს, ისინი ქვემოთ გამოსახულ პიროვნებებს აუწყებენ ღვთის ნებას (ღვთის გადაწყვეტილებას).

დავათის სტელაზე ძირითადად დასტურდება ორი თარიღი - **284** და **311**. აქედან პირველი (ძვ. წ. 284) ფარნავაზის მიერ ოფიციალური სახელმწიფო დამწერლობის შემოღების წელი უნდა იყოს, მეორე (ახ. წ. 311) კი - ქართული დამწერლობის აღორძინებისა.

დავათის სტელაზე ამოკაწრული ანბანი მიაჩნიათ **367** წელს შესრულებულად, ხოლო მთლიანად ქვაჯვრის გამოსახულებას ათარიღებენ **362-381** წლებით.

დავათის სტელაზე ქართული ასომთავრული ანბანის სრულყოფილ კორპუსთან ერთად გამოქანდაკებულია ქართული მწიგნობრობის აღორძინების თავისებური სცენა.

ქვაჯვრის მიზანი უნდა იყოს ქართული მწიგნობრობისა და წიგნის მთლიანად ჩაყენება ქრისტიანული ეკლესიისა და ქვეყნის სამსახურში.

რ. პატარიძის აზრით, დავათის ქვაჯვრის ხატი და “ქებად და დიდებად ქართულისა ენისაჲ” იგივეობრივი შინაარსის ძეგლებია. ორივე მათგანით ირკვევა, რომ ქართული წელთაღრიცხვა თავის დასაბამს იღებს ფარნავაზ მეფის მიერ ქართული მწიგნობრობის შემოღების დროიდან.

ნ ე კ რ ე ს ი ს წარწერები. ნეკრესის ნაქალაქარი მდებარეობს ყვარლიდან 8 კმ-ის დაშორებით, მთიანი კავკასიონისა და ალაზნის ველის შესაყარზე. ნეკრესი წარმოადგენდა ისტორიული ჰერეთისა და შემდგომ - კახეთის ერთ-ერთ საყურადღებო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს.

1984 წლიდან ნეკრესში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები **ლ. ჭილაშვილის** ხელმძღვანელობით. მეოთხედი საუკუნის მანძილზე წარმოებული გათხრების შედეგად აქ გამოიკვეთა სრულიად განსხვავებული დანიშნულებისა და ხასიათის ნაგებობათა შემცველი სამი ფენა:

პირველი - ქვედა ფენა უნდა ყოფილიყო კერპთმსახურების დროინდელი სამლოცველო-სამსხვერპლო კრემაციული სამარხებით. ეს ფენა შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. IV-II საუკუნეებით.

მეორე ფენა მაზღეანთა სამლოცველოა, ფარავს საკერპო-სამსხვერპლოს. სპეციალისტთა აზრით, დაახლ. ძვ. წ. II საუკუნეში (როცა დაარსდა ქ. ნეკრესი) აგებული მაზღეანთა დიდებული ტაძარი და სამლოცველო ფუნქციონირებდა ახ. წ. II-III საუკუნეებამდე (ამ ფენას მიეკუთვნება მაზღეანთა საფლავების წარწერიანი ქვების უმეტესობა).

მესამე - ზედა ფენა შედარებით გვიანდელია, ადრექრისტიანული ხანისა, დაახლ. ახ. წ. IV-V საუკუნეებისა. დღეს იგი წარმოდგენილია სამეურნეო ნაგებობის - მარნისა და დარღვეული სამარხების სახით.

საგულისხმოა, რომ სწორედ ზედა ფენის სასახლე-დარბაზების სამშენებლო მასალად ყოფილა გამოყენებული წარწერიანი ქვები (მაზდენათა საფლავის ქვები). მათზე ამოკაწრული ასო-ნიშნები დღეს ჩვენში **ნეკრესის წარწერების** სახელითაა ცნობილი.

ნაქალაქარის გათხრები გრძელდება, თუმცა მოპოვებული მასალების მიხედვითაც უკვე შესაძლებელი გახდა გარკვეული დასკვნების გამოტანა. მაგალითად, **ლ. ჭილაშვილის** დაკვირვებით, ნეკრესის წარწერები შესრულებული ჩანს სხვადასხვა დროს, დაახლ. **ძვ. წ. IV - ახ. წ. III** საუკუნეებში.

VI-VII საუკუნეებშია შექმნილი **მცხეთის ჯვრის, უკანგორის, სა-ჰაკდუხტის, წყისის წარწერები**.

2.2.2. ხელნაწერი ტექსტები. უძველესი ქართული ხელნაწერი ტექსტები იყოფა სამ ჯგუფად: ხანმეტი, ჰაემეტი და სანნარევი. ეს დაყოფა ემყარება II სუბიექტურ და III ირიზობიექტურ პირობა ნიშნების სხვაობას.

ხ ა ნ მ ე ტ ი ტექსტები ეწოდება ისეთ წერილობითს ძეგლებს, სადაც II სუბიექტური და III ირიზობიექტური პირობების ნიშნად **ხ-**პრეფიქსია გამოყენებული (ხ-აკეთებ შენ, ხ-ემალემა იგი მას). ხანმეტი ტექსტები ძირითადად თარიღდება VIII საუკუნის დასაწყისამდე პერიოდით. მათი უმრავლესობა საქართველოშია დაცული. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია **ქართულ-ებრაული პალიმფსესტი** (“პალიმფსესტი“ ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს “კვლავ გადაფხეკილს“. საზოგადოდ, პალიმფსესტი ისეთ ხელნაწერს ჰქვია, რომელსაც ხელახლა იყენებენ საწერად). ხელნაწერი შედგენილი უნდა იყოს V-VI საუკუნეთა მიჯნაზე იერუსალიმში, შემდეგ კი მოხვედრილა ებრაელების ხელში. მათ იგი დაუხვევიათ (უფრო სწორად: ორად გაუკეცავთ) და გამოუყენებიათ თავიანთი წიგნისათვის - თალმუდის ტექსტისათვის.

დაახლოებით XI საუკუნეში ებრაელებს ქართული ხელნაწერი პალიმფსესტად უქცევიათ. იგი XIX საუკუნის ბოლომდე ინახებოდა ეგვიპტეში, კაიროს სინაგოგის გენიზაში (ხელნაწერთა საწყობში).

XIX საუკუნის მიწურულში გენიზის ხელნაწერები გაუტანიათ ევროპისა და ამერიკის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში. შემოდასახ-

ელებული ხელნაწერის ერთი ფურცელი მოხვდა ინგლისში ბოდლეიანის ბიბლიოთეკაში, სხვა ოთხი ფურცელი - კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სამი ნახევი კი - ბრიტანეთის (ლონდონის) ბიბლიოთეკაში. პალიმფსესტის სხვა ფურცლების ბედი უცნობია.

1897 წელს ოქსფორდიდან დოქტორმა **ნეიბაუერმა** ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ერთი ფურცლის (ორი გვერდის) ფოტოპირი გამოუგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტში **ნიკო მარს**. მარმა მაშინვე ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება ამ ფოტოპირს და იგი შესასწავლად გადასცა ებრაულის მკვლევარს - **კოკოვცოვს**.

გამოირკვა, რომ ეს ფურცელი იყო თალმუდის უძველესი ნუსხა (ხელის მიხედვით XI საუკუნისად მიიჩნეის). მართალია, კოკოვცოვი ქართულის მკვლევარი არ იყო, მაგრამ მიუთითა, პალიმფსესტზე ქართული ნაწერი ებრაულზე ძველი ჩანსო.

კოკოვცოვმა თავისი ნაშრომი ამ ხელნაწერის შესახებ გამოაქვეყნა 1899 წელს. იმ დროს ივ. ჯავახიშვილი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი, რომელსაც კოკოვცოვი უკითხავდა ასურულს. ნიჭიერ სტუდენტს - ივ. ჯავახიშვილს მასწავლებელმა აჩუქა თავისი შრომის ამონაბეჭდი პალიმფსესტის ფოტოპირიანად. მაგრამ მაშინ ივ. ჯავახიშვილმა ვერ შეძლო ამ ხელნაწერის წაკითხვა და ტექსტი კვლავ დარჩა ქართველთა ყურადღების მიღმა.

ივ. ჯავახიშვილმა მოგვიანებით, 20 წლის შემდეგ, გაშიფრა ზემოაღნიშნული პალიმფსესტის ნაწყვეტი, რომელიც შეიცავდა იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტი ტექსტის ნაწილს. ამ ძეგლის აღმოჩენით დაიწყო ახალი ეტაპი ქართული ხელნაწერთმცოდნეობის ისტორიაში. ამავე დროს ცხადი გახდა ისიც, რომ V საუკუნეში ბიბლია ქართულად ნათარგმნი უნდა ყოფილიყო.

X საუკუნიდან სინის მთაზე, ეკატერინეს მონასტერში, ინახებოდა VII საუკუნის II ნახევარში პალესტინაში შექმნილი ხელნაწერი - **ხანმეტი ლექციონარი** (ლექციონარი ეწოდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ამოკრებილი საკითხავების კრებულს).

1893 წელს **ალ. ცაგარელს** აღუწერია სინური ხელნაწერები, მათ შორის ხანმეტი ლექციონარიც (29 ფურცელი ყოფილა), მაგრამ მალე იგი სხვა ხელნაწერებთან ერთად გაუტანიათ ევროპის ქვეყნებში.

ხანმეტი ლექციონარი ვინმე მხატვრისაგან (მილიხისაგან) შეუქმნია ცნობილ ქართველოლოგს **ჰუგო შუხარდტს**, რომელსაც მანამდე ხელთ ჰქონია სხვა ოთხი ქართული ხელნაწერიც. შუხარდტს ისინი შეუსწავლია და **XX** საუკუნის დასაწყისში კიდევ დაუწერია შრომა “ცნობები ქართული ხელნაწერის შესახებ“. მხოლოდ ამ შრომით გახდა ცნობილი ქართველებისათვის ხანმეტი ლექციონარის არსებობა.

3. შუხარდტის კოლექციის ქართული ხელნაწერები დაცულია გრაცის უნივერსიტეტში. სწორედ აქედან მიიღო ა. შანიძემ მათი ფოტოპირები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხანმეტი ლექციონარის 2 ფურცელი ევროპაში გატანისას დაკარგულა, მაგრამ დღეისათვის ისინიც აღმოჩენილია: ერთი ინახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში, მეორე - ინგლისში, ბირმინგემში.

ა. შანიძის გამოკვლევით, ხანმეტ ლექციონარში დასტურდება შვიდი ჰაემეტი ფორმაც.

ხანმეტი იაკობის პროტოევანგელე ქართული კულტურის ისტორიაში განუზომელი მნიშვნელობის ძეგლია, რამდენადაც იგი არის სუფთა ხანმეტობის ამსახველი (არც ერთი შემთხვევა არ არის **ხ**-ს კლებისა და **ჰ**-ს ხმარებისა); თარიღდება **VII** საუკუნით.

იაკობის პროტოევანგელე დაცულია ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მას პირველად მიაკვლია და გამოაქვეყნა 1970 წელს **ჯ. ბერდზოლმა**.

ჰ ა ე მ ე ტ ი ტექსტები. ჰაემეტი ეწოდება ისეთ წერილობითს ძეგლებს, სადაც **II** სუბიექტური და **III** ირიბობიექტური პირების ნიშნად გამოყენებულია **ჰ**- პრეფიქსი (ჰ-აკეთებ შენ, ჰ-ემალება იგი მას). ჰაემეტი ტექსტები ხანმეტთან შედარებით გაცილებით ცოტაა. მათი ძირითადი ქრონოლოგია განისაზღვრება **VIII** საუკუნით.

ყველაზე ძველ ჰაემეტ ძეგლად ითვლება **წყისის წარწერა** (616-619 წწ.), ხოლო ხელნაწერი ტექსტებიდან - **ჰაემეტი ლექციონარი**, რომელიც აღმოაჩინა და გამოსცა ა. შანიძემ 1923 წელს. ენობრივი და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ლექციონარი **VIII** საუკუნისაა. იგი მიაჩნიათ ნაშთად იმ დიდი მოცულობის წიგნისა, რომელიც 400-მდე ფურცელს მაინც შეიცავდა. შინაარსის მიხედვით ტექსტი ჰაემეტი საკითხავების კრებული ჩანს.

ჰადიშის ოთხთავი შექმნილია 897 წელს გამოჩენილი შატბერდელი მოღვაწის - **სოფრონის** შეკვეთით, გადაწერია **მიქაელი**.

ჰადიშის ოთხთავი XI საუკუნემდე (ზოგი ცნობით, XVI-მდე) შატბერდში ინახებოდა. შემდეგ იგი სხვა ხელნაწერებთან ერთად სვანეთში აუტანიათ და თითქმის 400 წელი დაცული იყო მესტიის რაიონის სოფელ ჰადიშში, ბოლოს კი დამკვიდრდა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ჰადიშის ოთხთავი ერთადერთი ნამდვილი ჰაემეტი ტექსტია. ხელნაწერი გადაწერილია ჰაემეტი დედნიდან, მაგრამ ისე, რომ გადაწერს იმდროისათვის უკვე ზედმეტად ქცეული **ჰ**- პრეფიქსი ხმოვნების წინ აღარ უხმარია, გამოუტოვებია. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში მექანიკური შეცდომა მოსვლია და **ჰ** მაინც დაუწერია, მერე შეცდომა თვითონვე შეუნიშნავს და **ჰ** ამოუფხეკია. სწორედ ასეთი “შეცდომებით” დგინდება, რომ დედანი ნამდვილად ჰაემეტი იყო.

ჰადიშის ოთხთავი ქართული ენის ისტორიაში დიდი მნიშვნელობის ძეგლია, მეტად ფასეული როგორც პალეოგრაფიული, ისე წმინდა ენობრივი თვალსაზრისითაც.

ს ა ნ ნ ა რ ე ვ ი ტექსტები. სამეცნიერო ლიტერატურაში სანნარევს უწოდებენ ისეთ ტექსტებს, სადაც II სუბიექტური და III ირიბობიექტური პირების ნიშნად ზოგიერთი თანხმომცნის წინ **ს**- პრეფიქსი დასტურდება იმავე პოზიციაში სხვა ზმნებთან გამოყენებული **ჰ**- პრეფიქსის გვერდით (ე.ი. პირის ნიშნად **ჰ**-ს პარალელურად შემოერია **ს**ანი: **ჰ**-წერ შენ > **ს**-წერ... შდრ. ჰპარავ შენ...)

სანნარევი ხელნაწერებიდან ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სინური მრავალთავი**. იგი არის პირველი თარიღიანი ტექსტი, გადაწერილი 864 წელს იერუსალიმში, საბაწმიდის ლავრაში. ხელნაწერი შეუწირავთ სინის მთის მონასტრისათვის და დღესაც იქვეა დაცული (ამჟამად სინის მთა, სადაც წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის). სინური მრავალთავის შედგენის ინიციატორი და ძირითადი გამამწერი, ანდერძის მიხედვით, არის გრიგოლ ხანძთელის მოწაფე **მაკარი ლეთეთელი**.

სინური მრავალთავი წარმოადგენს ბიზანტიელ ავტორთა ჰომილექტიკური (“ჰომილექტიკა” - ძველი საეკლესიო მოძღვრება-ქადაგებანი) თხზულებების კრებულს, რომლებიც განკუთვნილი იყო

საუფლო და დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე წასაკითხად. მრავალთავი დიდი მოცულობის წიგნია, შეიცავს 275 ფურცელს. მასში შესულია 18 ავტორის 50 ნაწარმოები. თხზულებათა ავტორები საეკლესიო და სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ III-V საუკუნეებში.

მრავალთავი დაწერილია მშვენიერი მრგლოვანით. მხოლოდ ანდერძის ნაწილია ნუსხურით შესრულებული.

ხელნაწერი საყურადღებოა თავისი მდიდარი ლექსიკითა და არქაული გრამატიკული ფორმებით. მასში შეინიშნება ხანმეტობის კვალიც, რაც იმას ადასტურებს, რომ მრავალთავში შეტანილ თხზულებათა ნაწილი ხანმეტი დედნიდანაა გადმოწერილი.

1950 წელს სინის მთასა და იერუსალიმს ეწვივნენ ამერიკელი მეცნიერები, რომელთაც გადაიღეს იქაურ ხელნაწერთა მიკროფირები. სწორედ მათი მეშვეობით 1955 წელს მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ სინურ და იერუსალიმურ ქართულ ხელნაწერთა მიკროფირები. 1959 წელს დაიბეჭდა სინური მრავალთავის სრული ტექსტი ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით: “სინური მრავალთავი 864 წლისა“.

2.2.3. უძველესი ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებანი. საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია. დღემდე მოღწეულია IV-V საუკუნეებში შექმნილი ორიგინალური თხზულებანი და უცხო ენებიდან თარგმნილი რელიგიური ხასიათის წიგნები.

ლეონტი მროველის “ქართლის ცხოვრება“ ისტორიული ქრონიკაა. მისი ერთ-ერთი ნაწილი - **მეფეთა ცხოვრება** იწყება თხზულებით - **“ცხოვრება ფარნავაზისი“**, რომელიც, მკვლევართა აზრით, დაწერილი უნდა იყოს ძვ. წ. III-II საუკუნეებში. იგი უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის ფარნავაზ მეფის ცხოვრებისა და ძვ.წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე **ფარნავაზისა და ქუჯის** მიერ ერთიანი საქართველოს აღდგენის შესახებ.

ავიოგრაფიული თხზულება **“წამებად ერმათა წმიდათა ცხრათა“** დაწერილი უნდა იყოს II ან III საუკუნეში, წარმართობის ხანაში (შ. ჯიჯეიშვილი).

“მირიან მეფის ანდერძი“ (ახ. წ. IV საუკუნე) ვრცლად ეხება მირიანის მეფობის ხანას. სწორედ ამ დროს ქართველებმა ოფიციალურად მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება...

“წმიდა ნინოს ცხოვრება“ შექმნილი ჩანს IV საუკუნის I ნახევარში. სრულ დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია (რ. სირაძე, მ. ჩხარტიშვილი, რ. დედვარიანი).

უძველეს ლიტერატურულ თხზულებათა შორის განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია **“ქება და დიდება ქართლისა ენისაჲ“**. ტექსტი შემორჩენილია გადამწერის - იოვანე ზოსიმეს ხელნაწერების სახით; ავტორი უცნობია.

“ქებაჲს“ შესწავლის ისტორია იწყება 1858 წლიდან, როდესაც ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ფრანგულად თარგმნა “ქებაჲს“ ტექსტი. დღემდე არაა დადგენილი ტექსტის შექმნის ზუსტი თარიღი; სავარაუდო დროდ მიიჩნევა: **IV საუკუნე** (ა.ბაქრაძე, რ. პატარიძე, გ. ნარსიძე, მ. ჩხარტიშვილი...); **VI საუკუნე** (ა.ჯაფარიძე); **IX საუკუნე** (პ. ინგოროყვა, ტ. ფუტყარაძე...); **X საუკუნე** (კ. კეკელიძე, ზ. გამსახურდია, ნ. პაპუაშვილი...).

თანამედროვე კვლევის შედეგად აღიარებულია, რომ “ქებაჲს“ ხოტბის ძირითადი ობიექტია **ქართული ენა** და **ქართველი ერი**. ერთ-ერთ ხელნაწერს სათაურად აქვს “ქებაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ“ (გრ.რობაქიძე, ზ.გამსახურდია, ნ.პაპუაშვილი, ტ.ფუტყარაძე...). “ქებაჲს“ ძირითადი შინაარსი ასეთია: ქართული ენა “შემკული და კურთხეულია“. ქართული და ბერძნული ისეთივე მეგობრები არიან, როგორიც ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა სახარება უქადაგა ქართველებს, მეორემ კი - ბერძნებს; ისინი დები არიან, ვითარცა მარიამი და მართა... ქართული ენა ლაზარეა: ქრისტემ ლაზარე აღადგინა მკვდრეთით. ქართულ ენაში შენახულია “ყოველი საიდუმლო“: მეორედ მოსვლისას უფალი ქართული ენით განსჯის მსოფლიოს...

იაკობ ცურტაველის “წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“ დაწერილია V საუკუნეში (476-482 წლებში), თუმცა ჩვენამდე მოღწეულია ტექსტის X საუკუნის ნუსხა (ხელნაწერი) და არა დედანი. ტექსტის ხასიათი, მისი დახვეწილი მხატვრულობა ცხადყოფს იმ ეპოქაში **ქართული მწერლობის ტრადიციულობასა და მაღალ დონეს**. ავტორი საინტერესოდ აღწერს V საუკუნისდროინდელ საქართველოში საზოგადოებრივ ცხოვრებას - პოლიტიკურ, ეკონომიკურსა თუ კულტურულ ვითარებას. გარდა ამისა, გვაწვდის **საგულისხმო ცნობებს** იმის შესახებ, რომ გორგასალის ეპოქაში **ბიბლიის ტექსტები უკვე ქართულად ყოფილა თარგმნილი** (შუშანიკა

“თანა წარიტანნა ევანგელს თჳსი და წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი“).

“მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა“ აგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია. ავტორი არ არის ცნობილი. ისტორიული წყაროებით, ევსტათი მცხეთელი აწამეს დაახლ. 551 წელს. თხზულება დაწერილია მისი თანამედროვის მიერ.

იოვანე საბანისძის “აბოს წამება“ ძველ ქართულ მწერლობაში საყურადღებოა თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. მასში აღწერილია აბოს მარტვილობა და შემდეგ მოცემულია ჰიმნი აბოსი. აბო აწამეს 786 წლის 6 იანვარს. ნაწარმოებიც შექმნილი უნდა იყოს დაახლოებით ამ პერიოდში, VIII საუკუნის ბოლოს.

IX საუკუნეშია დაწერილი **“ცხოვრება და წამება კონსტანტი კახისა“**.

“მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ეპიზოდების კრებულია, რომელიც ეძღვნება საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებას. ტრადიციული თვალსაზრისით, თხზულება შედგენილი უნდა იყოს შატბერდის მონასტერში მოღვაწე ბერის მიერ არაუადრეს IX საუკუნისა (კ. კეკელიძე). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ “მოქცევაჲ ქართლისაჲს” **თავდაპირველი ვარიანტი** შექმნილი უნდა იყოს V საუკუნის II ნახევარში.

“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართული აგიოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, დაწერილი **გიორგი მერჩულის** მიერ 951 წელს გრიგოლის “მოწაფეთა მოწაფეების” მონათხრობის მიხედვით. ავტორი დიდი მხატვრული ოსტატობით აღწერს VIII-IX საუკუნეებში ტაო-კლარჯეთის ბერ-მონაზვნობის ისტორიას, მთლიანი საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებული სიყვარულით წარმოაჩენს **გრიგოლ ხანძთელის** - ამ დიდი საეკლესიო მოღვაწის ცხოვრებასა და მოქალაქეობას.

ზემოჩამოთვლილთა გარდა, კიდევ ბევრი სხვა საინტერესო ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება შეიქმნა ძველ საქართველოში.

ლიტერატურა

- ზ. გამსახურდია**, “ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“: ცისკარი, 1987, №3.
- რ. დედარიანი**, ქრისტიანული მწერლობის საკითხები, ქუთაისი, 2002.
- პ. ინგოროყვა**, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1978.
- კ. კეკელიძე**, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
- ე. მაჭავარიანი**, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, თბ., 1985.
- გ. ნარსიძე**, “ქებაჲს“ ისტორიული პარალელები: მნათობი, 1986, №4.
- გ. ნარსიძე**, დავათის ქვა-ჯვარი: მნათობი, 1987, №4, 8.
- შ. ნუცუბიძე**, პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები: მნათობი, 1959, №1.
- ნ.პაპუაშვილი**, “ქებაჲს“ ფაკულტატიური სწავლებისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1983, №2.
- რ. პატარიძე**, “ქება ქართულისა ენისაჲ“, მნათობი, 1987, №1.
- ზ. სარჯველაძე**, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ჟ. ფეიქრიშვილი**, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1992.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია**, თბ., 1975-87.
- ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ**, შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტყარაძე, თბ., 2000.
- მ. ჩხარტიშვილი**, “საიდუმლოება სახელისა“: მნათობი, 1991, №8.
- გ. წირეთელი**, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
- ლ. ჭილაშვილი**, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004.
- ზ. ჭუმბურიძე**, ქართული ხელნაწერების კვლადაკვალ, თბ., 1983.

2.3. ძველი ქართველი მწიგნობარნი

ქართველთა სამწიგნობრო კულტურა საქართველოს ყველა კუთხეში უწყვეტად იქმნებოდა დიდი ქართველი მოღვაწეების მიერ; ისინი არქაული და თანამედროვე ხალხური ენობრივი მონაცემების შეზავებით მდიდარ, გამომსახველობით ენას ქმნიდნენ. ამ ფაქტორმა შეაპირობა სამწიგნობრო ენის თვისობრივი უცვლელობა და სულ მცირე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა.

ქართული კულტურა ძირითადად საქართველოს კუთხეებში არსებულ კულტურულ ცენტრებში მოღვაწე მწიგნობართაგან იქმნებოდა, კერძოდ:

სამხრეთ საქართველოში: იოანე მოსხი, არსენ საფარელი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, იოანე მტბევალი, იოანე ოქროპირი...

დასავლეთ საქართველოში: იოანე ლაზი, იოანე მინჩხი (მარტვილელი), სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, ტბელი აბუსერიძე, ჭყონდიდლების მრავალი თაობა...

აღმოსავლეთ საქართველოში: ბაკური, პეტრე იბერი, იაკობ ცურტაველი, შიო მღვიმელი, გრიგოლ დიაკონი, იოანე საბანისძე, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი...

საზღვარგარეთულ ცენტრებში: იოანე ზოსიმე, ბასილ საბაწმინდელი, მიქელ მოდრეკილი, ფილიპე ბეთლემელი, ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, გიორგი მცირე...

მათ მოამზადეს შოთა რუსთველის ეპოქა...

მოკლედ ძველ ქართველ მწიგნობართა ერთ ნაწილის შესახებ:

ბაკური. ბაკური არის IV საუკუნეში მცხოვრები ფილოსოფოსი, იბერიის სამეფო გვარეულობის წარმომადგენელი, რომლის შესახებაც ოდენ ბერძნულ-ლათინურმა წყაროებმა შემოინახეს ცნობები; ბაკურს განათლება მიუღია ძველი კოლხეთის ტრადიციების მემკვიდრე ფილოსოფიურ სკოლაში, რომელიც დასავლეთ საქართველოში არსებულა. ბიზანტიაში ხანგრძლივი მოღვაწეობისას მას დიდი სახელი მოუხვეჭია თავისი სიბრძნის გამო, იმ ზომამდეც, რომ ერთი ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსი მას “ღმერთების საყვარელს” უწოდებს. სავალალო ისაა, რომ ბაკურის თხზულებათაგან ჩვენამდე აღარაფერს მოუღწევია.

იოანე ლაზი. IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ქართლში სამეფო კარისა და ეკლესიის იერარქთა მეთაურობით გააქტიურებული იყო მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელსაც ერთვოდა საკუთრივ ქრისტიანული ორიგინალური შედეგების შექმნა. უმთავრეს ცენტრს წარმოადგენდა მეფე ბაკურის სამეფო კარი. სწორედ აქ სამი წლის უფლისწულის - მურვანოსის (შემდგომში - პეტრე იბერის) აღმზრდელად დასავლეთ საქართველოდან მოიწვიეს **მითრიდატე ლაზი**. იგი 12 წლამდე ზრდიდა და მწიგნობრობას ასწავლიდა მეფისწულს.

ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, იოანე ანუ მითრიდატე ლაზი დასავლეთ საქართველოს ცნობილი რიტორიკული სკოლის წარმომადგენელი იყო. იგი პეტრეს ასწავლიდა ქართულს. იოანე (მითრიდატე) ლაზი უნდა ყოფილიყო ქართული ქრისტიანული საღვთისმსახურო ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ლიდერი (ა.ჯაფარიძე).

იოანე ლაზი მიჩნეულია პალესტინის ქართული მონასტრის (სადაც დაცულია უძველესი ქართული წარწერები) ამგებად.

პეტრე იბერი. იბერიის მეფის - ვარაზ-ბაკურის (ან ვარაზ-ბაქარის ძე) ძე მურვანი 409 წელს (ან 410, 412 წწ.) უნდა დაბადებულიყო. იგი თორმეტი ან თხუთმეტი წლისა სათანადო ამალითურთ მძევლად წარუგზავნიათ კონსტანტინეპოლში. ჭაბუკი მურვანი იმპერატორსა და კარის ფილოსოფოსებს აცვიფრებდა ნიჭითა და განსწავლულობით. მეფე-დედოფლის გამორჩეული სიყვარულით იყო გარემოსილი, დიდება არ აკლდა. მიუხედავად ამისა, მეფური ცხოვრების ბრწყინვალეობას მან ბერის ცხოვრება არჩია: თავის სულიერ მოძღვართან - მითრიდატე ლაზთან ერთად სასახლიდან გაიპარა და პალესტინაში, იერუსალიმში, მასწავლებელთან ერთად ბერად აღიკვეცა; ამის შემდეგ ეწოდა **მურვანს პეტრე**, ხოლო **მითრიდატეს - იოანე**.

წმინდა ადგილების მოლოცვისა და წარმატებული სასულიერო საქმიანობის შემდეგ ისინი დაემკვიდრდნენ პალესტინაში, სადაც შემდგომში პეტრე ქალაქ მაიაუმის ეპისკოპოსად დაადგინეს. ოთხმოც წლამდე იცოცხლა პეტრე იბერიელმა და დიდი გავლენა და სახელი მოიპოვა ბიზანტიაში. იმდროინდელი წყაროები მას მოიხსენიებენ, როგორც “მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმულ კაცს”, “მეორე მოციქულ პავლეს”, “მეორე მოსეს”.

პეტრე იბერის მიერაა დაწერილი “არეოპაგეტული წიგნები”, რომლებიც VI საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან შეცდომით მიეწერებოდა პავლე მოციქულის მოწაფეს დიონისე არეოპაგელს (ე.ჰონიგმანი, მ.ნუცუბიძე).

პეტრე იბერიელის წიგნებმა შუა საუკუნეების აზროვნებასა და კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა და იქცა რენესანსის ფილოსოფიურ საფუძვლადაც.

იაკობ ხუცესი. იაკობ ცურტაველი ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლის - “შუშანიკის წამების” -

ავტორია. იაკობი ქრისტიანობისათვის წამებული დედოფლის მოძღვარი იყო და, ბუნებრივია, თავადაც არის ნაწარმოების პერსონაჟი. 476-482 წლებში შექმნილი ამ თხზულებიდან ჩანს, რომ იაკობი ბრძენი და საფუძვლიანად განათლებული პიროვნებაა. იაკობ ხუცესს ცურტაველსაც უწოდებენ. ვარაუდობენ, რომ იგი მოგვიანებით ცურტავის ეპისკოპოსიც გახდა. ცურტავი მდებარეობდა ბოლნისსა და რუსთავს შორის, იქ, სადაც ერთდება ორი მდინარე - მამავერა და ხრამი.

ცურტავში იყო ქართლის პიტიახშის რეზიდენცია. აქვე არსებობდა კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, სადაც სწავლობდნენ ქართველებიც და მეზობელი სომხებიც. აქ უსწავლია V საუკუნის ცნობილ სომეხ ისტორიკოსს - ლაზარ ფარპელს (ლაზარ ფარპეცს).

გრიგოლ დიაკონი. გრიგოლი პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომელსაც დაუწერია “ქართლის მოკლე მოქცევა”; **“მოქცევაჲ ქართლისაჲს”** ჭელიშურ ვერსიაში ვკითხულობთ: “ვითარცა სწერია გრიგოლ დიაკონის მცირესა მას, მოკლედ აღწერილსა, წიგნსა ქართლისა მოქცევისასა” (ე. თაყაიშვილი, 1911, გვ. 714). ს. კაკაბაძის აზრით, გრიგოლი არის IV საუკუნის II ნახევრის მწერალი; 380-400 წლებში მას ჯერ ბერძნულად და მერე ქართულად დაუწერია “მცირე მოქცევაჲ ქართლისაჲ”. კ. კეკელიძე თვლის, რომ IV საუკუნეში ამ დონეზე ვერ იქნებოდა განვითარებული ქართული მწერლობა. სამწუხაროდ, ამ მოღვაწის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

იოანე მოსხი (შდრ., სამცხის ისტორიული სოფელი მუსხი) VI-VII საუკუნეების მსოფლიოში ცნობილი მწერალია. მისი ნოველების კრებული შემონახულია ბერძნულ ენაზეც (**ლიმონარი** - “მდელო”) და ქართულადაც (**“სამოთხე”**). ფიქრობენ, რომ ბერძნულ “ლიმონარსა” და ქართულ “სამოთხეში” შესული ნოველები იოანე მოსხმა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად დაწერა ბერძნულადაც და ქართულადაც. არის მოსაზრება, რომ იოანე მოსხის კალამს ეკუთვნის **“სიბრძნე ბალაჭვარისი”**.

შიო მღვიმელი VI საუკუნის საეკლესიო მოღვაწეა; იგი იმ 13 ასურელ მამათაგანია, რომლებიც საქართველოში სირიიდან ჩამოვიდნენ. ვარაუდობენ, რომ ასურელი მამები, წარმოშობით - **კაბადოკიელები, ქართველური მოღვმისანი** იყვნენ (შდრ., კაბადოკიელები იყვნენ წმინდა გიორგიც, წმინდა ნინოც; ვარაუდობენ, რომ კაბადოკიელია აზოც). ილ. აბულაძის აზრით, შიო ქართველია, იგი იყო

იოანე ზედაზნელის მოწაფე, შეძლებულ ღვთისმსახურ აზნაურთა შვილი, ბერად აღიკვეცა, მოღვაწეობდა ზედაზნეში და მერე წავიდა სირიაში.

შიო მღვიმელის სახელთან არის დაკავშირებული მცხეთის მახლობლად დღემდე არსებული მონასტერი “შიომღვიმე“. ჩვენამდე არ არის მოღწეული მისი კრებული “**სწავლანი**“. შიო მღვიმელს აკუთვნებენ რამდენიმე **სავედრებელს - ძველი ქართული პოეზიის ნიმუშებს**; ერთ-ერთი მათგანი - “ოხითად“ მიმართულია ღვთისმშობლისადმი და განმსჭვალულია ლირიზმით. შიოს ანდერძის თანახმად, “ოხითად“ იგალობებოდა ღვთისმშობლის ტაძარში.

იოანე საბანისძე. VIII საუკუნის მიწურულის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო მოღვაწე და ნიჭიერი მწერალი იყო იოანე საბანისძე; სწორედ გამორჩეულობის გამო მიიღო მან ქართლის კათალიკოსის - სამოელის (780-790 წწ.) თხოვნა, დაეწერა თხზულება ახალმოწამის - აბოს შესახებ.

790 წელს იოანე საბანისძეს უკვე დაწერილი ჰქონდა “აბოს წამება“ და მას საქართველოს ყველა ეკლესიაში კითხულობდნენ.

იოანე საბანისძე არის პირველი, რომელმაც წამოჭრა ეროვნული საკითხი და განაცხადა, რომ ქართველები გაიმარჯვებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამაპაპურ წესსა და რიგს არ უღალატებდნენ. იგი დაუპირისპირდა არაბებსა და მათ მიერ გადაბირებულ ქართველებს.

ვარაუდობენ, რომ იოანე საბანისძე მოღვაწეობდა მცხეთის ჯვრის მონასტერში.

სეთი VIII საუკუნის II ნახევრის მწიგნობარია, რომელიც იერუსალიმში, საბას ლავრაში მოღვაწეობდა. აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით, მან სათავე დაუდო აგიოგრაფიული კრებულის - “მრავალთავის“ შექმნას.

გრიგოლ ხანძთელი. გრიგოლ ხანძთელი VIII-IX საუკუნეების საქართველოში უდიდესი საეკლესიო მოღვაწე და პოეტია. პ. ინგოროყვას აზრით, გრიგოლ ხანძთელის კალამს 300-მდე ჰიმნოგრაფიული შრომა ეკუთვნის.

გრიგოლმა 102 წელი იცოცხლა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მან უამრავი მონასტერი და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა აღადგინა და ააშენა. გრიგოლ ხანძთელი ქართველი ერის სულიერ მამად შეიძლება მივიჩნიოთ: **ტაო-კლარჯეთში მისმა დიდმა ღვაწლმა გადაარჩინა ერთიანი საქართ-**

ველოს იდეა, რასაც შედეგად მოჰყვა **დიდი საქართველოს** აღორძინება და მსოფლიოში გამოჩენილ ქრისტიანულ ქვეყნად ქცევა.

არსენ დიდი საფარელი. არსენ საფარელის შესახებ ცნობებს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება” იძლევა. არსენი სამცხიდანაა, შვილი დიდი ფეოდალის - მირიანისა. არსენი 27 წელი კათალიკოსობდა (860-887 წწ.). კ. კეკელიძის აზრით, არსენ დიდის კალამს ეკუთვნის თხზულება “თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა, არსენისაჲ, მცხეთელი კათალიკოსისაჲ, რომელიც იყო სანახებთაგან სამეებისთა საფარით, განყოფისთჳს ქართლისა და სომხეთისა“. ნაწარმოები ეხება ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ ურთიერთობასა და განხეთქილების ისტორიას.

არსენის მეორე ცნობილი ნაწარმოებია “ცხოვრება და მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა“.

გიორგი მერჩულე (885-960 წწ.). გიორგი მერჩულე მოღვაწეობდა მდინარე ჭოროხის ხეობაში მდებარე ხანძთის სავანეში. ნიჭიერი და განათლებული პიროვნება იყო, ზედმიწევნით ფლობდა ბერძნულ, არაბულ, სირიულ ენებს. თარგმნიდა წიგნებს. წერდა გამოჩენილ ლექსებს, რომლებსაც მისმა თანამედროვეებმა “მერჩულიულნი” უწოდეს. პროფესიით სამართალმცოდნე იყო. აქედან მოდის მისი ზედწოდება “მერჩულე“, რაც სჯულს ანუ საეკლესიო კანონის მცოდნეს ნიშნავს (ივ. ამირხანაშვილი, 2006). გიორგი მერჩულემ შექმნა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შედეგრი - “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მას ეკუთვნის საუკუნოვანი შეფასება: **“ქართლად (საქართველოში) ფრიადი (მრავალი) ქუეყანად (მხარე) აღირაცხების (ითვლება), რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებს“**.

იოანე მინჩხი. იოანე მინჩხი (სახელწოდება სოფლის სახელისგან მომდინარეობს; სოფელი **მინჩხი** ამჟამინდელ მარტვილის რაიონშია) ქართული ჰიმნოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელია. X საუკუნის პოეტსა და მუსიკოსს მრავალი ჰიმნი აქვს შექმნილი, რომლებიც ცნობილია ტერმინებით: “მინჩხნი“, “მინჩხნისანი“; სინის მთაზე დაცულია საგალობლები, რომელთაც აწერია “მინჩხურნი“; სპეციალისტების დასკვნით, ამ რიგის ქმნილებები ეკუთვნის მინჩხის სკოლის წარმომადგენლებს და არა თავად იოანე მინჩხს.

ექვთიმე მთაწმინდელი არის ათონის სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი და უდიდესი მოღვაწე, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში.

ექვთიმემ დიდი მთარგმნელობითი საქმიანობა გასწია. ის არა მარტო ბერძნულიდან თარგმნიდა ქართულად, არამედ ქართულიდანაც ბერძნულად. მისი თარგმანებია: “რაოდენნიმე წერილნი“, “ბალაჰ-ვარი“, და “აბუკურად“. ქართველი მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე, თარგმნისას ექვთიმე ათონელი ახალ, თავისუფალ რედაქციას ქმნიდა; შეიძლება ითქვას, ის უცხოურ ქმნილებებს აქართულეზდა. მან, როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახა ბერძნებს ქართული კულტურის მაღალი დონე და ქართველი ერის საპატიო ადგილი ქრისტიან ერთა შორის.

ეფრემ მცირე. ეფრემ მცირე XI საუკუნის ცნობილი მოღვაწეა. იგი უნდა იყოს შვილი ტაოელი აზნაურის - ვაჩე კარიჭის ძისა, რომელიც იზიარებდა ბიზანტიის ორიენტაციას და კონსტანტინოპოლში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მიიღო განათლება და ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა.

ეფრემის მეთაურობით შავ მთაზე შეიქმნა ქართული მწერლობის მძლავრი კერა. ეფრემ მცირემ შეიმუშავა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რომელიც სამ პრინციპს ეფუძნებოდა: 1. თხზულება უნდა ითარგმნოს მხოლოდ დედნიდან; 2. თარგმანი ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს; 3. თარგმანს უნდა დაერთოს კომენტარები.

ეფრემი ფართო ერუდიციის მოღვაწეა; მან დიდი ღვაწლი გასწია **ქართული სამწიგნობრო ენის** განვითარებაში; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ეფრემი ბარბაროზმებითა და კალკებით არ ამძიმებს დედაენას და ცდილობს შექმნას, ან ცოცხალ კილოებში მოიძიოს სათარგმნი ლექსიკის შესატყვისი ქართული ერთეულები (შემდგომში სიტყვათქმნადობის ამავე კურსს აგრძელებს და ააქტიურებს **იოანე პეტრიწი**). ეფრემმა შეიმუშავა პუნქტუაციის ახალი სისტემა.

ქართული სამწიგნობრო ენის, ზოგადად, კულტურის ისტორიას ასევე ამშვენებენ: სტეფანე სანანოისძე (ჰყონდიდელი), დავით ტბელი, იოვანე-ზოსიმე, მიქელ მოდრეკილი, გიორგი მთაწმინდელი, სტეფანე ათონელი, თეოფილე ხუცესმონაზონი, ლეონტი მროველი, გიორგი მცირე, დავით აღმაშენებელი, იოანე პეტრიწი, არსენ ბერი, ნიკოლოზ გულაბერისძე, იოანე ანჩელი, იოანე შავთელი, არსენ იყალთოელი, ტბელი აბუსერიძე და სხვა. აქვე, საგანგებოდ დავასახელებთ ცნობილ მწიგნობრებს სვანეთიდან: გრიგოლ სვანი, იოანე ქანცხიანი (ქაცხიანი), გრიგოლ ქანცხიანი, ილარიონ სოფრომაძე,

ტიმოთე პაპა, იოანე ფარჯანიანი, ვახტანგ ფარჯანიანი, იოანე ხარიტონიანი, გიორგი მოზდონიანი, მიქაელ ოდარიანი, უხოჯელიანი, შქერიანი, იოანე ჯავესიანი, დემეტრე იფარელი, ჯემდინიანი, იოანე დალიდიანი, ქერაბინ ხოჯელანი, დემეტრე ლოდელიანი, ივანე მულახელი და მრავალი სხვ.

დასასრულ აღსანიშნავია ისიც, რომ წინა საუკუნეებში მოღვაწე ჩვენი წინაპრებიც განსაკუთრებული სისათუთით იხსენებდნენ და ინახავდნენ ძველ ქართველ მწიგნობართა სახელებს; სანიმუშოდ წარმოვადგენთ ნაწყვეტს XVI საუკუნის მოღვაწის - ბაგრატ ბატონიშვილის თხზულებიდან “მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ის-მაიტელთაჲ“: **“იყვნეს უკუე უწინარეს მოჰამედისა კაცნი წმინდანი და სასწაულთმოქმედნი, ნათესავით ქართველნი, დავით (ტბელი) და სტეფანე (ჰყონდიდელი)... რომელნი წარვიდეს იერუსალიმს და გვითარგმნეს ჩუენ წიგნები ყოველი ბერძნულისგან ქართულად“...**

ლიტერატურა

- ივ. ამირხანაშვილი, ქართული ლიტერატურის საყმაწვილო ისტორია: “ლიტერატურული საქართველო“, 2006, 28. VIII.
- გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
- Е. Такаишвили, Описание рукописей, Тбилиси, II, 1911.
- რ. თვარაძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1996.
- კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
- კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1961.
- Н. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, С.-Петербург, 1911.
- ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1992.
- ტ. ფუტყარაძე, ქართლი - ქართველთა “ფრიალი (მრავალი) ქვეყნის“ საერთო სახელი (რომელი ქვეყნები ითვლება ქართლად “გრ.ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით?); თსუ მესხეთის ფილიალისა და გრიგოლ ხანძთელის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, 17-18 აპრილი, 2003.
- ანანია ჯაფარიძე (მთავარეპისკოპოსი), პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, თბ., 2002.

ანანია ჯაფარიძე (მთავარეპისკოპოსი), ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), თბ., 2002.

2.4. ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საქართველოსა და უცხოეთში

2.4.1. კულტურის კერები ძველ საქართველოში. საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, მაგრამ წარმართული პერიოდის წერილობითი ძეგლები ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული; საგარაუდოა, რომ ადრინდელი ქართველური სახელმწიფოების (დაიანე, კოლხა, ანუ ძველი ქართლი) უძველესი კულტურული კერები საკულტო ცენტრებში არსებობდა. საქართველოში სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარებას შეეგვიძლია თვალი გავადევნოთ ადრექრისტიანული ხანიდან.

ქრისტიანობამ - ამ უაღრესად მწიგნობრულმა რელიგიამ საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანულ მწერლობას, შექმნა სკოლები... მაგალითად, ეგრისში (რომელიც, "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართლის ორგანული ნაწილი იყო) III-VI საუკუნეებში ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა - **ლაზთა აკადემია**, სადაც ასწავლიდნენ რიტორიკულ ხელოვნებას, ძირითადად ფილოსოფიასა და სამართლის საფუძვლებს; აგრეთვე: ლიტერატურას, მუსიკას, ასტრონომიასა და მათემატიკის ელემენტებს. აქ იზრდებოდნენ საუკეთესო ორატორები და პოლიტიკური მოღვაწეები. კოლხეთის აკადემია იმ დროს იმდენად მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი ყოფილა, რომ აქ განათლების მისაღებად მოდიოდნენ გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოსებიც კი.

ლაზთა აკადემიის შესახებ მოთხრობილია ბერძენი ფილოსოფოსის - თემისტიოსის - ერთ-ერთ წერილში. თემისტიოსსა და მამამისსაც რიტორიკული განათლება ლაზთა აკადემიაში მიუღიათ. აქ უსწავლია იოანე ლაზსაც.

თავდაპირველად, წარმართული ტრადიციის ინერციით, ქართული მწიგნობრული საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობდა მეფეთავართა და ეპისკოპოსთა კარზე, მაგრამ VII საუკუნიდან, როცა შესაძინევად განმტკიცდა **სამონასტრო ცხოვრება**, საგანმანათლებლო

ბლო და კულტურულ-ლიტერატურულ ცენტრებად იქცა **ეკლესია-მონასტრები**.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ძველ საქართველოში მონასტრები (როგორც რელიგიურ-კულტურული კერები) პირველად დაუარსებიათ ასურეთიდან ჩამოსულ **კაბადოკიელ მამებს**. მათი მოღვაწეობის პერიოდად ვარაუდობენ VI საუკუნეს. მომდევნო ხანაში კიდევ უფრო მრავლდებოდა ეკლესია-მონასტრებისა და მათთან პრაქტიკული მიზნით გახსნილი სკოლების რიცხვი. აქ ხდებოდა ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება... ასწავლიდნენ საღმრთო წერილს, გალობებს, ფილოსოფიას, უცხო ენებს.

საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის ახალი ეტაპი იწყება IX საუკუნიდან, როცა ქართველებმა, ერთი მხრით, გაიცნეს ბიზანტიური სკოლა და, მეორე მხრით, ახლო ურთიერთობა დაამყარეს უცხოეთში არსებულ ქართულ სამონასტრო კერებთან.

ამ პერიოდში საქართველოს კულტურულ კერებს შორის უპირველესი იყო **ტაო-კლარჯეთის ცენტრები**. ტაო-კლარჯეთი ძველთაგანვე დასახლებული ყოფილა ქართველებით: ჭანებით, მეგრელებით, ტაოელებით, მაჭახლელებით, აჭარლებით, ლივანელებით, შავშელებით... VI-VII საუკუნეებში აქ აუშენებიათ ქრისტიანული სალოცავები, რომლებიც VIII საუკუნის I ნახევარში მურვან ყრუმ გაანადგურა; ამ უბედურებას მალე დაემატა ჟამიანობა (ხოლერა)... მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა ეს მშვენიერი მხარე, განადგურდა აქაური ეკლესია-მონასტრებიც.

VIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთს კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე; მალევე განახლდა **ობიზის** იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი, რომელიც მოკლე დროში იქცა ამ კუთხის სამონასტრო ცხოვრებისა და ქართული მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად.

ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებისა და ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობა უცილობლად დაკავშირებულია **გრიგოლ ხანძთელის** სახელთან. გრიგოლ ხანძთელის ხელმძღვანელობით თითქმის სულიერ უდაბნოდ ქცეული ტაო-კლარჯეთი დაიფარა ეკლესიებით. გრიგოლმა აქ ააგო მამათა სამი და დედათა ორი მონასტერი. ამათგან მწერლობის ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო **მატბერდი**, სადაც შეიქმნა ჰადიმის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები, **მატბერდის** კრებული და ა.შ. არანაკლები

მნიშვნელობა ჰქონდა **ხანძის, იშნის, ოშკის, ხახულის, ბერთისა და პარხლის** მონასტრებსაც.

ტაო-კლარჯეთის მონასტრები გადაიქცა ქართული მწერლობის აკვნად. მათ დიდი როლი შეასრულეს ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში. აქაა შექმნილი უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც მოგვეპოვება IX-X საუკუნეებიდან. აქვე ჩამოყალიბდა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა, სადაც ქართველთა შემოქმედებითი ენერგია ისე გაიზარდა, რომ იგი გასცდა საქართველოს ფარგლებს და **გაგრძელდა საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო და სალიტერატურო წრეებში.**

XI-XII საუკუნეების საქართველოში ტრადიციად იქცა ნიჭიერი ყმაწვილების გაზზავნა საბერძნეთის სკოლებში სწავლა-განათლების მისაღებად. სწორედ ასეთი გზით მოხვდნენ უცხოეთში და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ **ეფრემ მცირე, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი** და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოეთში განათლებამიღებული ქართველები იქვე აარსებდნენ სემინარიებს, სასწავლებლებს და შემდგომ საკუთარი სკოლის ტრადიციები გადმოჰქონდათ სამშობლოში. ამ ასპექტით განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ცნობილია, რომ დავითმა **გელათის მონასტრის** დიდი ეკლესიის აშენების შემდეგ (1106 წ.) შემოიკრიბა სწავლული ქართველები, აქვე დააარსა **გელათის აკადემია**, რათა გელათი ქცეულიყო **მეორე ათინად თუ მეორე იერუსალიმად**. მართლაც, გელათის აკადემიამ მაშინდელ მსოფლიოში მალე გაითქვა სახელი და მოგვევლინა “სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა”.

XI-XII საუკუნეებში, როცა საქართველომ თავისი პოლიტიკურ-კულტურული განვითარების მწვერვალს მიაღწია, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სკოლები - აკადემიები შეიქმნა **გრემსა და იყალთოში.**

საქართველოში არსებული სწავლა-განათლების კერები ხელს უწყობდა ქართული მწერლობისა და ფილოლოგიური აზროვნების განვითარებას, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, უცხო ენებიდან ითარგმნებოდა მდიდარი ლიტერატურა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა უკუდავი “ვეფხისტყაოსანი”.

XIII საუკუნიდან საქართველო პოლიტიკურად იწყებს დასუსტებას, დაქვეითებას. შესაბამისად, თანდათან განადგურდა კულტურ-

რული მონაპოვარი, შეფერხდა სკოლების საქმიანობა, ზოგან კი მთლიანად შეწყდა... მაგრამ აღორძინების ხანიდან (XVII ს.) ჩვენში კვლავ გამოცოცხლდა კულტურა, ლიტერატურა, მწერლობა. განსაკუთრებით გამრავლდა ელემენტარული, პირველადწყებითი სკოლების რიცხვი თბილისში. გაჩნდა საშუალო სასწავლებლებიც. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **თბილისის სემინარია**, რომელიც გაიხსნა 1755 წელს ანტონ კათალიკოსის ინიციატივით (სემინარიის პირველ რექტორად დანიშნეს **ფილიპე ყაითმაზაშვილი**) და **თელავის სემინარია** (გაიხსნა 1782 წელს).

XVIII საუკუნეში საქართველოში სასკოლო-საგანმანათლებლო საქმე წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ ქვეყნის განვითარება შეაფერხა.

2.4.2. ქართული კულტურის კერები უცხოეთში. ძველი საქართველოს სასულიერო მწერლობისა და, საერთოდ, მეცნიერული აზროვნების განვითარებას ემსახურებოდა ქართველთა მიერ საზღვარგარეთ შექმნილი ეკლესია-მონასტრებიც.

“ყველაზე მნიშვნელოვან და მსხვილ საზღვარგარეთულ ცენტრებად ამ პერიოდში სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ **ივერიის მონასტერი** ათონის მთაზე, **სვიმეონ საკვირველმოქმედის სავანე** შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, **ჯვრის მონასტერი** პალესტინაში და **პეტრიწონის მონასტერი** მაკედონიაში“ (კ. კეკელიძე).

წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სამონასტრო კოლონიზაცია დაუწყიათ ჯერ კიდევ აღრექრისტიანულ ხანაში. თავდაპირველად ასეთ უახლოეს პუნქტებად ითვლებოდა პალესტინა და სირია.

პალესტინა. ქართველთა სამონასტრო ცხოვრება პალესტინაში სათავეს იღებს IV-V საუკუნეებიდან. პირველი პერიოდის მონასტრებიდან ცნობილი იყო **ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდორეს, საბას** ლავრები.

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **თეოდორეს სახელობის მონასტერი**, რომელიც უძველეს ძეგლებში მოხსენიებულია სხვადასხვა სახელით: “ქართველთა მონასტერი“, “ლაზთა მონასტერი“, “იბერთა მონასტერი“ (დღეს “ბეთლემის მონასტერსაც“ უწოდებენ).

წმ. თეოდორეს მონასტერი აგებული უნდა იყოს IV საუკუნეში ქართლის **მეფე ბაკურის** დროს. იგი V საუკუნეში (დაახლ. 440-იან

წლებში) განუახლებიათ **პეტრე იბერიელსა და იოანე ლაზს** (რომლებიც იქ მოღვაწეობდნენ სიკვდილამდე და იქვე დაიმარხნენ), VI საუკუნეში კი მომხდარა ამ ტაძრის ხელახალი აღდგენა-განახლება მამა ანტონის მიერ (შ. ნუცუბიძე).

პეტრე იბერიელმა მონასტერში შექმნა სკოლა, რომლის ბირთვს შეადგენდა სირიაში მყოფი ქართველობა. არსებობს მოსაზრება, რომ ამ სკოლაში სწავლამიღებული ქართველები სამშობლოში დაბრუნებულან, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია **ასურელ მამათა მოსვლის** სახელით.

პეტრე იბერიელის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარედ მიჩნეულია მამინდელი კულტურულ-საგანმანათლებლო კერების - ეკლესია-მონასტრებისა და სასტუმროების მშენებლობა, ქართველთათვის განკუთვნილი თავშესაკრები ადგილების შექმნა სირია-პალესტინაში. მისი თაოსნობით სირიაში დაარსდა ქართველთა კოლონია, სადაც, საეკლესიო-რელიგიურის გარდა, ეწეოდნენ ფართო ფილოსოფიურ-კულტურულ და სამწერლო ხასიათის საქმიანობას.

ქართველთა ამ უძველესი სავანის შესახებ ახალი და ფართო ინფორმაცია ჩვენში ცნობილი გახდა XX საუკუნის შუა ხანებში, როცა იტალიელი **ვირჯილიო კორბოს** მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად იერუსალიმში, ბეთლემის მახლობლად, აღმოჩენილ იქნა **ქართული მონასტრის** ნანგრევები უძველესი ქართული წარწერებით. სწორედ ამ წარწერათა მეშვეობით, სადაც მოხსენიებულია როგორც მეფე ბაკური, ისე ტაძრის განმანახლებლები - პეტრე იბერი (მურვანოსი) და ანტონი, დგინდება მონასტრის ისტორია. ბეთლემის (პალესტინის) წარწერები ქართული გრამატოლოგიის (დამწერლობათმცოდნეობის) მეტად ფასეული დოკუმენტია. უძველესი წყაროებით ირკვევა, რომ პალესტინაში ქართველებს ჰქონიათ **20-მდე სავანე**, რომელთაგან თავისი შემოქმედებითი საქმიანობით იმთავითვე გამორჩეული ყოფილა **საბაწმიდის ლავრა**. იგი დაუარსებია 483 წელს ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს - **საბა განწმედილს** (439-532 წწ.).

საბაწმიდის ლავრაში საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა მნიშვნელოვანი ძეგლები ქართულ, სირიულ, სომხურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე. მაგრამ მაინც საბაწმიდის სამონასტრო კერის ისტორიაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო VIII-IX საუკუნეები. ამ პერიოდში იგი იქცა საქრისტიანო მწერლობის ერთ-ერთ გამორ-

ჩეულ კერად: წარმოებდა ინტენსიური ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობა, გატარდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა; განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია, თარგმნითი ლიტერატურა, გახშირდა ხელნაწერთა გადაწერა, შემკობა-შემოსვა... აღიზარდნენ კალიგრაფები (მაკარი ლეთეთელი, გიორგი თბილელი, იოანე-ზოსიმე...).

ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც სინის მთაზე ინახება, VIII-IX საუკუნეებშია შექმნილი საბას ლავრაში. აქ უნდა შემუშავებულიყო ის ხელიც, რომელსაც **საბაწმიდურს** უწოდებენ. X საუკუნის დასაწყისიდან სხვაგვარად წარიმართა საბაწმიდის ტაძრის ბედი. არაბებმა უკვე ამკარად იწყეს ქართველების შევიწროება და მალე მათი გამუდმებული თავდასხმებისა და ძარცვის გამო სრულიად შეუძლებელი გახდა სავანეში ცხოვრება და მოღვაწეობა. ქართველებმა იძულებით მიატოვეს იქაურობა და მიაშურეს სხვა მონასტრებს, ძირითადად, სინის მთას. ახალ სადგომში თან გადაიტანეს როგორც სამონასტრო ტრადიციები, ისე აქ გადაწერილი და დამუშავებული წიგნების დიდი ნაწილი. სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა **საბაწმიდის ლავრამ**, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი უცხოეთში ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებს და რომლის შემოქმედებითი ცხოვრება ძლიერ ნაკადულად ერთვოდა იმ დიდ მდინარეს, რასაც ქართული ქრისტიანული კულტურა ჰქვია.

ჯვრის მონასტერი პალესტინის ქართული სამონასტრო ცენტრებიდან შედარებით გვიანდელია. მას შემდეგ, რაც XI საუკუნის პირველი მეოთხედიდან არაბთა პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი (განსაკუთრებით მონასტრებისადმი). რამდენადმე შეიცვალა, ამ ქვეყანაში ქართველთათვის შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების განახლება; XI საუკუნის I ნახევარში ცნობილმა მწიგნობარმა **გიორგი პროხორე შავშელმა** დააარსა **ჯვრის მონასტერი** საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით. ტაძრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმინდლის ბრძანებით. გადმოცემით, თითქოს მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისაგან უნდა იყოს გაკეთებული ის ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს (მონასტრის სახელსაც ამ ფაქტს უკავშირებენ). გიორგი შავშელს სავანეში შემოუყრებია 80-მდე ქართველი მოღვაწე. მათი ლიტერატურული საქმიანობა ძირითადად გამოიხატებოდა სხვა ავტორთა თხზულებების გადაწერაში, მაგრამ, პალესტინაში შექმნილი

პოლიტიკური ვითარების გამო, ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობას აქაც მალე დაემუქრა საშიშროება. 1071 წელს იერუსალიმის აღებისას თურქ-სელჩუკებმა ქართული სავანეც დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს. ცოტა ხნის შემდეგ იგი კვლავ აღადგინეს და მოხატეს დავით აღმაშენებლის დახმარებით. 1273 წელს მონასტერი გადააკეთეს მეჩეთად, მაგრამ საქართველოს მეფეების ჩარევით მალევე დაიბრუნეს იგი ქართველებმა და განაგრძეს სამონასტრო ცხოვრება.

ცნობილია, რომ XVII საუკუნის 40-იან წლებში **ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილს** ჯვრის მონასტერში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია: მოუხატვინებია კედლები და გუმბათი. ამ პერიოდში იერუსალიმის ქართველობასა და პალესტინის ჯვრის მონასტერს უდიდეს დახმარებას უწევდა სამეგრელოს მთავარი **ლევან დადიანი** (1611-1657). მისი ღვაწლი ასახულია მონასტრის ქართულ და ბერძნულ წარწერებში (ლ.მენაბდე).

ჯვრის მონასტერში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები: **არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე...** ტრადიციული გადმოცემით, აქ ერთხანს უმოღვაწეა **შოთა რუსთველსაც** (მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახულია მისი ფრესკული პორტრეტი XII-XIII საუკუნეებისა).

მკვლევართა აზრით, ჯვრის მონასტრის ქართული მწერლობა თავისი ხასიათითა და შინაარსით ფაქტობრივად არის **ათონისა და საბას ლავრის** ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელება.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე, მიუხედავად უცხოელთაგან მუდმივი თავდასხმებისა და დევნა-შევიწროებისა, **ჯვრის მონასტერი პალესტინაში მაინც რჩებოდა ქართული მწერლობის უმთავრეს ცენტრად.** XVIII საუკუნის დასასრულამდე ტაძარი ნომინალურად კვლავ ითვლებოდა ქართველთა საკუთრებად, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეს დიდებული სავანე მთლიანად დაიცალა ქართველთაგან და ყოვლად არაკანონიერად გადავიდა ბერძნების ხელში.

ს ი რ ი ა. აღმოსავლეთ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, **შავ ანუ საკვირველ მთაზე** არსებობდა ქართველთა სამონასტრო ცენტრები. შავ მთაზე ქართველები უკვე VII საუკუნიდან ეწეოდნენ სამონასტრო ცხოვრებას (კ. კეკელიძე). აქ მოღვაწეობდა **სვიმეონ მეს-**

ვეტე საკვირველმოქმედი, რომლის სახელი დაკავშირებულია ეკლესიის ისტორიასთან.

შავ მთაზე ინტენსიური მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა იწყება XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა აქ დასახლდა სამხრეთ საქართველოდან წამოსული ბევრი ცნობილი ფილოსოფოსი და მწიგნობარი: **გიორგი შეყენებული, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, საბა თუნარელი, ანტონ ტბელი** და სხვები. XI საუკუნის II ნახევარში შავ მთაზე 60-მდე ქართველი მოღვაწეობდა.

XIII საუკუნის ბოლოს შავი მთის მონასტრების ლიტერატურული საქმიანობა მთლიანად შეწყდა. როცა სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მაჰმადიან ქალაქად იქცა, მონასტერიც გავერანდა და დაინგრა. ქართველებმაც იძულებით მიატოვეს იქაურობა სამუდამოდ.

ა რ ა ბ ე თ ი ს ნახევარკუნძული. სინის მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით, სინის ნახევარკუნძულის სამხრეთ სექტორში. ცნობილია, რომ სინის მთაზე ჯერ კიდევ VI საუკუნიდან ცხოვრობდა თითო-ოროლა ქართველი, IX საუკუნეში დაარსდა ქართული სათვისტომო, რომელსაც მალე მიაშურეს X საუკუნეში არაბების ძალმომრეობით პალესტინაში შევიწროებულმა ქართველმა მოღვაწეებმა. შეიძლება ითქვას, რომ სინის მთის კოლონია საბაწმინდის მონასტრის პირდაპირი გაგრძელებაა.

სინის მთა, როგორც მიუვალი კუთხე, შედარებით მოსვენებული იყო მტრების შემოსევებისა და აოხრებისაგან, ამიტომ აქ უფრო არის დაცული და შემონახული თარიღიანი თუ უთარილო ძველი ქართული ხელნაწერები.

XI საუკუნეში დავით აღმაშენებელმა სინის მთაზე (ქორების მთაზე) ააგო ახალი ეკლესია და სენაკები ქართველ მოღვაწეთათვის, შემდგომში თამარ მეფეც უგზავნიდა უხვ შეწირულებას აქაურ ქართველებსა და მათს სავანეებს. ქართველ მეფეთა მფარველობის მეოხებით, სინის მთის სავანე კიდევ დიდხანს აგრძელებდა სამონასტრო ცხოვრებასა და ლიტერატურულ საქმიანობას, მაგრამ XV საუკუნიდან აქ უკვე საგრძნობლად შენედა ყოველგვარი მოღვაწეობა, XVII საუკუნეში კი ქართველებმა მთლიანად მიატოვეს იქაურობა, რადგან საქართველოსა და აღმოსავლეთშიც ოსმალთა

მხრიდან ისეთი პოლიტიკური სიტუაცია დამყარდა, რომ ქართული საგანის გადარჩენა შეუძლებელი გახდა.

სინის მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში თავი მოიყარეს ცნობილმა მწიგნობრებმა, პოეტებმა, კალიგრაფებმა, წიგნთა მმოსველებმა. ესენი იყნენ: **იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე, იოანე კუმურდოელი, მაკარი ლეთეთელი** და სხვები. სწორედ მათი ერთობლივი მოღვაწეობით შეიქმნა უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც ნათლად წარმოაჩინეს აქაურ ქართველთა მრავალფეროვან ლიტერატურულ ინტერესებს. X საუკუნეში აქვე ჰქონიათ არა მხოლოდ ბიბლიოთეკა, არამედ სამკითხველო დარბაზი და სპეციალური კატალოგიც. ქართული კულტურის ისტორიაში სინის მთის მონასტრის მნიშვნელობა მეტად ფასეულია იმ მხრივაც, რომ უძველეს ქართულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი აქაური საგანის მეშვეობით შემოგვენახა. ბევრი ამათგანი დღესაც სინის მთაზეა დაცული, ზოგი კი ინახება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, პრაღის, გრაცის, აშშ-ისა და სხვა ბიბლიოთეკებში.

ბ ი ზ ა ნ ტ ი ა. ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია ბიზანტიაში VIII-IX საუკუნეებიდან დაწყებულია. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს **ილარიონ ქართველს**, რომელსაც ბიზანტიაში დაუარსებია ორი ქართული მონასტერი: ერთია **ოლიმპის** ანუ **ულუმბოს მონასტერი** მცირე აზიის ბიზენიაში (სადაც ილარიონი მოსულა 864 წელს) და მეორე - **“ქართველთა მონასტერი ჰრომანას“** (აგებული იმპერატორ ბასილის მიერ 876 წელს ილარიონის ნაწილთა დასასვენებლად).

ამ დროისათვის ოლიმპოს მთაზე ქართველებს ჰქონიათ სამი სხვა ეკლესიაც: **ქუაბი** ან ეკლესია წმიდისა ღვთისმშობლისა, **კოზმან-დამიანე** და **ლავრა კრანია**.

წერილობითი წყაროების მიხედვით, ულუმბოს მონასტერში იმთავითვე მიმდინარეობდა ლიტერატურული საქმიანობა, რამაც უფრო ინტენსიური სახე მიიღო მას შემდეგ, რაც აქ დამკვიდრდა მამა-შვილი **იოანე** და **ექვთიმე**. იოანე ყოფილა სამცხის წარჩინებული ოჯახის შვილი. ქრისტეს სიყვარულის გამო მან მიატოვა სამშობლო, სახლი, დიდება, ცოლ-შვილი... ფარულად აღიკვეცა ბერად, შემდეგ გახდა ულუმბოს მონასტრის ძმობის წევრი, აქვე მოიყვანა თავისი მცირეწლოვანი უმცროსი შვილი ექვთიმე. მამა და შვილი ერთგულად ემსახურებოდნენ ქრისტესაც და ქართულ მწიგ-

ნობრობასაც. 965 წელს იოანე შვილითურთ გადავიდა **ათონის მთაზე ათანასეს ლავრაში**. იოანემ აქაც დიდად გაითქვა სახელი.

ექვთიმეს ბიოგრაფის ცნობით, როდესაც ექვთიმემ კარგად შეისწავლა ქართული და ბერძნული ენები, მამამ უთხრა: **“შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან... და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაძღვებია შენდა; აწ ილუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“**... და იგი ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილ, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად“ (კ. კეკელიძე).

ათანასეს ლავრაში ძმობის წევრთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. მალე მათ შეუერთდა ცნობილი ქართველი მხედართმთავარი **თორნიკე**, რომელიც იოანემ ბერად აღკვეცა იოანეს სახელით. რადგანაც ლავრაში ქართველთა რიცხვი სისტემატურად მატულობდა, ამიტომ იქვე ახლოს დამატებით ააშენეს **იოანე მახარობლის** ეკლესია და სენაკები ძმათათვის.

980-983 წლებში **ათონის** წმინდა მიწაზე ტაო-კლარჯეთის სავანეებში აღზრდილი მოღვაწეების მიერ დაარსდა **ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი**. დამაარსებელია **იოანე** (შემდგომში ცნობილი იოანე ათონელი); მან თორნიკე ერისთავის მიერ ბრძოლებში მოპოვებული სიმდიდრის ნაწილით ააგო ეს დიდებული ტაძარი, რომელიც მთელ იმ მხარეში გამორჩეული იყო მშვენიერებით, სილამაზით და განთქმული - სიმდიდრით.

თავდაპირველად მონასტრის წინამძღვართა გადაწყვეტილებით, სავანეში არ უნდა შეეშვათ ბერძნები, მაგრამ დაბალი სამსახურისათვის მაინც გახდა აუცილებელი ბერძნების მიწვევა. სამწუხაროდ, რაც დრო გადიოდა, მონასტერში მათი რიცხვი მატულობდა... სიმდიდრეს დახარბებული ბერძნები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ტაძარს, გაძარცვეს და მოინდომეს ქართველების სრულიად განდევნაც კი.

საქართველოს ხელისუფალთა ჩარევით, ქართველები XIII საუკუნის ბოლომდე ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ მონასტერს, მაგრამ XIV საუკუნის დასაწყისისათვის, როცა თანდათან სუსტდებოდა საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე, ათონის სავანეშიც შესამჩნევად მცირდებოდა ქართველობა... XIV საუკუნის II ნახევარში კონსტანტინოპოლის პატრიარქის - კალისტეს დადგენილებით მონასტრის წინამძღვრად და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველებს აღარ ნიშნავდნენ. მართალია, ქართველები მონასტრის

ოფიციალურ პატრონებად მომდევნო საუკუნეებშიც ითვლებოდნენ, მაგრამ ფაქტობრივად ბერძნები განაგებდნენ ყოველივეს და, ბოლოს, XIX საუკუნეში, როცა საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ქართველები ათონის მთიდან და დაეპატრონნენ ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლს, “ჩვენი წინაპრების ნაჭირნახულევს“.

ათონის ივერთა მონასტერი ბიზანტიაში იყო ქართული სულიერი კულტურის მძლავრი კერა, ქართული ეროვნული იდეის მატარებელი. მონასტერში თავი მოიყარეს ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ძალებმა. აქაურ ლიტერატურულ სკოლას სხვადასხვა დროს წინამძღვრობდნენ **იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი**. აქვე მოღვაწეობდნენ **სტეფანე ათონელი, არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისძე** და სხვ. აქ, ათონზე, ჩამოყალიბდა განსაკუთრებული **სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა**, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში.

ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა ბევრი ორიგინალური თხზულება, ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები, ბიბლიის ტექსტები (რომლებმაც კანონიკური უფლებაც მოიპოვეს). საგულისხმოა ისიც, რომ ქართულ ენაზე არსებული აქაური ლიტერატურა ითარგმნებოდა ბერძნულ თუ სხვა ენებზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით ფასეულია ექვთიმე ათონელის მიერ ქართულიდან ბერძნულად ნათარგმნი **“სიბრძნე ბალავარისი“** - აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტურ-დოგმატური ხასიათის თხზულება, რომელიც წარმოადგენს ბუდას ცხოვრების გადმოკეთებას **საქრისტიანო მოთხრობად**.

მკვლევართა აზრით, ამ თხზულების თავდაპირველი რედაქცია, რომელიც, თავის მხრივ, გადმოკეთებული უნდა იყოს არაბულიდან არაუგვიანეს VIII საუკუნისა, გახდა ბერძნული თარგმანის დედანი და სწორედ ამ გზით გავრცელდა თხზულება მთელს ევროპულ ლიტერატურაში (პ.პეტერსი, მ.თარხნიშვილი).

ირკვევა, რომ ათონელ წმინდა მამათა მოღვაწეობა მხოლოდ მწიგნობრულ-მთარგმნელობითი საქმიანობით როდი შემოიფარგლებოდა. ათონის სავანე X-XII საუკუნეებში მტკიცე ბურჯად ედგა ჩვენს კულტურასა და სავანმანათლებლო სისტემას როგორც საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში, ისე საქართველოში. მაგალითად, სწორედ ექვთიმეს დავალებითა და ხელშეწყო-

ბით დაუწყია გიორგი შავშელს ჯვრის მონასტრის შენება... გიორგი მთაწმინდელს საქართველოდან ბიზანტიაში წაუყვანია 80 ყმაწვილი განათლების მისაღებად და ა.შ. “ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტერს“ (კ.კეკელიძე).

მ ა კ ე დ ო ნ ი ა. საზღვარგარეთის ქართულ საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **პეტრიწონის მონასტერს**, რომელიც აუშენებია **გრიგოლ ბაკურიანისძეს** 1083 წელს მაკედონიაში, სოფელ პეტრიწოში (ახლანდ. ბულგარეთში, სოფ. ბაჩკოვო, ქ. პლოვდივის ახლოს). მონასტერს სახელწოდებაც ამ სოფლის მიხედვით დაერქვა.

გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნება ყოფილა. განათლებულმა, ენერგიულმა და ჭკვიანმა ბიზანტიის იმპერატორის კარზე მალე გაითქვა სახელი და ბიზანტიის ჯარების ხელმძღვანელიც გახდა. საბრძოლო წარმატებისათვის იმპერატორებმა გრიგოლს უბოძეს დიდძალი სიმდიდრე და დაუმტკიცეს სამფლობელოდ სოფელი პეტრიწო. სწორედ ამ მამულში იქნა აგებული მონასტერი გრიგოლისა და მისი ძმის - აბაზის ძვლების განსასვენებლად.

მონასტრის მთავარი ტაძარი **ღვთისმშობლის სახელობისა** იყო, ხოლო სხვა ორი პატარა ეკლესია ატარებდა **იოანე ნათლისმცემლისა** და **მთავარმოწამე გიორგის** სახელს.

გრიგოლს ქართულ და ბერძნულ ენებზე თავად შეუდგენია მონასტრის ტიპიკონი (წესდება), სადაც იყო განსაზღვრული მონასტრის მკვიდრთათვის სავალდებულო წესები და თანვე ხაზგასმით მითითებული, რომ მონასტერი აშენდა მხოლოდ ქართველთათვის (ამიტომაც უწოდებდა გრიგოლი “ქართველთა ანუ ივერიელთა მონასტერს“).

ტიპიკონის წესების გამკაცრება და ძმობის წევრად გახდომაზე კონტროლი გრიგოლის მხრიდან უთუოდ იმითაც იქნებოდა გამოწვეული, რომ საზღვარგარეთ ყველასათვის ცნობილი იყო ბერძენთა აშკარა ცდა და განსაკუთრებული ინტერესი ქართველთა სავანების დაპატრონებისა.

პეტრიწონის მონასტერი არ ემორჩილებოდა არც ერთ ადგილობრივ საეკლესიო და საერისკაცო ხელისუფალს. შედგებოდა 50 ბერისაგან. მონასტრის პირველი წინამძღვარი გრიგოლი იყო. მისი სიკ-

ვდილის შემდეგ ბერები თავად ირჩევდნენ წინამძღვარს. ღირსსაც-
ნობია ისიც, რომ ამ პერიოდის საზღვარგარეთის სამონასტრო კერე-
ბიდან მხოლოდ პეტრიწონის მონასტერთან არსებობდა **სემინარია**,
სადაც მონასტრისათვის სამღვდლოდ ამზადებდნენ **ქართველ ბავშ-
ვებს**. სემინარიაში შესვლა შეეძლო მხოლოდ ქართული წერა-
კითხვის მცოდნეს; სწავლებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

სემინარიაში ასწავლიდნენ კონსტანტინოპოლის **მანგანის
აკადემიიდან** (დააარსა კონსტანტინე მონომახმა 1044-1047
წლებში) გამოსული ქართველი მოღვაწენი. ვარაუდობენ, რომ სემი-
ნარიაში ასწავლიდა სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსი
იოანე, რომელსაც მონასტრის მიხედვით მიუღია ზედწოდება
პეტრიწი.

XI-XII საუკუნეებში პეტრიწონის მონასტერი გახდა ჩვენი
მწერლობის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი. იქაურ მწიგნობრულ
საქმიანობას, ტრადიციული აზრით, თითქმის ოცი წლის მანძილზე
ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომლის ლიტერატურულ-
ფილოსოფიურმა სკოლამ (პეტრიწონულმა სკოლამ) კიდევ უფრო
დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს. პეტრიწონის
მონასტერში მოღვაწე ქართველებმა ფილოსოფიური წიგნების
თარგმნითა და კომენტირებით ხელი შეუწყვეს ქართული
ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას, ფილოსოფიური ტერ-
მინოლოგიის შექმნას. საქართველოში პეტრიწონის სკოლის ტრა-
დიციები გავრძელდა გელათის მონასტერში, განსაკუთრებით მას
შემდეგ, რაც აქ გადმოსახლდა იოანე პეტრიწი.

XIII საუკუნის დასაწყისში (1204 წელს, ზოგი ცნობით - 1189
წელს) ჯვაროსნებმა პეტრიწონის მონასტერი დაარბიეს და
გაძარცვეს. ამიტომ მონასტრის საქმიანობა ძალიან შეფერხდა, მა-
გრამ XIV საუკუნის დამდეგამდე აქ ჯერ კიდევ იყო ქართული ელე-
მენტი, შემდგომ კი იქაურობას მთლიანად დაეპატრონენ სრულიად
სხვები.

დასასრულ, როგორც პეტრიწონის მონასტრის, ისე უცხოეთის
სხვა ქართული ცენტრების მოღვაწეობა და, საზოგადოდ, მათი
მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში შეიძლება
შევაფასოთ **ივ. ჯავახიშვილის** სიტყვებით: “საზღვარგარეთული
მონასტრები, რომელნიც გაშენებულნი იყვნენ ბიზანტიური სწავლა-
განათლებისა და საღვთისმეტყველო-საეკლესიო მწერლობის ყველა
უმთავრეს ცენტრში, სადაც ისინი სრული ავტონომიით სარგე-

ბლობდნენ, საშუალებას აძლევდნენ ქართველებს უფრო ადვილად ედევნებინათ თვალყური მაშინდელი განათლებული კაცობრიობის წარმატებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ მას“ (1949, გვ. 314).

ლიტერატურა

- კ. დანელია**, ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან: “ცისკარი“, 1990, №8.
- ავთ. იოსელიანი**, ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- კ. კეკელიძე**, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
- ივ.ლოლაშვილი**, იოანე პეტრიწი, “სათნოებათა კიბე“, თბ., 1968.
- დ.მელიქიშვილი**, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
- დ.მელიქიშვილი**, გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა (აკადემია), ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1993, №1, გვ. 6-24; №2, გვ. 3-25.
- ლ. მენაბდე**, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I-II, თბ., 1980.
- შ.ნუცუბიძე**, პეტრე იბერიელი და ფსევდო-დიონისეს თხზულებანი, თბ., 1952.
- შ.ნუცუბიძე**, პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები, “მნათობი“, 1959, №1.
- ზ.სარჯველაძე**, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ჟ. ფეიქრიშვილი**, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1992.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია**, თბ., 1975-87.
- ა. შანიძე**, ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1986.
- ვ. ჩაჩანიძე**, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974.
- ზ. ჭუმბურიძე**, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983.
- ივ. ჯავახიშვილი**, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949.

2.5. ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში

2.5.1. უცხოელი ქართველოლოგები. საზღვარგარეთული ქართველოლოგია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. საქართველოს შესახებ აღწერითი ხასიათის ცნობებს პირველად ვხვდებით ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების (ჰეროდოტეს, არისტოტელეს, სტრაბონის, პლინიუსის, ტაციტუსის, აპიანესა და სხვ.) ნაშრომებში. ამ ასპექტით ფასეულია აგრეთვე IV-XV საუკუნეების ბიზანტიელ ავტორთა ცნობები და XIII-XV საუკუნეების დასავლეთ ევროპის მოგზაურთა ჩანაწერები, სადაც აღწერილია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ბუნება, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, არამედ მითითებულია ამ მხარის კულტურის უძველესობაც. მაგრამ მეცნიერული ქართველოლოგია ძირითადად იწყება XVII-XVIII საუკუნეებიდან. ამიერიდან ევროპის ქვეყნებში ქართული კულტურის საფუძვლიანი შესწავლა ფართო ხასიათს იღებს. უცხოელთათვის განსაკუთრებით საინტერესო კვლევის ობიექტად იქცა ქართული ენა - მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენა.

დღეს კიდევ უფრო მასშტაბურია ქართველოლოგიური კვლევა. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში (იტალია, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია, ესპანეთი, ნორვეგია, ბელგია, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ჩინეთი, იაპონია...) არსებობს ქართველოლოგიური ცენტრები, სადაც სწავლობენ და მეცნიერულად იკვლევენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და კულტურას. აქ იზრდებიან უცხოელ ქართველოლოგთა თაობები (ამჭერად მოკლედ ვისაუბრებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე).

ი ტ ა ლ ი ა

თანამედროვე საზღვარგარეთული ქართველოლოგიური ცენტრებიდან ყველაზე ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს იტალიას. ცნობილია, რომ ევროპელთაგან პირველად იტალიელები დაინტერესდნენ ქართული ენითა და დამწერლობით, ლიტერატურითა და კულტურით. აქ XVII საუკუნის I მეოთხედიდან დაიწყო ფართო ხასიათის ქართველოლოგიური საქმიანობა, რაც განაპირობა იტალიელი მისიონერების მოღვაწეობამ საქართველოში. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით **ანტონიო ჯარდინას, სტეფანე პაოლონის, ფრანცისკ მარიო მაჯოს, ბერნარდო ნეაპოლელს, კრისტოფორო დე კასტელის, პიეტრო დელავალეს** და სხვებს.

საგულისხმოა ისიც, რომ პირველი ქართული წიგნი სწორედ ამ ქვეყანაში დაიბეჭდა - 1629 წელს. **სტეფანე პაოლინიმ** და **ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა** (ირბახმა) შეადგინეს და რომში გამოსცეს **“ქართულ-იტალიური ლექსიკონი”**.

იტალიელი მისიონერები საქართველოში აარსებდნენ სკოლებს, სადაც ქართველ ბავშვებს ასწავლიდნენ საკუთარი გრამატიკებითა და ლექსიკონებით. საქართველოში ყოფნის დროს **კრისტოფორო დე კასტელის** შეუდგენია **სურათების ალბომი**, რომლის ნახატებიც ცოცხლად წარმოაჩინენ XVII საუკუნისდროინდელ საქართველოს, განსაკუთრებით კი იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიის უცნობ მასალებს. ბევრ მათგანს საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბიეტრო დელავალემ რომში ჩაიტანა უძველესი ქართული ხელნაწერი (ოთხთავი) და საფუძველი ჩაუყარა ევროპაში ქართულ ხელნაწერთა შეკრებას.

ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში მეტად ფასეულია **“ქართული ენის გრამატიკა”**, რომელიც ლათინურ ენაზე დაწერა **ფრანცისკ მარიო მაჯომ** და 1643 წელს დაბეჭდა რომში (მეორედ გამოიცა 1670 წელს). მართალია, ამ გრამატიკაში ზოგი ენობრივი მოვლენა არასწორადაა ახსნილი, მაგრამ საერთოდ იგი საყურადღებო დასკვნებსაც შეიცავს. სანამ მარი ბროსეს გრამატიკა გამოვიდოდა, ევროპელები მაჯოს შრომით ეცნობოდნენ ქართულ ენას (არნ. ჩიქობავა).

შეიძლება ითქვას, რომ იტალიელმა მისიონერებმა ქართული ენის შესახებ შექმნეს სერიოზული გრამატიკული ლიტერატურა და ერთგვარად შეუწყვეს ხელი გრამატიკული მეცნიერების დანერგვას საქართველოში.

1722 წელს ნეაპოლში დაარსდა აღმოსავლურ ენათა კოლეჯი, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტად. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი კავკასიის ხალხთა ენის, ისტორიისა და კულტურის მეცნიერულ შესწავლას. ამ დროიდან უცხოელი მეცნიერები საგანგებოდ მსჯელობდნენ ქართული ენის წარმოშობისა და ნათესაობის შესახებ. მაგალითად, იტალიაში მოღვაწე **ლორენცო ერვასი** შეეცადა, ქართული ენა დაეკავშირებინა ბერძნულ-ლათინურთან. იგი მიუთითებდა აგრეთვე ევროპელი და კავკასიის იბერების ნათესაობაზე. ერვასიმ 1787 წელს გამოსცა მრავალენოვანი ლექსიკონი. ქართულის გარდა, იგი ყურადღებას

აქცევდა სხვა ქართველურ ენობრივ ერთეულებსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში მან პირველმა დაბეჭდა ჭანური დიალექტის ორი ნიმუში (ტექსტი).

იტალიაში ქართველოლოგიური მუშაობა უფრო მრავალმხრივი გახდა XX საუკუნის დასაწყისიდან, რასაც, ერთი მხრით, დიდად შეუწყო ხელი იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მეცნიერების: მ. თამარაშვილის, მიხ. თარხნიშვილის, შ. ბერიძის მოღვაწეობამ და, მეორე მხრით, პროფ. ბერნარდო ბარბიელინის მეცნიერულმა ინტერესებმა.

1935 წელს ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის განახლებულ ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ორიენტალისტი, გრაფი ბ. ბარბიელინი. იგი ერთხანს თურმე საქართველოშიც ცხოვრობდა, კარგად გაუცვნია ჩვენი ხალხის კულტურა და ისტორია (უმოგზაურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში), პრაქტიკულად შეუსწავლია ქართული ენა... დაუწერია ნაშრომი: “ვინ არიან ხევსურნი“.

1936 წელს ბარბიელინიმ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დააარსა ქართველოლოგიის კათედრა, აქვე შეიქმნა “კავკასიის კაბინეტი“. ინსტიტუტში ახლო აღმოსავლეთის შემსწავლელ სტუდენტთათვის შემოღებულ იქნა **ქართული ენის სავალდებულო ორწლიანი კურსი**. ბარბიელინის მიწვევით, ქართველოლოგიის კათედრას 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ევროპაში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი შ. ბერიძე, კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

დღეს ქართველოლოგიის მძლავრი ცენტრები არსებობს ვენეციისა და მილანის უნივერსიტეტებში. 1987 წელს ვენეციის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრა დააარსა ცნობილმა ქართველოლოგმა **ლუიჯი მაგაროტომ**. იგი საქართველოს ხშირი სტუმარია. საფუძვლიანად ფლობს ქართულ ენას, იკვლევს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს, ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას უცხოელ სტუდენტებს, თარგმნის ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს. სწორედ მთარგმნელობითს საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის 1999 წელს ლუიჯი მაგაროტოს მიანიჭეს ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრის **მარჯორი უორდროპის სახელობის პრემია**. ღირსსაცნობია ისიც, რომ ვენეციის უნივერსიტეტში ქართული ენა ისწავლება დამოუკიდებელ საგნად. ქართველოლოგიურ ცენტრს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა,

გამოდის ჟურნალ “გეორგიკას“ იტალიური სერია... და, რაც მთავარია, იტალიის ქართველოლოგიურ ცენტრებში ნაყოფიერად მოღვაწეობენ ახალგაზრდა ქართველოლოგები: **ჯორჯო როტა, ლუკა ტაუფერი, ანდრია ფერირაზი, ჯულია ჯეროდი, ერიდანო ბასარელი, ჯორჯო ძიფერი, ბოლოს ზეკიანი, მარცელა ფრანგიპანე** და სხვ.

თანამედროვე იტალიელი ქართველოლოგია მამა **ლუიჯი მანტოვანი**. იგი 1998 წლიდან საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს, როგორც კათოლიკე მღვდელი, უაღრესად განათლებული პიროვნება. ფლობს რამდენიმე ევროპულ ენას, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესით ქართულ ენას იკვლევს. თანამემამულეებისათვის (ვისაც ქართული ენის შესწავლის სურვილი აქვს) დაწერა **“ქართული ენის მცირე გრამატიკა“** და **“ქართული ენის სავარჯიშოების მცირე კრებული“**; გარდა ამისა, 2006 წელს გამოიცა მამა ლუიჯის მიერ შედგენილი ვრცელი **“იტალიურ-ქართული ლექსიკონი.“**

გერმანია

გერმანიაში (გერმანულენოვან ქვეყნებში) ქართველოლოგიური ცენტრი გამორჩეულია მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობითა და მდიდარი ტრადიციებით. მართალია, ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან მოყოლებული გერმანელი, ავსტრიელი, შვეიცარიელი მოგზაურები, დიპლომატები, მეცნიერები, წმიდა მამები საქართველოში ჩამოდიოდნენ სხვადასხვა მიზნით და მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ცნობებს აწვდიდნენ თანამემამულეებს ამ ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ, მაგრამ ქართველოლოგიის სათავედ მაინც XVII საუკუნე ითვლება, როცა გერმანელთა წიგნებში პირველად გაჩნდა ცნობები ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ.

საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში დაიწყო გერმანელებმა მსჯელობა ქართველური ენების ნათესაობის შესახებაც. მაგალითად, გ.ლაიბნიცმა (1647-1716წწ.) პირველმა სცადა მოეძებნა მსგავსება ქართულსა და ინდოევროპულ ენებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ლაიბნიცის დასკვნები ზოგჯერ არ ეყრდნობოდა დამაჯერებელ ფაქტობრივ მასალას, მაინც, საერთოდ, ამ დიდი ავტორიტეტის შრომებში მოცემულ მსჯელობას ქართული ენის შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთის სამეცნიერო წრეებში ქართული ენის პრობლემებისადმი ინტერესის გამოჩენის თვალსაზრისით (არნ. ჩიქობავა).

კავკასიური (მათ შორის ქართველური) ენების შესახებ საინტერესო დაკვირვებებია წარმოდგენილი მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოსოფოსის - **ფრიდრიხ მიულერის** შრომებში “ქართული ზმნის უღვლილების შესახებ“, “ქართული შრიფტის წარმომავლობის შესახებ“, “კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“ და ა.შ. ფრ. მიულერმა ქართველურ ენათა ნათესაობასთან დაკავშირებით წამოაყენა ახალი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ქართველურ-კავკასიური ენები არ ენათესავენ მსოფლიოში არსებულ არც ერთ ენას; მათ სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავთ მსოფლიოს ენათა სისტემაში - ქმნიან ცალკე დამოუკიდებელ ოჯახს.

XIX საუკუნის II ნახევრიდან გერმანელ ქართველოლოგთა მეცნიერული კვლევის სფეროში, ამ ზოგადი ენობრივი პრობლემების გარდა, წმინდა ლინგვისტური საკითხებიც მოექცა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვდა ქართული ენის პრაქტიკულ ცოდნას და მისი რთული (ევროპულ ენათაგან სრულიად განსხვავებული) სტრუქტურის დაწვრილებითს ანალიზს. ამ ასპექტით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ადოლფ დირის** (1867-1930 წწ.) საქმიანობა. იგი 1902-1913 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში, სწავლობდა ამ კუთხის ხალხთა ყოფასა და ენებს.

ა. დირის მრავალრიცხოვან ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან განსაკუთრებით ფასეულია გერმანულ ენაზე გამოცემული “თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა“ (1904), “კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“ (1928 წ.) და ა.შ. “ა. დირის ქართველოლოგიურ ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა“ (არნ. ჩიქობავა).

ამ პერიოდის ქართველოლოგიური კვლევის ისტორიაში განუზომელია ავსტრიელი მეცნიერის, გრაცის უნივერსიტეტის სახელგანთქმული პროფესორის - **ჰუგო შუხარდტის** (1842-1927 წწ.) ღვაწლი. მსოფლიო ლინგვისტური მეცნიერების კორიფე ბავშვობიდანვე გამორჩეული ყოფილა უცხო ენების ადვილად ათვისების განსაკუთრებული უნარით. **გერმანიკული ენების** გარდა, იცოდა **კელტური, სლავური, რომანული ენები, ებრაული, არაბული, უნგრული, ბასკური...** საფუძვლიანად შეუსწავლია **კავკასიური ენები**, მათ შორის, ძველი და ახალი **ქართული**, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილად არის “მეტად თავისებური, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა“.

3. შუხარდტი სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას, ადვილად ერკვეოდა მის სტრუქტურულ თავისებურებებში, ამიტომ იყო, რომ მან პირველმა მიუთითა ზოგ ისეთ ენობრივ მოვლენაზე, რომელიც მაშინ თვით ქართველი სპეციალისტებისათვისაც კი უცნობი იყო. მაგალითად: აბრუპტივების (მკვეთრი თანხმოვნების) თავისებურება ქართულში, მახვილის ბუნება, მოქმედებითი ბრუნვის -ივ ნიშნიანი ვარიანტი, მოთხრობითი ბრუნვისა და გარდამავალი ზმნის რაობა (ერგატიული კონსტრუქცია), დიალექტებში -ყე ნაწილაკის გამოყენება ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად და ა.შ.

3. შუხარდტს საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქართველურ ენათა ნათესაობაზეც. ლინგვისტიკაში მანვე გაუკაფა გზა ტერმინს “ქართველური ენები”.

3. შუხარდტმა გადაარჩინა და ქართულ კულტურას შემოუნახა რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი, მათ შორის - VII საუკუნის **ხანმეტი ლექციონარი**. საგულისხმოა, რომ უცხოელმა მეცნიერმა ხანმეტი ტექსტის შესწავლა იმ დროს დაიწყო, როცა საქართველოში საერთოდ არაფერი იცოდნენ ხანმეტობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ა. შანიძე კიდევ წერდა: “3. შუხარდტს თითქმის სწორად გაუგია ხანმეტობის არსი, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ხანმეტი ძეგლების შესწავლის წამოწყება პირველად მაინც შუხარდტის სახელთან იქნება დაკავშირებული”.

3. შუხარდტი იყო არა მარტო უძლიერესი მეცნიერთეორეტიკოსი, არამედ პრაქტიკოსი მასწავლებელიც. გრაცის უნივერსიტეტში მან შეადგინა ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტთა ჯგუფი.

XX საუკუნეში კიდევ უფრო მრავალმხრივი გახდა ქართველოლოგიური საქმიანობა გერმანიაში. ათეულობით უცხოელი იწყებს ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის საფუძვლიან შესწავლასა და მეცნიერულ კვლევას. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთმა მათგანმა დისერტაციაც კი დაიცვა ქართველოლოგიის საკითხებზე და მეტად ფასეული მეცნიერული დასკვნებით გაამდიდრა ქართული ლინგვისტიკა. ესენი არიან: **გერჰარდტ დეეტერსი, არტურ ლაისტი, ჰუგო ჰუპერტი, გერტრუდ პეჩი, იულიუს ასფალგი** და სხვები.

გერმანიაში (იენა, მიუნხენი, ბერლინი, ჰალე, ოლდენბურგი, ბონი...) დღესაც აქტიურად მოღვაწეობენ და საყურადღებო ქართ-

ველოლოგიური ხასიათის ნაშრომებსა და სალექსიკონო ბაზებს ქმნიან: **კარლ ჰორსტ შმიდტი**, **ჰაინც ფენრიხი**, **იოსტ გიპერტი**, **ვინფრიდ ბოედერი**, **შტეფი იუნგერ-ხოტივარი**, **ქრისტიანე ლინტენფელდი**, **ჰუბერტ ფენზენი**, **ულრიხ ბოკი**, **ვიქტორია რუიკა ფრანცი**, **აჰმეთ იუნალი**, **ვოლფგანგ შულცე**, **ელმარ კრისტმანი**, **ბერნარდ კომრი**, **ჰარალდ კომრი**, **ჰერმან ჰარცინგერი**, **იორგ ფასბინდერი**, **ესკარტ ოლსჰაუზენი**, **რალფ-ბერნჰარდ ვარტკე**, **ჰარალდ ჰაუბტმანი**, **ზიგმარ ფონ შნურბაინი**, **ვინფრედ ორთმანი**, **ერნსტ პერნიცკა**, **ჰარტმუტ კიუნე...**

ქართველოლოგიაში გამორჩეული ღვაწლი აქვს **ჰაინც ფენრიხს**. იგი მეტად მრავალმხრივი შემოქმედია. მისი კვლევის საგანია როგორც ენათმეცნიერება, ისე ქართული ლიტერატურა და კულტურის ისტორია; თარგმნის გერმანულად ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. ჰ.ფენრიხის მრავალრიცხოვან ქართველოლოგიურ ნაშრომთაგან განსაკუთრებით ფასეულია “ქართული ენის მოკლე გრამატიკა” (1986), ა. შანიძის “ძველი ქართული ენის გრამატიკის” გერმანული თარგმანი, “ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი” (გამოცა 1990 წელს თბილისში, თანაავტორია ზ. სარჯველაძე) და ა.შ.

ჰ.ფენრიხი შესანიშნავად ფლობს ძველ და სასაუბრო ქართულს, მეგრულ-ჭანურ-სვანურსა და რამდენიმე ჩრდილოეთ კავკასიურ ენასაც.

ქართველოლოგიაში მიღწეული დიდი წარმატებისათვის ჰ. ფენრიხი დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ქართველოლოგიურ საქმიანობას ხელს უწყობს ქართული კლუბები და სათვისტომოები, ქართველი და გერმანელი კოლეგების მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა. იენის ფრ. შილერის სახელობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები ერთობლივად სცემენ ქართველოლოგიურ ჟურნალს - **“გეორგიკას”** (რომლის ერთ-ერთი რედაქტორი და გამომცემელია ჰაინც ფენრიხი), პარალელურად იენის უნივერსიტეტში გამოდის სამეცნიერო ჟურნალი: **“ენათა ფორმები და შინაარსი”**. ორივე ჟურნალში სისტემატურად იბეჭდება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის საკითხებზე.

ა მ ე რ ი კ ა

აწმ-ში ქართველოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა **რობერტ ბლეიკმა** (1886-1950 წწ.); იგი სან-ფრანცისკოდანაა. 1908 წელს დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტის კლასიკური ბერძნულის განყოფილება. შემდეგ ერთდროულად სწავლობდა ჰარვარდისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1914 წელს რ. ბლეიკი, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, მიავლინეს კავკასიაში, სამაგისტრო გამოცდები ჩააბარა ქართული სიტყვიერების დარგში. რ. ბლეიკი იყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი. გამოსცა ქართული ბიბლია და პალეოგრაფიული ტექსტები (ლათინური თარგმანითურთ), მეცნიერულად აღწერა პალესტინასა (ჯვრის მონასტერში) და ათონზე (ივერთა მონასტერში) დაცული ქართული ხელნაწერები, რომელთა მეცნიერული ღირებულება ძალიან დიდია.

დღეს შეერთებული შტატებისა და კანადის ბევრ უნივერსიტეტში (ჰარვარდის, მონრეალის, ჩიკაგოს, ვაშინგტონის, ოქსფორდის, ინდიანის, ტუსკანის, კვებეკის, ნეშვილისა და სხვ.). მოღვაწეობენ ცნობილი ქართველოლოგები: **ჰოვარდ არონსონი, ალის ჰარისი, დიანა ჰოლისკი, ქევენ თუითი, ნოელ პოლკი, კიმ ბრეით-ვეიტი, ჰოლ ჰედვიკი, ლუის ფრენსის სოლანო, დოდონა კიზირია... ადამ სმითი, რონ გორნი, რობერტ დრიუსი, კრეგ მელ-ჩერთი, ჯინ გრევი** და სხვები.

ჰოვარდ არონსონი ცნობილი ენათმეცნიერია. მან ჩიკაგოს უნივერსიტეტში დააარსა ქართული ენის კათედრა, შემოიღო ქართული ენის სასწავლო კურსი, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე. იკვლევს ძველსა და ახალ ქართულ ენას. 1982 წელს გამოსცა “ქართული ენის გრამატიკა” - სახელმძღვანელო უცხოელ სტუდენტთათვის. მან დ.კიზირიასთან ერთად შეადგინა სახელმძღვანელოს მეორე წიგნი (ქრესტომათია). აღსანიშნავია, რომ არონსონის გრამატიკა უცხოეთში ძალზედ პოპულარულია, პრაქტიკულად გამოყენებული.

დიანა ჰოლისკი (ვაშინგტონის ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის პროფესორი) ქართულ ენას სტუდენტობისას გაეცნო ჩიკაგოს უნივერსიტეტში (აქ ქართულ ენას ასწავლიდა ჰოვარდ არონსონი). იგი საქართველოს რამდენჯერმე ეწვია, პრაქტიკულად შეისწავლა ქართული ენა, განსაკუთრებით დაინტერესდა მთის კილოებით.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი

საფრანგეთში ჩვენი ქვეყნის შესახებ პირველი ზოგადი ცნობები შუასაუკუნეებიდან ჩნდება. მაგალითად, ფრანგი მოგზაურის - **ჟან შარდენის** ვრცელ თხზულებაში “მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში” დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს. ცნობილია, რომ 1672-1673 წლებში შარდენმა იმოგზაურა კავკასიაში, მოიარა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პირადი შთაბეჭდილებები შეაგსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან, მისიონერთა ჩანაწერებიდან.

შარდენის ეს ცნობები მეტად ფასეული და სანდო მასალაა საქართველოს ისტორიისათვის, მაგრამ საფრანგეთში მეცნიერულ ქართველოლოგიურ მუშაობას საფუძველი ჩაეყარა **XIX** საუკუნის შუახანებიდან, რაც დაკავშირებულია ფრანგი ორიენტალისტის, აკადემიკოს მარი ბროსეს სახელთან.

აღიარებულია, რომ **მარი ბროსე (1802-1880 წწ.)** იყო ქართველოლოგიის მამამთავარი არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაში. მ. ბროსე ქართული ენითა და საერთოდ საქართველოთი დაინტერესებულა მას შემდეგ, რაც ფრანგულ ენაზე გასცნობია რუსი სწავლულის - **ევგენი ბოლხოვიტინოვის** ნაშრომს: “საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ქართული ენისა და მისი დამწერლობის უძველესობაზე (ე.ბოლხოვიტინოვი: “ქართული მატთანე ქართული დამწერლობის შექმნას მიაწერს მეფე ფარნავაზის ეპოქას”).

მარი ბროსემ შეისწავლა ქართული ენა (მუშაობაში დახმარებას უწევდნენ მიწერ-მოწერით თეიმურაზ ბატონიშვილი და სენ მარტენი). 1834 წელს გამოსცა ქართული ენის თვითმასწავლებელი - **“ქართული ენის გრამატიკა“**, რომელშიც გათვალისწინებული იყო ანტონის, მაჯოს, დავით ბატონიშვილის გრამატიკები.

1837 წელს მარი ბროსე მიიწვიეს რუსეთში, აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. მან აქაც ჩაუყარა საფუძველი ქართველოლოგიას, ცდილობდა, ქართული ენა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში შესულიყო. ამ მიზნით სატახტო ქალაქში კითხულობდა ჯერ საჯარო ლექციებს საქართველოს ისტორიაში,

ხოლო შემდეგ (1841-1842 წწ.) - ქართული ფილოლოგიის კურსს პეტერბურგის უნივერსიტეტში.

მარი ბროსემ ფრანგულად თარგმნა და შვიდ ტომად გამოსცა **“ქართლის ცხოვრება“** და სხვა საისტორიო თხზულებანი...

1920-იანი წლებიდან ფრანგ ქართველოლოგთა შორის ნაყოფიერი მოღვაწეობით გამოირჩეოდა პარიზის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მორის ბრიერი**. წლების მანძილზე ასწავლიდა ქართულ ენას პარიზის კათოლიკური უნივერსიტეტის ძველი აღმოსავლური ენებისა და აღმოსავლეთის ცოცხალი ენების სკოლაში. იკვლევდა ძველი ქართული ენის ძეგლებს. 1931 წელს ნიკო მარის თანაავტორობით მ. ბრიერმა ფრანგულ ენაზე გამოსცა 800-გვერდიანი სახელმძღვანელო **“ქართული ენა“**.

ფრანგ მეცნიერ-ლინგვისტთა შორის, რომლებმაც ქართული ენა სპეციალური კვლევის საგნად გაიხადეს, აღსანიშნავია **რენე ლაფონი** (1899-1974 წწ.). იგი გახლდათ გამოჩენილი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, კავკასიოლოგი, ქართველოლოგი. რ. ლაფონმა ქართული ენის გრამატიკის ზოგადსა თუ კონკრეტულ საკითხებს უძღვნა არაერთი ნაშრომი: **“ქართული ენის უკეთ გაცნობისათვის“**, **“კავკასიური ენათმეცნიერება“**, **“იბერიულ-კავკასიური ენები“**, **“ბასკურ-კავკასიური ეტიუდები“**, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბასკურ-ქართულ შესატყვისობებს. და ა.შ. ფრანგულად თარგმნა ქართველ ენათმეცნიერთა გამოკვლევები, **“ვეფხისტყაოსნის“** ცალკეული თავები, ქართველ კლასიკოსთა მხატვრული ნაწარმოებები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რენე ლაფონი - როგორც ქართული და ბასკური ენების საუკეთესო მცოდნე - დაბეჯითებით მიუთითებდა ბასკურ და ქართულ ენათა მონათესავეობის შესახებ. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ქართული ენის შესწავლა-პოპულარიზაციაში დიდი დამსახურებისათვის რენე ლაფონს მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

დღეს რომ საფრანგეთში ქართველოლოგიური ცენტრი ერთ-ერთი ძლიერი შემოქმედებითი სკოლაა, ამაში დიდი წვლილი მიძღვით აგრეთვე: **ჟორჟ დიუმეზილს, ბერნარ უტიეს, რობერ ტროიმფს, ჟან პიერ გიუგლიელმს, ფრანსუა მარ ტელამონს, შარლ მერსიესა** და სხვებს.

საფრანგეთში არსებობს ქართველოლოგთა სამი ოფიციალური ცენტრი: პარიზის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციის ინსტი-

ტუტი, სორბონის უნივერსიტეტი (ქართული ენის კათედრა) და პარიზის ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სამეცნიერო ცენტრი.

ინგლისი

ინგლისში მეცნიერული ქართველოლოგია აღმოცენდა XIX საუკუნიდან. პირველ ინგლისელ ქართველოლოგად ასახელებენ ცნობილ მეცნიერს, პოლიგლოტს, საეკლესიო ისტორიის მკვლევარს - **სოლომონ სოზარ მალანს**, რომელმაც ინგლისურად თარგმნა პლატონ იოსელიანისა და გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური ხასიათის ნაწარმოებები... მას 1872 წელს ქუთაისში ყოფნისას გელათში წირვა-ქადაგება ქართულ ენაზე ჩაუტარებია.

ინგლისური ქართველოლოგიის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **უილიამ რიჩარდ მორფილი**. მან ჯერ დამოუკიდებლად დაიწყო ქართული ენის შესწავლა, შემდეგ, 1888 წელს, საქართველოშიც ჩამოვიდა, უფრო ახლოს გაეცნო ქართულ კულტურასა და აქაურ ცნობილ მოღვაწეებს: ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელსა და სხვებს... იმავე წელს ინგლისში გამოაქვეყნა თავისი პირველი ქართველოლოგიური ნაშრომი: “ქართული ენა და მწერლობა”. მას შემდეგ, წლების მანძილზე, აქტიურად იყო დაკავებული ქართველოლოგიის საკითხებით.

ქართველოლოგიის შემდგომი განვითარება ინგლისში უცილობლად დაკავშირებულია და-ძმა - **მარჯორი და ოლივერ უორდროპების** სახელთან. მათ სრულყოფილად შეისწავლეს ქართული და ინგლისურად თარგმნეს ქართული მწერლობის ბევრი საუკეთესო ნიმუში: სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუისა”, “ვისრამიანი”, ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის “განდეგილი”, “წმ. ნინოს ცხოვრება”... **მარჯორი უორდროპმა** თარგმნა აგრეთვე “ვეფხისტყაოსანი”. სწორედ ამ შესანიშნავი თარგმანით გაეცნო პირველად ინგლისურ ენაზე მკითხველი საზოგადოება მოთას უკვდავ პოემას.

მოგვიანებით უორდროპების ოჯახის მეწირულების სახელზე ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაარსდა ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის წამახალისებელი ფონდი, რომელიც ხელს უწყობს ინგლისში ქართველოლოგიური მუშაობის ნორმალურად წარმართ-

ვას. ფონდი აფინანსებს ლექციებს, კვლევითს სამუშაოებსა და შრომების გამოცემებს ქართველოლოგიის დარგში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ინგლისში სხვა ქვეყნებთან შედარებით ადრე გაიხსნა ქართული ენის კათედრები ჯერ ოქსფორდში, შემდეგ - ლონდონის უნივერსიტეტში.

XX საუკუნეში ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრი კიდევ უფრო გაიზარდა რიცხობრივად, გაფართოვდა და მრავალმხრივი გახდა მისი შემოქმედებითი საქმიანობის თემატიკა; ამ ქვეყანაში მოღვაწეობენ: **უილიამ ალენი, დევიდ ლანგი, რობერტ სტივენსონი, სტივენ ჯოუნსი, დონალდ რეიფილდი, დევიდ ბრაუნდი, რობერტ პარსონსი, ჰაროლდ ბელი, ქეთრინ ვივიანი, თამარ დრაგაძე, ლორდი ქოლინ რენფრიუ, რობერტ ტომპსონი** და სხვები.

* * *

ქართველოლოგიური კვლევა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაშიც; ქართველოლოგიას გამორჩეული (თუ საყურადღებო) ნაშრომები შესძინეს: **ჰანს ფოგტმა** (ნორვეგია), **იან ბრაუნმა** (პოლონეთი), **იარომირ იედლიჩკამ** (ჩეხოსლოვაკია), **ლაიოშ ტარდმა** (უნგრეთი), **პაულ პეეტერსმა, ყერარ გარიტმა, მიშელ ვან ესბროკმა** (ბელგია), **გიორგი კლიმოვმა** (რუსეთი), **იური ზიცარმა** (რუსეთი) და სხვ.

უცხოეთში **ქართული** ენითა და კულტურით დაინტერესებულნი არიან აგრეთვე: კარინა ვამლინგი, ბენგტ სიგურდი, შიფტე ამირ-ჰეჰმათი (შვედეთი), მაიქლ სტოუნი, ითამარ სინგერი (ისრაელი), ალი აქსამაზი, ჰარუნ ჩიმქე, მუზაფერ ქირი (თურქეთი), ანტონიო საგონა (ავსტრალია), ბრიან მაკგინგი (ირლანდია)... სთივენ რეპი (ამერიკა), ჯ. ჯ. ს. ვაიტენბერგი (გერმანია), სილვინ კოზაკი (გერმანია), ენთონი ისთმონდი (ინგლისი), იორგ ფასბინდერი (გერმანია), ბერნარდ ქნაპი (შოტლანდია), დარა გოლდსთენი (გერმანია), გუდვინ ქუქი (აშშ), იან ბერტრამი (გერმანია), კლაუდია საგონა (ნიდერლანდები), ქრის თორნთონი (ფილადელფია), ანდრეას ჰაუპტმანი (გერმანია), დენის ჰამფრისი (აშშ), ს. ჰარელი (აშშ) და სხვ.

2.5.2. ემიგრანტი ქართველოლოგები. საზღვარგარეთული ქართველოლოგიის თანამედროვე დონის შექმნაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ ემიგრანტებსაც. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იძულებით თუ ნებით წასულ ქართველ მეცნიერებს ასულდგმულებდა ერთადერთი მიზანი - გაეღვივებინათ და გაეძლიერებინათ უცხოეთში საუკუნეების მანძილზე არსებული ინტერესი საქართველოსადმი და ქართული ენა და კულტურა მოექციათ მსოფლიოს მეცნიერული აზროვნების ცენტრალურ ველში.

მიხეილ თამარაშვილი (1859-1911 წწ.) დაიბადა ახალციხეში. განათლება მიიღო საზღვარგარეთ. თავდაპირველად სწავლობდა კონსტანტინოპოლში, **პეტრე ხარისჭირაშვილის** მიერ დაარსებულ ქართულ სასწავლებელში, შემდეგ - ესპანეთის სასულიერო სემინარიაში.

1888 წელს დაამთავრა პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი. ამავე პერიოდში იგი გაეცნო პარიზის სამეცნიერო ცხოვრებას, მუშაობდა წიგნსაცავებში, არქივებსა და მუზეუმებში.

1891 წელს მ. თამარაშვილი იძულებული გახდა სამუდამოდ მიეტოვებინა მშობლიური კუთხე და მიაშურა იტალიას. მან წარმატებით დაასრულა რომის სასულიერო აკადემია და შემდეგ დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა; 1894 წელს მოიპოვა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო წოდება.

მრავალმხრივი იყო მ. თამარაშვილის, როგორც მეცნიერის, საკვლევადიებო სფერო, მაგრამ განსაკუთრებით მაინც დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით. მან ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში გამოავლინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი ახალი მასალა, რომელთა გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე გადმოსცა საქართველოს კათოლიკობის გავრცელების სრული ისტორია წიგნში: “ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის” (1902 წ.). ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ, მას მეორე “ქართლის ცხოვრება” უწოდა.

ევროპის სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა მ. თამარაშვილის წიგნს: **“ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე”** (1910). წიგნი დაიბეჭდა რომში ფრანგულ ენაზე. ამ გამოცემას მიენიჭა ვატიკანის სპეციალური პრემია. ნაშრომის შესახებ დაწერილ 50-ზე მეტ რეცენზიაში აღიარებული იყო საკითხის აქტუალობა და გამოტანილი დასკვნების ღირებულება.

მ. თამარაშვილმა საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო მასალა გამოავლინა საზღვარგარეთ და ხელმისაწვდომი გახადა ფართო მკითხველისათვის. მოიძია ევროპაში სულხან-საბას მოგზაურობის მასალები, სიცილიაში აღმოაჩინა კრისტოფორო დე კასტელის სურათების ალბომი, რომლის ფოტოასლის გადასაღებად და წარწერების შესასწავლად დიდი შრომა გასწია.

მ. თამარაშვილის ნიჭიერებასა და განსწავლულობას, მის ადამიანურ ღირსებებს ევროპის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში მაღალ შეფასებას აძლევდნენ. იგი აღიარებული იყო, როგორც იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი და მკვლევარი.

სამწუხაროდ, ამ დიდებული მამულიშვილის ფასი საქართველომ გვიან შეიცნო... 1978 წელს იტალიიდან სამშობლოში გადმოსვენეს მ. თამარაშვილის ნეშტი და პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას დიდუბის პანთეონში.

მიხეილ თარხნიშვილი (1897-1958 წწ.) “მთელი დასავლეთისათვის ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის მასწავლებელი იყო... არ არსებობს საქართველოს ისტორიის, მისი ენის, ლიტერატურისა და ლიტურგიის დარგი, მათი მიმართება მეზობელი ქვეყნების ლიტერატურასა და ეკლესიასთან, რომელშიც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მას არ შეეტანოს. მან პირველმა დაანახა დასავლელ მკვლევარებს ქართული ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი საგანძური“ (ჟერარ გარიტი).

მ. თარხნიშვილი დაიბადა ახალციხეში. სწავლობდა პირველად სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამონასტრო სკოლაში, შემდეგ - გერმანიაში (ქალაქ ეტალში). 1924 წლიდან ავსტრიაში (ვენაში) ეუფლებოდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას. 1933 წელს დაამთავრა რომის პაპის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და იმავე წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1933-1943 წლებში, როგორც მღვდელი, ეწევა აგრეთვე პრაქტიკულ მოღვაწეობას საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში, 1943 წლიდან კი სამუდამოდ დასახლდა იტალიაში და მთლიანად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში.

მ. თარხნიშვილი უდიდესი განათლების მქონე პიროვნება იყო. მას ისე ბრწყინვალედ სცოდნია გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური, ბერძნული, სირიული და რუსული ენები, რომ თითოეულ მათგანზე წერდა სამეცნიერო ნაშრომებს.

მეტად მრავალფეროვანი იყო მ. თარხნიშვილის შემოქმედებითი თემატიკა: ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია თუ საქართველოს ისტორია, მთარგმნელობითი თუ ლექსიკოგრაფიული საქმიანობა... მაგრამ მაინც ფასდაუდებელია მისი ღვაწლი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებში დაცული უძველესი ქართული წარწერების, ხელნაწერებისა და ლექციონარების გამოქვეყნება-შესწავლაში. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ვირჯილიო კორბოს** მიერ პალესტინაში აღმოჩენილი უძველესი წარწერები, რომლებიც მ. თარხნიშვილმა პირველმა გამოიფრა მეცნიერულად და გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი. გარდა ამისა, მან დიდი შრომა გასწია გრაცის უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების გამოსაქვეყნებლად; შეუწელებელი ინტერესით იკვლევდა ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიას. ევროპელთათვის რომ ხელმისაწვდომი გაეხადა ქართული მწერლობა, **გერმანულ ენაზე თარგმნა კ. კეკელიძის “ძველი ქართული მწერლობის ისტორია“**. მ. თარხნიშვილი ევროპულ ენციკლოპედიებს სისტემატურად აწვდიდა მასალებს საქართველოს შესახებ, შეადგინა “ქართულ - ფრანგული ლექსიკონი“.

დიდა მ. თარხნიშვილის დამსახურება იმ მხრივაც, რომ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო უცხოეთში ქართული კულტურის ერთგული დამცველი და ქომაგი. მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ ერთ შემთხვევას: ევროპის სამეცნიერო წრეებში იმხანად გაბატონებული იყო პ. პეტერსის დებულება, რომლის თანახმად “ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანი ქართულიდან უნდა იყოს შესრულებული ექვთიმე ათონელის მიერ XI საუკუნის I ნახევარში. მაგრამ მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა **დოელგერმა** სცადა დაერღვია ეს დებულება და კიდევ უარყო “ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანის ქართულიდან წარმომავლობა. მ. თარხნიშვილმა ამასთან დაკავშირებით გერმანულ და ქართულ ენებზე დაწერა ორი ნაშრომი, სადაც გააკრიტიკა დოელგერის თვალსაზრისი და მეცნიერულად დაასაბუთა პ. პეტერსის დებულების მართებულობა.

მ. თარხნიშვილი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული, როგორც სახელგანთქმული მეცნიერი, ღრმად განსწავლული პიროვნება. მან ევროპაში აღზარდა ქართველოლოგთა მთელი თაობა; მთელი

სიცოცხლის მანძილზე რუდუნებით, სიყვარულითა და საოცარი მხნეობით თავს დასტრიალებდა უძველეს ქართულ მწერლობას.

შალვა ბერიძე (1892-1970 წწ.) - ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი, დაიბადა ახალ სენაკში. ხარკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1917-1918 წლებში მოღვაწეობდა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში, სადაც **ნ. მარისა** და **აღ. ხახანაშვილის** რეკომენდაციით იწყებს კვლევას ენათმეცნიერებაში.

1920-იანი წლებიდან შ. ბერიძე ემიგრაციაში აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას. 1930-1931 წლებში ლონდონში ინგლისურად გამოუცია ანთოლოგია: “ქართველი პოეტები“, ფრანგულად დაუწერია ნაშრომი: “ბაირონი და პუშკინი“, ხელნაწერის სახით დარჩენია “ვეფხისტყაოსნის“ სრული იტალიური თარგმანი...

1934 წელს შ. ბერიძემ დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი. 1936 წლიდან ცხოვრობდა იტალიაში, ნეაპოლში. იგი პროფ. ბ. ბარბიელინმა მიიწვია ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართველოლოგიის კათედრის გამგედ და მიანდო ლექციების წაკითხვა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. ლექციებს დიდი ინტერესით ისმენდა 20-მდე უცხოელი სტუდენტი.

შ. ბერიძე უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა ჟურნალში: “ბედი ქართლისა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნები: “ქართული ენა იტალიაში“, “ბასკური და ქართული“, “რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა“, “რუსთაველი და მედიცინა“ და ა.შ. 1945 წელს ნეაპოლში დაიბეჭდა “ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი (ეს იყო შოთას უკვდავი პოემის პირველი პროზაული თარგმანი იტალიურ ენაზე).

გრიგოლ ფერაძე (1899-1943 წწ.) - მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, პროფესორი, დაიბადა გორის მაზრაში. 1921 წელს კ. კეკელიძის შუამდგომლობითა და არტურ ლაისტის რეკომენდაციით საქართველოს საპატრიარქოს საბჭომ გრ. ფერაძე გააგზავნა გერმანიაში თეოლოგიური განათლების მისაღებად. ბერლინის უნივერსიტეტში გერმანელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მეცადინეობდა თეოლოგიასა და ორიენტალისტიკაში (ებრაულ, ასირიულ, არაბულ, კოპტურ, სომხურ, ბერძნულ ენებზე). ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ქართველოლოგი **რ. მეკელაინი**. 1925

წელს სწავლის გასაგრძელებლად გადადის ბონის უნივერსიტეტში, სადაც მალე მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ნაშრომში: **“მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში”**. სპეციალისტების აზრით, ნაშრომში გამოტანილი დასკვნები მეტად მნიშვნელოვანი და ფასეულია ქართული ბერმონაზვნობის ისტორიისათვის. ამის შემდეგ გრ. ფერაძე ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება ბრიუსელში, შემდეგ - ინგლისში, სადაც ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტებში იკვლევს ქართულ ხელნაწერებს.

1927 წელს გრ. ფერაძე მიიწვიეს ბონის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ძველ ქართულსა და ძველ სომხურ ლიტერატურაში. ამიერიდან იწყება მისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ლათინური, ძველი სლავური, რუსული, ებრაული და სხვა აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა მას უხსნიდა გზას, პრაქტიკულად აეთვისებინა მსოფლიო ლიტერატურის მიღწევები.

1928 წელს გრ. ფერაძეს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება. 1932 წელს მიიწვიეს ოქსფორდის უნივერსიტეტში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა მართლმადიდებლური თეოლოგიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართული ეკლესიის ისტორიაში, ბიბლიის ძველ თარგმანებსა და ქართულ სასულიერო მწერლობაში.

1933 წელს გრ. ფერაძე მუდმივ საცხოვრებლად გადადის პოლონეთში. იგი გახდა ვარშავის ორიენტალისტიკის სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი. დააარსა ჟურნალი **“პატროლოგია”**. 1935 წლიდან კვლავ მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში უძველესი ქართული ხელნაწერების გამოსავლინებლად და შესასწავლად. ათონზე მან აღმოაჩინა 50 ქართული წიგნი და 13 ხელნაწერი. 1936 წელს იმოგზაურა პალესტინაშიც.

1942 წელს გესტაპომ დააპატიმრა გრ. ფერაძე. მოათავსეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც დასრულდა მისი სიცოცხლე. ჰუმბარტი სულიერი მოძღვარი გაზის კამერაში თავისი სურვილით შევიდა ერთ-ერთი ტყვე პოლონელი ებრაელის ნაცვლად. **“შენ დიდი ოჯახი გაქვს: ცოლი და ხუთი შვილი. შენ უნდა იცოცხლო მათთვის... მე კი შენს მაგივრად მოკვდები მათი მომავლისათვის”**, - უთხრა ტყვე ამხანაგს გრიგოლმა და კიდევ აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით.

პოლონელმა ხალხმა ღირსეული პატივი მიაგო გრ. ფერადის ღვაწლს. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, გრ. ფერადის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა მეცნიერებაში მსოფლიოს მასშტაბით. მეტად მდიდარი და მრავალმხრივი იყო მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს 64-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა მიხედვით უცხოელები ერთხმად აღიარებდნენ გრ. ფერადის მეცნიერულ დამსახურებას და ხაზგასმით წარმოაჩენდნენ მისი მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზღვარგარეთის ქართველოლოგიაში.

ახლო მეგობრების თქმით, გრ. ფერადეს ჰქონია უძვირფასესი მეცნიერული წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა ტყავზე დაწერილი ხელნაწერები, მათ შორის V-VI საუკუნეების ეტრატი - ქართული ისტორიის უძველესი საბუთი და სხვ. სამწუხაროდ, სამშობლომდე ვერ მოაღწია ამ უდიდესმა ბიბლიოთეკამ, პირადმა არქივმა და მისმა მეცნიერულმა მემკვიდრეობამ.

1995 წელს ქართულმა ეკლესიამ არქიმანდრიტი გრ. ფერადე წმინდანად შერაცხა.

კიტა ჩხენკელი (1895-1963 წწ.) შვეიცარიაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელია. დაიბადა ქუთაისში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1913 წ.) სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში. 1920 წელს გაემგზავრა გერმანიაში ცოდნის გასაღრმავებლად. კალესა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში ეუფლებოდა ფილოსოფიას, პოლიტიკონომიას, სოფლის მეურნეობას.

1936 წელს კ. ჩხენკელმა მოიპოვა დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ ეკონომიაში და მოღვაწეობა დაიწყო ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც მალე დაავალეს ქართული ენის კურსის წაკითხვაც. მართალია, კ. ჩხენკელს უმაღლესი ფილოლოგიური განათლება არ მიუღია, მაგრამ იგი დიდი ინტერესით შეუდგა ენათმეცნიერულ საქმიანობას. და, რაც მთავარია, მას აქ მიეცა საშუალება სინამდვილედ ექცია სანუკვარი ოცნება - მისაწვდომი გაეხადა ევროპელთათვის ქართული ენა, რომლის ორიგინალური აღნაგობა უკვე დიდი ხანია იწვევდა უცხოელი ლინგვისტების ინტერესს.

1943 წელს კ. ჩხენკელი გადავიდა შვეიცარიაში, დასახლდა ციურხში. ციურხის უნივერსიტეტსა და კონფედერაციულ უმაღლეს

სასწავლებელში მას დაავალეს **ქართული ენის სწავლება, რაც სრულიად ახალი რამ იყო მთელს შვეიცარიაში.**

კიტა ჩხენკელმა ციურხის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული ენის კათედრა, რომელიც მალე იქცა მძლავრ ქართველოლოგიურ ცენტრად. აქ აღიზარდნენ სახელგანთქმული ქართველოლოგები: **იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი, ლეა ფლური...**

უკვე ჯანმრთელობაშერყეულმა, მაგრამ გასაოცარი სულიერი მხნეობის მქონე მეცნიერმა - კ. ჩხენკელმა თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1958 წელს თავისი ერთგული მოწაფეების თანადგომითა და დახმარებით დაბეჭდა მონუმენტური ნაშრომი (1500 გვერდიანი) “ქართული ენის შესავალი“ გერმანულად, სავარჯიშოები და ტექსტები - ქართულად. ღირსსაცნობია, რომ იმ დროს შვეიცარიაში ქართული სტამბა არ არსებობდა, ამიტომ კ. ჩხენკელმა შვეიცარიის ხელისუფალთა ნებართვითა და ნივთიერი დახმარებით დააარსა ქართული გამომცემლობა “ამირანი“, თავად მოაწყო სტამბა, რომლის შრიფტის მშვენიერი გარნიტური საკუთარი ხელით ჩამოასხა.

მონოგრაფიის პირველი ნაწილი თეორიულია, მეორე კი - პრაქტიკული (სავარჯიშოებითა და ქრესტომათიით). საილუსტრაციო მავალითები ამოკრებილია ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწერებიდან. “ქართული ენის შესავალმა“ მაღალი შეფასება დაიმსახურა მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში. სხვადასხვა ქვეყანაში დაიბეჭდა 50-ზე მეტი რეცენზია, რომლებშიც ერთხმად აღიარებდნენ სახელმძღვანელოს მაღალ თეორიულ დონეს და პრაქტიკულ ღირებულებას ქართულის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელთათვის. წიგნი მალე ითარგმნა ინგლისურადაც. “ქართული ენის შესავალმა“ ავტორს დიდი აღიარება მოუტანა, საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ამ შრომისათვის ციურხის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა კ. ჩხენკელს მიანიჭა ფილოსოფიის საპატიო დოქტორის (ჰონორის კაუზას) ღირსება - “დასაფასებლად ქართული ენის ღრმად წარმოდგენისა და დაუღალავი ერთგულებისათვის...”

1960 წელს კ. ჩხენკელმა დაასრულა 2500-გვერდიანი “ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენა და იწყო ნაკვეთებად მისი გამოცემა, მაგრამ თავად მხოლოდ 6 წიგნის გამოქვეყნება მოასწრო (მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ ეს საშვილიშვილო საქმე 1974 წელს დაასრულეს მისმა მოწაფეებმა).

“უცხოეთში განისვენებს კ. ჩხენკელის ტანჯული, მრავალ გაჭირვებაგამოვლილი სხული, მაგრამ სული, ალბათ, კვლავ მზრუნველობით დასტრიალებს თავის მამულიშვილურ საქმიანობას: "უღვთო იყო მისი სიკვდილი!" - ასე შეაფასა ქართულმა ემიგრაციამ ღვაწლი კაცისა, რომელიც საზღვარგარეთ 30 წელზე მეტხანს, გარდა მეცნიერული მოღვაწეობისა, ერთგულად ქომაგობდა ქართულ მწიგნობრობასა და კულტურას... "რომელმაც მარტომ, პირადი გარჯითა და რუდუნებით მოახერხა ამერიკული წარმოების საბეჭდი მანქანა ვერიტაიპერისათვის (მანქანას ქართულის გარდა ყველა დამწერლობის შრიფტით შეეძლო ბეჭდვა) დაემატებინა მეთოთხმეტე — ქართული დამწერლობა“ (გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 1989, 17 თებერვალი).

ნიკოლოზ ჯანელიძე (1920-1993 წწ.) დაიბადა სამტრედიაში. სწავლობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1941 წელს გაიწვიეს სამამულო ომში. იბრძოდა ქერჩში, საიდანაც გერმანიაში მოხვდა, როგორც ტყვე. კეთილი მეპატრონის - გერმანელი გლეხისა და იმხანად გერმანიაში მცხოვრები აკაკი გამსახურდიას დახმარებით თავი დააღწია ტყვეობას და ჩავიდა რომში სახელგანთქმულ ქართველ ემიგრანტ მეცნიერთან - მ. თარხნიშვილთან. მისი ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი და მიიღო ევროპის უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მოწმობა.

ნ. ჯანელიძე დაბრუნდა გერმანიაში და 1950 წლიდან დაიწყო მუშაობა ქართული ენის ლექტორად ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტებში. აქ ასწავლიდა ქართულ ენას.

ნ. ჯანელიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ლიტერატურული საქმიანობით გატაცებულმა, ხელმოკლეობის მიუხედავად, დააარსა საკუთარი **გამომცემლობა “საქართველო“**, სადაც ბეჭდავდა თარგმანებსა და ორიგინალურ თხზულებებს, ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს.

1984 წელს გამოსცა “ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული პროზაული თარგმანი. მისი მოღვაწეობის გვირგვინად მიჩნეულია **“ქართული ზღაპრები“**. გარდა ამისა, ქართული ენის შემსწავლელ უცხოელ სტუდენტთათვის შეადგინა “გერმანულ-ქართული სასაუბრო“, გერმანულ ენაზე დაბეჭდა ი. გოგებაშვილის მიხედვით შედგენილი **“დედაენა“**.

ნ.ჯანელიძის სახელთანაა დაკავშირებული გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ამსახველი ბევრი საინტერესო ღონისძიება, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუპოვეს უცხოეთში.

კალისტრატე (კალე) სალია (1901-1986 წწ.) დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭვალში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1921 წელს გაემგზავრა გერმანიაში. ჯერ დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული ენისა და ლიტერატურის ორწლიანი ინსტიტუტი, შემდეგ კი - ქ. ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საცხოვრებლად საბოლოოდ დამკვიდრდა საფრანგეთში.

კ. სალიას სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ჟურნალთან **“ბედი ქართლისა“**.

1947 წელს კალისტრატემ და მისმა მეუღლემ - ნინომ საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის ფინანსური დახმარებითა და ნებართვით დააარსეს სამეცნიერო ისტორიული ლიტერატურული ჟურნალი “ბედი ქართლისა”. თავდაპირველად ჟურნალი მცირე მოცულობისა იყო, წელიწადში 4-ჯერ გამოდიოდა ქართულ ენაზე, ემსახურებოდა ვიწრო წრეს. ჟურნალის რედაქცია განთავსებული იყო სალიების ბინაში.

1957 წლიდან ჟურნალს ეწოდა **“ბედი ქართლისა - რევიუ დე ქართველოლოჯი“** (“ბედი ქართლისა ქართველოლოგიური მიმოხილვა”), იგი გაფართოვდა მოცულობითაც. მასში სტატიები იბეჭდებოდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე, ზოგჯერ იტალიურადაც. ჟურნალი შეუფერხებლად გამოდიოდა 1984 წლამდე (კ. სალიას ავადმყოფობის შემდეგ შეწყდა გამოცემა). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კ. სალია იყო ჟურნალის სული და გული, რედაქტორი და კორექტორიც კი, მეუღლესთან ერთად - გამომცემელიც.

სალიებმა ჟურნალის გარშემო შემოიკრიბეს მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, უცხოელი თუ ჩვენი თანამემამულე მეცნიერები: მიხაკო წერეთელი, მიხ. თარხნიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გრ. რობაქიძე... გ. წერეთელი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი და სხვები. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს ცნობილი ქართველოლოგები, კავკასიოლოგები და ორიენტალისტები.

მეტად მრავალფეროვანი იყო კ.სალიას მეცნიერული მემკვიდრეობა. დაწერილი აქვს მრავალი ნაშრომი ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე.

1980 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა კ. სალიას ფუნდამენტური წიგნი **“ქართველი ერის ისტორია“**; წიგნს იმავე წელს მიენიჭა საფრანგეთის აკადემიის პრემია (ინგლისშიც გამოიცა ნაშრომის ინგლისური თარგმანი). **“ქართველი ერის ისტორიას“** მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა ევროპელმა ქართველოლოგებმა. მაგალითად, **ჰანს ფოგტი** წერდა: “ეს არის შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც ქართველი ერი იმსახურებს. ფრანგი მკითხველისათვის იგი იქნება შესანიშნავი საშუალება ძალზე ნაკლებად ცნობილი ერის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად“.

პროფესორი კ. სალია, როგორც ევროპაში სახელგანთქმული ქართველოლოგი, არჩეული იყო სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების წევრად; კერძოდ: იყო ჰამბურგის, ოსლოს, კამბერის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, პროფესორი; ხმელთაშუა ზღვის აკადემიის წევრი, ასევე: პარიზის სააზიო საზოგადოების, პარიზის ლინგვისტური საზოგადოების, ბიზანტიოლოგიის საზოგადოების, პარიზის საისტორიო საზოგადოების წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, აკადემიკოსი... ყოველწლიურად (15 წლის განმავლობაში) ირჩეოდა მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად.

სალიების ოჯახს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან, სამეცნიერო წრეებთან, განსაკუთრებით ხელნაწერთა ინსტიტუტთან, რომელსაც სალიებმა საკუთარი ბიბლიოთეკის 1000 ეგზემპლარი (ქართველოლოგიური, ორიენტალისტური ლიტერატურა) გადასცეს საჩუქრად. ეს უძვირფასესი განძი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, რომელსაც მიეკუთვნა **ნინო სალიას** სახელი, რომელსაც სალიებმა მთელი თავიანთი ქონება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უანდერძეს.

ანდერძის თანახმად, კალისტრატე სალია (მეუღლესთან ერთად) განისვენებს დიდუბის პანთეონში.

...ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი ემიგრანტი აღესრულა უცხოეთში; ბევრმა მათგანმა პირნათლად მოიხადა მამულიშვილური

ვალი: წარმოაჩინა ქართველი კაცის დიდი შემოქმედებითი პოტენციალი, მაღალხეობრიობა, შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება.

ლიტერატურა

- რ. დავიდოვი, “ვაზის კამერიდან უკვდავებაში”: გაზ. “კომუნისტი“, 1990, 31 იანვარი.
- ს. თურნავა, საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978.
- ს. თურნავა, XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1989.
- ი. იედლიჩკა, კ.ჩხენკელის ქართული ენის გრამატიკა: “მნათობი“, 1958, №11.
- ლ.კაიშაური, კ.ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონი: იკე-ს წელიწადეული, 1977, №4.
- ვ.კახნიაშვილი, უცხოელები ქართული კულტურის შესახებ, თბ., 1966.
- ი.მეგრელიძე, ქართული ენის მოამაგე შვეიცარიელი ქალები: გაზ. “სამშობლო“, 1974, დეკემბერი.
- ი.მეგრელიძე, ჩეხი ქართველოლოგი იარომირ იედლიჩკა და მისი ბარათები: ჟურნ. “განთიადი“, 1991, №8.
- ლ.მენაბდე, რუსთაველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, თბ., 1990.
- თ.პაპავა, გაბნეული საფლავები, თბ., 1990.
- თ.უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, I, თბ., 1999.
- ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიური კვლევა უცხოეთში, თბ., 1996.
- ჟ. ფეიქრიშვილი, მიშელ ვან ესბროკი, ლუიჯი მანტოვანი, ნიკოლოზ ჯანელიძე: ეტიმოლოგიური ძიებანი, ქუთაისი, 2005.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.**
- გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1990.
- არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
- არნ. ჩიქობავა, ჯ. ვაჩიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.
- ბ. წიფურია, ლუიჯი მაგაროტო, ქართული ლიტერატურის მკვლევარი: “ბურჯი ეროვნებისა“, №№ 3,4, 2001.
- რ. ხუციშვილი, ლაიოშ ტარდი და ქართველოლოგია, თბ., 1992.

2.6. ქართული ენის მკვლევრები

ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა ანბანის შექმნით იწყება, ვინაიდან ენის ფონემატური სტრუქტურის კარგი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ასეთი სრულყოფილი ანბანის შექმნა. სამწუხაროდ, XI საუკუნემდე არსებული ქართული გრამატიკული ნააზრვევი ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის.

ყველა მონაცემის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გრამატიკული კვლევა-ძიება საქართველოში IX საუკუნეზე ადრეც დაწყებულა, მაგრამ ძველ ქართველ გრამატიკოსთა ნაშრომების ნაწილი ჩვენამდე მოღწეული არ არის; მაგალითად, ანტონ პირველს უნახავს იოანე პეტრიწის სპეციალური გამოკვლევა ქართული ენის აგებულების შესახებ, მაგრამ ის შემონახული არაა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერთ-ერთი პირველი “ქართული ენის გრამატიკა” შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსმა - **იოანე პეტრიწმა**.

XI საუკუნის II ნახევრის ქართველმა ფილოლოგმა, ფილოსოფოსმა, მთარგმნელმა **ეფრემ მცირემ** ჩამოაყალიბა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია; მისი დიდი დამსახურებაა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავება. ეფრემის მიერ შექმნილი მრავალი ფილოსოფიური ტერმინი დღესაც გამოიყენება. ეფრემმა შემოიღო **პუნქტუაციის საკუთარი სისტემა**, რომელიც დაკანონდა ქართულ მწერლობაში. ჩვენამდე მოღწეული **პირველი განმარტებითი ლექსიკონიც** ეფრემს ეკუთვნის. ეს არის ფსალმუნის თარგმანების შესავალში ჩართული სიტყვარი, სადაც ასამდე ლექსიკური ერთეულია განმარტებული. სწავლულები ეფრემს მიიჩნევენ ავტორად უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატისა - “სიტყუაჲ ართრონთათვის” (თუმცა ამავე ტრაქტატის ავტორად ზოგი **არსენ იყალთოელს** თვლის; ქართული და ბერძნული ენების საუკეთესო მცოდნე არსენ იყალთოელი მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. ბიზანტიელ მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებების თარგმანები არსენს მოუთავსებია კრებულში: “დოგმატიონი“. მასვე უთარგმნია “**დიდი სჯულის კანონი**“. თარგმანებისათვის დაურთავს საინტერესო შენიშვნები და სქოლიოები).

ჩვენამდე მოღწეული პირველი გრამატიკული ტრაქტატი ქართული სამწიგნობრო ენის შესახებ “**სიტყუაჲ ართრონთათჳს**“ დაიწერა XI საუკუნეში. იგი არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI-XII საუკუნეებში მართლაც ჰქონდათ გრამატიკული

ლიტერატურა“ (მზ.შანიძე). ეს იმასაც მოწმობს, რომ მოგვიანო ეპოქაში XVI-XVII საუკუნეების მწიგნობართ წინ დაუხვდათ ენათმეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები. როგორც ირკვევა, ამ ტრადიციათა ჩამოყალიბებას ხელს უწყობს არა სომხური, არამედ ბერძნული კულტურის გარემო“ (თ.უთურგაიძე, 1999, გვ. 14).

ავებდობის გამო XIII-XVI საუკუნეებში საქართველოში შეეწადა მეცნიერული აზრის განვითარება. ქართული ზმნის უღლების სისტემას აქტიურად იკვლევინ მე-17 საუკუნიდან, როდესაც იტალიელ მისიონერთა მიერ იქმნება ქართული ენის სახელმძღვანელოები და ქართულ-იტალიური ლექსიკონები; მაგ., თ.უთურგაიძის კვლევის მიხედვით, ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი **პირველი სახელმძღვანელო ქართული ენისა** ეკუთვნის იტალიელ მისიონერს - **ანტონიო ჯარდინას**, რომელიც გორსა და გურიაში მოღვაწეობდა XVII საუკუნის 30-იან წლებში; შდრ., 1629 წელს რომში დაიბეჭდა **სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირბახი-ჩოლოყაშვილის** ქართულ-იტალიური 3084 სიტყვიანი ლექსიკონი, რომელსაც ახლავს მხოლოდ ტრანსლიტერაციის წესები.

IV საუკუნის გრამატიკოსის - **დონატუსის** ლათინური ენის გრამატიკის მიხედვით შედგენილი ქართული ზმნის პარადიგმა წარმოდგენილია **ფრანჩესკო-მარიო მაჯოს** “ქართული ენის გრამატიკაში“, რომელიც დაიბეჭდა რომში 1643 და 1670 წლებში (მაჯო საქართველოში ჩამოვიდა 1637 წელს).

1715-1716 წლების “სიტყვის კონის“ B რედაქციის შესავალში (“სასწავლო ყრმათა“) **სულხან-საბა ორბელიანი** ზოგიერთ საკითხში აგრძელებს **იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის** მემკვიდრეობას, ბგერათა და მორფემათა ანალიზის დროს მიჰყვება ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებს, ხოლო ზმნის პარადიგმას ქმნის იტალიელ მისიონერთა ნაშრომებზე დაყრდნობით და აუქმობებს მათ სქემებს (თ.უთურგაიძე, 1999, გვ. 83-108).

მაჯოს, გორელი ანონიმის, საბას, აგრეთვე, სომხეთში იტალიელი მისიონერის - კლ. გალანიუსის “სომხური ენის გრამატიკის“ გამოცდილების გათვალისწინებით **ზურაბ შანშოვანმა** მოსკოვში დაწერა “მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“ (1737 წ.).

ანტონ კათალიკოსის “ქართული ღრამმატიკა“ (1753, 1767 წწ.) ეფუძნება წინამორბედთა გამოცდილებას და საფუძვლიან ენობრივ ანალიზს ახდენს; თ. უთურგაიძის აზრით, ანტონ პირველი უნდა მივიჩნიოთ “ქართული ენის ადეკვატური გრამატიკული სისტემის

პირველ შემქმნელად“. ანტონის მიერ 1767 წელს დაწერილი “ქართული ღრამმატიკის“ II ვარიანტის წინასიტყვაობაში რაფიელ ერისთავი წერს: “ეს ღრამმატიკა გამოიცა ჩემის ზედამხედველობითა და საფასით ალექსანდრე ეპისკოპოსისა, რომლის სურვილი და დაუცხრომელი ზრუნვა არის გააცნოს საზოგადოებას შესანიშნავი ავტორები. ამგვარს შესამჩნევს სწავლულებაში და ქართულის ენის მკოდნეთა შორის, უეჭველია, ირიცხება ამ ღრამმატიკის შემდგენელიც - კათალიკოზი ანტონ I“.

ანტონ I არის არა მხოლოდ გრამატიკული აზრის, არამედ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელიც. მის ნააზრევში ასახულია მეტად მნიშვნელოვანი დებულებები.

ანტონმა ბგერები დაყო ხმოვნებად და თანხმოვნებად. ერთმანეთისაგან გამოყო მეტყველების ნაწილები, აღწერა სიტყვის წარმოების ფორმები.

ანტონმა ძირითადად გადაწყვიტა სახელთა ბრუნების საკითხი. მისი დამსახურებაა ბრუნვათა სისტემაში მოთხრობითი ბრუნვის დასახელება და ამ ბრუნვის ფუნქციის დადგენა. მანვე შენიშნა სახელის ფუძის კუმშვა და კვეცა, საზოგადო სახელებისაგან გამოყო საკუთარ სახელთა ბრუნება, მიუთითა თანდებულის ბრუნვებსა და ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებებზე, სრულყოფილად წარმოადგინა სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები, სწორად დაახასიათა გვარის კატეგორია, გამოყო ქვემდებარე-დამატებათა ბრუნვები...

ანტონმა შექმნა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია. მას ეკუთვნის ტერმინები: ხმოვანი, ასო, მარცვალი, ძირი, მორფი, არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ჩვენებითი ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, სახელზმნა, საზოგადო სახელი, დადებითი ხარისხი, მდებრობითი, მამრობითი, ნიშანი, ზმნიზედა, კავშირი, თანდებული, შორისდებული, ბრუნვა, წრფელობითი, სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, მრავლობითი, აწმყო, მყობადი, ნამყო, პირი, პირის ნიშანი, ბრუნვის ნიშანი, მოქმედებითი გვარი, პირნაკლი, მიძიმე, წერტილი, ორწერტილი, ფრჩხილი და სხვ.

ანტონის გრამატიკის დებულებებია განმეორებული შემდგომი პერიოდის გრამატიკულ ნაშრომებში.

ანტონ პირველისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მოწაფე **გაიოზ რექტორი** სამასზე მეტი ორიგინალური თუ ნათარგმნი შრომის ავტორია. აღსანიშნავია მისი წიგნები: “ქართული ანბანი“ და “ქარ-

თული ენის გრამატიკა“. ეს უკანასკნელი 1789 წელს დაიწერა, მაგრამ დაიბეჭდა მოზდოკში გაიოზისავე დაარსებულ სტამბაში 1797 წელს. გაიოზის “ქართული ენის გრამატიკა“ არის გრამატიკის პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ამ სახელმძღვანელოს მთელი ტირაჟი (700 ეგზემპლარი) ავტორს თბილისში ახლად გახსნილი კეთილშობილთა სასწავლებლისთვის გაუგზავნა.

გაიოზის “ქართული ენის გრამატიკა“ სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, I ნაწილი - მორფოლოგია, II ნაწილი - სინტაქსი, III ნაწილი - ორთოგრაფია და პუნქტუაცია. ბევრი მაშინდელი კულტურული ადამიანი დაინტერესებულა ამ გრამატიკით. მათ შორის, იმერეთის დედოფალი ანა, რომელიც თავისი შვილიშვილებით პეტერბურგში ცხოვრობდა. მას წერილით უთხოვია გაიოზისათვის ეს სახელმძღვანელო. “ქართული ენის გრამატიკაში“ ავტორს საკითხები ისე დაულაგებია, რომ მოსწავლეებისათვის პრაქტიკულად კარგად გამოსაყენებელი ყოფილიყო. გაიოზ რექტორის “ქართული ღრამატიკა“ 1970 წელს გამოიცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ე. ნიკოლაიშვილმა.

ანტონ პირველისა და გაიოზის გრამატიკების დადებითი დებულებების უმეტესი ნაწილი აქვს გადმოტანილი **იოანე ქართველიშვილს** “ქართულ გრამატიკაში“, რომელიც წარმოდგენილია ხელნაწერის სახით და ინახება საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი №№ 4432, 2585). ამ ნაშრომში ავტორს საბოლოოდ აქვს დახვეწილი ბრუნების სისტემა. ავტორის დამსახურებაა ქართულ ზმნაში ორი უღლების (ვინიანი და მანიანი) გამოყოფა.

აღსანიშნავია მეფე გიორგი XII-ის უფროსი შვილის **დავით ბაგრატიონის** (1767-1798 წწ.) ენათმეცნიერულ-ლექსიკოგრაფიული საქმიანობა. 1790 წელს მან შეადგინა ქართული ენის “მცირე ღრამატიკა“, რომელიც დაწერილია კითხვა-მიგების წესით. აქ 8 მეტყველების ნაწილია ახსნილი ცალ-ცალკე. დავით ბაგრატიონის ქართული გრამატიკა ხელნაწერის სახით ინახება საქ. მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი №№ 3719, 3449).

დავით ბაგრატიონის ძმის **იოანე ბაგრატიონის** მთავარი ნაწარმოებია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება “კალმასობა“, რომელიც მოიცავს ენათმეცნიერულ ნაწილსაც. მეტად ფასეულია ავ-

ტორის მოსაზრებები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. იოანე ბაგრატიონს წიგნისათვის დართული აქვს კრიტიკული შენიშვნები. ავტორი კომპილაციის მეთოდით წარმოგიდგენს კომპლექსური გრამატიკის ახალ სტრუქტურულ მოდელს. “კალმასობის“ გრამატიკული ნაწილი 1810-1813 წლებშია დაწერილი. კალმასობისეული ქართული გრამატიკის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუთმო ნ. კოტინოვმა (1986 წ.).

1829 წელს პეტერბურგში **იოანე ბაგრატიონს** დაუწერია მეორე გრამატიკა: “ყრმათათვის სასწავლებლად“.

1830 წელს დაიბეჭდა **სოლომონ დოდაშვილის** “შემოკლებული ქართული გრამატიკა“.

1834 წელს ფრანგმა მეცნიერმა, ევროპაში ქართველოლოგიის მამამთავარმა **მარი ბროსემ** პეტერბურგში გამოსცა “ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც 17 თავისაგან შედგება. ყოველ თავს მოსდევს საილუსტრაციო მასალა თარგმანითურთ. ამ სახელმძღვანელოში გათვალისწინებული იყო ანტონის, მაჯოს, დ. ბატონიშვილის გრამატიკები. მარი ბროსე პირველი სპეციალისტი იყო, რომელმაც სცადა ქართული ენის ნათესაობის საკითხის განხილვა გრამატიკულ მოვლენათა ჩვენების მიხედვით.

პლატონ იოსელიანმა 1840 წელს გამოაქვეყნა “პირუელ-დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა“. მეორეჯერ ეს წიგნი 1863 წელს გამოქვეყნდა. სახელმძღვანელოში პლ. იოსელიანი არკვევს ქართული ენის ფონეტიკის მრავალ საკითხს: იხილავს სიტყვის ბგერით შედგენილობას, ლაპარაკობს მარცვალზე, იძლევა ქართული მახვილის წესებსაც და, რაც მთავარია, იგი არის ქართული ენის ფონეტიკური მოვლენების შესწავლის დამწყები.

პლატონ იოსელიანის გრამატიკით თავდება ქართული გრამატიკული აზრის განვითარების პირველი პერიოდი (XVII ს-ის 60-იანი - XIX ს-ის 50-იანი წლები).

ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა და ლექსიკოგრაფმა **დავით ჩუბინაშვილმა** მარი ბროსეს რჩევითა და დახმარებით შეადგინა “ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ და “ქართული ენის ქრესტომათია“, ხოლო 1855 წელს - “ქართული ენის მოკლე გრამატიკა“ რუსულად (Д.Чубинов - “Краткая грузинская грамматика“, С.-Пб., 1855). დავით ჩუბინაშვილს ეკუთვნის მეორე

გრამატიკა “Грузинская грамматика“, вновь составленная Давидом Чубиновым, С.-Пб., 1887. 1887-1891 წლებში ავტორმა დაასრულა “ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

1877 წელს საფრანგეთში დაიბეჭდა **მ. ს. კელენჯერიძის** “ქართული პრაქტიკული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის“ [ენრიკო ფაბრის სტამბა].

1871 წელს **ალექსანდრე ცაგარელმა** დავით ჩუბინაშვილისაგან ჩაიბარა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა; ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველური ენობრივი სამყაროს კვლევაში. ალ. ცაგარელს გამოქვეყნებული აქვს საენათმეცნიერო შრომები, რომელთაგან აღსანიშნავია: 1. კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა. 2. ქართული ენის ინდოევროპულ და თურანულ ენებთან ნავარაუდები ნათესაობის შესახებ. 3. ქართული ენის საგრამატიკო ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა. 4. მეგრული ეტიუდები. ნაკვეთი I-II ტექსტებით, თარგმანითა და ახსნა-განმარტებით.

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **დიმიტრი ყიფიანის** მიერ 1882 წელს შედგენილ სახელმძღვანელოს, რომელსაც ეწოდება “ახალი ქართულის გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის“. ამ გრამატიკის შედგენა დიმიტრი ყიფიანისათვის 1860 წელს უთხოვია გამორჩეულ ქართველ პატრიოტს **ალექსანდრე ორბელიანს**. გრამატიკის თავფურცელზე ავტორს მოჰყავს გრ. ორბელიანის სიტყვები:

“რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“.

დ.ყიფიანის “ახალი ქართულის გრამატიკა...“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში განხილულია მორფოლოგიის საკითხები, კერძოდ, დამუშავებულია სახელთა ბრუნება, მეორეში კი მოცემულია ლექსიკონი.

დ. ყიფიანს შეუდგენია ქართული ზმნების უღვლილების ტაბულა “წერა“, რომელსაც იყენებდა **პეტრე უმიკაშვილი**, როცა ასწავლიდა **პ. უსლარს** (ქართულ და სხვა კავკასიურ ენებს სწავლობდა ცარიზმის ჟანდარმერიის დავალებით).

1889 წელს არის გამოცემული **თედო ყორღანიას** “ქართული ენის გრამატიკა“ (ეტიმოლოგია და სინტაქსი).

ქართული ენის საკითხებია განხილული “მოკლე ქართულ გრამატიკაში“, რომელიც შეადგინა და 1894 წელს გამოსცა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა **ანდრია ბენაშვილმა**.

1904 წელს ქუთაისში გამოვიდა **სილოვან ხუნდაძის** “ქართული გრამატიკა“. 1927 წელს ქუთაისშივე გამოქვეყნდა მისი “ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საკითხები“.

1906 წლით არის დათარიღებული **მოსე ჭანაშვილის** “ქართული გრამატიკა“.

1907 წელს გამოიცა **არისტო ქუთათელაძის** “პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“ (მეოთხე გამოცემა).

1908 წელს გამოვიდა **ნიკო მარის** მნიშვნელოვანი წიგნი “ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“, რომელშიც მოცემულია ბგერათა კლასიფიკაციის, ბრუნების, უღვლილების ტაბულები. ამ ნაშრომის საფუძველზე ნიკო მარი პეტერბურგის აკადემიის პროფესორად აირჩიეს. 1925 წელს გამოვიდა ნიკო მარის “ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა“. ეს წიგნი ძველი ქართულის პირველი მეცნიერული გრამატიკაა. ნიკო მარმა გამოსცა ასევე “ახალი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო“, რომელიც სავალდებულო წიგნი იყო ქართული ენის პრაქტიკული კურსის მსმენელთათვის.

1931 წელს **ბრიერის თანავტორობით** პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა ნიკო მარის მიერ წაკითხული ქართული ენის მთლიანი კურსი (800 გვერდიანი წიგნი) “ქართული ენა“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პირველმა გამგემ **იოსებ ყიფშიძემ** 1911 წელს გამოსცა “ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულების აღწერითი გრამატიკაა. 1914 წელს გამოვიდა ი. ყიფშიძის კაპიტალური შრომა “მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“. წიგნის პირველი ნაწილი ეხება ფონეტიკას, მეორე - მორფოლოგიას, მესამე - სინტაქსს. იოსებ ყიფშიძე იკვლევდა ძველ და ახალ ქართულს, აგრეთვე, მეგრულ-ჭანურის ფონეტიკურ და გრამატიკულ სტრუქტურას.

1912 წელს დაიბეჭდა **იასონ ნიკოლაიშვილის** “ქართული მოკლე გრამატიკა“.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან გრამატიკაში თავი იჩინა ახალმა, ფორმალისტურმა (სტრუქტურულმა) მიმართულებამ, რო-

მელმაც სინტაქსის მიზნად შესიტყვების მხოლოდ აგებულების (სტრუქტურის) კვლევა დაისახა. ამ მეთოდით 1927 წელს შეიქმნა **ილია ფერაძისა და ილია სინარულიძის** “ენის დაკვირვება“. სამუშაო სკოლების V-VI-VII კლასელებისათვის 1937 წელს ილია სინარულიძემ გამოსცა “ქართული ენის გრამატიკა“ (მორფოლოგია და სინტაქსი).

განუზომელია **ივანე ჯავახიშვილის** დავაწლი ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლაში. ივანე ჯავახიშვილი “დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და გენეზისის საკითხებს. მან პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების ნათესაობა მთის კავკასიურ ენებთან როგორც სტრუქტურული, ისე მასალობრივი იგივეობის მიხედვით, შეუმზადა ნიადაგი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას“ (ქ.ფეიქრიშვილი). ენათმეცნიერული კუთხით მისი გამორჩეული ნაშრომებია: “დამწერლობათმცოდნეობა ანუ ქართული პალეოგრაფია“, “კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ და სხვ.

ქართული ენის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი აქვს **აკაკი შანიძეს**; მან 1920 წლის 9 მაისს თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია “სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. 1930 წელს ა.შანიძემ გამოაქვეყნა “ქართული გრამატიკა (მორფოლოგია)“; 1953 წელს - “ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“. განმეორებით ეს წიგნი 1973 წელს გამოიცა. 1976 წელს გამოქვეყნდა ა. შანიძის “ძველი ქართული ენის გრამატიკა“.

ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი ფონეტიკა, ექსპერიმენტული ფონეტიკა, ქართული ენის ფონეტიკა და ფონოლოგია, ქართული და ქართველური ენები, ინდოევროპეისტიკა, ინდოლოგია, ირანისტიკა ზოგადად და ოსური ენა კონკრეტულად, რუსული და საერთოდ სლავური ენები, ლოგოპედია, თარგმანები... აი, არასრული სია იმ პრობლემებისა, რაც **გიორგი ახვლედიანის** მეცნიერული ინტერესების სფეროში შედიოდა. მან 1918-1919 წლებში გამოსცა ენათმეცნიერების შესავლის ორიგინალური სახელმძღვანელო სამ ნაკვეთად. 1949 წელს გამოვიდა გ. ახვლედიანის “ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“. გიორგი ახვლედიანის მოხსენებათა საფუძველზე დაკანონდა სალიტერატურო ქართული ენის მრავალი ნორმა.

ფასდაუდებელია დიდი მეცნიერის - **არნოლდ ჩიქობავას** წვლილი ქართული სამეცნიერო აზრის განვითარებაში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: “ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ (რომელიც წინ უძღვის ფუნდამენტურ კოლექტიურ შრომას - “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“), “სახელის ფუძის უძველესი აგებულება“, “მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, “ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, “ენათმეცნიერების შესავალი“...

ქართველური ენობრივი სამყაროს გამორჩეული მკვლევრები არიან აგრეთვე: კარპეზ დონდუა, ვარლამ თოფურია, გიორგი როგავა, ფარნაოზ ერთელიშვილი, არლი თაყაიშვილი, ივანე გიგინეიშვილი, გივი მაჭავარიანი, მაქსიმე ქალდანი, ანტონ კიზირია, ივანე იმნაიშვილი, გრიგოლ იმნაიშვილი, ალექსანდრე ლლონტი, შოთა ძიძიგური, არამ მარტიროსოვი, ივანე ქავთარაძე, თინათინ შარაძენიძე, დავით გეწაძე, გურამ რამიშვილი, გივი ნებიერიძე, ზურაბ ჯაფარიძე, ლევან კიკნაძე, ირაკლი ვეშაპიძე, ბესარიონ ჯორბენაძე, ზურაბ სარჯველაძე, გურამ თოფურია, აკაკი დავითიანი, კორნელი დანელია...

ქართულ ენას დღესაც ბევრი თვალსაჩინო მკვლევარი ჰყავს.

ლიტერატურა

- გ.ახვლედიანი**, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
- დ.ბაგრატიონი**, ქართული ენის მცირე გრამმატიკა, ხელნაწერი, ინახება საქართველოს მეცნ. აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი S №3719, 3449).
- ი.ბაგრატიონი**, ყრმათათვის სასწავლებლად, ტფილისი, 1828.
- ა.ბენაშვილი**, მოკლე ქართული გრამმატიკა, ტფილისი, 1894.
- მ.ბროსე**, ქართული ენის გრამმატიკა, პეტერბურგი, 1834.
- ს. დოდაშვილი**, შემოკლებული ქართული გრამმატიკა, ტფილისი, 1830: ს.დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961.
- პლ.იოსელიანი**, პირუელ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა აღბეჭდილი მესამედ ქ. თფილისს, 1863.
- ა.კათალიკოსი**, ქართული ღრამმატიკა, რ.ერისთავის რედაქციით, ტფილისი, 1885.

- მ.კელენჯერიძე**, ქართული პრაქტიკული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის [ენრიკო ფაბრის სტამბა], საფრანგეთი, 1877.
- ნ.მარი**, ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა, ტფილისი, 1925.
- ნ.მარი**, ქართული ენა, პარიზი, 1931.
- ი.ნიკოლაიშვილი**, ქართული მოკლე გრამატიკა, თბ., 1912.
- ს.ს. ორბელიანი**, ქართული ლექსიკონი ანუ სიტყვის კონა, თბ., 1884, 1991.
- თ.ჟორდანიას**, ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფილისი, 1889.
- გაიოზ რექტორი**, ქართული ღრამატიკა, მოზდოკი, 1797.
- ი.სინარულიძე**, ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია და სინტაქსი), სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V-VI-VII კლასელებისათვის, ტფილისი, 1937.
- თ.უთურგაიძე**, ქართული ენის შესწავლის ისტორია (ნაწ. I), თბ., 1999.
- ჟ.ფეიქრიშვილი**, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1992.
- ი.ფერაძე**, **ი.სინარულიძე**, ენის დაკვირვება, ენის სწავლების პირველი კონცენტი, ტფილისი, 1927.
- ი.ქართველიშვილი**, ქართული გრამატიკა, ხელნაწერი, ინახება საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი S №4432 და № 2585).
- ა.ქუთათელაძე**, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1907.
- დ.ეიფიანი**, ახალი ქართულის გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, ტფ., 1882.
- ი.ეიფიძე**, ქართული ენის გრამატიკა, ტფ., 1911.
- И. Кипшидзе**, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Пб., 1914.
- მზ.შანიძე**, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, თბ., 1968.
- ა.შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია), თბ., 1930.
- ა.შანიძე**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, 1973.
- ა.შანიძე**, ძველი ქართული ენა, თბ., 1976.
- ზ.შანშოვანი**, მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, მოსკოვი, 1737.
- არნ.ჩიქობავა**, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1928, 1968.
- არნ. ჩიქობავა**, ქართული ენის დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950.
- Д.Чубинов**, Краткая грузинская грамматика, С.-Пб., 1855.
- Д.Чубинов**, Грузинская грамматика, С.-Пб., 1887.

სილ. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904.

სილ. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 1927.

მ.ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, თბ., 1906.

ივ.ჯავახიშვილი, დამწერლობათმცოდნეობა ანუ ქართული პალეოგრაფია, თბ., 1926.

ივ.ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

2.7. ქართული სამწიგნობრო ენის პერიოდიზაციის პრობლემა

თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენის პერიოდიზაცია სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად ხდება:

ნ.მარისა და ა.შანიძის აზრით, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია მოიცავს სამ პერიოდს: **ძველი ქართული ენა (V-XI სს.)**, **საშუალო ქართული ენა (XII-XVIII სს.)** და **ახალი ქართული ენა (XIX-XX სს.)**. ამ თვალსაზრისს იზიარებს მეცნიერთა ერთი ნაწილი (ზ.ჭუმბურიძე, ზ.სარჯველაძე...). სამ პერიოდს გამოყოფს ფ.ერთელიშვილიც, ოღონდ ის იყენებს ტერმინებს: ძველი სალიტერატურო ენა (V-XI სს.), ახალი სალიტერატურო ენა (XII-XIX სს.), თანამედროვე სალიტერატურო ენა.

არნ. ჩიქობავამ ნათლად აჩვენა, რომ **საშუალო ქართული** არის “ძველი” და “ახალი” ნორმების შერევა, შესაბამისად, მან განავითარა მოსაზრება, რომ სალიტერატურო ენის ისტორიაში უნდა გამოიყოს ორი პერიოდი: **ძველი ქართული (V-XI სს.)** და **ახალი ქართული (XII საუკუნიდან დღემდის)**. ამ თვალსაზრისსაც ჰყავს მომხრენი.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ხუთ ეტაპს გამოყოფს ბ. ჯორბენაძე: **I ეტაპი** - ძველი ქართული, კლასიკური სალიტერატურო ენა: V საუკუნიდან XI-XII საუკუნეებამდე; **II ეტაპი** - XI-XVI საუკუნეები: საერო ლიტერატურის დამკვიდრება და ხალხურ მეტყველებასთან დაახლოება; **III ეტაპი** - XVII-XVIII საუკუნეები: სამწიგნობრო ენის სამი ოფიციალური სტილით წერის დამკვიდრების დრო; **IV ეტაპი** - XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იანი წლებამდე: ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების პერიოდი; **V ეტაპი** - XX საუკუნის 10-20-იანი წლე-

ბიდან იწყება და გრძელდება დღემდე: თბილისურ მეტყველებაზე ორიენტირებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის არსებობის დრო (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 155-167).

გ.გოგოლაშვილის აზრით, არსებობს **სამი საერთო-სახალხო ქართული ენა** (ძველი, საშუალო და ახალი) და **ორი ქართული სალიტერატურო ენა** (ძველი და ახალი): “ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა **სხვადასხვა დონის** ენობრივი ერთეულებია“ (გ.გოგოლაშვილი, 2004, გვ. 32-37); იგი თვლის, რომ არ არსებობს ერთიანი საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არსებობს საშუალო ქართული ენა, როგორც ენობრივი რეალობა თავისი მრავალგვარი ნაირსახეობით.

სამეცნიერო ლიტერატურაში საეჭვოდაა მიჩნეული, ბერძნულის, სომხურისა და სხვა ენათა მსგავსად, **სამწიგნობრო ქართულის წარმოდგენა ე. წ. ძველ, საშუალო და ახალ ქართულ ენებად, ან ძველ და ახალ ენებად** (ძველი ქართული ენისა და ახალი ქართული ენის არსებობის დაუსაბუთებლობის შესახებ იხ.: რ.თვარაძე, 1985, გვ.19; ზ.გამსახურდია, 1991, გვ.534; ტ. ფუტყარაძე, 1993; ტ.ფუტყარაძე, 1998; ც.ბენდელიანი, 2003...). ძველი და ახალი ბერძნული მართლაც სხვადასხვა სტრუქტურის ენებია და მათ შორის გაგებინებაც შეუძლებელია; შდრ., ქართველურ სინამდვილეში ძველი და ახალი ქართული ენობრივი ქვესისტემები ერთმანეთისაგან თვისობრივად არ განსხვავდება (“განსხვავებულ დროთა ჭრილებსა და ჰორიზონტალურ განშტოებებში ქართული ენა სტრუქტურულ სახეს არსებითად ყველა დონეზე ინარჩუნებს“; თ.უთურგაიძე, 2002, გვ.19); გარდა ამისა, საუკუნეების მანძილზე ლექსიკური ფონდის გასაოცარი სიმყარის გამო, არც გაგებინება გამხდარა პრობლემა.

ტ.ფუტყარაძის აზრით, სამწიგნობრო ქართულის სტაბილურობა განსაზღვრა უნიკალურმა სიტუაციამ: **იგი თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე ერთდროულად არის სახელმწიფო ენაც, საეკლესიო ენაც და სამწერლობო ენაც**; გარდა ამისა, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში არსებითი სახის წყვეტილობა, საყრდენი დიალექტის გამოცვლის გამო ნახტომისებრი ცვლილება, ან საგანგებო, თვისობრივად ახალი ენის შემქმნელი რეფორმა არ დასტურდება. V საუკუნიდან დღემდე წიგნიერ ქართველს თავისუფლად შეუძლია გაიგოს ნებისმიერი ორიგინალური ტექსტი: ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენები რაოდენობრივ ცვლილებებს თანდათანობით თუ განიცდიდნენ. ენის განვითარებაში

არ ჩანს ერთი რომელიმე მონაკვეთი, საიდანაც ახალ ეტაპს დავიწყებთ. საუკუნეების მანძილზე ქართული სალიტერატურო ენის სხვადასხვა სტილით იწერებოდა როგორც სასულიერო, ასევე საერო და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები. V საუკუნეში ქართული სალიტერატურო ენა უკვე იმდენად იყო “დადუღებული“, რაფინირებული, ჩამოყალიბებული, რომ შემდეგ მის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ ნორმებს არსებითი, თვისობრივი ცვლილება აღარ განუცდია.

საუკუნეების მანძილზე არსებული ქართული სამწიგნობრო ენის **საეკლესიო და საერო მწერლობის სტილური ვარიანტები ერთმანეთს დროში არ ენაცვლებიან**: XI საუკუნეში არ წყდება “ე.წ. ძველი ქართული“; ამავე სტილით იწერება საეკლესიო ხასიათის შრომები XII-XVIII საუკუნეებშიც და XIX ს. პირველ ნახევარშიც კი; გარდა ამისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურება ამჟამადაც ამ ენით მიმდინარეობს; ე.ი. ქართული სამწიგნობრო ენის საეკლესიო და საერო-სამეცნიერო სტილები დღესაც თანაარსებობენ საეკლესიო და საერო ველების მიხედვით; **ეს სტილური ვარიანტები არ არიან სხვადასხვა დროის ენობრივი დონეები**. გარდა ამისა, თავისი ფუნქციონირების ყველა პერიოდში ქართული საერთო-ეროვნული ენა წარმოდგენილია “მრავალგვარი ნაირსახეობით“. შესაბამისად, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული საერთოსახალხო ეროვნული ენის სტილური ვარიანტების **ფუნქციონირების პერიოდებზე** (და არა რამდენიმე ქართული სამწიგნობრო ენის არსებობაზე), კერძოდ:

დამწერლობამდელი პერიოდი: არსებობს ზოგადქართული ენობრივი კონე, მისი ოფიციალური (სახელმწიფო), საკულტო სახესხვაობები და ქართველური კილოები;

V-X საუკუნეები: დღემდე მოღწეული ძეგლების მიხედვით, ფუნქციონირებს საეკლესიო ენა და ქართველთა ზეპირი მეტყველების ოფიციალური და ხალხური ნაირსახეობები;

IX-XX საუკუნეები: გვერდიგვერდ არსებობს სამწერლობო ენის ნორმირებული საეკლესიო, სალიტერატურო (საერო-საკანცელარიო), სამეცნიერო სტილები, ტერიტორიული და სოციალური დიალექტები და ა.შ. (ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 55).

წარმოდგენილ ყველა მოსაზრებას აქვს საფუძველი, თუმცა ფაქტია, რომ სულ მცირე 15 საუკუნის მანძილზე არსებობს **ერთი ქართული სამწიგნობრო ენა** თავისი ძირითადი ნორმებითა და

ლექსიკური ფონდით. ბუნებრივია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველი ენა თავისი სხვადასხვა ვარიანტით (სტილით) რეალიზდება.

ლიტერატურა

- ც. ბენდელიანი**, “სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ და “ამირანდარეჯანიანი“ ქართული სამწიგნობრო ენის პერიოდისა-ციის თვალსაზრისით: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთაისი, 2003.
- ზ. გამსახურდია**, წერილები, ესეები, თბ., 1991.
- Н. Марр**, К изучению современного Грузинского языка, Петроград, 1922.
- გ. გოგოლაშვილი**, ქართული ენის პერიოდისაციისათვის: ენათმეცნიერების საკითხები, 2004, № 1.
- ფ. ერთელიშვილი**, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1968.
- უ. ვაინრახი**, შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია: მიმომხილველი, 4-5, 1968.
- რ. თვარაძე**, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1978.
- თ.უთურგაიძე**, თ.უთურგაიძე, ქართული ენა სისტემური ასპექტით: ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2002.
- ტ. ფუტკარაძე**, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ეტაპების გამოყოფის მიზანშეწონილობის შესახებ: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 1993.
- ი. ქავთარაძე**, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს., თბ., 1964
- არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- შ. ძიძიგური**, მთლიანობა ოლონდ ნაირგვარი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1978.
- ზ. ჭუმბურიძე**, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდისაციისათვის: მაღლი დედაენისა, თბ., 1982.
- ბ. ჯორბენაძე**, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.
- ბ. ჯორბენაძე**, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

შენაბდის

რუკა: საზღვარგარეთი ქართული კერები

შენაბდის

რუკა: საზღვარგარეთი ქართული კერები

თავი III ქართული სამწიგნობრო ენის თეორიული კურსის ძირითადი საკითხები

3.1. ქართული ენის სამეტყველო ბგერები და სატრანსლიტერაციო სქემა

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული სამწიგნობრო ენის სამეტყველო ბგერების (ფონემების) ანალიზი წარმოდგენილია ნ. მარის, ს. ხუნდაძის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, კ. ფოგტის, რ. რობინსის, ნ. ვატერსონის, ს. ჟღენტის, შ. გაფრინდაშვილის, თ. უთურგაიძის, გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძის, ზ. ჯაფარიძის, ბ. ჯორბენაძისა და სხვათა გამოკვლევებში; საკითხის ისტორია ვრცლად არის წარმოდგენილი თ. უთურგაიძის ნაშრომში (თ. უთურგაიძე, 1976). აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ **ხმოვანთა**,

სონანტა (მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტების მქონე ფონემათა), **აფრიკატა** და **ჰ, ყ** ბგერათა არსებითი (**რელევანტური**) ნიშნების კვალიფიკაციის, აგრეთვე, წარმოთქმის ადგილთა (ლოკალურ რიგთა) სახელდების მოტივაციის თვალსაზრისით.

თანამედროვე სამწიგნობრო ქართულში არ განირჩევა **ი** და **უ** ბგერების უმარცვლო ვარიანტები, ამიტომ ითვლება, რომ თანამედროვე ქართულში გვაქვს ხუთი ხმოვანი: **ა, ე, ი, ო, უ** (მდრ., თანამედროვე ქართველთა ზეპირ მეტყველებაში ხშირად ვლინდება **ი** და **უ** ბგერების უმარცვლო ვარიანტები).

ქართულში **ა** დახასიათდება როგორც მაქსიმალურად ღია (ფართო), დაბალი აწეულობისა, უკანა (ან საშუალო) რიგის, დაუჭიმავე (საერთოდ, ქართული ხმოვნები დაჭიმულები არ არიან), არალაბიალური ხმოვანი.


ე პალატალური ანუ მაგარი სასისმიერი, წინა რიგისა და საშუალო აწეულობის ხმოვანია.

ო საშუალო აწეულობის, გამოკვეთილად ბაგისმიერი (უფრო ზუსტად, ლაბიოველარული) ხმოვანია; იშვიათად ო შეიძლება დაბალი აწეულობითაც გამოვლინდეს.

უ უკანა რიგისა და მაღალი აწეულობის ბგერაა, რომელიც ტუჩების მომრგვალებითა და წინ წამოწევით წარმოითქმება.

ი წინა რიგისა და მაღალი აწეულობის ხმოვანია.

ქართული ენის ხმოვანთა მიმართება სქემატურად მართკუთხა სამკუთხედის სახეს მიიღებს:



საარტიკულაციო აპარატის (ზესადგამი მილის) ღიაობის მიხედვით, განხილულ ბგერათა მიმართება პირობითად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ: **ა > ე/ო > ი/უ**.

ქართული ენის (და ქართველური კილოების) თანხმოვანთა შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს. თანხმოვანთაგან დისკუსიის საგანია ძირითადად აფრიკატების, აგრეთვე, **ვ**, **ჟ** და **ჭ** ბგერათა რელევანტური ნიშნების საკითხი; კერძოდ: ე.წ. რთული **ძ ც წ** და მარტივი **ღ თ ტ** ენაკბილისმიერთა რიგში შეაქვს გ. ახვლედიანს (გ. ახვლედიანი, 1999, გვ. 91), ა. შანიძე კი **ღ თ ტ** ბგერებს **ზ ს** თანხმოვნებთან ერთად ნუნისმიერებში აერთიანებს (ა. შანიძე, 1953, გვ. 13-16); წინანუნისმიერად მიიჩნევს **ძ ც წ ზ ს** თანხმოვნებს თ. უთურგაიძე (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 74). ერთსა და იმავე საწარმოთქმო ადგილზე **ძ ც წ** აფრიკატთა და **ზ ს** ნაპრალოვანთა წარმოება საეჭვოდ მიიჩნია შ. გაფრინდაშვილმა. მისი ვარაუდით, **ზ ს** უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე **ძ ც წ** (შ. გაფრინდაშვილი, 1961, გვ. 77).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა **ვ**-ს დახასიათებაც: ზოგიერთი მკვლევარი მას კბილბაგისმიერად თვლის (გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ბ.ჯორბენაძე), ზოგი - წყვილბაგისმიერად/ბაგისმიერად (პ. ფოჯტი, რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, თ. უთურგაიძე...). ჩვენი დაკვირვებით, ქართველთა მეტყველებაში უფრო ხშირია წყვილბაგისმიერი სპირანტი ალოფონი, ვიდრე - კბილბაგისმიერი, განსაკუთრებით თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (დაწვრილებით იხ., ტ.ფუტყარაძე, 1998).

ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგადი საკითხი, თბ., 1960.
- თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
- შ. გაფრინდაშვილი, ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში: იკე, VII, თბ., 1955.
- შ. გაფრინდაშვილი, ქართული ენის ნაბრალოვან თანხმოვანთა საშუალო სპექტრები: მასს, თბ., 1967.

- შ. გაფრინდაშვილი, ფონემათა დიფერენციალური ნიშნების სამწვეროვანი კლასიფიკაციისათვის: მეტყველების ანალიზის საკითხები, თბ., 1969.
- ბ. კიზირია, ჭანჭურის ბგერითი შედგენილობა, თბ., 1980.
- Г. Небиеридзе, Генеративно-фонологическая модель грузинского языка и принципы её построения, Автореферат диссертации на поиск, уч. степени доктора филологических наук, Тбилиси, 1974
- ს. ულენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
- რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ: "მომომხილველი", 4, 1968.
- გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
- Н. Трубеской, Основы фонологии, Москва, 1960.
- თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
- ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 196.
- ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სალოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.
- ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
- ბ. ქუთელია, ლაზური კონსონანტიზმი: მაცნე (ენა-ლიტერატურის სერია), 4, თბ., 1985.
- ბ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.
- ზ. ჭაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.
- Р. Якобсон, Г. М. Фанти, М. Халле, Введение в анализ речи, Новое в лингвистике, Выпуск 2, Москва, 1962.

3.2. სახელის პარადიგმა

ქართულ ენაში სახელი სხვადასხვა ფორმით (ყალიბით) არის წარმოდგენილი. ერთი და იმავე სიტყვის ფორმათა სისტემას ენათმეცნიერებაში პარადიგმას უწოდებენ (პარადიგმა - ბერძნ. მაგალითი, ნიმუში, რომელიმე სიტყვის ფორმათა ტაბულა). სახელის თითოეული ფორმა წარმოადგენს **ბრუნვის ყალიბს**; ქართული სახელის ყალიბი ფორმდება ფორმამაწარმოებელი სუფიქსით - ბრუნვის ნიშნით; თითოეულ ბრუნვის ყალიბს აქვს **გრამატიკული მნიშვნელობა**. კონკრეტული ფორმაწარმოებითი სახელური ყალიბი და მისი გრამატიკული მნიშვნელობა ქმნის **ბრუნვის კატეგორიას**.

სახელის ფორმაცვალეზას ბრუნვათა მიხედვით ბრუნება ჰქვია. დღემდე საკამათოა **ბრუნვათა რაოდენობის** საკითხი. აზრთა სხვადასხვაობის მიზეზია ბრუნვის ცნების სხვადასხვაგვარი გააზრება:

ანტონ კათალიკოსი: “ბრუნვა არის ცვალეზა მიმობრითი სხვისა და სხვისა მიმართ მდგომობისა ერთისა და მისივე სახელისა“; ე.ი. ბრუნვა არის სახელის ერთისა და იმავე ფუძის სხვადასხვანაირად მიმობრითი ცვლა.

ა. შანიძე: ბრუნვა არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც აერთიანებს ბგერითი შედგენილობისა და ფუნქციის მიხედვით განსხვავებულ სახელურ ფორმებს.

არს. ჩიქობავა: ბრუნვა გაბმულ მეტყველებაში სახელს აკავშირებს სახელთან ან ზმინასთან (სათანადო შინაარსის ვადმოსაცემად).

ვ.თოფურია: ბრუნვა არის სახელის ფორმა, რომელიც მიიღება მისი სახვა სიტყვებთან სინტაქსური ურთიერთობის შედეგად.

გ. ნებიერიძე: ბრუნვა არის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა გრამათა საშუალებით ასახავს საგნის (მოვლენის) მიმართებას სხვა საგანთან (მოვლენასთან), ან რაიმე მოქმედებასთან: მიმართება შეიძლება იყოს სინტაქსური ან სემანტიკური (პოსესიური, ლოკალური)... მოკლედ: ბრუნვა ისეთი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც გრამატიკულ და სემანტიკურ მიმართებებს გამოხატავს.

რამდენადაც ბრუნვა მორფოლოგიური ცნებაა, ამდენად ზოგიერთ მეცნიერს ბრუნვათა რაოდენობის განმსაზღვრელად სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა მიაჩნია; სხვები კი ბრუნვის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის, გამოსაყოფად სინტაქსურ და სემანტიკურ მხარესაც თვლიან აუცილებელ პირობად.

ქართულ ლინგვისტიკაში ანტონ კათალიკოსიდან მოყოლებული დღემდე ბრუნვათა გამოყოფა განსხვავებული პრინციპების მიხედვით ხდება. ქართული გრამატიკის შექმნისას ანტონს სანიმუშოდ ჰქონდა ინდოევროპული ენების გრამატიკები, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მისეულ ბრუნვათა რაოდენობასა და რიგზე; კერძოდ, ის გამოყოფს მ ბრუნვას:

წრფელობითი:	მარიამ	ოქრო
ნათესაობითი:	მარიამ-ისა	ოქრო-დასა
მიცემითი:	მარიამ-ს	ოქროს
შემასმენლობითი:	მარიამი	ოქრო
დაწყებითი:	მარიამ-ისგან	ოქრო-საგან
მოთხრობითი:	მარიამ-მან	ოქრო-მან
მოქმედებითი:	მარიამ-ითა	ოქრო-თა
წოდებითი:	მარიამ	ოქრო-ო.

ანტონის გრამატიკაში (1753 წ.) ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი და წოდებითი ბრუნვები ევროპული გრამატიკების

მიხედვითაა შეტანილი, თუმცა ისინი ამავე დროს ორგანულადაა დამახასიათებელი ქართულისთვის. სხვა ენების გავლენით მან ქართულში გაუმართლებლად შემოიტანა შემასმენლობითი (აკუზატივი, ბრალდებითი).

ანტონ კათალიკოსის დამსახურებაა მოთხრობითი ბრუნვის შემოღება, მისი ფორმისა და ფუნქციის დადგენა. ქართული ენის პირველ გრამატიკაში სხვა ენებისთვის უცხო და საკუთრივ ქართულისთვის დამახასიათებელი მოთხრობითი ბრუნვის გამოყოფა ანტონის დიდ გრამატიკულ ალლოზზე მიუთითებს.

ანტონ კათალიკოსის გრამატიკის ძირითადი დებულებები დაედო საფუძვლად შემდგომი ხანის სხვა გრამატიკებს, თუმცა მეტნაკლები სიახლე და თავისებური მიდგომა სახელის პარადიგმებისადმი მაინც იჩენს თავს. ამ მხრივ, პირველ რიგში, **გაიოზის გრამატიკა** (1796-1804 წწ.) უნდა დავასახელოთ. ანტონის გრამატიკიდან ამოდის **იოანე ქართველიშვილი**ც. ის პირველი ქართველი გრამატიკოსია, რომელმაც ერთიმეორის პარალელურად მოგვცა მრავლობითი რიცხვის ნართანიანი და ებიანი სახეობა, რითაც საბოლოოდ სწორ საფუძველზე დააყენა მრავლობითში ბრუნვის ნიშანთა საკითხი.

პლატონ იოსელიანიმა ქართულ გრამატიკაში ბრუნვათა რიგიდან განდევნა წრფელობითი (შეცვალა სახელობითით), შემასმენლობითი (ბრალდებითი) და დაწყებითი; მან შემოიღო ასეთი რიგი: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი. პლ. იოსელიანი შეეცადა დაეზუსტებინა წინამორბედთა კვლევის შედეგები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **დიმიტრი ყიფიანის** “ახალი ქართული გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის“ (1882 წ.). იგი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში წარმოდგენილია ეტიმოლოგია (მორფოლოგია), მეორეში — ლექსიკონი. საყურადღებოა დ. ყიფიანის დებულება: “მოთხრობითი ბრუნვა სპეციფიკური ბრუნვაა ქართულისათვის“. მან თავის გრამატიკაში მოთხრობითი სახელობითის შემდეგ მოათავსა, თუმცა მომდევნო ხანის გრამატიკოსებმა: პ. კვიციანიძემ, ა. ქუთათელაძემ და ს. ხუნდაძემ, პლ. იოსელიანის მსგავსად, ეს ბრუნვა გადასვეს მიცემითის შემდეგ ბრალდებითის ადგილზე.

ქართულისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ბრუნვა - ვითარებითი - პირველად გამოყო მ. ბროსემ.

არნ.ჩიქობავას აზრით, ბრუნვათა ტრადიციული რიგი პლ. იოსელიანიდან იწყება. ამ რიგის დაკანონება ს.ხუნდაძის გრამატიკაში მოხდა. ბრუნვათა ეს თანმიმდევრობა არნ.ჩიქობავას ქართულისთვის უვარგისად მიაჩნია. მეცნიერი დაუშვებლად თვლის ბრალდებითის ადგილას მოთხრობითი ბრუნვის მოთავსებას, რადგან ბრალდებითის ფუნქცია ქართულში შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მიცემითსა და სახელობითს; გარდა ამისა, ბრალდებითი ყოველთვის აღნიშნავს უმოქმედოს, პასიურს, მოთხრობითი კი - მოქმედს, აქტიურს. იგი საერთოქართველური მოვლენაა.

ბრუნვათა რიგი გარკვეული კრიტერიუმით დგინდება: პირველი სამი ბრუნვა - სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი პირმიმართი წევრების, ქვემდებარე-დამატების, ბრუნვებია; მიცემითის შემდეგ ა.შანიძე ათავსებს ნათესაობით ბრუნვას, არნ.ჩიქობავა კი - ვითარებითს (მიმართულებითს, გარდაქცევითს), რადგანაც ხმოვანფუძიან სახელებში ვითარებითში კვეცა არ ხდება და ამ ბრუნვის ჩათვლით ფუძე სრული სახითაა წარმოდგენილი.

საკამათოა წოდებითი ბრუნვის საკითხი. იგი შედარებით ახალი წარმოშობისაა. წოდებითი ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებში დამოუკიდებელი ბრუნვა იყო. ქართულში გადმოიტანა ანტონ კათალიკოსმა წოდებითის სახელით. მას ასახელებდნენ სხვა ძველი გრამატიკოსებიც, მაგრამ მას შემდეგ, რაც არნ. ჩიქობავამ ეჭვი შეიტანა წოდებითის არსებობაში, ქართულ ლინგვისტიკაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თვალსაზრისი: დღეს ზოგი მკვლევარი წოდებითს ბრუნვად მიიჩნევს, ზოგი - არა, კერძოდ: არნ.ჩიქობავა და ვ.თოფურია წოდებითს ბრუნვად არ მიიჩნევენ, რადგანაც ეს ფორმა არ არის მიღებული სინტაქსური ურთიერთობის შედეგად. გარდა ამისა, მისი ნიშანი ახალი წარმოშობისაა, შორისდებულიდან ჩანს მიღებული. შდრ.: სვანურში მიმართვის დროს დღესაც ო შორისდებული იხმარება: ო, ლერბეთ (ო, ღმერთო).

წოდებითს დამოუკიდებელ ბრუნვად არ მიიჩნევს გ. ნებიერიძეც. მისი აზრით, იგი უნდა იყოს ბრუნვათა სისტემაში, მაგრამ სახელობითთან ერთად, რადგან წოდებითი სახელობითის ვარიანტია (აქვე აღსანიშნავია, რომ გ.ნებიერიძე მოთხრობითსაც სახელობითის ვარიანტად მიიჩნევს და არა დამოუკიდებელ ბრუნვად). წოდებითი სახელობითის ვარიანტია ფუნქციური და არა სინტაქსური თვალსაზრისით: მას სახელდების, მიმართვის ფუნქცია აქვს.

ა.შანიძეს წოდებითი შეაქვს ბრუნვათა პარადიგმაში, მაგრამ მას ბოლოში ათავსებს. მის აზრს იზიარებენ: ლ.კვაჭაძე, ალ.ონიანი, თ.უთურგაიძე, ლ.ნოზაძე...

სამეცნიერო ლიტერატურაში დისკუსიის საგანია ე.წ. თანდებულთან ბრუნვათა საკითხი. ჯერ კიდევ მ. ბროსემ თანდებულთან ფორმებს **რთული ბრუნვები** უწოდა და გამოყო ლოკალური ანუ ადგილობრივი ბრუნვები (ბაგასა-შინა, ბაგასა-ზედა). ზოგი ძველი გრამატიკოსის კვლად, ძირითად ბრუნვათა გვერდით, ა.შანიძეც გამოყოფს რამდენიმე ლოკალურ ბრუნვას.

საზოგადოდ, ბრუნვის ნიშანი დაერთვის ფუძეს, თანდებულ კი - ბრუნვის ნიშნთან ფორმას. დღეს ბრუნვის ნიშანს მირთული ზოგი თანდებული ისტორიულად ცალკე მდგომი იყო: სახლსა ზედა>სახლსზე>სახლზე; სახლსა შინა>სახლსში>სახლში; მაგრამ: მიწა-ს-თან. ა.შანიძეს სწორედ ფონეტიკური ცვლილებები მიაჩნია ლოკალური ბრუნვების გამოყოფის საფუძვლად. ა.შანიძის სახელურ ფორმათა პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

სახელობითი:	სახლ-ი
მოთხრობითი:	სახლ-მა
მიცემითი:	სახლ-ს
ნათესაობითი:	სახლ-ის
მოქმედებითი:	სახლ-ით
ვითარებითი:	სახლ-ად
სადაობითი:	სახლ-ზე, სახლ-ში
გამოსვლითი:	სახლ-იდან
მიწვევითი:	სახლ-ამდე
წოდებითი:	სახლ-ო

შდრ.: **სადაობითი** მიუთითებს ადგილმდებარეობას. მისი ნიშნებია **-ში** და **-ზე**: წყალ-ში, წყალ-ზე (მიც. ბრ.). **გამოსვლითი** აღნიშნავს რომელიმე პუნქტიდან გამოსვლას; ეს პუნქტი შეიძლება იყოს როგორც სივრცეში, ისე დროში: სახლ-იდან, მაის-იდან (მოქმ. ბრ.). **მიწვევითი** აჩვენებს გარკვეულ პუნქტამდე მიწვევას სივრცესა და დროში: კახეთ-ამდე, მაის-ამდე (ვით. ბრ.).

ზ.სარჯველაძემ თანდებულთან ბრუნვების თვალსაზრისით შეისწავლა ძველი წერილობითი ძეგლები და მიუთითა, რომ **ლოკალურ ბრუნვათა** ჩანასახი უკვე ძველ ქართულშივე იჩენს თავს. ყველაზე ხშირად დასტურდება ის ფორმა, რომელიც თანამედროვე ქართულის მიწვევითი ბრუნვის წინაპარია: ცად-მდე > ცამდე, სოფლად-მდე > სოფლამდე...).

ლოკალურ ბრუნვათა გამოყოფას არ ეთანხმება არნ. ჩიქობავა. იგი თვლის, რომ არ შეიძლება თანდებულთა მიჩნევა ბრუნვის ნიშნებად, რადგან: თუ **-ში** და **-ზე** ბრუნვის ნიშნებია, როგორღა იქნება იგივე **-ში** და **-ზე** ერთი ბრუნვის “სადაობითის“ ნიშნები. თუ **-ში** და **-ზე** ბრუნვის ნიშნებად იქცა იმის გამო, რომ ფუძეს მოსდევენ უშუალოდ, იგივე უნდა ითქვას **-თან** თანდებულის შესახებაც თანხმოვან-ფუძიან სახელებთან. არნ.ჩიქობავა და მისი მიმდევრები წარმოდგენილ ყალიბებს განიხილავენ სხვა თანდებულიან ფორმებთან ერთად. შდრ., ბრუნვის ნიშანთა ალომორფების **გ.მაჭავარიანი-სეული სქემა** (მოგვაწოდა დ.მელიქიშვილმა):

- სახ. ი, 0;
- მოთხრ. მა, მ;
- მიც. ს(ა), 0 (-ში, -ზე, -თან);
- ვით. ად, დ, ა (-მდე თანდებულთან);
- ნათ. ის, სი, ს;
- მოქმ. ით, თი, ი (-დან);
- წოდ. ო, ვ, 0.

ქართული ენის კომპიუტერული მოდელირების აუცილებლობამ ისევ გაააქტუალურა სახელის ფორმამაწარმოებელი ყალიბების გამოყოფის პრობლემა; კერძოდ, საჭიროა ისეთი ფორმალიზებული წესების შექმნა, რომლებიც მაქსიმალური სიზუსტითა და ნაკლები ოპერაციებით შეძლებენ ენობრივ ფორმათა სინთეზსა და ანალიზს. ამ მიმართულებით საინტერესო მიგნებები აქვთ თ.უთურგაიძეს, ქ.დათუკიშვილს, კ.ფხაკაძესა და სხვებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ გზად შემოთავაზებულია ე.წ. **თანდებულთა განსხვავებული კვალიფიკაცია**; კერძოდ, ტ. ფუტყარაძე მიიჩნევს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს თვისებისა და ფუნქციის მიხედვით განსხვავებული ერთეულები: ბრუნვის ნიშანს მირთული თანდებული (-ზე, -ში, -გან-, კენ...), ცალკე მდგომი თანდებული (მიერ, შე-სახებ, გამო, მიმართ...) და ნათესაობითის ფორმის განსაზღვრული ზმნისართი (წინ, უკან, ირგვლივ...), რომელსაც ზოგი მკვლევარი თანდებულად მიიჩნევს. ტ.ფუტყარაძის მიერ წარმოდგენილი სახელური პარადიგმა შემდეგი სახისაა:

მარტივი ბრუნვები:

- ფუძე+0/ი: მიწა, კაცი
- ფუძე+მ/მა/ნ: მიწა-მ, კაც-მა
- ფუძე+ს: მიწა-ს, კაც-ს
- ფუძე+ს(ი)/ის/0: წყარო-სი, კაც-ის

ფუძე+თი/ით: წყარო-თი, კაც-ით

ფუძე+დ/ად: წყარო-დ, კაც-ად

ფუძე+ო/ვ/ო: წყარო-ვ, კაც-ო

რთული ბრუნვები:

მყოფობითი: ფუძე+სას/ისას: მარგო-სას, მეზობლ-ისას

დანიშნულებითი: **ფუძე+სად/ისად:** კაც-ისად; წყარო-სად,
ფუძე+სთვის/ისთვის/თვის: წყარო-სთვის, კაცი-სთვის

მსგავსებითი: **ფუძე+სავით/ივით:** მიწა-სავით, კაცი-ივით

(აქვე: ფუძე+ებრ||ისებრ)

საზედაო: ფუძე+ზე/სზე: კაც-ზე

საშიდაო: ფუძე+ში/სში: სახლში

თანაობითი: ფუძე+სთან/თან: დედა-სთან, კაც-თან

მიმართულებითი: ფუძე+სკენ/ისკენ: კაც-ისკენ, წყარო-სკენ

თანამდევრობითი: ფუძე+სთან/თანავე/ისთანა/ისთანავე: ჭამ-ისთანავე

დაწყებითი: ფუძე+დან/იდან: წყარო-დან, სახლ-ი-დან

თანხლებითი: ფუძე+|ითურთ: კაცი-ითურთ

მიწვევითი: ფუძე+მდე||მადე: წყარო-მდე, სახლ-ამდე

შღრ.: თანდებულობიანი ბრუნვები: კაცის მიერ, კაცის შემდეგ, კაცის გამო,
კაცის მიმართ...

შღრ.: ნათესაობითის ფორმისა და ზმნისართის სიტყვათშეხამება: კაცის წინ
დგას (წინ დგას), კაცის ირგვლივ ტრიალებს (ირგვლივ
ტრიალებს)...

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით (თ.უთურგაიძე, 1886), მსაზღვრელად გამოყენებული ნათესაობითის ყალიბში **-ის** ფორმანტი სიტყვაწარმოებელი სუფიქსია და არა ბრუნვის ნიშანი; ე.ი. ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვას არ წარმოადგენს; მისი აზრით, ნათესაობითი ბრუნვის გამოყოფის საფუძველი გვაქვს მხოლოდ თანდებულთა წინ (კაცის მიერ, კაცისკენ...) და “ძალს ეშინია კაცისა“ ტიპის შესიტყვებაში.

ბევრი სხვა ენისგან განსხვავებით, ქართულში სახელთა ბრუნვის ერთი ტიპი გვაქვს, მაგრამ სპეციალისტები ამ ერთი ტიპის ფარგლებში განარჩევენ ბრუნების რამდენიმე სახეობას; კერძოდ:

ა. შანძე ემყარება რა ბრუნვის ნიშანთა ერთგვარობის პრინციპს (ბრუნვის ნიშნების სისრულეს), გამოყოფს ბრუნების სამ სახეობას: 1. თანხმოვანფუძიანი სახელები; 2. ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელები; 3. ფუძეუკვეცილი სახელები.

თანხმოვანფუძიანი სახელებში ყველა ბრუნვის ნიშანი სრულია (სახლ-ი, სახლ-მა, სახლ-ს, სახლ-ის, სახლ-ით, სახლ-ად, სახლ-ო); კვეცად სახელებში მოკვეცილი ან არასრულია (ძმა, ძმა-მ, ძმა-ს, ძმ-ის,

ძმ-ით, ძმა-დ, ძმა-ო); ფუძეუკვეცელი სახელების ბრუნებისას იცვლება ბრუნვის ნიშანი ნათესაობითსა და მოქმედებითში: ეზო-ს-ი, ეზო-თ-ი. აღსანიშნავია, რომ სახელთა ბრუნების ტიპების ა.შანიძისეული კლასიფიკაცია ინდოევროპული ენების მიხედვითაა შემუშავებული, მაგრამ ამ ენებისთვის ასეთი კლასიფიკაციის საფუძველია სქესის კატეგორია, რაც ქართულში არ გვაქვს. ამდენად, ეს დაყოფა თავისთავად ლოგიკურად სწორია, მაგრამ არა ქართული-სათვის მისადაგებული.

არნ.ჩიქბავასთვის სახელთა ბრუნების სახეობების გამოყოფისას ამოსავალია ბრუნვის ნიშანსა და ფუძეს შორის მიმართება ანუ ცვლილება როგორც ფუძეში, ისე ბრუნვის ნიშანში; ამის მიხედვით იგი განასხვავებს სახელთა ბრუნების სამ ტიპს: 1. უკუმშველი სახელები; 2. კუმშვადი და კვეცადი სახელები; 3. უკვეცელი სახელები.

თანხმოვანფუძიან უკუმშველ სახელებში არც ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში და არც ფუძის დაბოლოება მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე (სახლ-ი, სახლ-მა..); მეორე ტიპის ანუ კუმშვად და კვეცად სახელებში ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში (მეგობრ-ის, მეგობრ-ით, მეგობრ-ად; მთ-ის, მთ-ით; კლდ-ის, კლდ-ით); მესამე ტიპის სახელებში ფუძის ბოლო-კიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე, იკვეცება ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი). ამ კვალიფიკაციაში წინააღმდეგობრივია მეორე ჯგუფის გამოყოფა, ვინაიდან კვეცადი სახელების სახელობით, მოთხრობით ბრუნვათა ნიშნები ფუძის გავლენით ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიან და ამ მხრივ მესამე ტიპის სახელების ჯგუფს მიეკუთვნებიან. ამიტომ **ვ.თოფურია** ქართულ ენაში გამოყოფს სახელთა ბრუნების 4 ძირითად სახეობას (მცირე ქვეჯგუფით: კუმშვად-კვეცადი): უკუმშველი, კუმშვადი, უკვეცელი და კვეცადი.

ბ.ჯორბენაძის მიხედვით, სახელთა ბრუნებაში გამოყოფილია ორი მორფოლოგიური ტიპი: ერთფუძიანი და ორფუძიანი.

ერთფუძიანში იგულისხმება სამი ქვეტიპი:

1. სახელები, რომელთაც აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა (კაცი, ქალი... სიყვარული... ბედნიერება...); ბ) აქვთ მხოლოდ ორი ფორმა (-ნ და -თ ფორმანტებით ნაწარმოები მრავლობითის ფორმები: კაც-ნი — კაც-თ-ა); გ) ახასიათებთ ნაკლები ბრუნება: შენ, თქვენ, ჩვენ...

ორფუძიანში წარმოდგენილია ორი ქვეტიპი:

ა) საერთო ფორმა აქვს სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითისათვის, ერთი მხრივ, ნათესაობითისა და მოქმედებითისათვის, მეორე მხრივ:

მე, ჩემ-ზე (ჩემ-თან, ჩემ-ში), ჩემ- (თანდებულებით), ჩემ-ით; ბ) განსხვავებულია ფუძეები სახელობითსა და ყველა დანარჩენ ბრუნვაში (ის, ეს, იგი...).

ტ.ფუტკარაძის აზრით, ბრუნების თავისებურების მიხედვით ქართული ენის **სახელთა** (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნისართი) **რამდენიმე ჯგუფი** უნდა გამოიყოს:

I. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითში დაირთავს -ის; ბრუნებისას არც სახელის ფუძე იცვლება, არც ბრუნვის ნიშანი: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის...

II. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობით ბრუნვას აფორმებს -ი; ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში ფუძის ბოლო მარცვლის შემქმნელი ა, ე, ო ხმოვნები იკუმშება: დედალი, დედალმა, დედ-ალს, დედლის...

III. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითი ბრუნვის ფორმა არ დაირთავს -ის (ფუძე ბოლოხმოვინანია); მოთხრობით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი რედუცირებულია (მა→მ, ის→ს; ით→თ, ად→დ, ო→ე): წყარო, წყარომ, წყაროს...

IV. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითი ბრუნვის ფორმა არ დაირთავს სახელობითის -ის; ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი იკვეცება მოქმედებით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებში, ხოლო ფუძე იკვეცება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში: კიბე, კიბემ, კიბეს, კიბის...

V. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითი არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს; სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში იკვეცება ბრუნვის ნიშანი, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ფუძე კარგავს ორ ბოლო ხმოვანს: ფანჯარა, ფანჯარამ, ფანჯარის...

VI. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა, მაგრამ ზოგ ბრუნვაში უჩვეულო (Iარქაული) ფორმით წარმოსდგება: ღმერთი - ღვთის, ამბავი - ამბის, ღვინო - ღვინის...

VII. სახელს არა აქვს ყველა ბრუნვის ფორმა (შეზღუდული ბრუნების სახელები): შენ, შენით, შენამდე; დღეს, დღეიდან, დღემდე; აქ - აქედან - აქამდე...

VIII. ბრუნებისას სახელი ავლენს ორ ფუძეს: ეს - ამან, ამას; მე - ჩემ-ით, ჩემ-თვის...

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის სახელის მორფოლოგიურ ანალიზს არაერთი ნაშრომი ენიჭებოდა, მაგრამ ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი ბრუნვათა სემანტიკური მხარე; ამ ნაკლის შევსებას წარმოადგენს ბ. ჯორბენაძის ნაშრომი “ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრინციპისათვის ქართულში“. ავტორის აზრით, აუცილებელია, განსხვავდეს ბრუნვათა მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები. მაგალითად, მიცე-

მითი ბრუნვა ფორმის მიხედვით გულისხმობს ფუძისა და **-ს** ნიშნის ერთიანობას (ქალაქ-ს), სინტაქსურად იგი შეიძლება იყოს ირიბი ობიექტი, პირდაპირი ობიექტი, გარემოება; სემანტიკურად კი მიუთითებს ადრესატზე (ამხანაგს დაუწერა), სამოქმედო საგანს (სახლს იშენებს), მოქმედების იარაღს (ჩაქუჩს ურტყამს), მიმართულებას (ქალაქს მიემგზავრება), მიწვევითობას (ქალაქს ჩავიდა).

სპეციალისტთა შორის აზრთა ასეთი მკვეთრი სხვადასხვაობა მიანიშნებს, რომ დროთა განმავლობაში კვლევის ახალ-ახალი ასპექტები ჩნდება და იქმნება საჭიროება, გადაისინჯოს წინამორბედთა დებულებები.

ლიტერატურა

- კ.გაბუნია**, ბრუნვათა სისტემის ანალიზის პრინციპისათვის ქართულში: ჟურნ. "ქართული ენა და ლოგიკა", თბ., 2005.
- ვ. თოფურია**, წოდებითი ბრუნვისათვის: სბიქე, I, თბ., 1956.
- ვ. თოფურია**, სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთმოქმედება: სბიქე, თბ., 1956.
- ვ. თოფურია**, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი, შრომები, ტ. II, თბ., 2002.
- ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
- ი. კვაჭაძე**, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.
- ან. კიზირია**, სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში, სბი, I, 1956.
- გ. ნებიერიძე**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
- გ. ნებიერიძე**, წოდებითი ბრუნვა ქართულში როგორც სახელობითის ვარიანტი: თსუ შრომები, 267, 1986.
- ლ. ნოზაძე**, ფუძეთანხმოვნაიან ანთროპონიმთა ბრუნების ერთი ტენდენციის შესახებ ქართულში: იკე, XXVIII, თბ., 1989.
- ალ. ონიანი**, წოდებითი ბრუნვის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: საიუბ. კრებ. აკაკი შანიძე — 100, თბ., 1987.
- ალ. ონიანი**, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.
- ზ. სარჯველაძე**, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

- თ. უთურგაიძე**, თანდებულისან სახელთა ბრუნება ქართულში: კრებ. არნ. ჩიქობავას, თბ., 1979.
- თ. უთურგაიძე**, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.
- ჟ. ფეიქრიშვილი**, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.
- ჟ. ფეიქრიშვილი, რ. სალინაძე**, ბრუნვათა რაოდენობის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში: ქსუ პროფესორ-მასწავლებელთა VI სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2000.
- ალ. ფოცნიშვილი**, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.
- ტ. ფუტყარაძე**, ბრუნება როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალ-იზებული მოდელისათვის): გ. როგავას საიუბ. კრებ., თბ., 1997.
- ტ. ფუტყარაძე**, ქართული ენის ბუნების ამსახველი ლოგიკური პარადიგმის პრობლემისათვის: ჟურნ. "ქართული ენა და ლოგიკა", თბ., 2005.
- ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.
- ა. შანიძე**, წოდებითის ფორმის ადგილისათვის: სბი, I, თბ., 1956.
- არნ. ჩიქობავა**, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქველ, I, თბ., 1950.
- არნ. ჩიქობავა**, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში: სბი, I, 1956.
- არნ. ჩიქობავა**, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ შრომები, ტ. X, თბ., 1939.
- არნ. ჩიქობავა**, თანდებულისან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 2, თბ., 1961.
- არნ. ჩიქობავა**, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: სბი, I, თბ., 1956.
- არნ. ჩიქობავა**, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1946.
- არნ. ჩიქობავა**, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: სბი, თბ., 1942 (თსუ შრომები, ტ. XXIII).
- ს. ხუნდაძე**, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904.
- ბ. ჯორბენაძე**, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.
- ბ. ჯორბენაძე**, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
- ბ. ჯორბენაძე**, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995.

3.3. ზმნის პარადიგმა

ქართული ზმნის კვლევის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მიუხედავად, დღემდე გრძელდება კამათი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: მწკრივთა/ნაკვთა დაჯგუფებისა და სახელდების პრინციპები, უღლების ტიპების რაოდენობა, მორფოლოგიური ყალიბებისა და სემანტიკური კონების მიმართება და სხვ. (საკითხის მიმოხილვისათვის იხ.: ბ.ჯორბენაძე, 1980; ა.არაბული, 1984; გ.გოგოლაშვილი, 1988; დ.მელიქიშვილი, 2001; თ.უთურგაიძე, 2002; ტ.ფუტყარაძე, 2006).

უღვლილების ერთეულის აღსანიშნავად გრამატიკულ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება: დრო, წევრი, რიგი, დროკილო, მწკრივი, ნაკვთი. ამჟამად დამკვიდრებულია მწკრივი და ნაკვთი; სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი **მწკრივი** დაამკვიდრა ა.შანიძემ, ხოლო **ნაკვთი** - არნ. ჩიქობავამ. ტერმინოლოგიური სიჭრელე თავს იჩენს, აგრეთვე, ცალკეული ნაკვთების სახელდებისას, მაგალითად, ძველი გრამატიკოსებიდან მოყოლებული, წყვეტილის პარალელურ ტერმინებად გვხვდება: აორისტი, ნამყო სრული, ნამყო წყვეტილი, ნამყო ძირითადი...

ქართულ ზმნას, როგორც ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულს, მრავალი ფორმოზომი ვარიანტი (მორფოლოგიური სახესხვაობა) აქვს. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი ზმნის სახესხვაობანი დახარისხებულია გვარისა და ქცევის ფორმებად, აქტიურ და პასიურ ყალიბებად, დიათეზებად, მსგავსი უღლების მქონე ჯგუფებად, მწკრივებად, პირის ფორმებად...

ფრანჩესკო-მარიო მაჯოს “ქართული ენის სახელმძღვანელოში” მწკრივთა - დრო-კილოთა მიხედვით გამოყოფილ ზმნურ ყალიბთა - რაოდენობა (11) და ფუნქციები ლათინურის მსგავსია, ზმნური ფორმები კი ზოგჯერ გურულ კილოს ასახავს:

აწმყო (მოვალ), **ნამყო უსრული** (მოვიდოდი), **ნაკლებ ახლო ნამყო უსრული** (მე მოველო), **ყველაზე უფრო ახლო ნამყო სრული** (მე მოსსული ვარ), **ნამყო წინარე წარსული** (მე მოსსული ვიყავი), **მყოფადი** (მე მოვალ), **ბრძანებითი** (შენ მოდი), **აწმყო და უწყვეტელი** (ნეტა/ნეთანს მოვიდოდი), **ნამყო სრული** (ნეტა/ნეთანს მოსსული ვიყავი), **მყოფადი** (ნეთანს მოვალ), **აწმყო და ნამყო სრული** (მოსსულა/მოსვლა - საწყისი) (თ.უთურგაიძე, 1999, გვ. 40-56).

მე-17 საუკუნის 70-იან წლებში **ბერნარდო-მარია ნეაპოლელი** მაჯოს მიხედვით იაზრებს ზმნურ პარადიგმას, ხოლო XVIII საუკუნის

დასაწყისში **ანონიმი ავტორი** (იტალიელი მისიონერი) ბერნარდოს/მაჯოს პრინციპებით წარმოადგენს ქართული ზმნის პარადიგმას, რომელიც გამართულია სემანტიკური პრინციპით; მაჯოს პარადიგმასთან შედარებით, ანონიმის ვარიანტი უფრო სრულყოფილი ჩანს. აქ ერთ რიგში გვერდიგვერდაა **ვინ-იანი** და **მან-იანი** ფორმები და სხვადასხვა ყალიბი (**მ-ი-ყვარს**, **შე-მ-ე-ყვარ-ა...**), სულ **12 მწკრივი**:

აწმყო (მიყვარს), **ნამყო უსრული** (მიყვარდა), **ნამყო სრული** (შევიყვარე), **მეორე ნამყო სრული** (მე შემიყვარებია), **ნამყო უსრულესი** (მე შემიყვარა), **მყოფადი** (მე შევიყვარებ), **ბრძანებითი** (შენ შეიყვარე), **აწმყოსა და ნამყო უსრულის/უწყვეტლის ნატვრითი** (ნეტამც მე მიყვარდეს), **ნატვრითის ნამყო სრული** (ნეტამც მე შემიყვაროს), **ნატვრითის ნამყო უსრულესი** (ნეტამც მე შემიყვარა), **ნატვრითის მყოფადი** (რომ მე შევიყვარო), **კავშირებითის აწმყო** (მე შევიყვარო) (თ.უთურგაიძე, 1999, გვ. 68-69).

სულხან-საბა ორბელიანის ენათმეცნიერული ნააზრევი წარმოდგენილია “ლექსიკონი ქართულისთვის“ წამძღვარებულ ტრაქტატში: “სასწავლო ყრმათა“. ზმნურ პარადიგმებს სულხან-საბა მთლიანად იტალიელ მისიონერთა ნაშრომების მიხედვით ქმნის. ავტორი ასახელებს “მიყვარს“ ზმნის ფორმებს, რომლებიც იტალიელი ანონიმის იტალიურ-ქართული ლექსიკონში ამავე ზმნის პარადიგმას ემყარება, მსჯელობს ქართული ენის მორფემათა ფლექსიურ და დერივაციულ ფუნქციათა შესახებ. სულხან-საბა დღევანდელი მორფემის გაგებით იყენებს ტერმინ “ართრონს“.

ზმნურ ფორმათა **ანტონ კათალიკოსისეული** ანალიზი ფორმო-ბრივ-ფუნქციურ პრინციპს ემყარება. კილოს (სქესის) კატეგორია არსებითია ფორმათა განაწილებისას დროებში:

I. **საზღვრებითისა სქესისა** (თხრობითი კილო; თ.უთურგაიძე): 1. **აწმყო** (შევჰყარავ), 2. **ნამყო უსრული** (შევჰკარვდი), 3. **ნამყო სრული** (შევჰკარ), 4. **ნამყო უსრულესი** (შემიკარავს), 5. **ნამყო უუსრულესი** (შემეკრა), 6. **მყოფადი** (შევჰკრა);

II. **ბრძანებითისა სქესისა**: 7. **აწმყო** (შეჰკარ! ნუ შეჰკარავ), 8. **მყოფადი** (შევჰკარვდეთ);

III. **საწადისა სქესისა** (ნატვრითი კილო; თ.უთურგაიძე): 9. **აწმყო და მყოფადი** (ვაშათუ შევჰკარვდე), 10. **ნამყო უსრული** (ვაშათუ შევჰკარვდი), 11. **ნამყო სრული და უსრულესი** (ვაშათუ შემიკარვს), 12. **ნამყო უსრულესი** (ვაშათუ შემეკრა);

IV. ვპოტეტიკაჲს სქესისა (ქუეწყობილობითი სქესი ანუ კავშირებითი კილო; თ.უთურგაიძე): 13. **აწმყო და მყოფადი** (უკეთუ შევჰკრუდე), 14. **ნამყო უსრული** (უკეთუ შევჰკრუდი), 15. **ნამყო სრული და უსრულესი** (უკეთუ შემეკრუეს), 16. **ნამყო უსრულესი** (უკეთუ შემეკრა)... (ანტონ I, 1885, გვ. 24-25).

გაიოზ რექტორი (ქართული ღრამმატიკა, 1970) პირველი ითვალისწინებს ზმნურ ხმოვან პრეფიქსებს ქართული ზმნის უღლების ტიპების გამოყოფისას და წარმოადგენს 6 სახეს/ყალიბს. I, III, IV, V და VI უღლებაში სუბიექტური უღლების ზმნებია გაერთიანებული, II უღლებას მიაკუთვნებს იმ ზმნებს, რომელთაც არ გააჩნიათ სუბიექტური უღლება:

1. ვაქებ, 2. მჰღვიძავს, 3. ვესვრი, 4. ვიქმ, 5. ვუბნობ, 6. ვჰსწერ (ე.ნიკოლეიშვილი, 1970, გვ. 71-73; გ.გოგოლაშვილი, 1988, გვ. 36-37; შდრ., აღ.ფოცხიშვილი, 1979, გვ. 168-170).

აღნიშნული კლასიფიკაცია მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებს შეეხება. იქვე ავტორი მიანიშნებს, რომ შესაბამისი ვენბითები ერთგვარად იუღვლის (გვ.71-72).

გაიოზ რექტორი თავის გრამატიკაში მსჯელობს აგრეთვე ზმნისწინის ფუნქციაზე - აწმყოსაგან აწარმოოს მყოფადი: "...**ვჰსწერ** არს ზმნა აწმყოჲ, მარტივი, საზღურებითისა სქესისა... **დავჰსწერ**, რომელიცა არღარა ჰნიშნავს აწმყოსა დროსა, არამედ მყოობადსა" (გაიოზი, 1970, გვ.68). მაგრამ გაიოზთან **დავჰსწერ** ტიპის ფორმები პარადიგმებში არ აისახა.

დიმიტრი ყიფიანის "ახალი ქართული გრამმატიკა" (1882 წ.) საყურადღებოა იმით, რომ მან პირველმა ქართულ გრამმატიკაში **III კავშირებითის ფორმები** ცალკე საუღლებელ ერთეულად გამოყო. ამასთან ავტორი სხვადასხვა მწკრივებად წარმოადგენს **III** კავშირებითის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს ნატვრით დახრაში.

დ. ყიფიანი, გაიოზის მსგავსად, შესაძლებლად მიიჩნევს ყველა შემთხვევაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებას და, რაც მთავარია, ზმნისწინით დაპირისპირებულ ფორმებს ცალ-ცალკე საუღლებელ ერთეულებად წარმოადგენს არა მხოლოდ I სერიაში, არამედ II და III სერიაშიც. იგი გაიოზისაგან განსხვავებით, ამ პრინციპს ბოლომდე ატარებს:

ვაკეობ (დახრა ჩვენებითი, დრო ახლანდელი - აწმყო)

გავაკეობ (დახრა ჩვენებითი, დრო მომავალი გასათავებელი)

ვაკეობდი (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრული)

გავაკეობდი (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი სრული)

ვაკეთებდე (დახრა პირობითი, დრო ახლანდელი უსრული)
გავაკეთებდე (დახრა პირობითი, დრო ახლანდელი სრული)
ვაკეთე (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრულესი)
გავაკეთე (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრულესი სარწმუნო)
ვაკეთო (დახრა პირობითი, დრო მომავალი მარტივი)
გავაკეთო (დახრა პირობითი, დრო მომავალი სრული)
მიკეთებია (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი ბერძნული აორისტი)
გამიკეთებია (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი აორისტი გათავებული)
მეკეთებინა (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრული)
გამეკეთებინა (დახრა პირობითი, დრო გავლილი სრული)
მეკეთებინოს (დახრა ნატვრითი, დრო გავლილი უსრული)
გამეკეთებინოს (დახრა ნატვრითი, დრო გავლილი სრული).

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დრო-კილოთა ამგვარ სისტე-
 მას დ.ყიფიანი მხოლოდ შესაძლებელ ვარიანტად მიიჩნევს, ხელოვ-
 ნურად გართულებულად თვლის და შენიშნავს: “აუცილებელია,
 უნდა შემოკლდეს როგორმე ეს უღვლილება“ (გვ.104). გამარტივე-
 ბული სისტემა კი 8 ერთეულს გულისხმობს. ამდენად, დ.ყიფიანი 16
 ერთეულიანი პარადიგმის გვერდით განიხილავს შემოკლებულ, 8
 ერთეულიან მწკრივთა სისტემას.

შენიშვნა: ერთი საუკუნის შემდეგ ეს სქემა (16 მწკრივიანი)
 სამეცნიერო მიმოქცევაში ხელახლა შემოაქვს ა.არაბულს და მას
 “ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკურ ანალიზს“ არქმევს (იხ.
 ა.არაბული, 1984; ა.არაბული, 1992).

ორიგინალური და საინტერესოა საუღლებელ ერთეულთა **სი-
 ლოვან ხუნდაძისეული** დაჯგუფება. თუ აქამდე დაჯგუფება ხდე-
 ბოდა ძირითადად კილოთა, ანდა საწარმოებელი ფუძის მიხედვით,
 ს. ხუნდაძე საუღლებელ ერთეულებს დროთა მიხედვით აჯგუფებს:

- I. **აწმყოს ჯგუფი:** ვსწერ
 ვსწერდე
- II. **ნამყოს ჯგუფი:** ვსწერდი
 ვსწერე (დავსწერე)
 მიწერია (დამიწერია)
 მეწერა (დამეწერა)
 მეწეროს (დამეწეროს)
 ვსწერდი (დავსწერდი)
- III. **მყოფადის ჯგუფი:** ვსწერ (დავსწერ)
 ვსწერდე (დავსწერდე)
 ვსწერო (დავსწერო) (ს.ხუნდაძე, 1907, გვ. 16-19).

ს.ხუნდაძის დამსახურებად ითვლება ის ფაქტი, რომ მკვლევარმა თითოეულ საუღლებელ ერთეულს შესაბამისი კითხვა მიუსადაგა. ეს კითხვები მეტ-ნაკლებად ყველა ტიპის ზმნებისთვის არის გათვალისწინებული.

ზმნური პარადიგმის გამართვის თვალსაზრისით XX საუკუნის მანძილზე გრამატიკოსებს არსებითი სიახლე არ შემოუთავაზებიათ; ფაქტობრივად დღემდეა გაბატონებული XIX საუკუნის ბოლოს **თ.ჟორდანიას, დ.ჩუბინაშვილის, კ.დოდაშვილისა** და სხვათა მიერ წარმოდგენილი საუღლებელი ერთეულების რიგი მცირედი ცვლილებებით; სამივე ავტორი საუღლებელ ერთეულებს საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით ალაგებს, გამოყოფილია დრო-კილოთა ორი ჯგუფი: 1. აწმყოზე დამყარებული, 2. წყვეტილზე დამყარებული. სანიმუშოდ წარმოვადგენთ **კ. დოდაშვილის** მწკრივთა სისტემას: I ჯგუფი: **აწმყო (მოთხრობითი)** - ვაკეთებ, **მომავალი (მოთხრობითი)** - გავაკეთებ, **აწმყო (ნატვრითი)** - ვაკეთებდე, **მომავალი (ნატვრითი)** - გავაკეთებდე, **ნამყო უსრული (მოთხრობითი)** - ვაკეთებდი, **ნამყო სრული (სათუო)** - გავაკეთებდი; II ჯგუფი: **ნამყო მრავალგზითი (მოთხრობითი)** - ვაკეთე, **ნამყო სრული (მოთხრობითი)** - გავაკეთე, **აწმყო (სათუო)** - ვაკეთო, **მომავალი (სათუო)** - გავაკეთო, **ნამყო უსრულესი (მოთხრობითი)** - მიკეთია, **ნამყო უსრულესი (სათუო)** - მეკეთოს, **ნამყო უსრული (სათუო)** - მეკეთა (კ.დოდაშვილი, 1894).

კ. დოდაშვილის ეს სქემა დ.ყიფიანისას ემყარება.

XX საუკუნის დასაწყისში საუღლებელ ყალიბთა წარმოდგენილი სისტემა უმნიშვნელოდ შეცვალეს ნ.მარმა და ა.შანიძემ.

ქართული ზმნის უღლების სისტემის შესწავლაში მნიშვნელოვანია **ნიკო მარის** ღვაწლი. მის სახელთანაა დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურაში საწარმოებელი ფუძის პრინციპის დანერგვა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ადრე მსგავსი პრინციპით საუღლებელ ერთეულთა დაჯგუფება სცადეს დ. ჩუბინაშვილმა, კ. დოდაშვილმა და თ. ჟორდანიამ. თუ საწარმოებელი ფუძის პრინციპი უმტკივნეულოდ შეიძლება გატარდეს I და II სერიაში, სირთულეს ქმნის III სერიის ნაკვთები. ამ სირთულეს ნ. მარიც გრძნობს; III სერიას არ გააჩნია საყრდენი ნაკვთი. I თურმეობითის ფუძე არ არის საყრდენი დანარჩენი მწკრივებისათვის. ნ. მარი აღნიშნავს: “ეს სამი დრო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი ნაწარმოებია ერთი და იმავე წესით, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ განვიხილავთ როგორც საყრდენად ხმარებულ დროს, რომლისგანაც

სხვები არიან წარმოქმნილნი“. ეს საერთო წესი ინვერსიულობაა. ასევე, მესამე სერიის ფორმებს სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვარობაც აერთიანებს... მაგრამ დაირღვა ძირითადი პრინციპი ნაკვეთულთა დაჯგუფებისა: საწარმოებელი ფუძის პრინციპი.

აკაკი შანიძე პირველ სერიაში ორი წრე გამოყო, დააზუსტა ტერმინები (აწმყოს კავშირებითი, მყოფადის კავშირებითი) და საბოლოოდ შემდეგი სქემა წარმოადგინა:

I სერია: ა) აწმყოს წრე

1. აწმყო
2. უწყვეტელი
3. აწმყოს კავშირებითი

ბ) მყოფადის წრე

4. მყოფადი
5. ხოლმეობითი
6. მყოფადის კავშირებითი

II სერია:

7. წყვეტილი
8. ბრძანებითი
9. II ხოლმეობითი
10. II კავშირებითი

III სერია:

11. I თურმეობითი
12. II თურმეობითი
13. III კავშირებითი (ა. შანიძე, 1973).

იქვე შენიშვნაში მკვლევარი მიუთითებს, რომ ორი მწკრივი — ბრძანებითი და II ხოლმეობითი — დიალექტებშია შემონახული. ამდენად, თანამედროვე ქართულისათვის 11 მწკრივი იგულისხმება.

11 მწკრივს გამოყოფს **არნოლდ ჩიქობავა** (1962, გვ. 107). ავტორის აზრით, “ნაკვეთების წარმოება არის ფუძეთა წარმოება და, მაშასადამე, ნაკვეთების სისტემაში ამა თუ იმ ნაკვეთმა ის ადგილი უნდა დაიკავოს, რაც მას ეკუთვნის წარმოების თვალსაზრისით“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 102). ფორმოზრივი მონაცემების გათვალისწინებით, მკვლევარი ნაკვეთებს ორ წყებად აჯგუფებს: ძირითად ნაკვეთებად მიიჩნევს აწმყოსა და ნამყო ძირითადს, რომელთაგანაც უშუალოდ თუ შუალობით იწარმოება დანარჩენი მწკრივები:

I. გარდამავალი ზმნის აწმყოსაგან (ცვლ-ი-ს) იწარმოება:

ა) პირდაპირი წყობის ნაკვეთები:

1. **ნამყო უსრული** (ცვლ-ი-დ-ა) > 3. **კავშირებითი პირველი** (ცვლ-ი-დ-ე-ს).
2. **მყოფადი** (შე-ცვლ-ი-ს) > 4. **მყოფადისეული ნამყო უსრული** (შე-ცვლ-ი-დ-ა).

5.6.7. **თურმეობითი I, II, კავშირებითი III** გარდაუვალ ორპირიან ზმნათა (რ^{მე}ს-ცვლ-ი-ა, ს-ცვლ-ოდ-ა, ს-ცვლ-ოდ-ე-ს)>

ბ) შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა:

8. **თურმეობითი პირველი** გარდამავალ ზმნათა (უ-ცვლ-ი-ა).

II. **ნამყო ძირითადისაგან** (ცვალ-ა) იწარმოება ნაკვეთები:

ა) პირდაპირი წყობისა: 9. **ნამყო ძირითადის ხოლმეობითი** (ძველ ქართულში): (ცვალ-ი-ს)

10. **კავშირებითი მეორე** (ცვალ-ო-ს)

ბ) შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა:

11. **თურმეობითი მეორე** გარდამავალ ზმნათა (რ^{მე}ე-ცვალ-ა).

12. **კავშირებითი მესამე** გარდამავალ ზმნათა (რ^{მე}ე-ცვალ-ო-ს).

არნ.ჩიქობავამ 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ნაკვეთულთა სისტემა ტრადიციულ სამ სერიად წარმოადგინა.

ამდენად, საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით თანამედროვე ქართულში 11 მწკრივი/ნაკვეთი გამოიყოფა.

უკანასკნელ ხანს კვლავ წამოიჭრა უღლების სისტემის, საუღლებელ ერთეულთა კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის საკითხი.

გიორგი გოგოლაშვილმა თანამედროვე ქართული ზმნის უღლების სისტემა ფორმალური თვალსაზრისით 8 ერთეულის (ნაკვეთის) სახით წარმოადგინა. I სერიის 6 მწკრივი 3 საუღლებელ ერთეულად განიხილა (ზმნისწინი ჩამოაშორა მწკრივის ფუძეს). ავტორის მიხედვით, რამდენადაც ნაკვეთთა გამოყოფა და დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემყარება, უნდა გამოიყოს იმდენი ნაკვეთი, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს. უღვლილების სისტემა უნდა გაიმართოს იმ პრინციპზე, რა პრინციპითაც არის წარმოდგენილი II და III სერიაში. ეს თვალსაზრისი I სერიაში სამი ნაკვეთის გამოყოფას ვარაუდობს. შესაბამისად, ახალ ქართულში ზმნური ფორმები დაჯგუფდება სამ სერიად და 8 ნაკვეთად:

I სერია:

1-ლი ნაკვეთი (აწმყო-მყოფადი) — (ზმნისწ.)-აკეთებს

მე-2 ნაკვეთი (უწყვეტელ-ხოლმეობითი) — (ზმნისწ.)-აკეთებდა

მე-3 ნაკვეთი (I კავშირებითი) — (ზმნისწ.)-აკეთებდეს

II სერია:

მე-4 ნაკვეთი (წყვეტილი) — (ზმნისწ.)-აკეთა

მე-5 ნაკვეთი (II კავშირებითი) — (ზმნისწ.)-აკეთოს

III სერია:

მე-6 ნაკვეთი (I თურმეობითი) — (ზმნისწ.)-უკეთებია

მე-7 ნაკვეთი (II თურმეობითი) — (ზმნისწ.)-უკეთებინა

მე-8 ნაკვეთი (III კავშირებითი) — (ზმნისწ.)-უკეთებინოს

(გ.გოგოლაშვილი, 1988, გვ. 97-98).

საუღლებელ ერთეულთა სრულიად განსხვავებულ პარადიგმას გვთავაზობს **ავთანდილ არაბული**. მკვლევარმა სემანტიკური პრინციპის გათვალისწინებით, დ. ყიფიანის კვალად, ყველა ზმნისწინიანი ფორმა ცალკე საუღლებელ ერთეულად წარმოადგინა (სულ 16 მწკრივი); ავტორის აზრით, მწკრივის არსებობისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ფორმის (ფუძის), მეორე მხრივ, დამოუკიდებელი გრამატიკული შინაარსის (კატეგორიის ან კატეგორიათა ჯამის) ქონა. ქართული ზმნის პარადიგმა შემდეგ სახეს მიიღებს:

- ხატავს** თხრობითი+აწმყო
- ხატავდა** თხრობითი+წარსული+უწყვეტელი
- ხატავდეს** კავშირებითი+[აწმყო]+უსრული
- დახატავს** თხრობითი+მომავალი
- დახატავდა** კავშირებითი+[წარსული]+სრული
- დახატავდეს** კავშირებითი+[მომავალი]+სრული
- ხატა** თხრობითი+წარსული+უსრული
- დახატა** თხრობითი+წარსული+სრული
- ხატოს** კავშირებითი+[აწმყო/მომავალი]+უსრული
- დახატოს** კავშირებითი+ [მომავალი]+უსრული
- უხატავს** თხრობითი+წარსული+უსრული+შედეგობითი
- დაუხატავს** თხრობითი+წარსული+სრული+შედეგობითი
- ეხატა** კავშირებითი+წარსული+უსრული+შედეგობითი
- დაეხატა** კავშირებითი+წარსული+სრული+შედეგობითი
- ეხატოს** “-----“
- დაეხატოს** “-----“

(ა.არაბული, 1999, გვ.50).

ნაკვთთა დაჯგუფებისა და უღვლილების სახეობები ახლებურად არის გაშუქებული **ტ. ფუტყარაძის** ნაშრომში: “ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისათვის“; მკვლევარის აზრით, სასურველია, ქართული ზმნის პარადიგმა აიგოს მორფოლოგიურ-სინტაქსური (ფორმალური) და არა მორფოლოგიურ-სემანტიკური პრინციპით, მით უმეტეს, **მანქანური თარგმანის მოდელირებისას** უფრო გამოსადეგი იქნება ფორმალური პრინციპით აგებული პარადიგმისა და სემანტიკური კონების შეპირისპირება; იგი ქართული ზმნის სრული შესაძლებლობების წარმოსაჩენად ზმნური ფორმაწარმოების სისტემას სამსაფეხუროვან პარადიგმად წარმოგვიდგენს (2006, გვ. 88-95):

I (დიდი) პარადიგმა: ზმნის ფორმაცვალება ყალიბების მიხედვით (ვაკეთებ, ვიკეთებ, ვუკეთებ, ვკეთდები, ვუკეთდები, ვაკეთებინებ...); პირობითად, ამ ხმოვანპრეფიქსიან თუ უპრეფიქსო სახესხვაობებს ნაკვეთებს უწოდებს;

II (კლასიკური) პარადიგმა: ზმნის მოცემული ყალიბის ცვლა მწკრივთა მიხედვით (ვაკეთებ, ვაკეთებდი, გავაკეთებდი, ვაკეთე...);

III (მცირე) პარადიგმა: ზმნის მოცემული ყალიბის მოცემული მწკრივის ფორმის ცვლა პირთა (მხოლოდითი, მრავლობითი) კომბინაციების მიხედვით (მე გ-ა-კეთ-ებ შენ, მე გ-ა-კეთ-ებ-თ თქვენ, მე ვ-ა-კეთ-ებ მას, მე ვ-ა-კეთ-ებ მათ, ჩვენ გ-ა-კეთ-ებ-თ შენ, ჩვენ გ-ა-კეთ-ებ-თ თქვენ, ჩვენ ვ-ა-კეთ-ებ-თ მას...).

ტ. ფუტკარადის აზრით, მწკრივთა რიგი შეიძლება შექმნას მხოლოდ საერთო ყალიბისა და ვალენტობის (იხ.3.5.) მქონე ფორმებმა; ე.ი. პარადიგმის შიგნით გამოირიცხება ე.წ. ინვერსია (ვ-წერ - მ-ი-წერია) და ერთი სახის პარადიგმის ფარგლებში სხვადასხვა აგებულების ყალიბის მონაცვლეობა - ყალიბთა სესხება (ვ-მეფობ - ვ-ი-მეფე); აქვე წარმოდგენილია ვნატავ ზმნის უღლების (ფორმაწარმოების) ნიმუში:

დიდი პარადიგმა:

მე ვ-ნატ-ავ სურათს: მიუმართავი მოქმედების გამომნატველი ორვალენტური ყალიბი;

მე ვ-ა-ნატ-ავ მას სურათს: საზედაო მოქმედების გამომნატველი სამვალენტური ყალიბი;

მე ვ-ა-ნატ-ვ-ინ-ებ მას სურათს: კაუზატიური მოქმედების გამომნატველი სამვალენტური ყალიბი;

მე ვ-უ-ნატ-ავ მას სურათს: ადრესატული მოქმედების გამომნატველი სამვალენტური ყალიბი;

მე ვ-ი-ნატ-ავ სურათს: ადრესატული მოქმედების გამომნატველი ორვალენტური ყალიბი;

მე ვ-ი-ნატ-ებ-ი: ადრესატული მოქმედების გამომნატველი ერთვალენტური ყალიბი;

მე ვ-ე-ნატ-ებ-ი მას: უნებლიე მოქმედების გამომნატველი ორვალენტური ყალიბი;

მე ვ-ე-ნატ-ვ-ინ-ებ-ი მას: კაუზატიური მოქმედების გამომნატველი ორვალენტური ყალიბი;

მე და-ვ-ნატ-ულ-ვარ: უნახავი და მიუმართავი მოქმედების გამომნატველი ერთვალენტური ყალიბი;

მე და-მ-ი-ნატ-ავ-ს ის: უნახავი მოქმედების გამომნატველი ორვალენტური ყალიბი;

- მე და-გ-ხატ-ვი-ვარ მას: უნახავი და მიუმართავი მოქმედების გა-
მომხატველი ერთვალენტიანი ყალიბი;
- მე მიჰმევს ის მას საჭმელს: ადრესატული მოქმედების გამომხატველი
ოთხვალენტიანი ყალიბი;
- მე და-ვ-უ-ხატ-ავ-ვარ მას: თურმეობითი და უნახავი მოქმედების გა-
მომხატველი ერთვალენტიანი ყალიბი;
- დახატული ვარ: ადწერითი ერთვალენტიანი ყალიბი.

კლასიკური პარადიგმა:

- მე ვხატავ სურათს (აწმყო/მომავალი დრო, თხრობითი კილო, უს-
რული ასპექტი);
- მე დავხატავ სურათს (მომავალი დრო, თხრობითი კილო, სრული
ასპექტი);
- მე ვხატავდი სურათს (წარსული დრო, თხრობითი კილო, უსრული
ასპექტი);
- მე დავხატავდი სურათს (წარსული/მომავალი დრო, თხრობითი კილო,
სრული ასპექტი);
- მე ვხატავდე სურათს (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო,
უსრული ასპექტი);
- მე დავხატავდე სურათს (მომავალი დრო, კავშირებითი კილო,
სრული ასპექტი);
- მე ვხატე სურათი (წარსული დრო, თხრობითი კილო, უსრული
ასპექტი);
- მე დავხატე სურათი (წარსული დრო, თხრობითი კილო და სრული
ასპექტი);
- შენ ხატე სურათი (მომავალი დრო, ბრძანებითი კილო და უსრული
ასპექტი);
- შენ დახატე სურათი (მომავალი დრო, ბრძანებითი კილო, სრული
ასპექტი);
- მე ვხატო სურათი (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, უს-
რული ასპექტი);
- მე დავხატო სურათი (მომავალი დრო, კავშირებითი კილო,სრული
ასპექტი).

მცირე პარადიგმა (თითქმის ანალოგიური პარადიგმა პირველად წარ-
მოადგინა ს.ხუნდაძემ; იხ.: ს.ხუნდაძე, 1904, გვ. 115-116; შიღრ., აგრეთვე
თ.უთურგაძე, 2002).

მე ვ-წერ-შენ		
მე ვ-წერ-თ თქვენ		
მე ვ-წერ მას		

მე ვ-წერ მათ		
ჩვენ გ-წერთ შენ ჩვენ გ-წერთ თქვენ ჩვენ ვ-წერთ მას ჩვენ ვ-წერთ მათ		
მე მ-წერ შენ მე მ-წერთ თქვენ მე მ-წერს ის მე მ-წერენ ისინი	შენ წერ მას შენ წერ მათ თქვენ წერთ მას თქვენ წერთ მათ	
ჩვენ გვ-წერ შენ ჩვენ გვ-წერთ თქვენ ჩვენ გვ-წერს ის ჩვენ გვწერენ ისინი	შენ გ-წერს ის შენ გ-წერენ ისინი თქვენ გ-წერთ ის თქვენ გ-წერენ ისინი	ის წერს მას ის წერს მათ ისინი წერენ მას ისინი წერენ მათ

სპეციალისტების წრეში ასევე საკამათოა ზმნის კატეგორიათა (დრო, კილო... გვარი, ქცევა, კაუზატივი...) კვალიფიკაციის საკითხი, ზმნის ფორმამცვლელ და სიტყვამაწარმოებელ კატეგორიათა ანუ წარმოქმნისა და უღლების კატეგორიათა გამოიჯნა...

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა **დამანა მელიქიშვილის** მსჯელობა ქართულ ზმნაში **გვარის ცნების** წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ. მკვლევარი ქართული ზმნის ფორმისა (აწმყო მოდელისა) და კონსტრუქციის (პირთა რელაციის გამოხატვის) მიხედვით გამოყოფს ფართო გრამატიკულ კატეგორიას - **ღიათეზას**: “ღიათეზა არის სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა“ (დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 66). ღიათეზა, როგორც ზმნის გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კატეგორია, ფორმისა და სინტაქსური კონსტრუქციის ურთიერთ-შესატყვისობას გვიჩვენებს, ანუ თითოეული ღიათეზის მოცემულ კონსტრუქციას ყოველთვის ერთი და იგივე მორფოლოგიური სტრუქტურა შეესაბამება.

თითოეულ ღიათეზაში ერთიანდება ერთი სტრუქტურისა და ერთი კონსტრუქციის ზმნები და უღლების ტიპებიც იმის მიხედვით გამოიყოფა; კერძოდ:

I ღიათეზაში შედის: **R-th-0** სტრუქტურის ერგატიული კონსტრუქციის ზმნები; **I** ქვეჯგუფი: სტატიკური-გარდაუვალი, ავტოაქტივები (ვტირი, ვცახცახებ, ვბობოქრობ...) და **II** ქვეჯგუფი: დი-

ნამიკური-გარდამავალი, აქტივები (რომელთა MS ბრუნვა ცვალებადია სერიების მიხედვით: კვეთს, ტეხს, ხვეწს...).

II დიათეზაში გაერთიანებულია R-th-ი სტრუქტურის ნომინატიური კონსტრუქციის გარდაუვალი დინამიკური ზმნები (ვთბები, ვიწვრები, ვეწვრები) და R-ი სტრუქტურისა და ნომინატიური კონსტრუქციის სტატიკური ზმნები (წერია/სწერია, ხატია, აფენია...).

III დიათეზაში მოიაზრება დატიური კონსტრუქციის სხვადასხვა ზმნები (მიყვარს, მაკანკალებს, მემღერება...) (დ.მელიქიშვილი, 2001, გვ. 66-69).

ამგვარად, ქართულ ენათმეცნიერთა და უცხოელ ქართველოლოგთა კვლევების საფუძველზე ქართული ზმნის ბევრი პრობლემა სათანადოდ არის შესწავლილი და გამოკვლეული, თუმცა ქართული ზმნის ბუნების ბოლომდე შეცნობა და სრულყოფილი ანალიზი მომავლის საქმედ რჩება.

ლიტერატურა

- ანტონ I**, ქართული ლრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფილისი, 1885.
- ა. არაბული**, ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: ქართული ზმნის ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984.
- ა. არაბული**, ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: მაცნე (ენა-ლიტერატურის სერია), №4, თბ., 1992.
- ა.არაბული**, ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, №1, 1999.
- ე. ბაბუნაშვილი**, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
- გ. გოგოლაშვილი**, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.
- თ.გვანცელაძე**, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.
- დ. მელიქიშვილი**, ქართული ზმნის უღვლების სისტემა, თბ., 2001.
- კ. დოდაშვილი**, ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევაში: მოამბე, 1894, №4, რ.
- სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1965.
- თ. უთურგაიძე**, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

- თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.
- ტ. ფუტკარაძე, ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისათვის: აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომები (ენათმეცნიერული სერია), ტ. VIII (I), ქუთაისი, 2006.
- ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
- არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იკე, XIII, თბ., 1962.
- A. C. Чикобава, Грузинский язык, ЕИКЯ, XI, Тбилиси, 1984.
- ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

3.4. სიტყვათშენამება

წინადადებაში გრამატიკული წესების შესაბამისად შექმნილ სიტყვათა წყვილს **სიტყვათშენამება** (სინტაქსური კავშირი, თავისუფალი შესიტყვება) ჰქვია. სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ **სიტყვათშენამებასა** და **შესიტყვებას** (ა.დავითიანი, 1973, გვ. 364). ზოგ ენაში სინტაქსური კავშირი სუსტია და სიტყვათშენამება წინადადების წევრთა რიგით განისაზღვრება. ქართული, როგორც აგლუტინაციური (აფიქსებიანი) ენა, მდიდარია სიტყვათშენამების სახეებით; ქართული წინადადების აზრის გასაგებად არსებითი არ არის სიტყვათა რიგი, თუმცა ენობრივი ნორმებისა და სტილის თვალსაზრისით ყურადღება ექცევა წინადადების წევრთა თანმიმდევრობასაც.

სინტაქსურ წყვილში სიტყვებს შორის კავშირის სახეებია: **შეთანხმება**, **მართვა** და **მართვა**. წყვილში ერთი გაბატონებული, ძირითადი წევრია, მეორე - დაქვემდებარებული, ძირითადის დამაკონკრეტებელი (მდრ., **საზღვრული** და **მსაზღვრელი** ფართო გაგებით).

შეთანხმება სიტყვათა ისეთი შეკავშირებაა, როდესაც დაქვემდებარებული სიტყვა იღებს იმ ფორმას, რომელიც წამყვან სიტყვას აქვს. შეთანხმებისათვის აუცილებელია, შესიტყვებაში შემავალ სიტყვებს საზიარო გრამატიკული კატეგორია ჰქონდეს. ქართულში სახელებისათვის ზიარია ბრუნვისა და რიცხვის კატეგორია, ზმნისა

და სახელისთვის კი — რიცხვისა. აქედან გამომდინარე, გამოიყოფა შეთანხმების სამი ძირითადი შემთხვევა:

1. სახელი ითანხმებს სახელს ბრუნვაში;
2. სახელი ითანხმებს სახელს რიცხვში;
3. სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში;

იმ სიტყვას, რომელიც ითანხმებს, მათანხმებელს უწოდებენ, იმ სიტყვას კი, რომელიც ეთანხმება — შეთანხმებულს. მათანხმებელი სიტყვა სახელია, შეთანხმებული — სახელი ან ზმნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში შეთანხმების ერთ-ერთ შემთხვევად გამოყოფენ სახელისა და ზმნის პირში შეთანხმებასაც (ლ.კვაჭაძე, ი.იმნაიშვილი, ა.დავითიანი...).

მართვა სიტყვათა ისეთი სინტაქსური დამოკიდებულებაა, როდესაც ერთი სიტყვა მეორისაგან მოითხოვს ისეთ ფორმას, რომელიც მას არ გააჩნია საერთოდ ან არ აქვს მოცემულ შემთხვევაში.

იმ სიტყვას, რომელიც მართავს, მმართველი ეწოდება; ხოლო იმ სიტყვას, რომელიც იმართვის, მართული ჰქვია.

არნ.ჩიქობავა მართვის ოთხ შემთხვევას გამოყოფს:

1. სახელი მართავს სახელს ბრუნვაში (ხის სახლი);
2. სახელი მართავს ზმნას პირში (მწერს მე);
3. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში (დახატა დედამ);
4. ფორმაუცვლელი სიტყვა მართავს სახელს ბრუნვაში (სახლის გარშემო).

იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველი სიტყვა უშუალოდ მოითხოვს მართული სიტყვისაგან ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, მართვა უშუალოა. მაგ.: ლამაზმა ქალმა; იმ შემთხვევაში კი, როდესაც მართვაში მონაწილეობს თანდებულიანი სახელი და მისი მნიშვნელობით გამოყენებული ზოგიერთი ზმნიზედა, რომელიც წყვილში შედის ზმნასთან, საქმე გვაქვს უშუალოდ მართვასთან (არნ.ჩიქობავა, ლ.კვაჭაძე...).

მირთვა სრულმნიშვნელოვან სიტყვათა ისეთი შეკავშირებაა, როდესაც წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს იკავშირებს მხოლოდ შინაარსობრივ ისე, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს. “მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა. მართვის დასუსტების გზით მივდივართ მირთვისაკენ” (არნ.ჩიქობავა, 1968, გვ.120).

მირთვის შემთხვევებია:

1. ფორმაუცვლელი სიტყვა მიერთვის ზმნას ან ნაზმნარ სახელს (ნელა წერდა);

2. თანდებულისანი სახელი მიერთვის ზმნას ან ნაზმნარ სახელს (სახლში მიდის).

მარტივ წინადადებაში სინტაქსურ წყვილთა რიცხვი წინადადებას წვერთა რაოდენობაზე ერთით ნაკლებია;

განვიხილოთ სინტაქსური წყვილთა სახეები მარტივი წინადადებას მიხედვით: **“ძალიან ლამაზი ქალი აჩქარებული ნაბიჯით შემოვიდა ოთახში”**.

კონსტრუქციაში 6 სინტაქსური წყვილია.

ქალი შემოვიდა: გაბატონებული წევრია შემასმენელი; შეთანხმება გვაქვს რიცხვში (შდრ.: ქალები შემოვიდნენ). ქვემდებარეს (სახელს) ბრუნვაში **მართავს შემასმენელი** (ზმნა): ზმნა ითხოვს, რომ სახელი იყოს სახელობით ბრუნვაში. ამავე დროს, ქვემდებარე (სახელი) ზმნას მართავს პირში (შდრ.: შენ შემოხვედი, ის შემოვიდა), ე.ი. გვაქვს საურთიერთო მართვა - კოორდინაცია (იხ. ქვემოთ; 3.5.).

ნაბიჯით შემოვიდა: გაბატონებული წევრია შემასმენელი; ვითარების გარემოებას (სახელს) მართავს შემასმენელი (ზმნა). აქვე აღვნიშნავთ, რომ **ნაბიჯით შემოვიდა** წყვილი სამეცნიერო ლიტერატურაში **მირთვდაც** განიხილება.

ოთახში შემოვიდა: გაბატონებული წევრია შემასმენელი; ადგილის გარემოებას (სახელს) მართავს შემასმენელი (ზმნა): ზმნა სახელს ითხოვს **ში-მორფემიანი ფორმამაწარმოებელი** ყალიბით - ბრუნვით.

ლამაზი ქალი: გაბატონებული წევრია ქვემდებარე; შეთანხმება გვაქვს ბრუნვაში: **ლამაზი** (განსაზღვრება) ბრუნვაში ეთანხმება ქვემდებარეს (არსებითი სახელს).

ძალიან ლამაზი: გაბატონებული წევრია ზედსართავი სახელი, ზმნიზედა მირთულია ზედსართავზე, მისი მსაზღვრელია, განსაზღვრებაა (და არა ვითარების გარემოება; გარემოება, როგორც წესი, უნდა ახლდეს შემასმენელს).

აჩქარებული[თ] ნაბიჯით: გაბატონებული წევრია ვითარების გარემოება (არსებითი სახელი), რომელიც მოქმედებით ბრუნვაში ითანხმებს მსაზღვრელს (ზედსართავი სახელის როლში წარმოდგენილ მიმღებებს).

სინტაქსურ წყვილთა წარმოდგენილი კვალიფიკაცია კარგად ასახავს ქართული წინადადების წვერთა იერარქიას, რომელიც წარმოიხდება **უშუალო შემადგენლების მეთოდით** (იხ. ქვემოთ 3.5.).

სიტყვათშეხამება (**თავისუფალი შესიტყვება**) შეიძლება იქცეს მყარ შესიტყვებად - ფრაზეოლოგიურ ერთეულად (ა.დავითიანი, 1973, გვ. 355-368; თ.გამყრელიძე, 2003, გვ.374-379). ფრაზეოლოგიური ერთეული დაუშლელია, თუმცა სინტაქსური კავშირის სახეები თავისუფალი სიტყვათშეხამების ანალოგიურია; შდრ.: **ნემსის ყუნწში** (სახელი მართავს სახელს ბრუნვაში) **გაძვრა; ტყუილს მოკლე ფეხები** (სახელი ითანხმებს სახელს ბრუნვაში) **აქვს; ეგ კაცი წყალს ნაყავს** (ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში და სახელი მართავს ზმნას პირში)...

ლიტერატურა

- ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.
- ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
- ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
- დ.მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბ., 2001.
- რ. ენუქიძე, ბირთვული წინადადება ქართულში: კრებ. “თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, ტ. II, თბ., 1967.
- ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.
- არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1945; თბ., 1952.
- არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968.

3.5. წინადადება

სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს, წინადადება ეწოდება. წინადადებას სწავლობს ენათმეცნიერების დარგი - **სინტაქსი**.

ქართულ ენაში, მსგავსად სხვა ენებისა, წინადადება აგებულების მიხედვით სამი ტიპისაა: მარტივი, შერწყმული და რთული.

ტრადიციული გამარტებით, მარტივია წინადადება, თუ იგი გადმოცემულია ერთი ან რამდენიმე სიტყვით, რომლებშიც არ ურევია ერთგვარი წევრები.

შერწყმულია (ანუ თანწყობილწევრებიანია) წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულ რამდენიმე ერთმანეთის მიმართ თანწყობილ წევრს.

რთულია წინადადება, რომელიც შედგება ორი ან მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან (ლ.კვაჭაძე, 1996).

ამჯერად მხოლოდ მარტივ წინადადებას განვიხილავთ.

სინტაქსის ცნებებია: შემასმენელი, ქვემდებარე, განსაზღვრება, დამატება, გარემოება, ჩართული, კავშირი. ტრადიციული სინტაქსის ცნებების მიხედვით, ქართული წინადადება სრულყოფილად განხილული აქვს **ლ. კვაჭაძეს**. ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენების სინტაქსის კვლევის (ერგატიული კონსტრუქციის არსისა და წინადადების წევრთა შორის მიმართების კვლევის) თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **არნ. ჩიქობავას**. თანამედროვე მეთოდოლოგიით ქართული ენის სინტაქსის გამორჩეული მკვლევარია **აკაკი დავითიანი**.

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართულ წინადადებათა სინტაქსური მექანიზმის სპეციფიკურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ორი კარდინალური მნიშვნელობის სინტაქსური ფაქტი: ა) **ზმნა მართავს მორფოლოგიური სუბიექტის ბრუნვას ისევე, როგორც მორფოლოგიური ობიექტისას და ბ) მორფოლოგიური ობიექტი მართავს ზმნის პირს ისევე, როგორც მორფოლოგიური სუბიექტი**. ამიტომაც, ამ ტიპის წინადადებაში მართვის ადგილს იჭერს **კოორდინაცია**. არნ. ჩიქობავა კოორდინაციას უწოდებს ისეთ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას, როდესაც ზმნა მართავს მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების - მორფოლოგიური სუბიექტისა (**MS**) და მორფოლოგიური ობიექტის (**MO**) ბრუნვებს, სახელნი, თავის მხრივ, მართავენ ზმნის პირს და ითანხმებენ მას რიცხვში. არა გვაქვს ოდენ მართული ზმნა - შემასმენელი, არც ოდენ მმართველი (ზმნისა) სახელი - ქვემდებარე, არც სახელი, მართული ზმნის მიერ - დამატება; არის მხოლოდ **კოორდინატები**: კოორდინატი არის კოორდინაციაში მონაწილე სიტყვა (სახელები თუ ზმნა).

კოორდინატი შეიძლება იყოს **ძირითადი, დიდი, მცირე და უმცირესი**. **ძირითადი კოორდინატია** (coordinata princeps) ზმნა, რომელიც ბრუნვაში მართავს მასთან დაკავშირებულ სახელებს (**MS** და **MO**); იგი ცენტრია კოორდინაციისა.

სახელები (MS და MO) გვევლინება დიდი, მცირე და უმცირესი კოორდინატის როლში.

დიდია ის **კოორდინატი** (coordinata major), რომელიც მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში.

მცირეა ის **კოორდინატი** (coordinata minor), რომელიც მართავს ზმნის პირს, მაგრამ ვერ ითანხმებს მას რიცხვში.

უმცირესია ის **კოორდინატი** (coordinata minima), რომელიც ითანხმებს ზმნას რიცხვში, მაგრამ ვერ მართავს ზმნის პირს (არნ. ჩიქობავა, 1968).

კოორდინაციის თუ შეთანხმება-მართვა-მირთვის არსის გარკვევა გვჭირდება წინადადების სინტაქსური ანალიზისთვის (სინტაქსური ანალიზი კი - სწორი წინადადების აგებისათვის). თავის მხრივ, სინტაქსური ანალიზის რამდენიმე მეთოდი არსებობს:


ტ. წინადადების ანალიზი **ტრადიციული სინტაქსის** ცნებებით: წინადადების წევრთა ურთიერთობა განიხილება სინტაქსური წყვილების გაუთვალისწინებლად;

წ. **დისტრიბუციული ანალიზი**: სიტყვათა კლასების ურთიერთმიმართების განსაზღვრა მთლიანი წინადადების ფონზე; ეს მეთოდი წარმატებული ვერ იქნება ქართულისთვის, რამდენადაც იგი არსებითად გადაჭარბებულად აფასებს სიტყვათა რიგს (ა.დავითიანი).

ღ. **უშუალო შემადგენელთა მეთოდით** განისაზღვრება წინადადებაში სინტაქსურ წყვილთა იერარქია; მაგ., ავიღოთ ასეთი წინადადება: **“პატარა (განსაზღვრება) გიორგი (ქვემდებარე) უკანმოუხედავად (გარემოება) გარბოდა (შემასმენელი)“**. ეს წინადადება ოთხი კომპონენტისაგან შედგება: **“პატარა“**, **“გიორგი“**, **“უკანმოუხედავად“**, **“გარბოდა“**. ამ წინადადებაში უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის პროცესი სამი სახით გამოიხატება: 1. ფრჩხილების საშუალებით:

S (NP [პატარა]+N [გიორგი]+adv [უკანმოუხედავად]+V [გარბოდა])

2. გრაფიკულად, უშუალო შემადგენელთა ხის საშუალებით:



პატარა გიორგი უკანმოუხედავად გარბოდა

3. უშუალო შემადგენელთა აღმნიშვნელი კლასების თანმიმდევრობით გადაწერის გზით: **S** : NP+VP; **NP** : A+N; **VP** : adv +V; სადაც: **S** - გარბოდა, **N** - გიორგი, **A** - პატარა, **V** - გარბოდა, **Adv** - უკანმოუხედავად.

ბ. ტრანსფორმაციული მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, თვალი გავადევნოთ მოცემული წინადადების სტრუქტურის სიღრმისეულ ვარიანტებს და ზუსტად გავარკვიოთ სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქცია.

1. სინტაგმატური ანალიზის მიხედვით, წინადადება განიხილება, როგორც მის შემადგენელ ელემენტთა წრფივი განფენილობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ სინტაგმებად დაიყოს. სინტაგმად ითვლება წინადადების შემადგენელი ერთეული, რომელიც ერთერთთან გარკვეული ლოგიკური, სემანტიკური, გრამატიკული და სხვ. (მაგალითად, პრაგმატული) კავშირით შეხამებული ელემენტებისგან შედგება (ა.დავითიანი).

1. რელაციური მეთოდით (წინადადების ანალიზი მიმართებათა მიხედვით) განისაზღვრება წინადადების წევრის ფუნქცია მასთან დაკავშირებულ სიტყვასთან მიმართებით; მაგ., ამ მეთოდის ერთერთი წესის თანახმად, “ნებისმიერი ერთეული, რომელიც მიმართებაშია ზმნა-შემასმენლის სუბიექტურ პირთან, არის ქვემდებარე“ (არაიშვიათად, რელაციური წესები საკამათოა).

ბ. წინადადების ანალიზი აქტანტების მიხედვით. მეთოდი დაამუშავა ლ. ტენიერმა; მისი აზრით, ფრაზა არის სპექტაკლი, სადაც ზმნა მთავარი მოქმედი პირია, ხოლო ზმნასთან დაკავშირებული სახელები მოქმედი პირები (**აქტანტები** - ფრანგ. actants “მოქმედი“) არიან; ფრაზის ელემენტია კავშირიც. ამ ანალიზით, სინტაქსური კავშირი მხოლოდ დაქვემდებარებითია: მაღალი რიგის ელემენტი მართავს დაბალი რიგისას. ლ. ტენიერს ენათმეცნიერებაში გადმოაქვს **ვალენტობის ცნება**, რომელიც ასახავს ზმნის უნარს, დაი-

კავშიროს სახელთა გარკვეული რაოდენობა (შდრ., პირიანობა: ზმნაში ასახულ აქტანტთა რაოდენობა).

წინადადება ლოგიკურ-გრამატიკული სტრუქტურაა; მეტყველების ნაკადში (აზრის გამოთქმის დროს) ხდება სტრუქტურის რეალიზება (აქტუალიზება - ა.დავითიანი), თუმცა, წინადადების სახეს ბევრად განსაზღვრავს **ინტონაცია** (სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქციის მქონე ფონეტიკური მოვლენა), რომელიც გამოიხატება **მანვილისა** და **პაუზის** საშუალებით. მანვილიცა და პაუზაც სამგვარია: გრამატიკული, ლოგიკური და ფსიქოლოგიური. წინადადების დამატებითი აქტუალიზება შეიძლება განხორციელდეს: მიმართვით, ჩართვით, პოეტური გამეორებით; აგრეთვე: ჩვენებითი ნაცვალსახელებით, ნაწილაკებით, კავშირებით და სხვ.

მარტივი და რთული წინადადებების სიღრმისეული თუ ზედაპირული სტრუქტურების ადეკვატურ ანალიზზე ბევრად არის დამოკიდებული თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიების დამუშავება და მათი აქტიური გამოყენებით ტექსტის “გააზრება“ მანქანის მიერ, ავტომატური თარგმანების განხორციელება და სხვ..

ლიტერატურა

- რ. ასათიანი**, მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, თბ., 1982.
- თ. გამყრელიძე**, ზმნის “პირიანობა“ და “ვალენტობა“: საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გ. მაჭავარიანის ხსოვნას, თბ., 1979.
- ა. დავითიანი**, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.
- მ. დამენია**, ქართული ენის ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდულები, თბ., 1982.
- ლ. კვაჭაძე**, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.
- რ. ენუქიძე**, ბირთვული წინადადება ქართულში: კრებ. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. II, თბ., 1967.
- რ. ენუქიძე**, ტრანსფორმაციული მეთოდი და მისი გამოყენება ქართული ენის მარტივი წინადადების მასალაზე, საკანდიდატო დისერტაცია, 1969.
- რ. ენუქიძე**, წინადადების აქტუალური დანაწევრება და მისი მიმართება სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდებთან: კრებ. “თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, VI, თბ., 1981.

- რ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.
- ლ. კიკნაძე, ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში: ყურნ. "კომუნისტური აღზრდისათვის", თბ., 1937, №8-9.
- В. С. Краковский, Истоки вервацентрической концепции предложения в русском языкознании, ВЯ, 1983, №3, с. 110-117.
- გ. მაჭავარიანი, უნიშნო ვნებიანი ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959.
- მ. მაჭავარიანი, რეფლექსივისა და ქცევის კატეგორიების მიმართებისათვის: კრებ. თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბ., 1980.
- ლ. ნოზაძე, ინ-ენიანი ვნებიანების ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იკე, IX-X, თბ., 1958.
- ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: იკე, XIX, თბ., 1974.
- ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.
- В. Скаличка, О грамматике венгерского языка, "Пражский лингвистический кружок", Москва, 1967.
- В. М. Солнцев, Относительно концепции глубинной структуры, ВЯ, 1976, 5 с. 13-25 .
- თ. შარაძენიძე, თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბ., 1972.
- არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961.
- არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968.
- Р. А. Холл, Критика теории омского ВЯ, 1978, 5.
- Н. Хомский, Аспекты теории синтаксиса, М., 1972.
- Z.S. Harris, String Analysis of Sentence Structure, The Hague, Mouton, 1962.

თავი IV

ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოება

4.1. ქართული ლექსიკისა და ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორიის ძირითადი საკითხები

ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ლექსიკას იკვლევს, ლექსიკოლოგია ეწოდება (ბერძნ. *lēxikos* “სიტყვისა“ და *logos* “მოძღვრება“). ლექსიკას სხვადასხვა კუთხით სწავლობს, აგრეთვე: სემასიოლოგია (სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობას), ეტიმოლოგია (სიტყვათა წარმოშობას, თავდაპირველ მნიშვნელობას), ონომასიოლოგია (სიტყვას, როგორც სახელს), ლექსიკოგრაფია (ლექსიკონის შედგენის თეორიის საკითხებს).

ვარაუდობენ, რომ ენებში საშუალოდ ნახევარი მილიონი სიტყვა და გამოთქმაა. ლექსიკა ენის ყველაზე ცვალებადი ნაწილია. ლექსიკურ ერთეულთა სწრაფი ცვალებადობა აიხსნება მათი მნიშვნელობების უშუალო კავშირით გარეენობრივ სინამდვილესთან: ლექსიკურ მარაგში თვალსაჩინოდ აისახება ის გარდაქმნები, რომლებიც სამყაროში ხდება; ახალი რეალობის გაჩენასთან ერთად ლექსიკური ერთეულიც ჩნდება. პარალელურად ზოგი სიტყვა გამოდის საყოველთაო ხმარებიდან; ამის აღნუსხვა შეუძლებელია, ამიტომ ზუსტად ვერ დავადგენთ ამა თუ იმ ენაში არსებულ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობას.

ლექსიკოლოგიური მუშაობა ძველ საქართველოში მწიგნობრობის წარმოქმნისთანავე უნდა დაწყებულიყო. ამას მოწმობს უძველესი ხელნაწერი ძეგლები (ორიგინალური და ნათარგმნი), რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს თან ახლავს სქოლიო, სადაც წარმოდგენილია სიტყვათა - ცნებათა განმარტებანი.

ქართული ტერმინთმეცნიერება ერთ-ერთი უძველესი პროცესია, შესაბამისად, მეტად ფასეულია მსოფლიოს ლინგვისტური აზროვნების ისტორიისთვის.

“მუშანის წამების“ დახვეწილი ლიტერატურული ენა მოწმობს, რომ V საუკუნისათვის უკვე არსებობდა კარგად განვითარებული ქართული საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ტერმინოლოგია (*terminus* “საზღვარი“, “ზღვარი“).

VIII-IX საუკუნეებში გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით შექმნილმა ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულმა სკოლამ ახალი ეტაპი შექმნა ტერმინოლოგიის განვითარებისათვის.

ქართული ენის ტერმინოქმნადობის (ლექსიკის/ტერმინების მეცნიერული გზით შექმნის) ახალი აქტიური პერიოდი დაიწყო X-XIII საუკუნეებიდან.

საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის საზღვრებს გარეთ არსებულ სამეცნიერო ცენტრებში (გელათის, იყალთოს აკადემიებში,

ათონის, შავი მთის, პეტრიწონის ლიტერატურულ სკოლებში) X-XII საუკუნეებში შეიქმნა მყარი ტრადიციები სიტყვათა წარმოებისა და თხზვისა. ქართული ლექსიკა ამ დროისათვის ისეთი მაღალი დონისა იყო, რომ მას შესწევდა უნარი, გადმოეცა მაშინდელი მსოფლიოს გონითი მიღწევის ყველა ნიუანსი. **დ.მელიქიშვილისა** და სხვათა გამოკვლევები ცხადყოფს, რომ XII საუკუნეში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა მდიდარი თეოლოგიური და სამეცნიერო ტერმინოლოგია, ინტენსიურად ვითარდებოდა ჰუმანიტარული დარგები, ფილოსოფიური აზროვნება... ამ დროისათვის ქართული ლექსიკის გამორჩეული მკვლევრები იყვნენ: იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, “საღვთო ფილოსოფოსი” - იოანე პეტრიწი, ნიკოლოზ გულაბერისძე და სხვანი.

XIV საუკუნიდან XVII საუკუნის დამდეგამდე, საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრებიდან გამომდინარე, ქვეყანაში კულტურულ-ლიტერატურული წინსვლა აღარ იგრძნობა. ლექსიკოლოგიურ სფეროშიც აღორძინება იწყება XVII საუკუნიდან, ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბას საგანმანათლებლო მოღვაწეობით. საბას **“ლექსიკონი ქართული”** მრავალი კუთხითაა საინტერესო (დიდი ლექსიკოგრაფი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ **ქართველებს მანამდეც ჰქონიათ ლექსიკონი**, რომელიც **“უამთა ვითარებითა უჩინოდ ქმნილიყო”**); საბას ლექსიკოგრაფიული შედეგრი დღესაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების დროს. ქართული ლექსიკის ისტორიისათვის ასევე მნიშვნელოვანია ვახტანგ მეექვსის, ვახუშტი ბატონიშვილის, ანტონ კათალიკოსის, დავით რექტორის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების შემკვიდრეობა.

XIX-XX საუკუნეები სრულიად ახალი ეტაპია ლექსიკისა და, საერთოდ, ენის შესწავლისათვის. უკვე ყალიბდება სამეცნიერო დისციპლინები, რომლებიც აკადემიურად სწავლობენ ენის ყოველ მხარეს; გაჩნდა ლექსიკის შემსწავლელი რამდენიმე სამეცნიერო დარგი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა **ტერმინოლოგიას**.

ტერმინოლოგიის საკითხებით ქართული საზოგადოების დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს XIX საუკუნის ქართული პრესა, რომელშიც სისტემურად იბეჭდებოდა ტერმინოლოგიური მასალები, ტერმინოლოგიის საკითხებზე გამართული კრებებისა და დისკუსიე-

ბის შედეგები, რეცენზიები ტერმინოლოგიური ლექსიკონების შესახებ და სსვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამეცნიერო ტერმინოლოგიას აქტიურად ქმნის და ქვეყნის მასშტაბით ტერმინთქმანდობის პროცესს ხელმძღვანელობს **დიდი ილია**. მისი თაოსნობით განხორციელებულია ენის რეფორმამ მყარი საფუძველი მოამზადა მომდევნო პერიოდის ტერმინოლოგიური მუშაობისათვის; ილია ჭავჭავაძემ შექმნა ტერმინოლოგიური მუშაობის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობდა:

1. ქართული ენის ლექსიკური ფონდის მაქსიმალურად ამოქმედებას, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, მივიწყებული ძველი სამეცნიერო ტერმინების, მეორე მხრივ - ქართველური დიალექტური მონაცემების მოძიება-აღნუსხვაში;

2. სიტყვაწარმოებას ტრადიციული ქართველური ყალიბების მიხედვით და

3. საერთაშორისო ტერმინების სესხებას. ნასესხობებისა და ბარბარიზების პირველი მართებული გამიჯვნა სწორედ ილია ჭავჭავაძის დამსახურებაა (ი.ვაშაკიძე, 2005).

XIX-XX საუკუნეების მოღვაწეთაგან უნდა გამოვყოთ, აგრეთვე: სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი ყიფიანის (ქართული გრამატიკა), კონსტანტინე და ვარლამ ყიფიანების (ალგებრა, გეომეტრია, ტექნიკა), ვასილ პეტრიაშვილის (ქიმია) ტერმინოლოგიური მოღვაწეობა.

მეცნიერების განვითარების კვალად, XX საუკუნის პირველი ნახევრიდან ახალ მასშტაბებს იძენს ქართული ტერმინთმემოქმედება; 1920 წელს გამოიცა “რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)“, რამაც დიდი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული ტერმინების შექმნასა და დანერგვაში (სწორედ ამ დროს შემოვიდა ბევრი ცნობილი ტერმინი: წნევა, დენი, ძრავა, მინარევი, სინჯარა, მართი კუთხე...).

XX საუკუნის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამდიდრება-გამრავალფეროვნება **ივ. ჯავახიშვილის** სახელს უკავშირდება. 1936 წელს მან შექმნა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სპეციალური განყოფილება, რომლის მუშაობაში იმთავითვე ჩაებნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: ალექსანდრე ჯანელიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ანდრია რაზმაძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და

სხვები. მათი მუშაობის შედეგად ათეულობით სხვადასხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონი გამოვიდა.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური ცხოვრების ახალი რეალობები ახალი ტერმინოლოგიის სწრაფი ქმნადობის აუცილებლობას ქმნის. ელექტრონული პროექტებისა და სამყაროს ახლებურად ხედვის შესაბამისი ცნებების აღსანიშნავად დროულად უნდა მოხდეს ქართული სალექსიკონო მასალის გამოყენება, რომ ჩვენი ენა გაუმართლებლად არ დამძიმდეს ბარბარიზმებით და, ბოლოს, საერთოდ არ დაკარგოს კულტურული ენის ფუნქცია. **საქართველოში ტერმინოქმნადობის თვისობრივად ახალი ეტაპი დგება.**

ლიტერატურა

- თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია**, ენათმეცნიერების თეორიული კურსი, თბ., 2003.
- დ. მელიქიშვილი**, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
- დ. მელიქიშვილი**, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან: “ლოგოსი“, თბ., 1999.
- ი. ვაშაკიძე**, ილია ჭავჭავაძე - ტერმინთმემოქმედი, თბ., 2005.
- გ. ნებიერიძე**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2003.
- მ. ტაბიძე**, ახალი თაობის ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის ენობრივ თავისებურებათა შესახებ: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი №4, ქუთაისი, 2006.
- მ. ტაბიძე**, ონომასტიკა და ლექსიკოლოგია: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდული, ტ. XXII, თბ., 2003.
- მ. ტაბიძე**, ლექსიკურ ნასესხობათა ზოგი საკითხის შესახებ ქუთაისური საუბრები: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I. ქუთაისი, 1996.
- მ. ტაბიძე**, -ობა სუფიქსიანი წარმოება მუსიკის ტერმინოლოგიაში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I. თბ., 1996.
- М. Табидзе**, Фонетические процессы в заимствованной лексике на разных этапах развития грузинского языка. Десятый международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. (тезисы докладов). Махачкала, Республика Дагестан. 1998.
- ბ. ფოჩხუა**, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1966.

რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.

ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.

ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.

4.2. საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკა

ყოველ ერს აინტერესებს თავისი ენის ლექსიკის წარმომავლობა; მსოფლიოს სხვა ენათა მსგავსად, ქართულის ლექსიკური ფონდიც სხვადასხვა ისტორიის მქონე სიტყვებისგან იქმნებოდა; კერძოდ, თანამედროვე ქართველური (ქართული) ენის მრავალფეროვანი ლექსიკა შედგება: საერთო იბერიულ-კავკასიური, საერთოქართველური, საკუთრივ დიალექტური და ნასესხები სიტყვაფორმებისგან.

ქართულ სამწიგნობრო ენასა და ქართველურ ენა-კილოებში გამოვლენილია მთელი წყება სიტყვებისა, რომელთა ძირები ენათესავება იმიერ-კავკასიური (აფხაზურ-აბაზურ-ჩერქეზული, ჩეჩნურ-ინგუშური და დაღესტნური) ენების სიტყვებს. სპეციალურ ლიტერატურაში იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის დადგენილია რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობანი, რაც უტყუარს ხდის ამ ენათა ლექსიკის ძირითადი ნაწილის საერთო წარმომავლობას (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ვ. როგავა, ქ. ლომთათიძე, ტ. გუდავა, ვ. მენგელია, რ. აბაშია, მ. ჩუხუა, ც. ბარამიძე...). მრავალრიცხოვანი მასალიდან საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ქართველურ-დაღესტნურ-ნახურ საერთო ძირთა რამდენიმე ნიმუშს (ვიმოწმებთ მ. ჩუხუას გამოკვლევის მიხედვით):

საერთოქართველური **მ-ზე** “მზე” (შდრ.: **ზე-ვით, ზე-ზე**), მეგრული **ბჟა**, ჭანური **მჟორა**, სვანური **მიჟ/მეჟ**; ბაცბური **Პჟუ**, ჩაჩნური **ზჟი<*ზი** “სხივი”, ინგუშური **ზჟე** “სხივი”, წინარენახური **ზი** “id”; ხუნძურ-ლაკური **ი-ზ-ან** “ადგომა”, არჩიბული **ბუ-ც-ის** “ადგომა”, ლეზგიური **აჟჷჷ-ზ-უნ** “ადგომა”, თაბასარანული **ზუ-ჯჷ-უზ** “ადგომა”, ადღულური **ღუ-ზ-ას** “ადგომა”, რუთულური **ლუ-ზ-უნ** “ადგომა”, წახური **ულუ-ზ-არ-ას** “ადგომა”; წინარედაღესტნური **-ზ-** “ზესვლა” (შდრ. ქართ. **ზე, ზე-ვით, ზე-და...**).

საერთოქართველური ***წუედ-/წუეთ-**, **წუეთ-ი**, მეგრულ-ჭანური **ჭუათ-/წუათ-**, სვანური **ჟიდ<ჰჟიდ<ჰჟედ** “ცვარი, წვეთი”; ბაცბური **ღარწ-**, ჩაჩნური **ღერზ/d**, ინგუშური **ღარ** “წვიმიანობა”, საერ-

თონახური *დარწ- (<*დაწ < წინარენახური *წად) “წვიმიანობა“; ხუნძური წად/წად, ანდიური წა, ბოთლიხური წაა, ჰამალალური წაა, ბავალური წაა, კარატაული წაა, ახვანური წაარი<წადი “წვიმა“, ბოთლიხური წაი<წაარი “წვეთი, სითხე“, ლეზგიური სტალ<წდალ “წვეთი, სითხე“, თაბასარანული წადალ “წვეთი, სითხე“, აღულური წარ “წვეთი, სითხე“, კრიწული წადი “წვეთი, სითხე“, წინარედალესტნური *წად “წვეთი, სითხე“.

საერთოქართველური წოდ- “წოდება“, “კითხვა“, “სახელი“; სვანური ჭჷდ-, ლი-ჭჷდ-ი “შეკითხვა“, ბაცბური წეთ “სახელი“, “დიდება“, ჩაჩხური წთა, ინგუშური წეთა, წინარენახური *წედ “სახელი“; დიდოური წოდ-ერ-ა/ჯოდ-ირ-ა “გაწოდება (ხელის)“; ჰუნზიბური, ჰინუხური წოდ- “თქმა, მეტყველება“; ლეზგიური, თაბასარანული, აღულური ჭალ “თქმა, მეტყველება“, არჩიბული ჭათ “თქმა, მეტყველება“, წინარედალესტნური *წოდ “გაწოდება“, “მიწოდება“.

საერთოქართველური ვამ-ლი/*ვამ-ალ-ი, მეგრულ-ჭანური უშქ-ური-ი/უშქ-ირ-ი, სვანური უისგ-უ<უიშგ-უ<*უიშქ-ლ; წინარენახური *ვამ- “ვამლი“; წინარედალესტნური *ვემ- “ვამლი“.

საერთოქართველური ას-ულ-ი, წინარენახური *ა-ას “ქალიშვილი“, წინარედალესტნური *ა-ას “ქალიშვილი“.

საერთოქართველური ძჷალ-ი “ძვალი“, წინარენახური *ძალ- “ნეკნი“; წინარედალესტნური *ძალ(ა) “ნეკნი“.

საერთოქართველური ძალ-ლ-ი/*ძალ-ალ-ი, მეგრულ-ჭანური ჯოდ-ორ-ი, სვანური ჟედ/ჟედ-უ, წინარენახური *ძოდ(არ-)>წოყ(არ-); წინარედალესტნური *ძიდ(ორ)>წიყ-(ორ) “ფოცხვერი“.

საერთოქართველური ციცი “ციცი-ნათელა“ (მდრ., ლაზური ჩიჩი), წინარენახური *ციც- “მწერი, წინარედალესტნური *ციც “ჩრჩილი“.

საერთოქართველური სუელი “შრატი“ (მდრ., სვანური შჷელ “შრატი“), წინარენახური *სუალ “შრატი, ღო“, წინარედალესტნური *სუალე “შრატი, სუელი“.

შედარებით ვრცლად განვიხილავთ “ვენახი“ სიტყვის ისტორიას: საერთოქართველურ დონეზე აღადგენენ *უინ-აჰ ფორმას, რომელსაც ქართველურ ქვესისტემებში გააჩნია შესატყვისობა: ქართ. ვენ-

ახ-ი : ზან. **ბინ-ეხ-ი**: სვან. **ჟინ-აჯ. ჟინ-აჯ** რთული შედგენილობისაა: **ჟინ+ახ**. პირველი კომპონენტი **ჟინ-** იგივე ძირია, რაც ***ღჟინ(ო)** სიტყვაშია. **ჟ-**ს წინ **ღ** განვითარებულია (შდრ. სვან. ღვაჟ “ვაჟი“, ღვაჭარ “ვაჭარი“). კომპონენტის მეორე ნაწილი **ახ-** დღეს ქართველურ ქვესიტყვებში დამოუკიდებლად არ იხმარება. ამ სიტყვის ეტიმოლოგიური კვლევის გასაღებს მთის კავკასიური ენები იძლევა. **-ახ** ძირი დასტურდება დადესტნურ ენებში: ხუნძური **ახ**, ბოთლიხური, ლოდობერიული **ახი**, ახვახური **აჯი**, ანდიური **ოხი**, დიდოური **ახ** “ზვარი“, დარგული **ანჯ**, ლაკური **აჯ** “ბალი“. ე.ი. **ვენ-ახ-ი** ნიშნავს “ღვინის ბაღს“. საერთოქართველური ***ჟინ-(ო)** “ღვინო“ სიტყვის შესატყვისებიც დასტურდება კავკასიურ ენებში: ნახური **ვენ**, აფხაზური **ა-ჟუგ(ნ)** “ღვინო“. როგორც ჩანს, მთის კავკასიურ ენებში ცალ-ცალკე დასტურდება როგორც **ვენ-**, ისე **აჯ-** ფუძეები. მათი კომპოზიცია მხოლოდ საერთოქართველურ დონეზე მოხდა, **ჟინ-აჯ** სიტყვაწარმოება საერთოქართველური დონისაა. საერთოქართველურ ენობრივ ცნობიერებაში ვენანი ერთი სიტყვაა (მ. ჩუხუა, 2003; შდრ., თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, **ღვინო**, **ვენანი** ინდოევროპული ენებიდან ნასესხებ ლექსემებს წარმოადგენს).

ლიტერატურა

- თ. გამყრელიძე**, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.
- Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов**, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I-II, Тбилиси, 1984.
- ო. თედევი**, ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1988.
- გ. როგავა**, იბერიულ-კავკასიურ ენათა საერო კუთვნილების თესვის აღმნიშვნელი ფუძე: იკე, ტ. VI, 1954.
- ბ. ფოჩუა**, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- არნ. ჩიქობავა**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.
- არნ. ჩიქობავა**, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
- მ. ჩუხუა**, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიული შედარებითი გრამატიკა, თბ., 2006.
ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

4.3. საერთოქართველური ლექსიკა

ქართული ენის ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი საერთო-ქართველური წარმომავლობისაა. იგი საერთო სალიტერატურო ქართულისა და ქართველური ენა-კილოებისათვის და არ არის შეთვისებული უცხო ენობრივი სამყაროდან.

შესაძლებელია ესა თუ ის საერთოქართველური სიტყვაფორმა თანამედროვე სალიტერატურო ენაში ან კიდევ ქართველურ ქვესიტემებში არ იყოს და რომელიმე კილოში იყოს შემონახული. ამგვარი მასალა ძვირფასია ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკის ისტორიული მიმართების დასადგენად. აქვე საინტერესოა საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვათა ფორმოზრთველ-სემანტიკური ტრანსფორმაციები. ამ თვალსაზრისით საერთოქართველური ლექსიკური ერთეულები შეიძლება ორ ჯგუფად დაგვყოთ:

ა) პირველ ჯგუფში გაერთიანდება იდენტური მასალა, როგორცაა, მაგალითად, მეგრულ-ჭანურში გამოყენებული სიტყვები: ცხენი, ზღვა, ცა, ადრე, დრო, ხანი, შარა, კვალი, მხარე, კარი, ეზო, დიდი, კისერი... ამ შემთხვევაში უცვლელია სიტყვათა როგორც გარეგნული მხარე, ისე მნიშვნელობა. ვფიქრობთ, გაუმართლებელია, რომ საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვები მეგრულ-ჭანურში ე.წ. ქართულ ნასესხობებად ჩაითვალოს;

ბ) მეორე ჯგუფს შეადგენს ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სახეცვლილია ფორმოზრთველად და სემანტიკურად. ფონეტიკური ცვლილება შეიძლება იყოს პოზიციური (კომპინატორული) და ისტორიული (ბგერათშესატყვისობანი).

ძირეულ ქართულ (ქართველურ) არქაულ მასალას უმთავრესად განეკუთვნება ნათესაური ურთიერთობის, სხეულის ნაწილების, ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, ბუნებრივი მოვლენების, დრო-ჟამის აღმნიშვნელი ლექსიკა, აგრეთვე, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები (მასალა წარმოდგენილია არნ.ჩიქობავას “ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონისა” და ჰ.ფენრიხი-ზ.სარჯველაძის “ეტიმოლოგიური ლექსიკონის” მიხედვით).

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები: **ძმა** (ზან. ჯიმა^ლ, სვან. ჯემილ), **და** (ზან. და^ლ, სვან. უდილ), **სიძე** (ზან. სინჯა, სვან. ჩიჟე), **შვილი** (ზან. სქირი, სქუა, სვან. სგ “შობა“), **ქვისლი** (ზან. ქვიშილი, სვან. მექვეშელ), **ასული** (ზან. ოსური, სვან. ასუიშ), **დედამთილი** (მეგრ. დიანთილი, ჭან. დამთირე, სვან. დიმთილ), **მამამთილი** (მეგრ. მუანთილი, ჭან. მთირი, სვან. მიმთილ), **კაცი** (ზან. კოჩი, სვან. ჭან^შ “ქმარი“)...

სხეულის ნაწილთა სახელები: **თვალი** (ზან. თოლი, სვან. თე), **ყური** (მეგრ. ყუჯი, ჭან. ყუჯი, სვან. ყორ “კარი“), **ნიკაპი** (მეგრ. ნეკე, ჭან. ნუკუ, სვან. ნიკფა), **პირი** (ზან. პიჯი, სვან. პილ), **ენა** (მეგ. ნინა, ჭან. ნენა, სვან. ნინ), **კბილი** (ზან. კიბირი), **მხარი** (მეგრ. ხუჯი, ჭან. მხუჯი/ფხუჯი, ხუჯი, სვან. მევენარ), **ფრჩხილი** (მეგრ. ბირცხა, ჭან. ბუცხა, სვან. ცხა), **გული** (ზან. გური, სვან. გუი), **ფილტვი** (მეგრ. ფირტვი, ჭან. ფურფუ, სვან. პერშვდა/პერეშტვა), **სისხლი** (მეგრ. ზისხირი, ჭან. დიცხირი, სვან. ზისხ)...

ცხოველთა სახელები: **ხარი** (ზან. ხოჯი, სვან. ვან), **ფური** (ზან. ფუჯი, სვან. ფირტუ), **ცხვარი** (მეგრ. შხური, ჭან. მხური, სვან. შხან), **თხა** (ზან. თხა, სვან. დაველ), **ძაღლი** (ზან. ჯოლორი, სვან. ყელტუ), **დათვი** (მეგრ. თუნთი, ჭან. მთუთი, სვან. დამდუ), **მელა** (მეგრ. მელა, ჭან. მელი, სვან. მან), **კვერნა** (მეგრ. კვინორი, ჭან. კვენური, სვან. კვენ-), **თაგვი** (ჭან. მთუგი, სვან. შდეგუ)...

ფრინველთა სახელები: **ქათამი** (მეგ. ქოთომი, ჭან. ქოთუმე, სვან. ქათალ), **დედალი** (ზან. დადული, სვან. დანდუ), **მამალი** (მეგრ. მუ-მული, ჭან. მამული, სვან. მამან), **გუგული** (ზან. გუგული, სვან. გგო), **ოფოფი** (მეგრ. ოფოფი, ჭან. ოფამფე, სვან. ოფოფან), **ყვავი** (მეგრ. ყვარია, ჭან. ყვაოჯი, სვან. ჭვერ), **კოლო** (მეგრ. კოლონა, ჭან. კოლონი, სვან. კოლუნ)...

მცენარეთა სახელები: **მსხალი** (მეგრ. სხული, ჭან. მცხული, სვან. იცხ), **ბალი** (ზან. ბული, სვან. ჰებ), **თხილი** (ზან. თხირი, სვან. შდიხ), **ბროწეული** (ზან. ბერწ(ე)ული, სვან. ბროწეულ), **ტყემალი** (ზან. ცომური, სვან. ბარყვენ), **წიფელი** (ზან. წიფური, სვან. წიფრა), **ცაცხვი** (მეგრ. ცხაცხუ, ჭან. დუცხუ, სვან. ცაცხუ), **წაბლი** (ზან. ჭუბური, სვან. ჰებრა), **მტილი** (მეგრ. ორტვინი, ჭან. ონტულე, სვან. ლერტან)...

ორცხვითი სახელები: **ერთი** (მეგრ. ართი, ჭან. რ¹ართ^ი), **ორი** (მეგრ. ყირი, ჭან. ყურ, სვან. დორი), **სამი** (ზან. სუმი, სვან. სემ), **ოთხი**

(მეგრ. ოთხი, ჭან. ოთხო, სვან. ოთმდხუ), **ხუთი** (ზან. ხუთი, სვან. ხოხტიმდ), **ექვსი** (მეგრ. ამშვი, ჭან ანშვი, სვან. უსგუა), **შვიდი** (ზან. შქეთი, სვან. იშქტიდ), **რვა** (მეგრ. რუო, ჭან. რუოვრო, სვან. არა), **ცხრა** (ზან. ჩხორო, სვან. ჩხარა), **ათი** (ზან. ვითი, სვან. დემდ), **ოცი** (ზან. ეჩი, სვ. დერვ-ემდ), **ასი** (ზან. ოში, სვან. ამირ)...

ნაცვალსახელები: **მე** (ზან. მა^ნ, სვან. მი), **შენ** (ზან. სი^ნ, სვან. სი), **ჩვენ** (მეგრ. ჩქი, ჭან. ჩქუ^ნ, სვან. ნაჲ), **თქვენ** (ზან. თქვა^ნ, სვან. სგაჲ), **ვინ** (ზან. მინ, სვან. დერ-ვ), **სხვა** (მეგრ. შხვა, ჭან. ჩქვა, სვან. ეშხუ)...

ზედსართავი სახელები: **წითელი** (ზან. ჭითა, სვან. ჭიმდუ), **თბილი** (ზან. ტიბუ, სვან. ტებიდ), **ძველი** (ზან. ჯვეში, სვან. ჯჷინელ), **თხელი** (ზან. თ^ხითხუ, სვან. დგთხელ), **შუა** (მეგრ. შქა, ჭან. შქა “წელი“, სვან. ისგა), **მრგვალი** (მეგრ. რგვალი, ჭან. მურგვალი, სვან. გირგოლ)...

ზმნები: **გაზრდა** (ზან. რდ-, სვან. ლორდი), **ზომავს** (ზან. ზიმ-, სვან. ზუმ-), **თხრა** (ზან. თხორ-, სვან. შთხარ), **არის** (ზან. ორე^ნ, სვან. არი), **ესმის** (ზან. სიმ-, სვან. სემ-), **აღმოცენდება** (ზან. ჩან-, სვან. შენ-, შან), **ეძახის** (ზან. ჯოხ-, სვან. ჟახე “სახელი“), **წურავს** (ზან. წირ-, ჭან. წორ-, სვან. წნურ-), **აღორებს** (ზან. ლორ-, სვან. ლიღროვი), **ჭედავს** (ზან. ჭკად-, სვან. შკად), **ხნავს** (ზან. ხონ-, სვან. ჯან-), **სწაღია** (ზან. წვად-, სვან. წედ-//წდ)...

წარმოვადგენთ რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ვრცელ ეტიმოლოგიას:

კაცი-კოჩი-ჭაშ ფორმათა მიმართება შეიძლება ასე აიხსნას: მეგრ.-ლაზ. **კოჩი**- წარმოადგენს ქართ. **კაც**- ფორმის კანონზომიერ შესატყვისს (ქართ. ა > ზან. ო, ქართ. ც > ზან. ჩ). სვან. **ჭაშ/ჭაშ** < ***კაშ** < ***კაჩ** (ც>ჩ)შ და კ<ჭ პროცესებისათვის იხ. თ.გამყრელიძე, 1968).

საერთოქართველური **ასული** “ქალიშვილი“ მეგრ.-ჭანურში წარმოდგენილია **ოსური**-ს სახით (ქართ. ა : ზან. ო ფონემური შესატყვისობა, ლ/რ ბგერათა მონაცვლეობა). სვანურ **ასუიშ/ასუშ** ფორმაში ჰ განვითარებულია, უ > უი მიღებულია უმლაუტის გზით. ბოლოკიდური შ საერთოქართველური *ლ ფონემის შესატყვისია (შდრ. წული : ჭუშ). ლაზურსა და სვანურში სიტყვამ შეინარჩუნა თავდაპირველი სემანტიკა, ხოლო მეგრულში სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა: იგი აღნიშნავს “ქალს, ცოლს“.

ლიტერატურა

- თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.
- თ. გამყრელიძე, “გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968.
- ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
- კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემომიერული დიალექტი, თბ., 1985.
- გ. როგავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა საერო კუთვნილების თესვის აღმნიშვნელი ფუძე: იკვ, ტ. VI, 1954.
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
- ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005.
- ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-III, თბ., 2001-2002.
- ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-64.
- არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
- არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
- მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
- ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

4.4. ქართველური დიალექტური ლექსიკა - ქართული სამწიგნობრო ენის უღვევი წყარო

ქართველურ დიალექტებში მრავლად მოიპოვება ისეთი სიტყვები თუ გამოთქმები, რომლებიც სპეციფიკურია კონკრეტული დიალექტის ან დიალექტთა ჯგუფისათვის და არ გამოიყენება სამწიგნობრო ენაში. ასეთია ძირითადად წეს-ჩვეულებებთან, შრომით საქმიანობასთან, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული ლექსიკა. განსხვავებული დიალექტური ლექსიკის წარმოშობის საფუძველია განსხვავებული ბუნებრივი გარემო

(ლანდშაფტი, კლიმატი, მთები, მეურნეობის დარგები...). ამ ტიპის სიტყვები მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტში დასტურდება.

დიალექტური ლექსიკის ძირითადი წყაროა სიტყვაწარმოება. იდენტური მორფოლოგიური ინვენტარის საშუალებით ახალი ლექსიკური ერთეული იწარმოება.

ხშირად ესა თუ ის “კუთხური” სიტყვა ცალკე ერთ ან რამდენიმე კუთხეში იხმარება. მომიჯნავე კუთხეებში საზიარო სიტყვების არსებობა ბუნებრივია. მაგრამ არის ისეთი ფაქტებიც, როცა ერთი და იგივე “კუთხური” სიტყვა დასტურდება არამეზობელ, ტერიტორიულად დამორეზულ დიალექტებში, მაგ.: ქართლ., გურ. **დუნდრუცა** “ჩასუქებული, ჩამრგვალებული”; იმერ., კახ. (ქიზიყ.) **ზაზუნი** “ზოზინი”; კახ., გურ. **კატაფშატა** “ჭალაფშატა”; თუშ. **ზვებაჲ**, მეგრ. **ზებუა** “მაგრად ცემა, მიბერტყვა”; თუშ. **თირთოჲ**, მეგრ. **თირთოლი/თირთოჲ** “თრთოლა”; თუშ. **გასერკვაჲ**, მეგრ. **სეკუა** “კარგად გაძღომა”; თუშ. **ალთვა-ჩალთვა**, მეგრ. **ჩართუა** “ჩეხა, კაფვა”...

დიალექტური სიტყვები სამწიგნობრო ენის ლექსიკასთან შეპირისპირებით შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

ა) დიალექტიზმები სალიტერატურო ფორმათა დუბლეტებს წარმოადგენს, მაგ.: **ბია-კომში**, **კვანი-გოგრა**, **კობიტი-იფანი**, **ჭაჭა-თირკმელი**, **ცინდალი-კნუტი**, **ჭური-ქვევრი**...

ბ) სიტყვები, რომელთაც სალიტერატურო ენაში ზუსტი შესატყვისი (სინონიმი) არ მოეპოვებათ, მაგ.: **ქუცურა** - მოფერებით ძაღლი, **ყვანჩალი** - უშნოდ სიარული; ვაშინერს (მეგრ.) “არ ეგების, აკრძალულია, ტაბუ ადევს”; **თოლიგე** (მეგრ.) “საალერსო-საფიცარი მიმართვა: თვალო, თვალის სინათლე, ჩინი”; **შურიგე** (მეგრ.) “საალერსო-საფიცარი მიმართვა: სული თუ გწამს, სულის ჩინო”. ამ ტიპის სიტყვების შემოტანით სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობა უფრო მდიდარი და მოქნილი ხდება.

საილუსტრაციოდ დავასახელებთ დიალექტური ლექსიკის ნიმუშებს:

იმერული: **ანლათ** “პატიოსნად, ალაღად”; **არჯალი** “ამტანი, გამძღვე, ჯანსაღი”; **გამოლანავს** “გამოათრევს”; **დაფხავებული** “გამხდარი”; **ზორტი** “ტყეში თავისით წაქეული ხე”; **მადინდარა** “სიტყვამოსწრებელი, ოხუნჯი, ლაზღანდარა”; **რეში** “დიდი წვიმა, თავსხმა”; **უღარდავი** “უამრავი, ბევრი” (ქ.ძოწენიძე, 1973).

კოკილო “პატარა სკამი ორი ფეხით“; **დინწა** “ხმარებისაგან გაცვეთილი ჯაყვა“; **ღლიყი** “ლობიოს გასამაგრებელი მსხვილი ჯოხი“; **ღანღული** “ჯოხი, რომელზედაც კიდებენ კალათს“; **გაჩხაკვა** “გაცხრილვა“; **სანჯა** “ჯაყვა“ (კ.კუბლაშვილი, 1985).

კახური: გალა “საქონლის ნაკვალევი ბილიკი ტყეში ან მინდორში“; **ნიჭი** “პატარძლისათვის მირთმეული საჩუქარი“; **პიე, პიო** “ინდაურის ჭუჭი“; **სიხიმსი** “სიმსუქნე“; **დინკლა** “პატარა, უნაყოფო და თითო-ოროლა მარცვლიანი სიმინდის ტარო“; **ხვედა** “დიდი ხის ჩაქუჩი, სცემენ პურეულის თავთავს და მარცვალს აყრევენებენ“; **ჯინი** “დაწნული მოგრძო კალათი: თავსა და ბოლოში ყურები აქვს, პატივის გასატანად ხმარობენ“ (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956).

ხევსურული: ბალითი “ღალატი, მოტყუება, გაბრიყვება“; **ბარდლი** “ბანჯგვლი, ბალანი“; **ბეხვი** “დაბჯღრეული, დაძველებული“; **ზერაცეცი** “დაუდგარი, მოუსვენარი, ფიცხი“; **თიკვი** “ტოლის ფერადი ან მოქარგული ნაჭერი ტანსაცმლის სამკაულად“; **იშვიდაჩი** “იშვიათად“; **ნაზირზენა** “ნამუსრევი, ნაფხვენი“; **ფერღენა** “ყელთეთრი ცხოველი“; **ხინკა** “სლოკინი“ (ა.ჭინჭარაული, 2005).

მოხეური: გაზა-ი “ბორკილი, ცხენის და სხვა ცხოველის წინა და უკანა ფეხების გასაბმელი“; **გაისაურებს** “მიხვდება, გამოიცნობს, შეისმენს, გაიგებს“; **გლოთნა** “ფერება, ალერსი“; **კანდოლი** ქალის ახალუხი პერანგზე საცმელი“; **ლოკიაი** “მოურიდებელი, მსუნაგი, ჭამის მოყვარული“; **ჩახიმახი, ჩინომანო** “ხარახურა, რაგინდარა“; **წიპი** “ორი თითი ერთად (ცერი და შუა ან საჩვენებელი)“; **ხოზზარი** “მიშველი, ჩაუცმელი“ (ი.ქავთარაძე, 1985).

თუშური: არომებს “ატარებს, არონინებს“; **ბარჯღალატი** “ცხვრის გრძელბეწვიანი ტყავის ქუდი“; **ბაყილგ** ი “ნორჩი, სუსტი მცენარე, იტყვიან ადამიანზედაც“; **თოთხარი** “გაჭირვება, ხელმოკლეობა“; **კოტოში** “ნაფოტი“; **კუბატი** “საგანგებო უქმე“; **ჟერებაჟ** “აჟღერება სიმებისა“; **ტაშპაში** “გამოსარჩენი, ხალტურა, უგულოდ გაკეთება ამა თუ იმ საქმისა (პ.ხუბუტია, 1969).

მეგრული: ბეკა “მაწანწალა“; **ბუზუ** “წაბლის ბუდე“; **თუდო** “დაბლა, ქვევით, ძირს“; **თური** “მოგვარე, სისხლით ნათესავი“; **თუნუა** “რთვა (ძაფისა), ძაფის გრეხით გამოყვანა“; **კაჯალი** “მომცრო და ჩაფსკვნილი“; **ნაცა** “თამამი, გამოცდილი“; **ნახაფული** “ბაფოტი“; **ოკარიე** ოთხბოძზე შედგმული ოთხკუთხა მოწნული საქათმე“;

ოჭიში “ზურგი, წელი“; **რზენი** “ბარი, დაბლობი, ვაკე“ (ო. ქაჯაია, 2001-2002).

სვანური: **ათხე** (ზს., ლშხ.) “ახლა“; **აკლი** (ზს.) “კეტავს“; **გეზალ** “შვილი“; **ხენტყი** (ბქ.) “ეწებება“; **დიარ** (ლშხ.) “პური“; **კენჭა** (ბზ.) “ნეკი“; **ლადგარ** (ბზ.) “მოსაკლავი (იარალი)“; **ლაჯად** (ბქ., ლნტ.) “მოსასვლელი“; **მეშხე** (ზს., ლშხ.) “შავი“; **ჟღირტ** “წვეთი, ყლუპი“ (ვ.თოფურია, მ.ქალდანი, 2000).

განხილული ლექსიკური ერთეულები კონკრეტული დიალექტის (ან დიალექტების) საკუთრებას წარმოადგენს. შესაბამისად, იგი ბუნებრივია ამ დიალექტზე მეტყველი ენობრივი კოლექტივისათვის და უცხოა სხვა კუთხის წარმომადგენელთათვის. არსებობს დიალექტური ლექსიკონები, რომლებშიც აღნუსხულია ცალკეული კილო-თქმებისათვის ნიშანდობლივი ლექსიკური ერთეულები და ფრაზეოლოგიური გამონათქვამები.

ქართველური დიალექტებიდან, ხალხური სასაუბრო მეტყველებიდან მომდინარე ლექსიკა სამწიგნობრო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნებისა და საერთო ლექსიკური ფონდის შევსების უმთავრესი წყაროა, თუმცა ამ მიმართულებითაც გარკვეული ზომიერებაა საჭირო; **გრიგოლ ორბელიანი** ერთგან შენიშნავდა: “ზმირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი - ხალხის ენაზედ ვჰსწერთო. მაშ, რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუთუშავებელი, ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ ვაჰსწმენდს, არ გაამშვენიერებს და დიდებულე-ბითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოში, მერე იმ გალამაზებულსა ენასა გამშვენიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევე იმავე ხალხსა, რომელიც არის პატრონი ენისა და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა... **თვით ვეფხისტყაოსანი**“ **რა არის, თუ არა იგივე სიტყვა ქართველის გლუხისა, მხოლოდ ლამაზად გაწყობილი და გამოთქმული?**“

შდრ., აგრეთვე, **აკაკი წერეთელი:** “ხალხის მეტყველებაში ბევრი რამაა ისეთი, რაც სალიტერატურო ენისათვის ზედმეტია ანდა უცხო“...

ქართველი მწიგნობარნი, მწერლები და მეცნიერები ოდითგანვე ცდილობდნენ, სამწიგნობრო ენა გაემდიდრებინათ ხალხურ წიალში შენახული სიტყვების მარაგით. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია იოანე პეტრიწის, სულხან-საბას, დავით გურამიშვილის, ილია ჭა-

გჭავჭავის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძისა და მრავალ სხვათა ღვაწლი; კერძოდ, **მოხეური და ფშაური** ლექსიკა ლიტერატურაში გამოიყენეს ალ. ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ; **ქართლ-კახური** დიალექტური ფორმები - დ. გურამიშვილმა, გრ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. ერისთავმა, ნ. ლომოურმა, ს. მგალობლიშვილმა, ა. ფურცელაძემ, ე. გაბაშვილმა, დ. ჭონქაძემ, ი. გოგებაშვილმა, შ. არაგვისპირელმა, დ. მაჩხანელმა, ი. ევდომვილმა, ს. შანშიაშვილმა, გ. ლეონიძემ. **გურულის** თავისებურებანი ასახულია ე. ნინოშვილის, ჭ. ლომთათიძის, ნ. ნაკაშიძის, პ. ჩხიკვაძის, ნ. დუმბაძისა და სხვათა ნაწერებში. **იმერული კილოს** ლექსიკა დასტურდება ა. წერეთლის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, ს. კლდიაშვილის, შ. დადიანის, დ. შენგელაიას, ნ. ლორთქიფანიძის, კ. ლორთქიფანიძის, ტ. ტაბიძის, გ. ტაბიძის, პ. იაშვილისა და სხვათა მხატვრულ ქმნილებებში. **მეგრულ-სვანური** - გ.წერეთლის, კ.გამსახურდიას, ს.ჩიქოვანის, ლ.ქიაჩელის, ტ.გვრანელის, რ.მარგიანის, ნ.ჯალაღონიას, ტ.ჩარქელიანის, ჯ.ონიანის, ე.სალონიანისა და სხვათა შემოქმედებაში. სანიმუშოდ წარმოვადგენთ ალ.ყაზბეგის “დიალექტურ” ლექსიკას (მასალა გაანალიზებულია ტ.ფუტყარაძის მიერ):

- ალიონმა აიწია* - გათენდა
- ბანდული* - მთაში სასიარულო ფეხსაცმელი (შდრ., ბანდავს)
- ბაჩა* - პატარა ტანის ცხენი
- ბჭეობა* - თათბირი
- ვალიძდა* - გაელიძა
- კვერდი* - ფერდი მთისა (შდრ. აჭარული “ფერდი“)
- კზიურ წასვლა* - პირდაპირ სიარული
- დანელება* - დალუპვა
- დაუნდო ძაღლი* - რუსი ყაზახი
- ენაცქეტი* - ყბედი
- კაცობა* - სირცხვილ-ნამუსიანობა
- ნამგალა* - ამხანაგი მწყემსობაში
- მკლური* - ცხენის ძუნძულით სიარული
- ოჩხარი* - დაზარალებულისთვის მოგროვილი ცხვარი (შდრ., ივ. ქავთარაძე: “წვეულება, რომელსაც აწყობს ღარიბი, რათა შემოწირულობად მიიღონ ცხვარი 200 სულამდე“)
- სათაური* - ზეგანი
- სასჯო* - განსასჯელი

საჩალო - კალო

საღმრთო - გამოსამწვიდობებელი პურობა

სმურთი - დამღერებით თქმული სადღეგრძელო

სპარს-ანგელოზი (< სპას ანგელოზი) - ქართული ლაშქრის

მფარველი ანგელოზი/ღვთაება, რომლის ნიში სნოსთან ახლოს წვერის მთაზეა (მ.ძიძიგური, 1971, გვ. 207).

ქაჩი - ჩლიქი

ქიშელა - ტყავის ტომარა

ქოშა - ტარიანი ხის ჯამი

ქუბი - ყოლო

შეკვრა - მოლაღატის დაწყევლის რიტუალი

შემოწმებული კაბა - ვიწროდ შემოკრული კაბა

შემცნევა - შემჩნევა

შინაური - არაყი

შიშაქი - ბატკნობიდან გამოსული დედალი ცხვარი

შურთხი - გარეული ინდაური

წალო - ადგილი, სადაც ქვეშაგებს ინახავენ

წილობა - ჩამომავლობა

ჩვენობა - თავისთავადობა (თემის თავისთავადობა)

ჩხატი - ჩანჩქერი

ჭიაფერი - წითელი

ხარ-ლალი - ირმის ჯოგის მეთაური

ხენცელა (< ხელ-ცელა) - პატარა ნამგალი

ხეტება - ხეტიალი

ჯიყ-ჯიყი - უცხო ენაზე ლაპარაკი, გაუგებარი ლაპარაკი...

მოხეურ კილოში სხვა მრავალი **ოქრო-სიტყვაა** (პროფ. ივ.იმნაიშვილის საყვარელი გამოთქმა) დავანებული; კიდევ ბევრი სალექსიკონო ერთეული სამწიგნობრო ქართულის ველშია მოსაქცევი და ამ მხრივ სერიოზული შრომა გვაქვს გასაწევი როგორც ენათმეცნიერებს, ასევე - მწერლებს. აქ წარმოვადგენთ რამდენიმე საინტერესო სიტყვაფორმას ივ.ქავთარაძის მიერ შედგენილი ვრცელი "მოხეური ლექსიკონიდან":

გრეხილი - ყაითანი, თასმა

გუელეშმაკა - დაუნდობელი, გაიძვერა

გუვილი - ბუტილობა

გულკუმეტი - გულჩახვეული

დალი - რეზინის საწოვარა, სატყუარა

დედილაი - დედის დედა, ბებია
 დედაჭკუაი - ქალაჩუნა
 დიდკუთერი - ურო
 ვალწინაი - ვალში მისაცემი პირუტყვი
 ზავი - შიში
 ზავიანი - საშიში
 თოქი - მხდალი
 თხარქაჲ - ოთხრქიანი ცხვარი
 კედაი - ხის ურდული
 კეფალი/კაფელი - ფენა-ფენა მოჭრილი ქვა
 კიდო - უბატკნო დედა ცხვარი
 კიპი - თივის დიდი ზვინი
 კინწი - კლდის პატარა შვერილი
 კორი - მრგვალი ქვა
 კუდნი - მთის ძირი
 კუთირტი - მეჭეჭი, კვანძი მატყლში
 ლაწი - ნესტიანი
 მანანა - ოჯახის ბურჯი
 მარჯე - ავი
 მაჩნი - ცელქი ბავშვი
 მზორი - მზიანი ადგილი
 მიდეგაი - მოურიდებელი, უცერემონიო
 მიჭაული - სასროლი ქვა (მრგვალი, ბრტყელი)
 მოჯმე - ამბის მომტანი
 ნალო - შეშის კონა
 ნაქცი - პირველი მატყლი
 პეწი - ბურუსი, ღინღლი
 საოცარი - ძილი
 უზმელი - უჭმელი
 ფახი - შიში (შღრ., აჭარ., დაფახა - შეაშინა)
 ღიტა - ბრუციანი
 შატყი - წყალთოვა, თოვლჭყაპი
 ჯმიანი - სახელოვანი...

სამწუხაროდ, ქართველურ კილოებში შემონახული ასეუ-
 ლათასობით ამგვარი სიტყვა გამოუყენებელია ჩვენს სამწიგნობრო
 ენაში, რომელიც დღენიადაგ მიძიმდება გაუმართლებელი ბარბარიზ-
 მებით.

სამწიგნობრო ენის ხალასი სიცოცხლისათვის საჭირო ნაკადი ხალხური სიტყვათქმნადობიდან მოდის; მომავალმა თაობებმაც აქტიურად და ზომიერად უნდა გამოიყენონ **ქართველურ დიალექტებში არსებული მარადზრდადი ლექსიკური ბაზა.**

ლიტერატურა

- მ. ალავიძე**, დავით კლდიაშვილის ლექსიკონი, ტ. I-II, თბ., 1952.
- ი. ასათიანი**, სალიტერატურო ქართული და მეგრულ-ჭანური ლექსიკა: ქუთაისური საუბრები, IV, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1997.
- ვ. თოფურია**, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, II გამოცემა, თბ., 1987.
- ვ. თოფურია, მ. ქალდანი**, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ე. კოშორიძე**, სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთობისათვის: რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, IV, ბათუმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1982.
- კ.კუბლაშვილი**, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
- ა.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი**, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
- ტ. ფუტკარაძე**, მოხეური ლექსიკა - ქართული სამწიგნობრო ენის ულვეი წყარო, 2006 (იბეჭდება).
- ივ.ქავთარაძე**, ქართული ენის მოხეური ლექსიკონი, თბ., 1984.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, ტ. I, თბ., 1950; ტ. III, თბ., 1953.
- ო. ქაჯაია**, ქართლური კილო, ნ. ლომოურის მოთხრობები: სტალინის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული წერილები, ტ. VIII, თბ., 1961.
- ო. ქაჯაია**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-III თბ., 2001-2002.
- ალ. ღლონტი**, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.
- არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- შ. ძიძიგური**, მწერლის ენა, თბ., 1957.
- ქ.ძოწენიძე**, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
- ქ.ძოწენიძე**, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
- ა. ჭინჭარაული**, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
- ბ.ხუბუტია**, თუშური კილო, ლექსიკა, თბ., 1969.
- ბ. ჯორბენაძე**, ბალავარი მწერლობისა, თბ., 1987.

4.5. სიტყვაწარმოება

ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკური მარაგის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა **სიტყვაწარმოება** - ახალი სიტყვების შექმნა მორფოლოგიური საშუალებებით: აფიქსებით, კომპოზიციით (თხზვით), ფონეტიკურ ვარიანტთა გამოყენებით.

ქართულში გამოიყოფა ნაწარმოებ სიტყვათა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

კნინობით-მოფერებითი სიტყვები ძირითადად დაირთავენ: **-ა, -აკ, -იკ-(ო), -უკ, -ან, -ინ, -უნ, -უკ, -ატ, -იტ, -უტ, -ოტ, -ალ, -ილ, -ულ, -ელ, -უჭ, -უჩ სუფიქსებს (წიგნ-აკ-ი, კაც-უნ-ა, ბიჭ-იკ-ო...).**

აბსტრაქტული ცნება-ტერმინების საწარმოებლად გამოყენებულია **-ება, -ობა** სუფიქსები, **სი-ე, სი-ულ-** კონფიქსები (მშვიდობა, ბედნიერება, სიმშვიდე, სიყვარულ-ი...).

ხელობის, მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვები მეტწილად ნაწარმოები (წარმოქმნილი) სიტყვებია, რომლებიც არსებითი სახელის ფუძისაგან **მე-ე, მე-ურ/-ულ** პრეფიქს-სუფიქსის დართვით იწარმოება: მე-პურ-ე, მე-ზღვა-ურ-ი...

წინა ვითარებას, ნამყოფობას გადმოსცემს **ნა-, ნა-ევ/-ებ, ნა-არ(-ალ)** მაწარმოებლის მქონე სიტყვები: ნაყვავილარი — ნაყვავილები — ნაყვავილები... ნამყოფობის, წინა ვითარების ჩვენება ქართული სიტყვაწარმოქმნის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებადაა ჩათვლილი, რასაც ყურადღება პირველად ა. შანიძემ მიაქცია.

ქართულში **ყოლა-ქონების** სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია რ სუფიქსი: **-იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ედ, -ა.** ამ მაწარმოებელთა მქონე სიტყვებს “ქონების სახელებსაც” უწოდებენ. ამ კლასის სიტყვებშიც რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება ერთი და იგივე ფუძე სხვადასხვა ვარიანტით და ერთგვარი მნიშვნელობით: “წყალსა სმენ არავგისასა ჳიხენი, ირემნი **რქიანნი**“ (ვაჟა) — “დიდი **რქოსანი** ხარჳიხვი ამაყი სარდალივით მიუძღოდათ“ (ბანოვანი); შდრ., სხვა მაგალითები: ბავშვიანი, ნიჭიერი, ცხენოსანი, ცხრაფხა...

კლდოვანი, სახელოვანი... -ედ სუფიქსი არაპროდუქტიულია, ისიც რამდენიმე სიტყვაში გვხვდება (უჯრედი, გრძედი, განედი...).

უქონლობის გადმომცემი სიტყვების ჯგუფი წარმოდგენილია სხვადასხვა პრეფიქსულ-სუფიქსური მაწარმოებლებით. ასეთ სიტყვებს ძირითადად ადიექტივის ფუნქცია აქვთ და მიღებულია არსებითი სახელების ფუძეებისაგან **უ-ო**, **უ-ურ/ულ** აფიქსების დართვით: უყურო, უბინაო, უსახური, უფერული... აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობა შეიძლება გადმოიციეს სხვადასხვა აფიქსით; მაგ., კული: **კულა** “კულის არ მქონე“, “მოკლე კულის მქონე“, **უკულო** - “კულის არ მქონე“ და სხვ.

დანიშნულების ან განკუთვნილების გამომხატველი სიტყვები ძირითადად **სა-** პრეფიქსით არის წარმოდგენილი. ამ პრეფიქსთან ერთად მათ, ჩვეულებრივ, სუფიქსიც ახლავს: **-ო**, **-ე**, **-ურ...** ეს სიტყვები ხშირად ვითარებითი ადიექტივის როლში გამოდის და სინტაქსურ წყვილში მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს. ასეთი მსაზღვრელი გვიჩვენებს, თუ ნივთი ვისთვის ან რისთვისაა განკუთვნილი, რა დანიშნულებისაა: სათბური, საყურე, საბავშვო... დანიშნულების გამოხატვა **სა-** თავსართთან არის დაკავშირებული უპირატესად, ხოლო სუფიქსის მონაცვლეობა დანიშნულების გამოხატვაზე გავლენას არ ახდენს: საგანძვე/საგანძური. ზოგჯერ **სა-ე** და **სა-ო** კონფიქსები ერთსა და იმავე ფუძესთან განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებს ქმნიან. მაგ., **სააბრეშუმო** - საგანგებოდ მოწყობილი ადგილი, სადაც აბრეშუმის ჭია ჰყავთ, და **სააბრეშუმე** - აბრეშუმის ძაფის ან ქსოვილისათვის განკუთვნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ **სა-ო** და **სა-ე** აფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთ წყებას ჩამოშორებია თავდაპირველად მასთან მდგომი საზღვრული წევრი და სუბსტანციის ფუნქცია აქვთ შეძენილი: სასტუმრო დარბაზი, სასადილო ოთახი... ამჟამად ასეთ სიტყვებს დაკარგული აქვს ადიექტივის გაგება და სუბსტანტივის მნიშვნელობით იხმარება: სასტუმრო, სასადილო...

ცალკე გამოიყოფა **წარმომავლობის** სახელები, რომელთა დიდი ნაწილი იწარმოება **-ელ**, **-ულ** და **-ურ** სუფიქსებით. ამათგან პირველი მხოლოდ ადამიანების მიმართ იხმარება: ქართველი, ინგლისელი, მთიელი... ზოგი კი ნივთის წარმომავლობასაც აღნიშნავს; მდრ.: გურია - გურული და აჭარული (ხაჭაპური); ხევსური და კახური (ღვინო)... ძველ ქართულში ადამიანის სადაურობის სახელს

-ელ სუფიქსთან ერთად მ- პრეფიქსიც აწარმოებდა. მაგ., მეგრელი, მროველი...

ზედსართავ სახელებს თანამედროვე ქართულში ხარისხის ორი ფორმა აქვს: უფროობითი და ოდნაობითი. ორივე მათგანი მიიღება წარმოქმნის გზით, რომელთა საწარმოებლად გამოყენებულია **უ-ეს, მო-ო** და იშვიათად **წა-ო. მო-ო** ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელია. ასეთი სიტყვები ძირითადად ფერის აღმნიშვნელია: მოშავო, მოთეთრო, მონაცრისფრო. ამ უკანასკნელებს **წა-** თავსართიანი სინონიმები მოეპოვება: წათეთრო, წაყვითალო... **მო-ო** შეიძლება აგრეთვე აღნიშნავდეს ადამიანის ფერს (თმის, თვალების...): მოქერაო, მოთეთრო; გემოს აღმნიშვნელ სიტყვებშიც გვხვდება **მო-ო**: მომწარო, მოტკბო; ფორმის აღმნიშვნელია მოგრძო, მობრტყო; სულიერ-გონებრივი დახასიათება: მოსულელი, მოძუნწო. უფროობითი ხარისხის ფორმებს აწარმოებს **უ-ეს**: უსწრაფესი, უძველესი...

ზმნიზედის (ზმნისართის) წარმოქმნა. ზმნიზედათა დიდი ნაწილის ფუძე წარმოქმნილია ბრუნვაცვალებადი სახელის “გაქვავებით”: მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ბრუნვის ფორმები მკვიდრდება **ერთი სემანტიკურ ნიუანსით**; შდრ., მაგ.: დღე, დღემ, დღეს - დღეს (დროის აღმნიშვნელი). ზმნიზედის მაწარმოებლად გვხვდება **-ობა** (მარცვლობით), **-გან** (ყველგან), **-ივ** (მარჯვნივ)...

საწყისისა და მიმღეობის წარმოქმნა. ზოგ ენაში საწყისი ამოსავალია ზმნისთვის; ქართულში მეტწილად პირიქითაა: ზმნის ფორმაა ამოსავალი საწყისისთვის.

საწყისის საწარმოებლად ზმნის ფუძე იყენებს **-ა** და **-ილ-** სუფიქსებს, იშვიათად **-ომ-ა, -ოლ-ა, -ნ-ა** რთულ მორფემებს: წერა, ქსოვა, შენება... წუხილი, ღუღილი, სიხარული... ხტომა, ძრწოლა, შოვნა...

მიმღეობის მაწარმოებელია **მ-, სა-, ნა-, მე-, მო-, მ-ელ, მ-არ, მ-არე, -ილ, -ულ**: (და)მწერი, მქსოველი, მსაჯული, საკლავი, ნაგლეჯი, მეტეხი, მოზარდი, დაბანილი, დახატული, მკვდარი, შემდრკალი, მკურნალი, მღუღარე, მომჩივანი...

ზმნის წარმოქმნა. ზმნური აფიქსების საშუალებით ქართულში ზმნა შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერი სახელისგან. მაგ.; ზმნური ფორმისთვის ამოსავალია: ა) არსებითი სახელი: ყვავილი - აყვავილებს, მარლი - ამარლებს, სახლი - ასახლებს, ქვა - აქვავებს,

წყალი - აწყალეებს, მტვერი - ამტვერიანებს... ბ) ზედსართავი სახელი: თეთრი - ათეთრებს, შავი - აშავებს, ძვირი - აძვირებს, იაფი - აიაფებს, მაღალი - ამალღებს, ლამაზი - ალამაზებს... გ) რიცხვითი სახელი: ერთი - აერთიანებს, სამი - ასამებს... დ) ნაცვალსახელი: ჩემი - ჩემებს, სხვისი - ასხვისებს... ე) მიმღეობა: გებულობს, ღებულობს, ყიდულობს, შოულობს, სესხულობს... არაიშვიათად, ახალ ზმნად გვევლინება მოცემული ზმნის ფორმოებრივი ვარიანტი; შდრ., მაგ.: მყავს - მო-მყავს; ა-აგო - და-აგო, ჩა-აგო, მო-იგო...

ქართულში **სიტყვათქმნადობა** ხდება კომპოზიციის გზითაც. **კომპოზიტი** (ა. შანიძის ტერმინოლოგიით, არის თხზული სახელი) არის **რთული სიტყვა**. რთული სიტყვები არის ერთცნებიანი და ორცნებიანი; ამათგან თხზულ სიტყვად მხოლოდ ერთცნებიანი კომპოზიტი ითვლება.

ჩვეულებრივ, ახალი, რთული სიტყვის შესადგენად ადგილობრივ, ძირეულ სიტყვებთან ერთად მიმართავენ ნასესხებ სიტყვებსაც; შდრ., მაგ.: ცისკარი, მზეთუნახავი, რკინიგზა, ქინძისთავი... და: ელექტრომანქანა, რადიომაუწყებლობა, ნახევარფაბრიკატი, აგროტექნიკა, აეროპორტი...

კომპოზიტის შემადგენელ სიტყვათა (კომპონენტთა) ფორმო-ბრივი და შინაარსობრივი ურთიერთმიმართება ერთგვაროვანი არ არის, რაც განაპირობებს კიდევ მათი დაწერილობის თავისებურებას; კერძოდ: თუ კომპოზიტი მიღებულია რედუბლიკაციის (ფუძის გაორკეცების) გზით და ამგვარი სიტყვის თითოეული კომპონენტი რეალური სიტყვაა დამოუკიდებლად, ამასთანავე ფუძეგაორკეცებულ სიტყვას არსებითად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მის შემადგენელ ფუძეს, მაშინ ასეთი სიტყვა დეფისით დაიწერება: ბევრ-ბევრი, პატარ-პატარა, ერთ-ერთი და ა.შ. ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ანუ: თუ კომპოზიტის მნიშვნელობა არ უდრის მის შემადგენელ ფუძეს (წამწამი...), ან პირველი კომპონენტი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული (კარიკარ...), ან და კავშირითაა შეერთებული (ცხენდაცხენ, პირდაპირ...) კომპოზიტი დაიწერება შერწყმულად - ერთ სიტყვად. ასევე, ერთად იწერება თითქმის ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი.

ლიტერატურა

- ა. არაბული, მეტყველების კულტურა, თბ., 2005.
- თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
- გ. ნებზირიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2003.
- Е.А. Земская, Современный Русский Язык Словообразование, Москва, 2005.
- ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია, იკე, XV, თბ., 1966.
- ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
- ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.
- აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
- არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

4.6. ნასესხები ლექსიკა და ბარბარიზმები

კულტურული ურთიერთობების შესაბამისად, მსოფლიოს ენებს შორის აქტიურად ხდება ლექსიკის გაცვლა (სესხება); ქართულიდან ბევრი სიტყვაა შესული სხვა ენებში და ქართულშიც მრავლადაა უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები.

ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ხალხთან ჰქონია ურთიერთობა, რაც ძირითადად შეპირობებულ იყო გეოგრაფიული მდებარეობით ან კულტურულ-ეკონომიკური კავშირებით. ეთნოკულტურული კონტაქტები ნათლად აღიბეჭდება ენის სტრუქტურაში, განსაკუთრებით - ლექსიკაში. სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორე ენაში შედარებით ადვილად ხდება, ვიდრე გრამატიკული ელემენტებისა (ფონემები, აფიქსები). წმინდა, შეურეველი ენა არ არსებობს. ქართულ ენას ურთიერთობა ჰქონდა განსხვავებული სისტემის ენებთან, როგორცაა: არაბული, სპარსული, თურქული, ოსური, ბერძნული, სომხური... ამ ენათა გავლენა ქართველურ ენა-კილოებზე მეტნაკლები ინტენსივობისაა.

ბერძნული ენის გავლენა იზრდება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ. V საუკუნიდან ინტენსიურად ითარგმნებოდა სასულიერო თხზულებები ქართულ ენაზე. უშუალოდ ბერძნული ენიდან შემოვიდა საეკლესიო ტერმინები: *აიაზმა, აღიღოთა, ანგელოსი, დიაკონი, ეკლესია, ეპისკოპოსი, კათალიკოსი, ლიტანია, მარტვილი, მონასტერი, პარაკლისი...*

ბერძნულიდან შეითვისა ქართულმა ენამ საერთაშორისო სიტყვები: *კანონი, ეტიმოლოგია, მუსიკა, ისტორია, ფილოსოფია, გრამატიკა, მათემატიკა...* აგრეთვე: *ანდამატი, ბარბაროსი, გალია, ეპიტაფია, თეატრი, კალამი, კიტრი, კლიტე, კრიალოსანი, ლექსი, მილიონი, მელანი, საბანი, საპონი, სტაფილო, ფასი, წიგნი, ჰაერი...*

კრიალოსანი მომდინარეობს ბერძნული გამოთქმიდან: *კირიე-ელეისონ* (“უფალო, შეგვიწყალებ“). ძველად მლოცველები “უფალო შემიწყალებ“ რამდენიმეჯერ იმეორებდნენ. რომ არ შეშლოდათ, ხელში ეჭირათ საჭირო რაოდენობით ასხმული მძივები და რამდენჯერაც იტყოდნენ, იმდენ მძივს ჩააგდებდნენ; როცა გათავდებოდა, ლოცვაც დასრულებოდა. ქართულში შეიცვალა გამოთქმის როგორც გარეგნული მხარე, ისე სემანტიკა: *კირიე-ელეისონ* “უფალო, შემიწყალებ“ > *კრიალოსანი* “ასხმული მძივი“, რომელსაც ძირითადად მოხუცები ატარებენ.

ქართულში ბევრია ბერძნულიდან მწიგნობრობის გზით შემოსული გრამატიკული და ფრაზეოლოგიური კალკი.

გვხვდება ბერძნული წარმოშობის საკუთარი სახელებიც. მათი ნაწილი ზეპირი გზით დამკვიდრდა, ნაწილი კი - მწიგნობრული გზით.

საინტერესოა სახელი “ქრისტე“: ლოცვა-ვედრების დროს ბერძნულში გამოიყენება *ქრისტე* ფორმა, რომელიც მიმართვას, ანუ წოდებითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს (შდრ. *ქრისტოს* - სახელობითი ბრუნვა). ქართველის ცნობიერებაში “ქრისტე“ აღქმულ იქნა როგორც სახელობითი. ამგვარად არის დამკვიდრებული ქართულში ე-ნმოვანფუძიანი საკუთარი სახელები: *ალექსანდრე, პავლე, პეტრე, სტეფანე, იპოლიტე* (შდრ. სახელობითი: *ალექსანდროს, პავლოს, პეტროს, სტეფანოს, იპოლიტოს...*), რომლებიც ბერძნულში *ოს*-ით ბოლოვდება.

ასევე, ზეპირი გზით არის შემოსული ქართულში ი-ზე დაბოლოებული ბერძნული სახელები, რომლებიც ბერძნულის სახელობითი *-იოს*-ზე ბოლოვდებიან, წოდებითი კი *-ი* დაბოლოებას იღებენ: *აკაკი, ვიორგი, ალექსი* (შდრ. სახელობითი: *აკაკიოს, ვიორგიოს...*). ქართულში აღნიშნული სახელები სახელობით-წოდებითის საზიარო ფორმებს წარმოადგენს.

ქართველებს მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ირანული მოდემის ხალხებთან (სკვითები, სარმატები, მიდიელები...).

ძველი ირანული წარმომავლობის სიტყვებია: საკუთარი სახელი **ფარნავაზი**; საზოგადო სახელები: **განძი, მოგვი...**

საშუალო სპარსულიდან არის შემოსული: **ამხანავი, ანდერძი, ბევრი, ბოსტანი, ბრძენი, დევი, კოშკი, ლაშქარი, ნავთი, ნაზი, სასტიკი, სპეტაკი, ტანი, ტანჯვა, ტაძარი, ტომი, ქარავანი, შმაგი, ძვირი, ჭაბუკი, ჭეშმარიტი, ჯავშანი...**

ახალი სპარსულიდან არის ნასესხები შემდეგი ლექსემები: **აივანი, ბალი, ბაღა, ვარჯიში, ზეიმი, თამბაქო, თასი, თუნგი, იასამანი, კაბა, ნაბადი, ნამი, ნიშანი, ნოხი, ნუსხა, ქალაქი, ქამარი, ქარხანა, ქაჯი, ქიშიში, შარა, ჩანგალი, ძირადღანი, ჩირქი, ხაზინა, ხალი, ხალიჩა, ხურმა, ჯადო, ჯამი, ჯილდო, ჰავა...**

სპარსული სიტყვები უხვად შემოიჭრა ქართულში სპარსული ლიტერატურის აქტიური გავლენის დროს - XV-XVII საუკუნეებში; ამ დროიდან შემოსული ბევრი სიტყვა ორგანულად შეერწყა ქართულ მეტყველებას: განდევნა ქართული ეკვივალენტი და საბოლოოდ გაბატონდა. სანიმუშოდ განვიხილავთ **ფანჯარას**:

ფანჯარა XVIII საუკუნეში ჩნდება. მის ნაცვლად ქართულში იხმარებოდა **საკუმელი, სარკმელი**, რომელიც მომდინარეობს ზმნისაგან: **კუმევა** “ბოლის ამოსვლა” > **საკუმელი** “შენობაში ხვრელი, საიდანაც კვამლი ამოდის”. დღეს **სარკმელი** ძირითადად დიალექტებშია (აჭარ., ხევს., მოხ., ფშ., ქიზ., რაჭ.) დაცული, სალიტერატურო ქართულში კი მნიშვნელობადავიწროებული სიტყვაა და აღნიშნავს იმას, რასაც რუსული **Форточка**. **ფანჯარა** წინათ ერქვა ხის ან ლითონის მოაჯირს, რომელიც გაკეთებული ჰქონდა ნაგებობაში სარკმელს ან სხვა ადგილს, საიდანაც გადავარდნა შეიძლებოდა. **ფანჯარამ** მოგვიანებით შეიძინა ის მნიშვნელობა, რაც დღეს აქვს.

ირანული მოდემის ენაა **ოსურიც**. ოსურ ნასესხობებად მიჩნეულია სიტყვები: **ამინდი, ბევრი, ბუხარი, დოლი, ვირთხა, კერძო, ლუდი, მკაცრი, მონა, ობი, ობობა, ორმო, ფასი, ქუდი, ცალი, ხავსი, ხიდი...** შდრ., მაგ.: ოსური კომპოზიტი: **სულუ** “კვეთი” + **გუნ** “ყველი” და ქართული **სულგუნი**.

სომხური ენიდან შემოსულია როგორც სომხური, ისე სხვა ენების სიტყვები: **ახოვანი, პატივი, სასტიკი, უამი, ხარკი...**

განსაკუთრებით ბევრია არაბული წარმოშობის სიტყვები. VII საუკუნის 40-იან წლებში საქართველო უშუალო კონტაქტს ამყარებს არაბებთან. ამავ პერიოდში არაბული კულტურული ძეგლები ითარგმნება ქართულ ენაზე. არაბული ნასესხობებია: **ალამი, ადათი, ბასრი, ბედაური, დახლი, აბი, ავეჯი, ალამი, არაყი, ბადალი, დავა, დაირა, დოვლათი, ვექილი, ექიმი, ვაზირი, ზარალი, ზეთი, თამაში, თათბირი, თარიღი, თასი, იჯარა, კოშკი, ლურსმანი, მანდილი, მანძილი, მასალა, მიჯნური, ნაბადი, ნალი, ნისია, ნობათი, ნუსხა, ოქმი, რუკა, საათი, სურათი, უსტარი, უჯრა, ფარდა, ფიქრი, ღალატი, სიგელი, ყავა, ყასაბი, შაკიკი, შარვალი, ციფრი, ხაბაზი, ხალხი, ხურჯინი, ჭავრი, ჭანდაბა, ჭილაგი...**

ქართველებს V-XIII სს.-ში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სირიელებთან. სირიულიდან უშუალოდ თუ შუალობით ქართულში შემოვიდა სიტყვები: **დარი, ზეთი, მაგალითი, შამფური, ქალაქი, ქნარი, მახათი, ზვარაკი...**

ქართულში მოიპოვება თურქულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები: **ბათქაში, ბაიყუში, ბოღმა, ყოჩი, ფარა, იარალი, იორღა, ლეში, ოთანხი, ყაბალახი, ყაენი, ყავარი, ყაჩალი, ჩოხა...** თურქიზმები ძირითადად ზეპირი გზით არის შემოსული. მრავლად გვხვდება სამხრეთ საქართველოს დიალექტებში.

თურქულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება აზერბაიჯანული ენა. აზერბაიჯანულიდან ქართულში შემოსულად ითვლება უმთავრესად მომთაბარე მეცხოველეობასთან დაკავშირებული სიტყვები: **თონლი, ყოჩი, იალალი, დოლი, კარაქი. საქმლის სახელწოდებანი: ტოლმა, ბულღამა, ყაურმა, ჩინირთმა, ბოზბაში, ხიზილალა...**

რუსულ ენასთან ინტენსიური ურთიერთობა XIX საუკუნიდან იწყება. სამწიგნობრო ენაში დამკვიდრდა: **ფუთი, ვერსი, კაპიკი, სამოვარი...** საბჭოთა იმპერიის დროს ზეპირ მეტყველებაში აქტიურად მკვიდრდებოდა რუსული სიტყვები, გამოთქმები და ქართული ენისთვის არაბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციები.

უცხო სიტყვათა ზომიერმა შემოსვლამ შეიძლება გაამდიდროს ენა, თუმცა, არაიშვიათად, აუცილებლობის გარეშე დამკვიდრებული ნასესხობები - ბარბარიზმები - ენას ამძიმებს და აღარბებს (ბარბარიზმი, როგორც ვირუსი, კლავს ენაში არსებულ ძირძველ სიტყვას); მაგალითად, ბარბარიზმებია: **აკოშკა, აჩკები, ბოჭკა, კრიშა, პასტა, პოლი, რუჩკა, სპიჩკა, სტანცია, სტოლი, ტუფლი, ფეჩი...** მისალ-

მება-დამშვიდობების ფორმულები: **პრივეტ, ზდრასტი/ ზდაროვა, პაკა...**

ქართულ ენაში დასტურდება აგრეთვე **ფრანგული, გერმანული, ესპანური...** ნასესხობანი, მაგრამ მათი გამოყენების სფერო, სხვა უცხოენობრივ მასალასთან შედარებით, შეზღუდულია. XXI საუკუნის დასაწყისის ქართულში ინტენსიურად (ხშირად, გაუმართლებლად!) შემოდის **ინგლისური** სიტყვები.

თანამედროვე ეტაპზე რუსულენოვანი ბარბარიზმების რიცხვი მცირდება. სამაგიეროდ, უხვად შემოდის ინგლისურენოვანი ტერმინები თუ გამოთქმები, როგორცაა: **დიჯეი, თინეიჯერი, კურსორი, მარკეტინგი, მაუსი, მესიჯი, პეიჯერი, პრინტერი, როუმინგი, ტრენინგი...**

ნასესხები ლექსიკა გვხვდება დიალექტებშიც. მათი მოხმარების არე გარკვეულწილად ლოკალიზებულია; გვხვდება ერთ ან რამდენიმე კილოში. ნასესხობათა რიცხვი მეტია მარგინალურ (განაპირა) დიალექტებში, რომლებიც უშუალოდ ემეზობლებიან უცხოენობრივ გარემოს. კერძოდ, იმერხეულში, აჭარულში, მესხურში მრავლად დასტურდება თურქული სიტყვები; ფხოურ კილოებში თავს იჩენს დაღესტნური და ნახური ენებიდან შეთვისებული ფორმები; ჭანურში შესამჩნევია ბერძნულიდან და თურქულიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულების სიმრავლე; სვანურ კილოებში გვხვდება აფხაზურ-ადიღეური და ბალყარული ენებიდან ნასესხები მასალა.

სესხების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა ენაში აქტიურად ინერგება ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. სიტყვათა სესხება მაშინ არის გამართლებული, როდესაც უცხო სიტყვის ზუსტი შესატყვისი არ მოიპოვება ენაში და შეუძლებელია მისი წარმოება საკუთარი ენის ფუძის მიხედვით. არასაჭიროებისამებრ შემოსული სიტყვები კი არ ამდიდრებს ენის ლექსიკურ ფონდს, არამედ, პირიქით, ამძიმებს და აღარიბებს სალიტერატურო ენას.

მიუხედავად იმისა, რომ **ქართულ სამწიგნობრო ენაში** შეთვისებული მასალა საკმაო რაოდენობით გვხვდება, მისი ხვედრითი წილი საკუთარ ლექსიკასთან შედარებით მაინც მცირეა. უცხო ლექსიკური ერთეულების სესხებით ქართული ენის აგებულება არ დარღვეულა, არ შეცვლილა ფონემატური სტრუქტურა, სიტყვაწარმოების ყალიბები, სინტაქსური წყობა. ქართულმა ენამ ნასესხები მასალა სა-

კუთარ ყალიბში მოაქცია და საკუთარი ენის კანონებს დაუქვემდებარა მათი ფონეტიკურ-სემანტიკური მოდიფიკაციები. ქართულმა ენამ ისტორიის ქარტეხილებს წარმატებით გაუძლო და თავისთავადობა დღემდე შეინარჩუნა.

ლიტერატურა

- მ. ანდრონიკაშვილი**, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
- Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов**, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I-II, Тбилиси, 1984.
- ო. თედევი**, ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1988.
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე**, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
- ბ. ფოჩხუა**, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-64.
- არნ. ჩიქობავა**, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
- მ. ჩუნუა**, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
- ივ. ჯავახიშვილი**, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

4.7. ლექსიკონები

ბერძნული სიტყვა **ლექსიკონი** (lexikon) ორგვარად განიმარტება:

1. წიგნი, რომელშიც ანბანზეა გაწყობილი ამა თუ იმ ენის სიტყვები და მოცემულია მათი განმარტება იმავე ენაზე ან თარგმანი რომელიმე სხვა ენაზე;
2. ვისიმე სიტყვების მარაგი; ლექსიკა.

ლექსიკონი ორი სახისაა: **ენათმეცნიერული** და **ენციკლოპედიური**. **ენათმეცნიერული ლექსიკონები** შეიძლება იყოს ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანი.

ერთენოვანი ლექსიკონები. ერთენოვანია განმარტებითი, დიალექტოლოგიური, ცალკეულ მწერალთა ლექსიკონები... განმარტებითი ლექსიკონები შეიძლება შედგენილი იყოს ცალკეული დარგების მიხედვით. ესენი დარგობრივი ანუ ტერმინოლოგიური ლექსიკონებია. განმარტებითი ლექსიკონი შესაძლებელია ასახავდეს ძველი ენის ლექსიკასაც. ენათმეცნიერულია აგრეთვე უცხო სიტყვათა, სინონიმების, ფრაზეოლოგიის, ორთოგრაფიული, ეტიმოლოგიური, ფსევდონიმების, საკუთარ სახელთა, პირთა ანოტირებული, ინვერსიული, სიმფონია-ლექსიკონები...

განმარტებითი ლექსიკონები. ჩვენამდე მოღწეული პირველი განმარტებითი ლექსიკონი ეკუთვნის **ეფრემ მცირეს**. ესაა ფსალმუნის თარგმანების შესავალში ჩართული სიტყვარი. აქ განმარტებულია ასამდის ლექსიკური ერთეული. “ფსალმუნთა თარგმანების შესავლის შუა ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ენაზე შედგენილ პირველ ლექსიკონად“ (მზ. შანიძე).

სულხან-საბა ორბელიანის „**ქართული ლექსიკონი**“ ანუ “**სიტყვის კონა**“ შედგენილია 1685-1715 წლებში. ამ ლექსიკონში **ქართული სიტყვები ქართულადვეა ახსნილი**. საბასთან ქართული დაწერილობით მოცემულია სომხური, თურქული ან იტალიური სიტყვებიც და მათი თარგმანი; ასე რომ, საბას განმარტებით ლექსიკონში თარგმნითი ლექსიკონის ელემენტებიც არის წარმოდგენილი. უცხოური წარმომავლობის სიტყვებთან მითითებულია, თუ რომელი ენიდან არის შემოსული განსამარტავი სიტყვა ქართულში. “სიტყვის კონა“ ქართული ენის ჩვენამდე მოღწეული პირველი განმარტებითი ლექსიკონია.

“სიტყვის კონაში“ შეტანილია ასევე დიალექტური სიტყვები; “საბა აქა-იქ უჩვენებს სიტყვის გამოყენების რეგიონს (კახეთი, მთიულეთი, მესხეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო...), თუმცა ბევრი სხვა სიტყვაც, რომელთაც მითითებული არა აქვთ მხარე, დიალექტური წარმომავლობისა აღმოჩნდა... სულხან-საბას “სიტყვის კონაში“ მოცემული ფაქტობრივი მასალა ამტკიცებს დებულებას, რომ დიდი კლასიკოსის ენათმეცნიერული ნაშრომი არის პირველი ქართული დიალექტური ლექსიკონიც“ (მ.ალავიძე).

სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონა“ პირველად გამოსცა პოეტმა რაფიელ ერისთავმა 1884 წელს. ბოლო გამოცემა დათარიღებულია 1991 წლით. ის ფოტოტიპურად იმეორებს 1965-1966 წლებში ს. ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულში ილია აბულაძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს. ახალი გამოცემა, რომელსაც ეწოდება “ლექსიკონი ქართული“, შეივსო ი. აბულაძის გამოკვლევითა და მის მიერვე შედგენილი ისეთი სიტყვების საძიებლებით, რომლებიც განმარტებებშია ნახმარი, ხოლო ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულებად გამოყოფილი არ არის. როგორც გამოკვლევას, ისე საძიებელს უდიდესი სამეცნიერო ღირებულება აქვს: გამოკვლევაში საბას ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული და გარკვეული. თავისი მდიდარი მასალით (იგი ცხრა ათასამდე სიტყვას შეიცავს) საძიებელს უთუოდ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია იმ მკვლევართათვის, რომლებიც ქართული ლექსიკონის ისტორიის შესწავლით არიან დაინტერესებული.

ქართული ეროვნული კულტურის დიდი შენაძენია **„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“**, რომელიც შეიცავს 112 949 სიტყვას და 14 536 იდიომატურსა და სხვა ხასიათის გამოთქმას. სიტყვის განმარტებას ახლავს მდიდარი საილუსტრაციო მასალა, რომელიც მწერლობიდან არის ამოღებული, ზოგჯერ კი სასაუბრო ენის ჩვეულებრივი ფრაზაა გამოყენებული. ზმნის პირიანი ფორმები ლექსიკონში ცალკე ლექსიკურ ერთეულებადაა შესული. **„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“** არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით დაიბეჭდა რვა ტომად 1950-1964 წლებში.

უცხო სიტყვათა ლექსიკონები. უცხო სიტყვათა ლექსიკონების შედგენა განაპირობა XIX-XX საუკუნეებში ევროპის ქვეყნებიდან ბევრი უცხო სიტყვის შემოსვლამ. ეს სიტყვები გადმოსცემენ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ძირითად ცნებებს. საჭირო გახდა ამ სიტყვათა განმარტებების დაზუსტება. ქართულ ენაზე არსებობს უცხო სიტყვათა რამდენიმე ლექსიკონი. კერძოდ, 1904, 1918 და 1928 წლებში გამოიცა **ი. იმედაშვილის** “უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, 1928 წელს — “უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელობით.

1933 წელს გამოვიდა **გ. ახვლედიანის** მიერ შედგენილი ლექსიკონი. 1964, 1973 და 1983 წლებში — **მ. ჭაბაშვილის** “უცხო

სიტყვათა ლექსიკონი“, რომელიც შეიცავს 15500-ზე მეტ სალექსიკონო ერთეულს.

ბოლო გამოცემაში დაზუსტებულია ბევრი სიტყვის განმარტება. გასწორებულია მეორე გამოცემაში შენიშნული შეცდომები ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის იმ პერიოდში გამოსული ტომებისა და ზოგი სხვა წყაროს მიხედვით.

ძველი ქართული ენის ლექსიკონები. ძველი და საშუალო ქართულის ძველთა მრავალ გამოცემას ახლავს მოკლე ახსნა-განმარტებითი ლექსიკონები. ლექსიკონთა ავტორებსა და მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოზე ცნობებს გვაწვდის ალ. ლლონტი წიგნში: “ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები“ (1983, გვ. 221-223).

1973 წელს ე. მეტრეველისა და ც. ქურციკიძის რედაქტორობით დაიბეჭდა **ი. აბულაძის** “ძველი ქართული ენის ლექსიკონი“. აქ წარმოდგენილია 11800-მდე სიტყვა ძველი ქართული ენის 150-ზე მეტი ძველიდან. ყველა სიტყვა დოკუმენტირებულია სათანადო მასალით წყაროებიდან.

1995 წელს გამოვიდა **ზ. სარჯველაძის** “ძველი ქართული ენის სიტყვის კონა“. ამ წიგნში შესულია 10000-მდე ისეთი ლექსიკური ერთეული, რომლებიც ვერ აისახა ან განსხვავებული ფორმითა და მნიშვნელობითაა დამოწმებული ილია აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. მთლიანად ნაშრომში 28400-ზე მეტი ლექსემაა.

ზ. სარჯველაძის “ძველ ქართულ ენაში“ (1997 წ.), ტექსტების გარდა მოთავსებულია ლექსიკონი. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. მესამე ნაწილშია მოცემული ლექსიკონი, რომელიც გამოირჩევა განმარტების მაქსიმალური ლაკონურობით. ლექსიკონში ასახულია ამ წიგნში გამოქვეყნებული, ასევე სხვა ძველი ქართული ძეგლების ლექსიკური ერთეულები.

“ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“ 1988 წელს გამოქვეყნდა. მანამდე ასეთი ლექსიკონი არ გვქონია. მასში განმარტებულია თითქმის ყველა ის მორფემა ან მოდალური ელემენტი, რომლებიც გამოვლენილია ქართველურ ენობრივ სამყაროში. ნაშრომში დანართის სახით მოცემულია იმ მორფემათა ლექსიკონი, რომელიც ნასესხებ სიტყვებს შემოჰყვა ქართულში. წიგნის ავტორები არიან: **ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე და მ. ბერიძე.**

“ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის საფუძველზე **გ. გოგოლაშვილმა, ც. კვანტალიანმა და დ. შენგელიამ** 1989 წელს გამოსცეს “ქართული ენის ზმნური ფუძეების

ლექსიკონი“, რომელშიც 5744 ზმნური ფუძეა შეტანილი. თითოეულს ახლავს სქემა, რომელიც შესაძლებელს ხდის ბუდობრივ იქნეს წარმოდგენილი ამა თუ იმ ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები ყველა ფორმა, რაც განაპირობებს თითოეული ქართული ზმნის სრულ გრამატიკულ დახასიათებას.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების ლექსიკონები. მწერალთა ცალკეულ გამოცემებს დართული აქვს ამა თუ იმ ავტორის თხზულებათა ლექსიკონი. ასე, მაგალითად:

ვაჟა-ფშაველას კრებულებს, რომლებიც გამოდიოდა 1922, 1928, 1930, 1956 წლებში, დართული აქვს **ა. შანიძის** მიერ შედგენილი “ვაჟას თხზულებათა ლექსიკონი“.

ალ. ყაზბეგის თხზულებათა ოთხტომეულის 1948-1950 წლების გამოცემას ერთვის “ალ. ყაზბეგის თხზულებათა ლექსიკონი“ (შემდგენელი **შ. ძიძიგური**).

“ე. ნინოშვილის თხზულებათა ლექსიკონი“ (**თ. კიკვიძის** მიერ შედგენილი) დართული აქვს ს. ხუნდაძის რედაქციით გამოცემულ ე. ნინოშვილის თხზულებათა I-II ტომს (1932 წ.). ლექსიკონი ერთვის სხვა გამოცემებსაც.

ბ. აღავიძის შედგენილი “დ. კლდიაშვილის თხზულებათა ლექსიკონი“ დართული აქვს დ. კლდიაშვილის თხზულებათა I-II ტომს (1952 წ.). მანვე შეადგინა “მორეული ლანდების“ ლექსიკა 1961 წელს.

ი. გრიშაშვილმა “ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა ლექსიკონი“ დაურთო ალ. ჭავჭავაძის თხზულებების 1940 წლის გამოცემას (გვ. 347-365).

“გ. ერისთავის თხზულებების ლექსიკონი“ შეადგინა **ო. ურიდიამი**.

თ. რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა შედგენილი აქვს **ივ. ქეშიკაშვილს** (1969 წ.).

მეცნიერებმა ლექსიკონები დაურთეს ქართული ხალხური შემოქმედების ძეგლებსაც. **შ. ძიძიგურმა** 1956 წელს გამოსცა “ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“. ასევე, მცირე ლექსიკონები და სიტყვარები ერთვის **ქ. სიხარულიძის** (საბავშვო ფოლკლორი), **ალ. ღლონტის** (გურული ფოლკლორი), **მიხ. ჩიქოვანის** (ქართული ხალხური პოეზია) გამოცემულ სახელმძღვანელოებს.

1976 წელს “ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ლექსიკონების ტექსტი გამოსაცემად მოამზადა **ი. წაქაძემ**. დაიბეჭდა ს. ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

განმარტებითი ლექსიკონების საერთო სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე არის შედგენილი შ.რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ლექსიკონი, რომელშიც ახსნილია პოემაში გამოყენებული იშვიათი სიტყვების მნიშვნელობა და ფუნქცია შესაბამის კონტექსტებში.

საკუთარ სახელთა ლექსიკონები. სულხან-საბა ორბელიანის “ქართულ ლექსიკონს“ დართული აქვს ქვეყანათა და ადამიანთა სახელები (ტ. II, 1993, გვ. 601-654).

საკუთარი სახელების, გვარსახელების, ტოპონიმების, საქართველოს მხარეებისა და ხეობების საძიებლები დართული აქვს “ქართლის ცხოვრებას“, ვახუშტის წიგნს: “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, **ივ. იმნაიშვილის** მიერ შედგენილ “ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონს“, **რ. თოფჩიშვილის** გამოკვლევას: “როგორ წარმოიქმნა ქართული გვარსახელები“ (1997 წ.).

ალ. ღლონტის “ქართულ ლექსიკოლოგიაში“ (1964, 1988 წწ.) ცალკე თავი აქვს დათმობილი ქართულ ონომატოლოგიას. აქ არა მარტო განმარტებულია ონომატოლოგიის რაობა, არამედ ცალკეულ პარაგრაფებში ავტორი მკითხველს აწვდის ცნობებს ადამიანის სახელების, ქართული და ნასესხები ანთროპონიმის, მეტსახელების, სვანური და მეგრული ონომასტიკონის, გვაროვნული სახელების, ტოპონიმის, ტოპონიმებისა და სხვათა შესახებ.

პირველად 1967, შემდეგ კი 1986 წელს დაიბეჭდა **ალ. ღლონტის** “ქართველური საკუთარი სახელები - ანთროპონიმთა ლექსიკონი“ - საკუთარი სახელების პირველი ლექსიკონი. ეს ლექსიკონი ჩვეულებრივი ტიპის ლექსიკონებისაგან იმით განსხვავდება, რომ იძლევა ლექსიკურ ერთეულთა არა განმარტებებს, არამედ გვაჩვენებს მათ წარმოქმნა-მართლწერასა და ხმარების ადგილს წერილობითი წყაროებისა და ზეპირი ტრადიციის მიხედვით.

საკუთარი სახელების ერთი ნაწილი ახსნილია **ზ. ჭუმბურიძის** წიგნში: “რა გქვია შენ“ (1966, 1971 წწ.). ნაშრომი რამდენიმე თავისაგან შედგება. აქ ახსნილია არა მარტო ადამიანთა ქართული სახელები (ვაჟისა - ცალკე, ქალისა - ცალკე), არამედ ქართული გვარები, მითითებულია მათი წარმოშობის შესახებ, ახსნილია სახელის მნიშვნელობები.

ზ. ჭუმბურიძის ამ ნაშრომს წინ უძღოდა პატარა წიგნი “როგორ გაჩნდა სიტყვა“, სადაც ორი პატარა თავი - “რა გქვია შენ“ და “სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ“ - საკუთარ სახელებს ეთმობა. აქ ახსნილია ადგილთა ვინაობა, ქალაქების, სოფლების, კურორტების, მდინარეების... სახელები. მაგ., **დაბაძველი** - სოფლებს ჰქვია აჭარასა და იმერეთში, ნიშნავს “ძველ სოფელს“, **ზესტაფონი** - ამ ქალაქის სახელწოდება ორი ნაწილისაგან შედგება: **ზესტა** და **ფონი**. II სიტყვა **ფონი** წყალში გასასვლელ ადგილს ნიშნავს. **ზესტა** კი მიღებულია ძველი ქართული სიტყვისაგან ზესთა (ზეშთა) და იგივეა, რაც ზედა“, “ზემოთა“. ამრიგად, ზესტაფონი ნიშნავს “ზედაფონს“.

1981 წელს დაიბეჭდა **ი. მაისურაძის** “ქართული გვარ-სახელები“ (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები).

ტოპონიმთა ლექსიკონები გამოცემულია რეგიონების მიხედვით. **ალ. ღლონტის** “ქართული ლექსიკოგრაფია“ გვაძლევს ტოპონიმთა ლექსიკონების სრულ სიას 1973 წლამდე. მას შემდეგაც არაერთი მნიშვნელოვანი ლექსიკონი შეიქმნა.

ფსევდონიმების ლექსიკონი. გ. მიქაძის “ფსევდონიმების ლექსიკონი“ პირველად 1966, 1969 წლებში და ბოლოს 1984 წელს დაიბეჭდა. მასში მოცემულია ფსევდონიმები ან ინიციალები, რომლებიც საქარველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემულ ფუნდამენტურ შრომაში: “ქართული წიგნი“ გაშიფრული არ არის ან შეცდომით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი გვარებადაა მიჩნეული.

ლექსიკონი შედგება ორი განყოფილებისაგან: პირველში მოცემულია ფსევდონიმების ანბანური საძიებელი. ფსევდონიმები დალაგებულია ანბანის რიგზე. აქ ვხვდებით ინიციალებს, გვარს ან ფსევდონიმების შემოკლებებსა და სრული სახის ფსევდონიმებს.

ლექსიკონის მეორე განყოფილებაში მოცემულია იმ ავტორთა ანბანური საძიებელი, რომელთა ფსევდონიმებიც გახსნილია წინამდებარე ლექსიკონში. ავტორის ნამდვილი გვარის, სახელისა და მამის სახელის შემდეგ აღნიშნულია დაბადება-გარდაცვალების თარიღები, მისი საქმიანობა, ფსევდონიმები.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით (I -1991 წ., II- 1993 წ.), გამოსაცემად მოამზადეს დ.კლდიაშვილმა, მ.სურგულაძემ. ნაშრომი შეიცავს ქართული დოკუმენტური წყაროებიდან ამოკრებილ პირთა სახელებს, რომლებიც დალაგებულია გვარსახელების ანბანური პრინციპით. იმ შემთხვევაში, როცა გვარსახელი უცნობია,

სალექსიკონო ერთეულად გატანილია პირის სახელი. ლექსიკონი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით.

მითოლოგიური ლექსიკონები. 1972 წელს გამოვიდა **ნ. გაფრინდაშვილის** მიერ შედგენილი “მითოლოგიური ლექსიკონი”, რომლის რედაქტორია ა. ურუშაძე.

1983 წელს დაიბეჭდა **ა. გელოვანის** “მითოლოგიური ლექსიკონი” (რედაქტორი - ლ. სანიკიძე). წიგნი ვრცელი ენციკლოპედიური ტიპის ცნობარია ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟთა შესახებ; აქვეა განხილული ძველევგვიპტური მითოლოგიაც. ვრცელადაა წარმოდგენილი ცნობები უმემრული, ბაბილონური, ძველი სპარსული, ინდური, სკანდინავიური, პოლინეზიური მითოლოგიიდან. ლექსიკონში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა ქართულ მითოლოგიასაც.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონები. 1941 წელს გამოვიდა **ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის** “ორთოგრაფიული ლექსიკონი” (სასკოლო). ლექსიკონში შეტანილი მასალები ამოღებულია მხატვრული, პოლიტიკური, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან და განსაკუთრებით მოსწავლეთა ნაწერებიდან. ეს ლექსიკონი შეიცავს 15 ათასამდე სიტყვას. 1946 წლის გამოცემაში 18 ათასამდე სიტყვა შეიტანეს ავტორებმა. მესამეჯერ სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 1949 წელს გამოვიდა და მასში 19 ათასამდე სიტყვა შევიდა.

ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის “ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი” პირველად 1968 წელს გამოვიდა ვ. თოფურიას რედაქციით; იგი ემყარება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალას. ამ ლექსიკონის დანიშნულებაა, აღნუსხოს და წარმოგვიდგინოს, თუ როგორაა მოგვარებული ენაში ორთოგრაფიის ანუ მართლწერის საკითხები. მასში შესულია, აგრეთვე, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინები, სასაუბრო ენისა და კუთხური ლექსიკის ნიმუშები, ძველი ან მოძველებული სიტყვები, რომლებიც გვხვდება ძველსა თუ ახალ მხატვრულ მწერლობასა და სპეციალურ ლიტერატურაში და რომელთა დაწერილობის მოწესრიგება აუცილებელია.

ლექსიკონში წარმოდგენილია ქართული სიტყვების მართებული ფორმები, ამდენად, ბუნებრივია, მასში არ არის მოცემული სიტყვის მნიშვნელობები. მიუხედავად ამისა, როცა მნიშვნელობის განსხვავე-

ბაა აუცილებელი, ლექსიკონში სიტყვის მნიშვნელობაზეც გვხვდება მითითება; მაგალითად: ბალი (ბლისა) - ხილი და ბალი (ბალისა) - წვეულება; ციფრობრივი ნიშანი. ადრესატი - წერილის მიმღები და ადრესანტი - წერილის გამგზავნი და ა.შ.

საკუთრივ ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას ლექსიკონში ნაჩვენებია ერთი სავალდებულო ფორმა, მაგრამ, როცა საქმე მორფოლოგიის, სიტყვათწარმოების თუ ლექსიკის სფეროს ეხება, მაშინ ვარიანტებიცაა მოცემული. თანაბარი ფორმები პარალელური ხაზებითაა აღნიშნული: აავზნებს/აღავზნებს, მომ-წამვლელი/მომწამლავი...

ლექსიკონში შეტანილია უმართებულო ფორმები სათანადო კვალიფიკაციით: ბარტყი [და არა ბლარტი], მოქმედი [და არა მომქმედი]...

ლექსიკონს დართული აქვს ქალისა და ვაჟის სახელების სარეკომენდაციო სია, რომელიც შეიმუშავა მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ.

წიგნს ერთვის, აგრეთვე, გეოგრაფიულ სახელწოდებათა სია, რომელშიც შეტანილია მსოფლიოს ძირითად გეოგრაფიულ სახელწოდებათა ქართული დაწერილობანი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემიდან 30 წლის შემდეგ, 1998 წელს, გამოვიდა “ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის” მეორე შევსებული გამოცემა. ლექსიკონი საგრძნობლად შეივსო “ქართული სიტყვის კულტურის საკითხების” ოთხი ტომის მასალებით, რომლებიც იმ პერიოდში იყო გამოცემული. ლექსიკონის ახალ გამოცემაში დამატებით შესული მასალა 30000 ერთეულს აღემატება, ხოლო მთლიანად სალექსიკონო ერთეულთა რაოდენობა დაახლოებით 80000-ს აღწევს.

“ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის” მეორე გამოცემაში არ შეუტანიათ საკუთარ სახელთა სიები იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უნდა მომზადებულიყო საკუთარი სახელების სპეციალური ორთოგრაფიული ლექსიკონები.

მართლაც, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ბაზაზე მომზადდა ხუთი ახალი ლექსიკონი: ბერძნულ-რომაული სახელების, საქართველოს, საბჭოთა კავშირის, საზღვარგარეთის გეოგრაფიული სახელებისა და უცხოურ პირთა გვარ-სახელებისა.

“ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი” შეადგინა **კ. გიგინეიშვილმა** 1985 წელს.

“საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები)” გამოვიდა 1987 წელს (რედაქტორები: **ც.აფხაზავა, ი.გიგინეიშვილი, ა.კობახიძე, დ.უკლება, მ.ჭაბაშვილი**).

ამ ლექსიკონში შესულია საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის, ქედების, მთების, მწვერვალების, უღელტეხილების, მდინარეების, ტბებისა და სხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებანი, სულ 9350 ერთეული. მათ შორის: 4450 სოფელი, 40 ქალაქი, 40 დაბა, 1455 მდინარე, 555 მთა, 180 ქედი, 132 მწვერვალი, 138 უღელტეხილი და სხვა.

“საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ გამოვიდა 1987 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის სპეციალური დადგენილების შესაბამისად (სარედაქციო საბჭო: **ი.აბაშიძე** (თავ-რე), **ა.კობახიძე, ქ.ლომთათიძე, ა.საყვარელიძე, ც.ცერცვაძე, მ.ჭაბაშვილი**).

“საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ შეიცავს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული ობიექტებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მხოლოდ თანამედროვე სახელწოდებებს. აღრინდელი სახელები მასში გათვალისწინებული არ არის.

ლექსიკონს საფუძვლად უდევს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის უახლესი გამოცემებიდან ხმარებული მასალა. სალექსიკონო ერთეულების ორთოგრაფია შეჯერებულია უახლეს ნორმატიულ ლექსიკონთან “Словарь географических названий СССР“ (II გამოცემა, 1983).

“საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ გამოვიდა 1989 წელს (სარედაქციო საბჭო: **ი.აბაშიძე** (თავმჯდომარე), **ა.კობახიძე, ქ.ლომთათიძე, ა.საყვარელიძე, ც.ცერცვაძე, მ.ჭაბაშვილი, ბ.ჯორბენაძე**).

ლექსიკონში მოცემულია სახელთა სრული დაწერილობა. განმარტება მოცემულია მოკლედ. გეოგრაფიული სახელები ძირითადად შესულია იმ სახით, როგორც ქსე-შია. ლექსიკონში შესულია გეოგრაფიული სახელები, რომლებიც გვხვდება ქართულ ენციკლოპედიასა (ტ. I-XI, 1975-1987 წწ.) და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (III გამოცემა, ტ. I-XXX, 1969-1978 წწ.).

1989 წელს გამოვიდა “უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (რედაქტორები: **ა.კობახიძე, მ.ჭაბაშვილი**).

უცხოურ საკუთარ სახელთა უნიფიკაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის დადგენილების შესაბამისად არის შედგენილი “საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და “უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“.

ლექსიკონის მიზანია, უჩვენოს მკითხველს, თუ როგორ იწერება ქართულად ესა თუ ის უცხოური სახელი. ამავე დროს მოცემულია მოკლე განმარტება, თუ ვინ არის ესა თუ ის პიროვნება და დაბადება-გარდაცვალების თარიღები.

დიალექტური ლექსიკონები. დიალექტური ლექსიკონების შედგენას დიდი ყურადღება დაეთმო XX საუკუნის დასაწყისიდან. გამოქვეყნდა **თ. რაზიკაშვილის, კ. გვარამაძის, ვ. ბერიძის, მ. ჯანაშვილის, ა. შანიძის, ვ. თოფურიას, ივ. გიგინეიშვილის, ი. ქავთარაძის, თ. უთურგაიძის, შ. ნიჟარაძის, ქ. ძაწენიძის, სტ. მენტეშაშვილის, მ. ალავიძის, ლ. კაიშაურის, ს. ჭიჭინაძის, ს. ჟღენტის, თ. ბეროზაშვილის, მ. მესხიშვილის, ლ. ნოზაძის, პ. ჯაჭანიძის, ნ. როსტიაშვილისა** და სხვათა მიერ შედგენილი დიალექტური ლექსიკონები.

თუშური კილო (ლექსიკა) 1969 წელს გამოაქვეყნა **პ.ხუბუტია**მ.

1974-1975 წლებში პირველად დაიბეჭდა ორ ტომად **ალ. ლლონტის** “ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“. მეორე გამოცემა 1984 წელს ერთ წიგნად განხორციელდა. ნაშრომი წარმოადგენს მოკლე ქართული დიალექტური ლექსიკონის შედგენის პირველ ცდას და იგი ძირითადად საცნობო ხასიათისაა. ამ წიგნში შეტანილია ქართული ენის 18 დიალექტური ერთეულის ლექსიკური საგანძურებიდან 40 ათასამდე სიტყვა იმ პუბლიკაციების მიხედვით, რომლებიც განხორციელდა ქართველი ენათმეცნიერების მიერ 1910-1980 წლებში.

1976 წელს დაიბეჭდა **პ.გაჩეჩილაძის** “იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“, რომელშიც შესულია იმერული კილოს ერთი თქმის - ხანისწყლის ხეობის ლექსიკური ერთეულები (4000-ზე მეტი სიტყვა). განმარტებებს ახლავს სიტყვის მნიშვნელობის საილუსტრაციო ფრაზები.

1978 წელს გამოვიდა **ნ.როსტიაშვილის** “ინგილოური ლექსიკონი“.

თ.ბეროზაშვილის, მ.მესხიშვილისა და ლ.ნოზაძის “ქართული დიალექტის ლექსიკონი“ გამოიცა 1981 წელს. რედაქტორია მ.ჭაბაშვილი. ლექსიკონი 7 000 სიტყვას შეიცავს.

ალ. კობახიძემ შეადგინა და 1987 წელს გამოსცა “რაჭული დიალექტის ლექსიკონი“ (მასალები). წიგნში შერჩეულია რაჭული დიალექტის 4000-ზე მეტი სიტყვა და მყარი გამოთქმა. სალექსიკონო ერთეულების უმეტეს ნაწილს თან ახლავს სათანადო სიტყვის ხმარების საილუსტრაციო გამოთქმები, რაც უფრო გასაგებს ხდის სიტყვების მნიშვნელობას.

1988 წელს გამოვიდა **რ. დამბაშიძის** “ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი“ (ა. შანიძის რედაქციით), რომელიც მოიცავს 7000-მდე სალექსიკონო ერთეულს.

ჟ. ფეიქრიშვილის “მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ გამოვიდა 1992 წელს.

2000 წელს გამოვიდა **ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის** “სვანური ლექსიკონი“, რომელიც მოიცავს 160000-მდე სიტყვას. წმინდა ლექსიკოლოგიურ კვალიფიკაციასთან ერთად მასში ბევრი საინტერესო ცნობაა ეთნოგრაფიული სინამდვილის შესახებ.

2001-2002 წლებში გამოვიდა **ო. ქაჯაიას** “მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, ტ. I (ა-ვ), ტ. II (ზ-ს), ტ. III (ტ-ჰ). სამივე ტომის რედაქტორია ზ. სარჯველაძე. “...ო. ქაჯაიას ნაშრომი მეგრულ კილოში გამოყენებული სიტყვების ყველაზე სრულყოფილი და კარგად შესრულებული ლექსიკონია. მეგრული კილოს მონაცემები სამწიგნობრო ქართულთან თვისობრივად ისეთსავე მიმართებაშია, როგორც თუშური, ინგილოური, ან ქართული კილოების სალექსიკონო მასალა; კერძოდ, მეგრულშიც გვაქვს სამწიგნობრო ენიდან დამკვიდრებული (და არა ნასესხები) სიტყვები და ,პირიქით; ქართველთა ამ კილოშიც მრავლადაა საკუთრივ დიალექტური თუ უცხო ენებიდან ნასესხები ენობრივი ერთეულები, მაგრამ ძირითადი ლექსიკური ფონდი ზოგადქართულია (ქართველურია); შესაბამისად, უფრო მართებული და ისტორიული მიმართების ამსახველი იქნებოდა, ლექსიკონს დარქმეოდა “მეგრული ლექსიკონი“, მით უმეტეს, ო. ქაჯაიასა და ლექსიკონის სარედაქციო საბჭოს კარგი მაგალითი ჰქონდათ ცნობილი მკვლევრების - ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის ავტორობით ახლახან გამოცემული “სვანური ლექსიკონის“ სახით“ (ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი, 2003).

8 ათასზე მეტი სიტყვაა განმარტებული **გ. ხორნაულის** “ფშაურ ლექსიკონში“, რომელიც 2002 წლით არის დათარიღებული. სხვა მრავალ სიტყვასთან ერთად აქ განმარტებულია ფშაური ტოპონიმები და ჰიდრონიმები. აქ ფშაური სიტყვების გარდა წარმოდგენილია ძველი ქართული ენიდან მომდინარე ლექსიკა. ყოველი სიტყვის განმარტებისას ავტორი მიუთითებს პირველ ჩამწერ-განმმარტებელს.

ა. ჭინჭარაულის “ხევსურული ლექსიკონი“ გამოვიდა 2005 წელს; შეიცავს 25 ათასამდე სალექსიკონო ერთეულს. მას ავტორი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ქმნიდა. წიგნის რედაქტორია ავთანდილ არაბული. ლექსიკონი დიდ სამსახურს უწევს არა მარტო ლინგვისტებს, არამედ - ლიტერატორებს, ფოლკლორისტებს, ეთნოგრაფებს და, საერთოდ, ისტორიული ქართული კუთხეებით დაინტერესებულ პირებსაც.

შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონები. 1910 წელს გამოქვეყნდა **ნ. მარის** “ჭანური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ“.

1910 წელს **პ. ჭარაიამ** შეადგინა მეგრულის “შედარებითი ლექსიკონი“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: 1. ქართულ-მეგრული 2. მეგრულ-ქართული. ორივე ნაწილს ალაგ-ალაგ აფხაზური პარალელებიც ერთვის.

არნ. ჩიქობავას “ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938 წ.) ჭანურის ლექსიკას განიხილავს მეგრულისა და სხვა ქართველური ქვესისტემების ლექსიკასთან შედარებით.

ქართველური ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის **კ. ჰ. შმიდტს**. მისი სადოქტორო დისერტაციის (“ქართველური ფუძენის ბგერითი სისტემის რეკონსტრუქციისათვის“, 1962) მეორე ნაწილი - “ინდექსი“ - წარმოადგენს ქართველურ ენათა მოკლე ეტიმოლოგიურ ლექსიკონს. მას არნ.ჩიქობავას ლექსიკონის შემდეგ ქართველურ ენათა შედარებით ლექსიკონს უწოდებენ. ნაშრომმა ფართო გამოხმაურება პოვა როგორც ჩვენში, ისე - უცხოეთში. იგი განიხილება როგორც ახალი საფეხური ამ ენათა კვლევა-ძიებაში (გ.თოფურია, ვ.იმნაიშვილი).

"Этимологический словарь картвельских языков" (ავტორი **გ. კლიმოვი**) გამოიცა მოსკოვში 1964 წელს. ამ ნაშრომში გაანალიზებულია 400-მდე ლექსიკური ერთეული. ცალკეულ სიტყვათა

ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე ავტორი აღადგენს ზოგადქართულ ფუძეთა მოდელებს და გვაჩვენებს მათ ვარიაციებს, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ქართველურ ფუძეენაში.

ქართველური ლექსიკის შედარებითი და ეტიმოლოგიური შესწავლისთვის მნიშვნელოვანია **თ. გამყრელიძისა** და **გ. მაჭავარიანის** მონოგრაფია: “სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, რომელიც 1965 წელს გამოქვეყნდა.

ჰ. ფენრიხისა და **ზ. სარჯველაძის** “ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ 1990 წელს ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა. ამ ლექსიკონის მეორე შევსებული და გადამუშავებული ვარიანტი განხორციელდა 2000 წელს. ლექსიკონი წარმოადგენს ცდას, ერთგვარად შეაჯამოს ქართველური ლექსიკის შესწავლის მიღწევები. მასში აისახა როგორც წინამორბედ და თანამედროვე მკვლევართა ძიების შედეგები, ასევე, ნაშრომის ავტორთა დაკვირვებანი. წიგნის რედაქტორია პროფ. **კ. დანელია**.

2003 წელს თბილისში გამოიცა **მ. ჩუხუას** “ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი“ (დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის). ლექსიკონში მოცემულია ძიებანი ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკიდან, გამოვლენილია საერთო ქართველური ფუძეენიდან მომდინარე ასეულობით ლექსიკური ერთეული, რომელზეც ადრე არ იყო მითითებული საენათმეცნიერო ლიტერატურაში. “ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში“ მეთაურ სიტყვად გამოტანილია სვანური ვარიანტი.

ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი 1967 წელს დაიბეჭდა (რედაქტორები: ბ. ფონჩუა, მ. ჭაბაშვილი). მასში სიტყვები დალაგებულია ბოლოკიდური ასოების ანბანზე. ამ ლექსიკონს საფუძვლად უდევს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული. ინვერსიული ლექსიკონი წარმოადგენს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოთავსებული სალექსიკონო ერთეულების ინდექსს. სიტყვების ინვერსიული დალაგება საშუალებას აძლევს მკითხველს, გაერკვეს ქართული სიტყვის მნიშვნელოვან ბგერითსა და გრამატიკულ თავისებურებებში. ქართული ენის ფონეტიკურ-გრამატიკულ დახასიათებას ემსახურება ერთგვარდაბოლოებიან სიტყვათა რაოდენობის დაანგარიშებაც, რომლის შედეგები წარმოდგენილია ლექსიკონის ვრცელ “შინაარსში“.

სიმფონია-ლექსიკონები. საქართველოში რამდენჯერმე გამოიცა “ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია (1933, 1956, 1973 წწ.).

აკ. შანიძემ 1944 წელს გამოაქვეყნა “ხანმეტი ლექციონარი“, რომელსაც დაურთო სიმფონია.

ჯერ 1948-1949 წლებში და შემდეგ 1986 წელს **ივ. იმნაიშვილმა** გამოსცა “ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (რედაქტორი - ა. შანიძე). ლექსიკონში შესულია არა მარტო სრულმნიშვნელოვანი სიტყვები, არამედ კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები.

1984 წელს **ლ. ქაჯაიამ** გამოაქვეყნა “ხანმეტი ტექსტები“, რომელსაც დაურთო სიმფონიაც.

1986 წელს გამოვიდა “ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I-II ნაკვეთი; I ნაკვეთი წარმოადგენს ლეონტი მროველის თხზულებათა (“ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და “არჩილის წამება“) სიმფონია-ლექსიკონს, II ნაკვეთი - ჯუანშერის (“ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“...) ლექსიკას. სიმფონია-ლექსიკონში წარმოდგენილი ძნელად გასაგები ლექსიკური ერთეულები განმარტებულია.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადდა “სამოციქულოს“ ქართული რედაქციების სიმფონია-ლექსიკონი. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა კი შეადგინეს “ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი“.

1961 წელს **კ. კეკელიძის** მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში: “აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები“ მოთავსებულია “თორნიკე ერისთავის სიმფონია“.

“ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია“ 1973 წელს გამოსცა **გ. გოვატიშვილმა**.

1982-1983 წლებში გამოვიდა **თ. სანიკიძის** მიერ შედგენილი “აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი“, 1986 წელს კი - “ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი“. თ. სანიკიძეს ეკუთვნის პირველი სიხშირის ლექსიკონი (“ილიასა და აკაკის პოეზიის სიხშირის ლექსიკონი“, თბ., 1988).

“გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი“ სამ ტომად გამოსცა ავტორთა კოლექტივმა (**თ. სანიკიძე, ც. სანიკიძე, ნ. ტაბიძე**) 1990-1993 წლებში.

ქართული ჟარგონის ლექსიკონი. 1999 წელს ქართულ ლექსიკოგრაფიას შეემატა **ლ. ბრეგვაძის** მიერ შედგენილი “ქართული ჟარგონის ლექსიკონი“.

თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი.

1987 წელს გამოვიდა **ბ. ფოჩხუას** მიერ შედგენილი “თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“ (I). აქ წარმოდგენილია ქართული ენის სამი დარგობრივი კლასის: არაცოცხალი ბუნების, მცენარეებისა და ცხოველების ერთი სემანტიკური რიგის ლექსიკა; გამოყოფილია ამ კლასებში შემაჯავალ სიტყვათა მნიშვნელობების ძირითადი ჯგუფები და ქვეჯგუფები. ნაშრომს უძღვის თეორიული შესავალი, სადაც მოცემულია იდეოგრაფიული ლექსიკონის შედგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ლექსიკონს დართული აქვს სიტყვათა ანბანური საძიებელი (სხვა ლექსიკონებისაგან განსხვავებით, აქ სიტყვა წარმოდგენილია მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომელიც მოცემულ თემას შეესაბამება; სიტყვის სხვა მნიშვნელობები უგულებელყოფილია. მაგ., “ბოჩიკი“ ირმის შვილსაც აღნიშნავს და გამოზამთრებულ ხბოსაც, მაგრამ ნაშეერთა კლასში ის მხოლოდ პირველი მნიშვნელობით შევა).

ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების ლექსიკონები. ხუთი ათეული წლის შრომის შემდეგ მწერალმა და ენათმეცნიერმა **თ. სახოკიამ** შეადგინა „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. ის ძვირფასი საცნობარო წიგნია, რომელშიც თავმოყრილია მხატვრულ ლიტერატურასა და ხალხის მეტყველებაში გავრცელებული ბრძნული გამოთქმა-სენტენციები, ანდაზისებრი ფრაზები, ხატოვანი, ფიგურალური გამოთქმები, ფრაზეოლოგიური ერთეულები. ამა თუ იმ ხატოვან სიტყვა-თქმასთან ნაჩვენებია მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. აქვე მოთავსებულია საილუსტრაციო მასალა და შემდგენლის შენიშვნები. მასალა ავტორს ამოკრებილი აქვს ქართველ მწერალთა თხზულებებიდან. პირველად “ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ სამ წიგნად გამოიცა 1950-1955 წლებში. მცირეოდენი ცვლილებით ერთ წიგნად დაიბეჭდა 1979 წელს.

თ. შავიშვილის “ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული“ პირველად გამოვიდა 1957 წელს, მეორეჯერ კი - 1960 წელს. მეორე გამოცემაში დამატებულია 49 ახალი გამოთქმა. აქ ძირითადად ახსნილ-განმარტებულია საერთაშორისო გავრცელების გამოთქმები: ბაბილონის გოდოლი, ბართლომეს დამე, გათიშე და იბატონე, ჰეროსტრატეს დიდება, ჰომეროსული ხარხარი, ალფა და ომეგა, ამერიკის აღმოჩენა, ბალზაკის ასაკი და სხვა. ავტორი მკითხველს აცნობს არა მარტო გამოთქმების დედააზრს, მისი წარმოშობის ისტორიას, თქმების ავტორებს, აგრეთვე ნაწარმოებს, საიდანაც ეს

თქმა შევიდა ენაში, არამედ არჩევს ისეთ ციტატებს, რომლებიც ახალი კუთხით აშუქებს ამა თუ იმ სიტყვას.

ალ. ონიანის “ქართული იდიომების“ ლექსიკონში (1966 წ.) შესულია XIX-XX საუკუნეების ქართველი მწერლების თხზულებებიდან, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან და თედო სახოკიას ნაშრომიდან (“ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“) ამოკრებილი იდიომები.

ცალკეა გამოცემული **შ. ლლონტის** “ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (1968 წ.).

სინონიმთა ლექსიკონები. **ალ. ნეიმანის** “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ (1951, 1961, 1978 წწ.) გაანალიზებულია XIX და XX საუკუნეების ქართულ ენაში არსებული სინონიმური სიტყვა-გამოთქმები. მასში შესულია სიტყვები როგორც მხატვრული ლიტერატურიდან, ისე სხვადასხვა დიალექტებიდან. სინონიმებს არ ახლავს საილუსტრაციო მასალა.

ტერმინოლოგიური ლექსიკონები. ჯერ კიდევ 1878 წელს ქუთაისში გამოვიდა “ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია“ **სილოვან ხუნდაძის** წინასიტყვაობით. მას შემდეგაც სპეციალისტების მიერ არაერთი ტერმინოლოგიური ლექსიკონი შეიქმნა. მაგალითად: ლიტერატურის, საენათმეცნიერო (1923 წ., გ. ახვლედიანი), ტექნიკური, ეკონომიკური, სამედიცინო, სოფლის მეურნეობის, იურიდიული, მეტალურგიის, რადიოტექნიკური, ფიზიკისა და ელექტრომექანიკის, ავტოსატრანსპორტო, მთის მიწათმოქმედების, გეოლოგიური, სპორტული, ვირუსოლოგიური ტერმინებისა და სპეციალური გამოთქმების, მათემატიკური და ა.შ.

1925 წელს გამოვიდა **ლ. ლეონიძის** “მესაქონლეობის ლექსიკონი“, რომელიც შეიცავს ქართული კლასიკური მხატვრული მწერლობიდან და ქართული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურიდან ამოკრებილ ნიმუშებს. განსაკუთრებით ძვირფასია ის უცნობი მასალა, რაც თვით ავტორს მოუპოვებია. მას შემოუვლია საქართველოს კუთხეები, შეუსწავლია ყველა ქართველური კილო; ლექსიკონი შედგენილია **ა. შანიძის** ხელმძღვანელობით. წიგნის 100 გვერდზე მოთავსებულია 2174 ლექსიკური ერთეული. ზუსტ განმარტებებს ახლავს ფრაზეოლოგიაც. სინონიმთა ახსნისათვის მკვლევარს გამოუყენებია ბუდობრივი პრინციპი. ლექსიკონს წამძღვარებული აქვს “მესავალი“ და “შემოკლებათა განმარტება“.

1949, 1961 წლებში გამოვიდა “ბოტანიკური ლექსიკონი“ (**ა. მა-ყაშვილი**).

1979 წელს **რ. მეტრეველმა** “ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მასალების საფუძველზე შეადგინა “საქართველოს ისტორია“, ლექსიკონი, ა-ვ (**I წიგნი**). ლექსიკონი საცნობარო ხასიათისა; ის მკითხველს აწვდის ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ისტორიის, ფოლკლორის საკითხებზე.

1984 წელს გამოვიდა “ქართული მწერლობა“ — ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I. აქ მოცემულია ძირითადი ცნობები ქართველი მწერლების შესახებ V საუკუნიდან 1977 წლამდე.

დღემდე გამოქვეყნებულია ბევრი სხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონი (იხ. ლექსიკონთა ჩამონათვალი).

ორენოვანი, სამენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონები. ორენოვანი და სამენოვანი ლექსიკონებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ნიკიფორე ჩოლოყაშვილისა და სტეფანე პაოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“**, რომელიც გამოცემულია რომში 1629 წელს. ლექსიკონი შეიცავს 3084 ქართულ ვოკაბულასა და მის იტალიურ თარგმანს.

პირველად 1898 წელს **მ. ჯანაშვილის** მიერ და მეორედ 1941 წელს **ვ. ფუთურიძის** მიერ არის გამოცემული **ფარსადან გორგიჯანიძის** “ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი“; აქ სულ 900 სიტყვაა თარგმნილი.

“ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ შეადგინა **ნ. ჩუბინაშვილმა**. მართალია, ლექსიკონი შედგენილია 1815-1825 წლებში, მაგრამ პირველად გამოიცა 1961 წელს **ალ. დლონტის** რედაქციითა და გამოკვლევით. ეს ლექსიკონი განმარტებითიც არის და თარგმნითიც. ესა თუ ის სიტყვა ჯერ ქართულად არის ახსნილი, შემდეგ კი მათი რუსული შესატყვისებია მოცემული. ე.ი. ეს ლექსიკონი, როგორც მას ავტორი უწოდებს, არის “ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“. ავტორს ამ ლექსიკონში არ შეუტანია საკუთარი სახელები (ეს არის განსხვავება სულხან-საბას ლექსიკონისაგან). სამაგიეროდ, ლექსიკონი წერილობითი ძეგლებიდან ახალი მასალით არის შევსებული. იქვე ავტორს მითითებული აქვს წყარო, საიდანაც ესა თუ ის სიტყვაა ამოღებული. ლექსიკონს ახლავს ქართული ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა.

ნ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის “რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ორ ტომად). I ტ. გამოვიდა 1971 წელს, II ტ. კი - 1973 წელს. ეს ლექსიკონი ავტორს 1812-1825 წლებში შეუდგენია. არსებობდა ხელნაწერის სახით. ის სამზეოზე გამოიტანა ალ. ღლონტმა საკუთარი რედაქციითა და წინასიტყვაობით.

დ. ჩუბინაშვილმა შექმნა “ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ (1840 წ.) და “ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (1887 წ.). მეორე გამოცემა 1984 წელს განხორციელდა (სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ). დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი განმარტებითიც არის და თარგმნითიც. ამ ლექსიკონის უშუალო წყაროს წარმოადგენს ნ. ჩუბინაშვილის “ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“. ამიტომაც ემსგავსება კიდევ მას, თუმცა უფრო ვრცელია. აქ გაზრდილია სალექსიკონო ერთეულთა რაოდენობა. ახალი სიტყვები ავტორს XIX საუკუნის II ნახევრის ლიტერატურული ძეგლებიდან აქვს ამოუკრებილი.

1960-1974 წლებში ციურისში სამ ტომად დაიბეჭდა **კიტა ჩხენკელის** “ქართულ-გერმანული ლექსიკონი“. კ. ჩხენკელი ვერ მოესწრო ლექსიკონის ბოლომდე დაბეჭდვას; მისი საქმე ცნობილი ემიგრანტი ქართველოლოგის - ვიქტორ ნოზაძის ხელმძღვანელობით დაასრულეს კ. ჩხენკელის თანაშემწეებმა: ლეა ფლურმა, იოლანდა მარშევა და რუთ ნოიკომმა. 1965 წელს ნაშრომი უკვე გამზადებული იყო, მაგრამ იოლანდა მარშევის რედაქტორობით საბოლოოდ მთლიანად დაიბეჭდა 1974 წელს. ლექსიკონის საერთო მოცულობა 2500 გვერდია. ამ ლექსიკონის წყაროებად გამოყენებულია სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონა“, “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (რვატომეული). ამა თუ იმ ქართული სიტყვის გერმანულ თარგმანს ლექსიკონში დართული აქვს ლათინური შესატყვისები. სალექსიკონო ერთეულებს ახლავს საილუსტრაციო ნიმუშები. ქართული ზმნის ორიგინალური დამუშავებით, ფრაზების სიმდიდრით, დიალექტიზმების ფართოდ წარმოდგენითა და სხვა თვისებებით ეს ლექსიკონი სრულიად განსაკუთრებულია. “ქართულ-გერმანულ ლექსიკონს“ მაღალი შეფასება მისცეს რენე ლაფონმა, ჟერარ გარიტმა, ჰანს ფოგტმა, კარლ ჰორსტ შმიდტმა, იულიუს ასფალგმა, რობერტ სტივენსონმა, არნოლდ ჩიქობავამ, აკაკი შანიძემ და სხვებმა.

2001 წელს ჰამბურგში გამოიცა **მ. იელდენის** “გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი“.

2004 წელს გამოვიდა 45000 სიტყვიანი "გერმანულ-ქართული ლექსიკონი" (შემდგენელი: **რ. ზექალაშვილი; რედაქტორი დ. ფანჯიკიძე**).

ქართულ-ფრანგული ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა **ა. სულხანიშვილს** ეკუთვნის. მან 1939 წელს გამოაქვეყნა "ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონი". არსებობს აგრეთვე **ი. როტინოვის** შედგენილი "შემოკლებული ქართულ-ფრანციზული ლექსიკონი" (II გამოცემა, თბ., 1877).

1953 წელს გამოვიდა **ე. ოქროპირიძის** მიერ შედგენილი "ქართულ-ფრანგული ლექსიკონი". 1998 წელს გამოიცა ამავე ლექსიკონის I ტომი (რედაქტორი ს. კოხრეიძე). წიგნი დაახლოებით 30000 სიტყვას შეიცავს.

ი. გვარჯალაძის "ქართულ-ფრანგული ლექსიკონი" (12 ათასი სიტყვით) დაიბეჭდა 1946, 1967 წლებში; შემდეგ კი ავტორმა 40 ათას სიტყვიანი ლექსიკონი გამოაქვეყნა.

2005 წელს თბილისში გამოვიდა თემატურ-დარგობრივი "ქართულ-ფრანგული ლექსიკონი" (სასწავლო-პედაგოგიური ლექსიკონი); მთავარი რედაქტორია **ნ. ქადეიშვილი**.

1928 წელს დაიწყო და 1939 წელს დაასრულა "ქართულ-ინგლისური ლექსიკონის" შედგენა ინგლისში მოღვაწე ქართველოლოგმა ეკატერინე ჩერქეზიშვილმა (**ეკა ჩერქეზმა**), მაგრამ ამ ლექსიკონის გამოცემას ხელი შეუშალა II მსოფლიო ომმა. ლექსიკონი გამოიცა 1950 წელს ოქსფორდში. ლექსიკონის საბოლოო რედაქცია **ოლივერ უორდრობს** ეკუთვნის. ეს ლექსიკონი ეძღვნება ოლივერ უორდრობის ხსოვნას და გამოცემულია ოქსფორდის უნივერსიტეტის **მარჯორი უორდრობის** სახელობის ფულადი ფონდის ხელშეწყობით. ლექსიკონი შეიცავს 15 ათას სიტყვას. ეკა ჩერქეზის "ქართულ-ინგლისური ლექსიკონი" პირველი ცდაა ამ სახის ლექსიკონის შედგენისა. ლექსიკონი ემყარება ძველი და ახალი აღთქმის ქართულ და ინგლისურ ტექსტებს, შ. რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" მარჯორი უორდრობისეულ თარგმანს, დ. ჩუბინაშვილის "რუსულ-ქართულ ლექსიკონს" (1886 წ.). საცნობაროდ გამოყენებული ყოფილა მარი ბროსესა და ნიკო მარის შრომები (ე. ჩერქეზის ლექსიკონზე იხილეთ თ. უთურგაიძის რეცენზია: იკვ, XXII, 1980 წ.).

1946, 1965 წლებში გამოვიდა **თ. გვარჯალაძისა და ი. გვარჯალაძის** “ქართულ-ინგლისური სასწავლო ლექსიკონის” მოკლე რედაქცია (12 ათასი სიტყვით). ეს ლექსიკონი შევსებული სახით გამოვიდა პირველად 1974 წელს (20 ათასი სიტყვა) და მეორედ - 1979 წელს (40 ათასი სიტყვა).

2005 წელს გამოვიდა “ქართულ-ინგლისური ლექსიკონი” (მთავარი რედაქტორი **მ.მეგრელიშვილი**, პასუხისმგებელი რედაქტორი **მ.მიქაძე**), რომელიც 165000 სიტყვისაგან შედგება. ქართული სალექსიკონო ერთეული აღებულია “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან” და შედარებულია ი.გალპერინის საერთო რედაქციით გამოცემულ “დიდ ინგლისურ-რუსულ ლექსიკონთან”. წიგნი შევსებულია ოქსფორდის, უებსტერის, კობილდის და სხვა ლექსიკონების მონაცემების მიხედვით.

ენციკლოპედიური ლექსიკონები. ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოცემულია არსებითი ხასიათის ცნობები ცოდნის ყველა ან რომელიმე ცალკე დარგიდან. შესაბამისად, ენციკლოპედიური ლექსიკონი ორგვარია: ზოგადი და სპეციალური. ზოგადში ცოდნის ყველა დარგის მონაცემებია წარმოდგენილი, სპეციალურში - რომელიმე დარგიდან.

ზოგადი ენციკლოპედიური ლექსიკონებია: “ქართული ენციკლოპედია”, “საბავშვო ენციკლოპედია”...

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1975-1987 წწ.) გამოცემა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ (რედაქტორი ი.აბაშიძე). სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, გამოჩენილი მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი.

1997 წელს გამოვიდა “საქართველო” (ენციკლოპედია), ტ. I, გამოცემა ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭომ. ენციკლოპედია ხუთტომეულია. მისი მიზანია მკითხველს სრულად მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოსა და ქართველებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე.

საბავშვო ენციკლოპედია (1963-1980 წწ.) შედგება 10 ტომისაგან: I ტომი (“დედამიწა”), II ტომი (“დედამიწის ქერქი და წიაღი, ციურ სხეულთა სამყარი”), III ტომი (“რიცხვები და ფიგურები”), IV ტომი (“მცენარეები და ცხოველები”), V ტომი (“ტექნიკა”), VI ტომი (“ადამიანი”), VII ტომი (“კაცობრიობის წარ-

სულიდან“), VIII ტომი (“ჩვენი სამშობლო“), IX ტომი (“საზღვარგარეთის ქვეყნები“), X ტომი (“ლიტერატურა და ხელოვნება“).

1974-1975 წლებში გამოიცა “ფოლკლორის ლექსიკონი“ (რედაქტორი **მ.ჩიქოვანი**). აქ თავმოყრილია ძვირფასი საცნობარო მასალა და განმარტებულია ასობით სპეციფიკური სიტყვა-ტერმინი.

2002 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ენციკლოპედიური ლექსიკონი (მთავარი რედაქტორი **რ.მეტრეველი**). ლექსიკონი პრაქტიკულად პირველი ქართული ენციკლოპედიური წიგნია, რომელიც ერთი პიროვნების ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება.

აქვე წარმოვადგენთ განხილულ და სხვა ლექსიკონთა ვრცელ ჩამონათვალს, აგრეთვე ცალკეულ გამოკვლევებს:

ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

იუსტ. აბულაძე, ირანული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით, თბ., 1937.

აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი (შედგენილი ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ).

ნ.აღამია, ქართულ-გერმანული ლექსიკონი, თბ., 1963.

აღამიანის უფლებათა ლექსიკონი, შეადგინა ფ.საყვარელიძემ, თბ., 1999.

გ.ადვაძე, გ.გოგუაძე, ე.ერქომაიშვილი, გ.თოფურია, ვ.კეშელავა, ნ.კიკვაძე, ბ.ლუტიძე, ვ.შარიქაძე, გარდაქმნის ლექსიკონი, თბ., 1988.

ავტორანსპორტის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ენებზე, თბ., 1987).

მ.ალავიძე, ლენინური ლექსიკონი, თბ., 1938.

მ.ალავიძე, დ.კლდიაშვილის ლექსიკონი: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1946.

მ.ალავიძე, ქვემოაჭარული ტოპონიმიკური ლექსიკონი: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედიანსტიტუტის შრომები, XVII, 1957.

მ.ალავიძე, შორეული ლანდების ლექსიკა: დ. ბანოვანი, შორეული ლანდები, თბ., 1961.

მ.ალავიძე, სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონა“ და ქართული დიალექტური ლექსიკონის საკითხები: რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის პრინციპებისა და დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი,

ქ. ბათუმი, 1982, 2-3 დეკემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

- ნ.ალანია, ბ.დობორჯინიძე, მ. დუდუჩავა, ნ.ჭოლოკავა, ა.ხინთიბიძე,** ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი მ.დუდუჩავას საერთო რედაქციით, თბ., 1966.
- ა.ალექსიძე,** ოფთალმოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1989.
- ნ.ამირანაშვილი, მ.ქუთელია, ც.მგალობლიშვილი, მ.დიბრაძე, ლ.ანთაძე, ც.ჩქარეული,** ქართულ-გერმანულ-ინგლისურ-ფრანგულ-რუსული ფარმაცევტული ლექსიკონი, I გამოცემა (რედ. ლ. ამირანაშვილი, ე.ვიდერ-წინამძღვრიშვილი), თბ., 2000.
- არქეოლოგიური ლექსიკონი,** შედგენილი ა.აფაქიძის, მ.ინასარიძის, ა.სიხარულიძის, მ. აფაქიძის მიერ, თბ., 1980.
- გ.ახვლედიანი,** უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1933.
- ი.ბაგრატიონი,** საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი; რედაქტორები: გ.მჭედლიძე, ალ.ლონტი, თბ., 1986.
- ი.ბასილაშვილი,** მერქნიანი ჯიშებისა და ზოგიერთ სუბტროპიკულ მცენარეთა ლექსიკონი, თბ., 1982.
- გ.ბახტაძე, ა.ქისტაური,** თერაპიული ლექსიკონი, თბ., 1991.
- გ.ბერიძე,** სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ.-პეტერბურგი, 1912.
- თ.ბეროზაშვილი, მ.მესხიშვილი, ლ. ნოზაძე,** ქართველური დიალექტის ლექსიკონი, რედ. მ.ჭაბაშვილი, თბ., 1981.
- რ.ბერულავა, თ.ბერულავა,** ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1999.
- ნ.ბრეგაძე,** მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში (დარგობლივი ლექსიკა), თბ., 1969.
- ლ.ბრეგაძე,** ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბ., 1999.
- ნ.გამრეკლიძე, ვ.მგალობლიშვილი,** ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1964.
- თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი,** სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- განმარტებანი კერძო სამართალში:** სამავადო წიგნი იურისტებისათვის, ეკონომისტებისა და საქმიანი ადამიანებისათვის, საკანონმდებლო აქტების კრებული, თბ., 2000.
- ნ.გაფრინდაშვილი,** მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972.
- პ.გაჩეჩილაძე,** იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
- ლ.გელენიძე,** ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.
- ა.გელოვანი,** მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.

- თ.გვარჯალაძე, ი.გვარჯალაძე**, ქართულ-ინგლისური სასწავლო ლექსიკონი, თბ., 1946, 1965, 1974, 1979.
- ი.გვარჯალაძე**, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, თბ., 1946, 1967.
- კ.გიგინეიშვილი**, ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1985.
- გ.გიორგაძე, გ.ბერიშვილი, რ.ფანცულაია**, ციტოლოგიურ-გენეტიკურ-ონკოლოგიური ლექსიკონ-ცნობარი, თბ., 1978.
- ვ.გიორგობიანი**, პლასტიკური ანატომიის ცნობარი, თბ., 1985.
- თ.გიორგობიანი**, ქსენოფონტის ლექსიკონი, თბ., 2005.
- გ.გოგატიშვილი**, ნ.ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია, თბ., 1973.
- გ.გოგოლაშვილი, ც.კვანტალიანი, დ.შენგელია**, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1989.
- ფ.გორგიჯანიძე**, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, გამოცემული მ.ჯანაშვილის მიერ 1989 წელს. მეორედ გამოიცა ვ.ფუთურაძის მიერ 1941 წელს.
- ი.გრიშაშვილი**, ალ.ჭავჭავაძის თხზულებათა ლექსიკონი: ალ.ჭავჭავაძის თხზულებანი, თბ., 1940.
- ქ.დათიკაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, I - 1948, II - 1953, III - 1967; ა.დათიკაშვილის თანაავტორობით.
- რ.დგებუაძე, ა.აბესაძე**, ქართულ-რუსულ-ლათინური მოკლე სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.
- რ.დვალი, რ.ღამბაშიძე**, ტექნიკური ტერმინოლოგია (მესამე გამოცემა), თბ., 1989.
- რ.დვალი, რ.ღამბაშიძე**, ქართულ-რუსული ტექნიკური ტერმინოლოგია, თბ., 1982.
- ეკოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი** (შემდგენლები: ე.გამყრელიძე, ქ.ცხაკაია; რედაქტორი რ.სალინაძე), თბ., 2002.
- რ.ერისთავი**, შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი, ტფ., 1873.
- რ.ერისთავი**, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა, ლითონთა სამეფოებიდან, თბ., 1884.
- რ.ზექალაშვილი**, გერმანულ-ქართული ლექსიკონი, რედაქტორი დ.ბახტაძე, თბ., 2004.
- თანამედროვე საერთაშორისო სამართალი** (ლექსიკონი-ცნობარი), ავტორები: ლ.ალექსიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ლ.გიორგაძე, ზ.დავითაშვილი, მ.კვაჭაძე, კ.კორკელია, დ.პატარაია, ი.ქურდაძე; თბ., 2003;
- თარგმანის ლექსიკონი**, თბ., 2005.

- ა.თამარაშვილი**, მოკლე მუსიკალური ლექსიკონი, რედაქტორი კ.კაკიჭაძე, თბ., 1999.
- ვ.თოფურია, ი.გიგინეიშვილი**, ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1941, 1946, 1949.
- ვ.თოფურია, ს.იორდანიშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1942, 1950.
- ვ.თოფურია, ი.გიგინეიშვილი**, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968, 1998.
- ვ.თოფურია, მ.ქალდანი**, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ვ.თოფურია, გ.იმნაიშვილი**, კარლ ჰორსტ შმიდტი, ჟურნალი “ბურჯი ეროვნებისა“, 2000, №5.
- რ. თოფჩიშვილი**, როგორც წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.
- გ.რ. იარალოვი**, საგამომცემლო-პოლიგრაფიული ცნობარი, თბ., 1956.
- ი.იედლიჩკა, ელ.ერისთავი**, ჩეხურ-ქართული და ქართულ-ჩეხური ლექსიკონი: ჩეხური ენა (გ.ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1872.
- მ.იელდენი**, გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი, ჰამბურგი, 2001.
- ი.იმედაშვილი**, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1904, 1918, 1928.
- ივ.იმნაიშვილი**, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, რედაქტორი ა.შანიძე, თბ., 1948-1949, 1986.
- იტალიური-ქართული ლექსიკონი**; ავტორები: ლუიჯი მანტოვანი, მარინე ოცხელი, თბ., 2006.
- ლ.კაიშაური**, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
- მ.კანკავა**, მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1964.
- მ.კანკავა**, მოკლე ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1965.
- კ.კეკელიძე**, “თორნიკე ერისთავის“ სიმფონია: კ.კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები, თბ., 1961.
- მ.კეკელიძე**, სპორტული ტერმინოლოგია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა მიხედვით: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969, №1.
- ნ.კერესელიძე**, სოციოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი (ინგლისურ, ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე), თბ., 1988.
- თ.კვიციანი**, ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1973.
- თ.კვიციანი**, ენინოშვილის თხზულებათა ლექსიკონი: ენინოშვილის თხზულებანი ს.ხუნდაძის რედაქციით, ტ. I-II, თბ., 1932.
- ზ.კიკნაძე**, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი; რედაქტორი თ.გამყრელიძე, თბ., 1984.

Г.А.Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

ალ.კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.

კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი (ცნობარი), ავტორ-შემდგენელი პ.ცნობილაძე, თბ., 1998;

მ.კორძახია, მ.ჭიჭინაძე, ემბრიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.

შ.კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., 1973.

ი.ლაჩაშვილი, მოკლე ბიოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1877.

ლ.ლენინიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

გ.ლევადა, ვირუსოლოგიური ტერმინებისა და სპეციალური გამოთქმების ლექსიკონი, თბ., 1972.

გ.ლინდემანი, ჰ.ბეკაშვილი, ხელოვნების ლექსიკონი, სხვადასხვა სტილი და მიმართულება ექვს ტომად, ტ.1, გერმანულიდან თარგმნეს ლ.ნაროუშვილმა და ლ.რამიშვილმა, თბ., 1992.

ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, შედგენილი ა.ჭილაიას მიერ, თბ., 1971.

გ.ლომათიძე, გ.ფოფხაძე, კ.კავრიშვილი, გეოლოგიური ტერმინოლოგია აკად. გ.ახვლედიანის რედაქციით, თბ., 1941.

ზ.მაისურაძე, მედიცინის ტერმინოლოგია, ვ.მ.ბერიძის რედაქციით, თბ., 1947.

ი.მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981.

მათემატიკური ტერმინოლოგია რ.აღლაძის, ვ.ბერიძისა და ნ. ქაშაკაშვილის რედაქციით, თბ., 1946.

ნ.მარი, ჭანური ენის გრამატიკა ქრესტომათითა და ლექსიკონითურთ, თბ., 1910.

არ.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი (ლექსიკონი), თბ., 1956.

ა.მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1949, 1961.

ც.მაგლობლიშვილი, ნ.ამირანაშვილი, ლ.ერისთავი, გ.რევიშვილი, ლ.კინწურაშვილი, დ.ჭელიძე, ფარმაცევტული ლექსიკონი (ლათინურ-ქართული და ქართულ-ლათინური), თბ., 1996.

ი.მეგრელიძე, მცირე თეატრალური ლექსიკონი, თბ., 1980.

ც.მენაბდე, ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი, რედაქტორი გ.თუმანიშვილი, თბ., 1983.

სტ.მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

სტ. მენტეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, თბ., 1970.

- მეტალოურგიის ტერმინოლოგია**, პასუხისმგებელი რედაქტორები: ნ.ქაშაყაშვილი და რ.ღამბაშიძე, თბ., 1959.
- მ.მეტრეველი**, ტურისტულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2005.
- რ.მეტრეველი**, საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, I წიგნი (ა-ვ), თბ., 1979.
- გ.მიქაძე**, ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1966, 1969, 1984.
 ალ.ნათიშვილი, ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია, თბ., 1962.
- ალ.ნეიშანი**, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951, 1961, 1978, 2006.
- შ.ნიჟარაძე**, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი (ლექსიკონი), ბათუმი, 1961.
- ვ.ომიაძე**, ავტოსატრანსპორტო ტერმინოლოგია ვ.ბერიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1950.
- ალ.ონიანი**, ქართული იდიომები, თბ., 1966.
- ჯ.ონიანი, ნ.ჩიკვაძე**, ჰიდროეკოლოგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2001.
- ჯ.ონიანი**, ჰიდრობიოლოგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, რედაქტორები: ნ.ალექსიძე, თ.გაბელაია, თბ., 2002.
- სულხან-საბა ორბელიანი**, ქართული ლექსიკონი ანუ სიტყვის კონა, თბ., 1884, 1991.
- ე.ოქრობირიძე**, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, თბ., 1953.
- ე.ოქრობირიძე**, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, ტ.I (რედაქტორი ს.კობრეიძე), თბ., 1998.
- პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს.** ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), I-1991; II-1993. გამოსაცემად მოამზადეს დ.კლდიაშვილმა და მ.სურგულაძემ.
- ს.ჟღენტი**, გურული კილო (ლექსიკონი), თბ., 1936.
- ე.რაქვიაშვილი**, მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი, თბ., 1986.
- ნ.როსტიაშვილი**, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.
- საბავშვო ენციკლოპედია**, ტ. I-X, თბ., 1963-1983.
- საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი**, შედგენილი გ.გიორგაძისა და მ.კარტოზიას მიერ, თბ., 1962.
- საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი**, სარედაქციო საბჭო: ი.აბაშიძე (თავ-რე), ა.კობახიძე, ქ.ლომთათიძე, ა.საყვარელიძე, ც.ცერცვაძე, მ.ჭაბაშვილი, თბ., 1987.
- საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი-ცნობარი**, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2004.

- საერთაშორისო ჰისტოლოგიური ნომენკლატურა;** შემდგენლები: მ.კორძია, მ.ჭიჭინაძე. რედაქტორი ნ.ჯავახიშვილი, თბ., 1977.
- საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი,** სარედაქციო საბჭო: ი.აბაშიძე (თავ-რე), ა.კობახიძე, ქ.ლომთათიძე, ა.საყვარელიძე, ც.ცერცვაძე, მ.ჭაბაშვილი, ბ.ჯორბენაძე, თბ., 1989.
- სამოქალაქო სამართლის განმარტებითი ლექსიკონი,** თბ., 2004.
- “სამოციქულოს“ ქართული რედაქციების სიმფონია-ლექსიკონი,** (მომზადდა თსუ-ში).
- ბ.ა.სანაკოვეცი,** ქართულ-ოსური ლექსიკონი, თბ., 1953.
- თ.სანიკიძე, ც.სანიკიძე, ნ.ტაბიძე,** გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, ტ. I-II, 1990-1992.
- თ.სანიკიძე, ც.სანიკიძე,** გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1993.
- თ.სანიკიძე,** აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი, თბ., 1982-1983.
- თ.სანიკიძე,** ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი, თბ., 1986.
- თ.სანიკიძე,** ილიასა და აკაკის პოეზიის სინშირის ლექსიკონი, თბ., 1988.
- სარკინიგზო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი,** თბ., 2005.
- ზ.სარჯველაძე,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.
- ზ.სარჯველაძე,** ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
- ზ.სარჯველაძე,** ლექსიკონი: ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
- საქართველო, ენციკლოპედია,** ტ. I, გამოიცა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს მიერ, თბ., 1997.
- საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი,** რედაქტორები: ი.აფხაზავა, ი.გიგინეიშვილი, ა.კობახიძე, დ.უკლება, მ.ჭაბაშვილი, თბ., 1987.
- თ.სახოკია,** ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, სამ წიგნად, თბ., 1950-1955; ერთ წიგნად, თბ., 1979.
- ბ.ხვანი, ლ.ნაკაშიძე,** ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1977.
- ე.სირაძე, დ.ნადარეიშვილი,** ქართულ-გერმანული თემატური ლექსიკონი და საუბრის ნიმუშები, თბ., 1957.
- სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია,** სარედაქციო კოლეგია: ნ.კეცხოველი (მთ. რედაქტორი), თ.გონიაშვილი, ა.მაყაშვილი... თბ., 1959.
- მ.სურგულაძე,** ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
- ა.სულხანიშვილი,** ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1939.
- ო.ურდია,** გ.ერისთავის თხზულებების ლექსიკონი: გ.ერისთავი, თხზულებები, თბ., 1961.

- ა.უსტიაშვილი, ბ.კობაღიშვილი**, სამეცნიერო-გინეკოლოგიური ტერმინოლოგია, თბ., 1958.
- უცხოურ პირთა სახელებების ორთოგრაფიული ლექსიკონი** (რედაქტორები: ა.კობახიძე, მ.ჭაბაშვილი, თბ., 1989).
- შ.ფალავანდიშვილი**, გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ლექსიკონი, ბათუმი, 2002.
- შ.ფალავანდიშვილი, გ.თავდგირიძე**, ეკოლოგიური ტერმინების ლექსიკონი, ბათუმი, 2004.
- რ.ფარეულიძე**, ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2003.
- ჟ.ფეიქრიშვილი**, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1992.
- ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე**, ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი, რედაქტორი ი.გიპერტი, ჰამბურგი, 1999.
- ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე**, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, 2000.
- ფიზიკის ტერმინოლოგია** ა.ვაჩეჩილაძის და რ.ღამბაშიძის რედაქციით, თბ., 1960.
- ფიზიკისა და ელექტრომექანიკის ტერმინოლოგია** ა.დიდებულისა და ბ.ყიფშიძის მასალების მიხედვით, თბ., 1928.
- ფილოსოფიური ლექსიკონი** ი.ფლოროვის რედაქციით (მეოთხე გამოცემა); ქართული თარგმანის სარედაქციო კოლეგია: ვ.კეშელავა (რედაქტორი), კ.გოგსაძე, თ.ნანობაშვილი, ს.ცინცაძე, ნ.ხურცილავა, თბ., 1987.
- შ.ფინჩაძე, ტ.სინარულიძე, ნ. პაპლაშვილი, ნ. მახვილაძე**, საფეიქრო მასალების ქიმიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
- ბ.ფონჩუა**, თანამედროვე ქართული ენის იდევოგრაფიული ლექსიკონი, I, თბ., 1987.
- ბ.ფონჩუა, მ.ჭაბაშვილი**, ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი, თბ., 1967
- ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი**, ზოგადქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენისა და მეგრული კილოს მიმართების საკითხისათვის ო.ქაჯაიას “მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2003, 17-18 ოქტომბერი.
- „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონის I და II ნაკვეთი**, თბ., 1986.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის** რვატომეული, არნ.ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, ერთტომეული, არნ.ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1986.

- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ორ ნაკვეთად,**
არნ.ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1990.
- ქართულ-ფრანგული ლექსიკონი** (სასწავლო-პედაგოგიური ლექსიკონი), მთ. რედაქტორი ნ.ჭადეიშვილი, თბ., 2005.
- ქართული მწერლობა - ლექსიკონი-ცნობარი,** წიგნი I, თბ., 1984.
- ქართულ-ინგლისური ლექსიკონი** (მთ. რედაქტორი მ.მეგრელიშვილი, პასუხისმგებელი რედაქტორი მ.მიქაძე), 2005.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,** ტ.I-XI, თბ., 1975-1987.
- ქართული ფოლკლორის ლექსიკონი,** ქართული ფოლკლორი, IV-1974, V-1975 (რედაქტორი მ.ჩიქოვანი).
- ლ.ქაჯაია,** სიმფონია-ლექსიკონი, “ხანმეტი ტექსტები“, თბ., 1964.
- ო.ქაჯაია,** მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, ტ.II, ტ.III, თბ., 2001, 2002.
- ი.ქერქაძე,** ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.
- ივ.ქეშიკაშვილი,** თ.რაზიკაშვილის თხზულებათა ლექსიკა: თ. რაზიკაშვილის თხზულებანი, თბ., 1969.
- ქიმიის ტერმინოლოგია** (რუსულ-ქართული), მასალები; შეადგინეს რ.ნიკოლაძემ და დ.გვარამაძემ. რ.ნიკოლაძისა და რ.ღამბაშიძის რედაქციით, თბ., 1970.
- ჭ.ჭირია,** გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი, თბ., 2001.
- რ.ღამბაშიძე,** ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი (აკად. ა.შანიძის რედაქციით), თბ., 1988.
- ალ.ღლონტი,** ქართველური საკუთარი სახელები-ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967, 1986.
- ალ.ღლონტი,** ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I-II, თბ., 1974-75; 1984 (მეორე გამოცემა, ერთ წიგნად).
- ალ.ღლონტი,** ქართული ზღაპრები და ლეგენდები (ლექსიკონი), თბ., 1948.
- ალ. ღლონტი,** გურული ფოლკლორი (ლექსიკონი), I, თბ., 1937.
- ალ.ღლონტი,** ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.
- თ.ღლონტი, მ.შაც-შველიძე, ც.ჩხიკვიშვილი, თ.მალაშხია, მ.ჯიბუტი,** კლინიკური ნევროლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1978.
- შ.ღლონტი,** “ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1968.
- ს.ყაუხჩიშვილი,** ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 (ახლავს ქართულ-ლათინური შესატყვისობანიც).
- თ.შავიშვილი,** ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბ., 1957, 1960.

- ა. შანიძე**, დამატებანი ინგილოური ლექსიკონისათვის, თბ., 1915.
- ა. შანიძე**, ვაჟას თხზულებათა ლექსიკონი: ვაჟა-ფშაველას კრებული, თბ., 1922.
- ა. შანიძე**, სიმფონია-ლექსიკონი, ხანმეტი ლექციონარი, თბ., 1944.
- ა. შანიძე** “ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956.
- მზ. შანიძე**, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, თბ., 1968.
- რ. შამელაშვილი**, ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1975.
- გ. შარაშიძე**, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, მასალები, ზემოიშორული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.
- გ. შატბერაშვილი**, ნაფიქრი (დარგობლივი ლექსიკა), თბ., 1959.
- გ. შატბერაშვილი**, ჭაშნიკი (დარგობლივი ლექსიკა, ნეოლოგიზმები, დიალექტიზმები), თბ., 1964.
- ლ. შელია**, ანატომიის განმარტებითი ლექსიკონი; რედაქტორი ნ. ჯავახიშვილი, თბ., 1979.
- ლ. შელია, კ. გუნია**, დასურათებული ანატომიური ტერმინოლოგია, თბ., 1989.
- ი. შილაკაძე**, ძველი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით, თბ., 1955.
- ი. შილაკაძე**, ახალი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით, თბ., 1971.
- კ. ჰ. შშიდტი**, ქართველური ფუძეენის სისტემის რეკონსტრუქციისათვის, 1962.
- გ. შუბლაძე**, სავაჭრო-ეკონომიკური ცნობარი, თბ., 1988.
- არნ. ჩიქობავა**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
- ე. ჩერქეზიშვილი (ე. ჩერქეზი)**, ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ოქსფორდი, 1950.
- მ. ჩიქოვანი**, ტოპონიმიკური ლექსიკონი: თსუ შრომები, IX, 1939.
- მ. ჩიქოვანი**, ლეჩხუმური ლექსიკონი: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1941.
- ნ. ჩოლოყაშვილი, სტ. პაოლინი**, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომი, 1629.
- დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1840.
- ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, რედაქტორი ალ. დლონტი, თბ., 1961,

- ნ.ჩუბინაშვილი**, რუსულ-ქართული ლექსიკონი (ორ ტომად), ტ. I- 1971, ტ. II-1973; რედაქტორი ალ. ლლონტი.
- ნ.ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887 (მეორე გამოცემა, 1984), სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ.
- მ. ჩუხუა**, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
- კ. ჩხენკელი**, ქართულ-გერმანული ლექსიკონი ავტორის სიკვდილის შემდეგ გაგრძელებული და დასრულებული იოლანდა მარშევის მიერ ლეა ფლურის, რუთ ნოიკომისა და ვიქტორ ნოზაძის თანამონაწილეობით, ციურხისი, 1974.
- ი. ჩიხიძე**, საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა, ტფ., 1926.
- გ. ცოცანიძე**, თუშური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ი. ცუცქირიძე, რ. დამბაშიძე**, გეოფიზიკის ტერმინოლოგია, თბ., 1988.
- პ. ცხადაია**, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1989.
- შ. ძიძიგური**, ალ. ყაზბეგის თხზულებათა ლექსიკონი: ალ. ყაზბეგის თხზულებათა ოთხტომეული, თბ., 1948-1950.
- შ. ძიძიგური**, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
- ქ. ძოწენიძე**, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
- ი. წაქაძე**, “ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ლექსიკონების ტექსტი, თბ., 1976.
- ბ. წერეთელი**, ზემოიმერული ლექსიკონი (ქართველურ ენათა ლექსიკა), I, თბ., 1938.
- მ. ჭაბაშვილი**, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1964, 1973, 1983.
- პ. ჭარაია**, შედარებითი ლექსიკონი, 1910.
- ს. ჭანტურია, შ. სულამანიძე**, ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ქუთაისი, 1998.
- ე. ქელიძე**, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, ტ. I, თბ., 1996.
- ა. ჭინჭარაული**, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
- ზ. ჭუმბურიძე**, როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., 1963.
- ზ. ჭუმბურიძე**, რა გქვია შენ? თბ., 1971.
- ბ. ჭუმბურიძე, თ. ჭუმბურიძე, ქ. ბარამიძე, თ. ტურძელაძე, ქ. პაპუაშვილი, ვ. აკობია**, სამკურნალო საშუალებათა სახელწოდებების სახელმძღვანელო ცნობარი (გენერითული, საერთაშორისო, საფირმო, სავაჭრო სახელწოდებები და სინონიმები), თბ., 1997.

- ი.ჭყონია**, “სიტყვის კონა“, ნიკო მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით, პეტერბურგი, 1910.
- დ.ნშიადაშვილი**, რადიოტექნიკური ტერმინოლოგია ვ.ბერიძის რედაქციით, თბ., 1947.
- გ.ხორნაული**, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2002.
- პ.ხუბუტია**, თუშური კილო (ლექსიკა), თბ., 1969.
- ს.ხუნდაძე**, ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია, ქუთაისი, 1887.
- ო.ხუციშვილი**, **თ.ხატიაშვილი**, ქართულ-გერმანული ლექსიკონი, თბ., 1977.
- ივ.ჯავახიშვილი**, ენციკლოპედიური ლექსიკონი (მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი) თბ., 2002.
- მ.ჯანაშვილი**, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1913.
- პ.ჯაჭანიძე**, მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX-1949, ტ. X-1950-1951.
- პ.ჯაჭანიძე**, გურული დიალექტი, I, ტექსტები, ლექსიკონის მასალები, თბ., 1977.
- ევგ.ჭეიროანაშვილი**, ქართულ-უდიური ლექსიკონი: უდიური ენა, თბ., 1971.
- ბ.ჯორბენაძე**, **მ.კობაიძე**, **მ.ბერიძე**, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
- ს.ჯორბენაძე**, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი (საავტორო სამართალი, სამრეწველო საკუთრება), თბ., 1998.

თავი V ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები

5.1. ნორმირების ისტორია

სალიტერატურო ენა ნორმირებული სისტემაა, წინასწარ შე-
მუშავებულ წესებსა და კანონებზე დამყარებული ენაა. იგი არ თან-
ვდება არც ერთ დიალექტს, არამედ არის ზედიალექტური მოვლენა,
თუმცა მჭიდრო კავშირი აქვს როგორც დიალექტებთან, ისე ცოცხალ
მეტყველებასთან. დიალექტები წარმოადგენს მასაზრდოებელ, გა-
მამდიდრებელ წყაროს სალიტერატურო ენისათვის. ცოცხალი მეტყ-
ველებაც დიდ ზეგავლენას ახდენს მასზე. ენის განვითარების ბუნე-
ბრივი პროცესი ცოცხალ მეტყველებაში აისახება. ენაში მომხდარი
ცვლილებები ჯერ ცოცხალ მეტყველებაში იჩენს თავს, შემდეგ
შეიძლება იქცეს ნორმად და დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში.

ქართულ სალიტერატურო ენას დიდი ხნის ტრადიციები აქვს.
ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით თანდათან ყალიბდებოდა
გააზრებული მიდგომა სტანდარტული ენის ნორმირებისადმი,
თუმცა ერთიანი ნორმები ყოველთვის არ იყო მიღებული და გაბა-
ტონებული (განსაკუთრებით XII-XVIII საუკუნეებში). ადრეული
(V-XI საუკუნეების) ქართული სალიტერატურო ენის ნორმები შე-
დარებით მტკიცეა: ერთგვაროვანია ბრუნვის ნიშანთა სისტემა და
ზმნის უღლება, საერთოდ - მეტყველების ნაწილთა ფორმაცვალება
და სიტყვათწარმოება. არ შეიმჩნევა გრამატიკულ ფორმათა სი-
ჭრელე და ნაირგვარობა. უდავოა, რომ ეს აიხსნება სალიტერატურო
ენის ხანგრძლივი ტრადიციით. საერთოდ, სალიტერატურო ენის
ნორმების სიახლოვე ხალხური მეტყველების ფორმებთან განაპი-
რობებდა ძველი ქართული ენის მონოლითურობას (ი.ქავთარაძე,
1981, გვ. 128). რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ V-XI საუ-
კუნეთა ქართულ სალიტერატურო ენაში ნორმებიდან გადახვევები
არაა და დიალექტიზმები არ შეიმჩნევა. ჩანს, სალიტერატურო ენა
ძველთაგანვე განიცდიდა ცოცხალი მეტყველების გავლენას, რაც
წერილობითს ძეგლებშიც აისახებოდა. ამიტომ არ არის V-XI საუ-
კუნეთა ძეგლები ენობრივად ერთგვაროვანი. ამაზე მეტყველებს ხან-
მეტობა-ჰაემეტობისა და სანაარევობის პერიოდების არსებობაც: V-
VII საუკუნეებში ზმნის მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური

პირის ნიშანი იყო **ბ**- პრეფიქსი, VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ნორმად იქცა **ჰ**-, IX საუკუნის მეორე ნახევარში **ჰ**- გაქრა ხმოვნების წინ, ცხრა თანხმოვნის (დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ) წინ მას ჩაენაცვლა **ს**- ასე გაჩნდა სანნარევი ძეგლები.

ზოგიერთი ენათმეცნიერი უარყოფს ნორმათა არსებობას სალიტერატურო ენის ნორმატიული გრამატიკის შექმნამდე. ამის საპირისპიროდ შეიძლება ძველი ქართული სალიტერატურო სკოლების (ათონის, შავი მთის, გელათის...) მკაცრად ჩამოყალიბებული ნორმების არაერთი მაგალითის დასახელება. მართალია, V-XI საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებში ცნობილი არაა რაიმე გრამატიკული ტრაქტატი ან ნორმათა კრებული, მაგრამ ამ პერიოდის ძეგლთა შესწავლა ცხადყოფს, რომ სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა ჩამოყალიბებული და მწერლები და გადაამწერები მკაცრად იცავენ მას. სწორედ ამიტომაა თვალში საცემი ყოველი გადახვევა სალიტერატურო ენის ნორმათაგან (წ. სარჯველაძე, 1984, გვ. 89).

ნორმირების ისტორიის თვალსაზრისით უადრეს დოკუმენტურ წყაროდ ჯერჯერობით მიჩნეულია XI საუკუნის უცნობი ავტორის გრამატიკული ტრაქტატი “სიტყუაჲ ართრონთათჳს“, რომელიც შეისწავლა და გამოსცა პროფ. მზ. შანიძემ. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, თხზულება მოწმობს, რომ ძველი მწიგნობრები კარგად ერკვეოდნენ ენის საკითხებში, ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლას.

V-XI საუკუნეები სასულიერო მწერლობის კლასიკური პერიოდია; მასთან შედარებით XII-XVII საუკუნეთა საერო ხასიათის წერილობით ძეგლებში ცვლილებანი უფრო მეტია, რის გამოც ამ პერიოდს ენის დემოკრატიზაციის ხანასაც უწოდებენ. XII საუკუნიდან მწერლობა ჟანრობრივად და თემატურად უფრო გამრავალფეროვნდა. კულტურის სხვადასხვა ცენტრებში სასულიერო მწერლობის პარალელურად შეიქმნა საერო მხატვრული ლიტერატურის (პროზაული, პოეტური), ისტორიული, ფილოსოფიური, სამედიცინო და სამართლებრივი თხზულებები, სახელმწიფო დოკუმენტები, ბრძანებები, ოქმები, სიგელ-გუჯრები, კერძო პირთა ნასყიდობა-გარიგებისა თუ სხვა ხასიათის საბუთები, რომლებშიც ნორმებით დაკანონებული ფორმების გვერდით თავი იჩინა ადგილობრივი სამეტყველო ჩვევების დამახასიათებელმა თავისებურებებმა, დიალექტიზმებმა. ამ პერიოდის ენაში აღინიშნება სამი ერთმანეთ-

თან ახლოს მდგომი და ერთისაგან გამომდინარე სამეტყველო ნაკადის - ძველი ქართულის გადმონაშთების, ინოვაციებისა და დიალექტიზმების შერწყმა.

საერო მწერლობის ენის ნორმირების ისტორიაში მნიშვნელოვანია “ვეფხისტყაოსნის“ ენა. მისი ავტორი სალიტერატურო ენის თვალსაზრისითაც გვევლინება უდიდეს ნოვატორად და რეფორმატორად. მან გააერთიანა სასულიერო მწერლობის ენისა და ცოცხალი მეტყველების ფორმები და სრულიად ახალი ელფერი შესძინა სალიტერატურო ენას.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გრძელ გზაზე ტაო-კლარჯეთისა და ათონ-მავი მთის ლიტერატურული ტრადიციების შემდეგ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმის თვალსაზრისით სამი დიდი მოღვაწეა აღსანიშნავი: იოანე პეტრიწი, ანტონ კათალიკოსი და ილია ჭავჭავაძე. თითოეული მათგანი წარმოადგენს დაგვირგვინებას განსაზღვრული დროის თაობათა თავდადებული მოღვაწეობისა ქართული სალიტერატურო ენის შექმნისათვის ბრძოლაში.

იოანე პეტრიწი მწვერვალია XI-XII საუკუნეთა სამწერლობო ენის განვითარებაში. ამ დროს მოხდა ქართული სალიტერატურო ენის ახალი სასიცოცხლო ენერჯით აღვსება კლასიკური ქართული სამწერლობო ენისა და ხალხური სამეტყველო ენის შერწყმით (დ. მელიქიშვილი, 1986, გვ. 225).

XII საუკუნის შემდეგ სალიტერატურო ენის განვითარება სხვაგვარად წარიმართა. ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შეფერხებას მოჰყვა უკონტროლობა, ნორმირების საფუძვლები შეირყა. საშუალ საუკუნეთა წერილობითი ძეგლების ენაში შეიმჩნევა ფორმათა სიჭრელე, ერთიანი ნორმების უქონლობა.

XVIII საუკუნის მიწურულს ქართული ენა, მისი ლექსიკა თითქმის წალეკა აღმოსავლურმა ნაკადმა. ქართულ სალიტერატურო ენას საფრთხე დაემუქრა. იქმნებოდა აღმოსავლეთის ბაზრის ენა. ანტონ კათალიკოსმა სცადა, შეეჩერებინა ეს საშიში და დამღუპველი ტალღა; მან და მისმა სკოლამ სასულიერო მწერლობის ენას შეუნარჩუნა V-XI საუკუნეთა ქართულის ყველა ნიშანი, ფილოსოფიური თხზულებებისათვის დაამკვიდრა შედარებით დაბალი სტილი, ხოლო საერო ხასიათის ნაწარმოებებისთვის - ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ენა. ანტონ კათალიკოსმა ჩამოაყალიბა გრამატიკული და ორთოგრაფიული წესებით მკაცრად

ნორმირებული სალიტერატურო ენა. მან დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია ხალხური მეტყველების ფორმათა გაბედული გამოყენებით. ამით იგი საენათმეცნიერო ლიტერატურაში “სამოციანელთა“ წინამორბედადაა მიჩნეული. ანტონი იყო **დიდი ათონელებისა** და “ღვთაებრივი ფილოსოფოსის“ - **იოანე პეტრიწის** ხელში გამოვლილი ქართულის ტრადიციების გამგრძელებელი. “მას შეგნებული ჰქონდა ერთიანი სალიტერატურო ენის დიდი როლი ეროვნული მთლიანობის შედუღებაში“. თ. უთურგაიძის აზრით, “ის დიდი შედეგი, რომელსაც ანტონ პირველმა მიაღწია სალიტერატურო ქართულის ნორმირებაში, შუალედური და ამავე დროს შემაკავშირებელი რგოლია XII საუკუნეში ი. პეტრიწისა და მისი სკოლის, ხოლო XIX საუკუნეში ი. ჭავჭავაძისა და პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმებისა“ (1989, გვ.43).

ი. ჭავჭავაძის მეთაურობით XIX საუკუნის მეორე ნახევარში სალიტერატურო ენის ნორმირებისათვის ბრძოლა წარიმართა ორი მიმართულებით: გატარდა ორთოგრაფიული რეფორმა და დაიწყო ბრძოლა მწერლობაში დიალექტიზმების, დაუხვეწავი ფორმების, ფრაზებისა და კალკების განუკითხავ შემოტანასთან. ილია და მისი თანამოაზრენი მიიჩნევდნენ, რომ სალიტერატურო ენა უნდა დაახლოებოდა ხალხურ მეტყველებას (ილია: “ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“). აქვე აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში თაობათა შორის განხეთქილების მიზეზი არ ყოფილა ანტონ კათალიკოსის ღვაწლის შეფასება; მას ორივე მხარე მოწიწებით იხსენიებდა. თაობათა შორის ენის საკითხებზე დავას იწვევდა, ძირითადად: სინტქსური კონსტრუქციები, ძველი ასონიშნები, სტილისტური თავისებურებანი და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი ასონიშნების სიჭარბეზე საუბარი დაიწყო ილიას ცნობილ სტატიამდე (“ორიოდე სიტყვა...“) ხუთი წლით ადრე (1855 წ.) დ. ჩუბინაშვილმა; კერძოდ, პეტერბურგის ქართველოლოგთა სკოლამ უარყო დ, ჯ, ჯ, ჳ, შ ასოები. ამას ქართული ენის საუნევერსიტეტო კურსში აცნობდნენ ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ი.ჭავჭავაძესაც. საბოლოოდ, რეფორმა ქართულ ანბანში ილიამ გაატარა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო რუსეთის კოლონია იყო; შესაბამისად, სახელმწიფო არ ზრუნავდა ქართული ენისათვის. სალიტერატურო ენის განვითარება და სრულყოფა მოწი-

ნავე ქართულმა საზოგადოებამ ითავა: ილიას ხელმძღვანელობით განხორციელდა არამხოლოდ ანბანის რეფორმა, არამედ მის მიერ მოწვეულმა ქართულის ენის მცოდნეთა კრებამ დაადგინა ბევრი ენობრივი ნორმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში “მამათა“ და “შვილთა“ ერთობლივი ძალისხმევით ქართულმა სალიტერატურო ენამ მიიღო ისეთი სახე, როგორიც შეეფერებოდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სამწერლობო ენას (თ.უთურგაიძე, 1989, გვ. 47).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კიდევ უფრო გააქტიურდა დამოკიდებულება სალიტერატურო ენის ნორმირებისადმი. მაგალითად, 1899-1900 წლებში ქუთაისში ამ მიზნით საგანგებო წრეც კი ყოფილა, მოგვიანებით ასეთი წრე თბილისშიც შექმნილა. XX საუკუნის დასაწყისში, როცა არ არსებობს სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ოფიციალური ორგანო, ცალკეული პიროვნებანი, მწერლები ცდილობენ გარკვეული კონტროლის დაწესებას, ახდენენ ენობრივი მოვლენების უნიფიცირებას. შეიმჩნევა ტენდენცია ნორმირებისაკენ, ე. ი. ხდება ენობრივი ნორმის აუცილებლობის გაცნობიერება. “ახლა ყველა გამსწორებელს თავისი გრამატიკა უდევს ჯიბეში და იმის მიხედვით ასწორებსო“, - წერდა გაზეთ “შინაური საქმეების“ რედაქტორი ს. მჭედლიძე (რ. სალინაძე, 1997, გვ.2). ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი მეცნიერ-გრამატიკოსის **სილოვან ხუნდაძის** მოღვაწეობას. იგი ითვლება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ერთ-ერთ პირველ დამდგენად. მის მიერ შემუშავებული ნორმები იმ დროს სავალდებულოდ არ ითვლებოდა, მაგრამ, რადგან ის ცოცხალ სალაპარაკო ენას ემყარებოდა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც მის მართლწერას ყველა იცავდა. ს. ხუნდაძემ ბევრი რამ გააკეთა ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებისათვის. გ. ახვლედიანმა მას უწოდა “ტიპიური და კლასიკური ნიმუში სალიტერატურო ენის დამკველისა“ (ლ. ლეჟავა, 1998, გვ.9).

ენის ნორმებთან დაკავშირებით XX საუკუნის დასაწყისში საინტერესო დისკუსია მიმდინარეობდა ს. ხუნდაძესა და ა. შანიძეს შორის; ხშირ შემთხვევაში მართებული იყო ს. ხუნდაძის შეხედულებანი; შემდგომში ა. შანიძემ ზოგი მისი ისეთი შენიშვნაც გაიზიარა და ნორმად აქცია, რისთვისაც ს. ხუნდაძეს ძალზე მწვავედ აკრიტიკებდა. დღეს სალიტერატურო ქართულში ს. ხუნდაძისეული ბევრი ნორმაა დამკვიდრებული. მაგ., უთანდებულო და თანდებუ-

ლიან სახელთა ბრუნება, კომპოზიციების მართლწერა, ზოგიერთი ნაცვალსახელის, განსაკუთრებით ნაწილაკმეზრდილი (შეხორცე-ბული) ნაცვალსახელის, ბრუნება; მეტად საგულისხმოა ს. ხუნდაძისეული გაგება ქართული ზმნისა. იგი ზმნაში მეორე სუბიექტური პირის ნიშანს ზედმეტად მიიჩნევდა; პროგრესულია მისი მოსაზრებანი ე. წ. “მეორე მიმოხრის“ ზმნათა (მყავს, მაქვს, მიყვარს, მძინავს, მეშინია, მწყენია...) შესახებ. ა. შანიძის საპირისპიროდ, იგი ახდენს ზმნის არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ სემანტიკურ ანალიზსაც და ამ გზით მიდის ინვერსიის აღიარებამდე; ცალკე უნდა გამოიყოს ს. ხუნდაძის დამსახურება სინტაქსის სფეროში. იგი მსაზღვრელ-საზღვრულის გარდამავალ (ნაწილობრივ შეკვეცილ) სახეობას ამკვიდრებდა. მოგვიანებით ა. შანიძემაც გაიზიარა მისი თვალსაზრისი; ა. შანიძე უარყოფდა ს. ხუნდაძის მიერ შემოთავაზებულ კანონს, რომ ქართულ ენას ძირეულ სიტყვებში არ უყვარს ერთნაირი თანხმოვნების თავმოყრა (ეკკლესია, გრამმატიკა...), თუმცა ქართულმა სალიტერატურო ენამ სწორედ ეს კანონი აირჩია...

ს. ხუნდაძე ქუთაისში მოღვაწეობდა. მრავალი თაობა აღიზარდა მის სახელმძღვანელოებსა თუ ნაშრომებზე, როგორცაა: “ქართული ზმნები“, “სალიტერატურო ქართული“, “ქართული გრამატიკა“, “ქართული მართლწერისა და სწორენის საფუძვლები“ და სხვა. შეიძლება ზოგიერთ მის მოსაზრებას მეცნიერული დასაბუთება აკლდა, ისიც შეიძლება, რომ ენის შემდგომმა განვითარებამ ზოგიერთი მისი დებულება უკან ჩამოიტოვა, მაგრამ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებაში მისი დამსახურება უდავოა.

XX საუკუნის დასაწყისში სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულა: პ. ჭარაიას, ს. გორგაძის, ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, იუსტ. აბულაძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, დ. უზნაძის, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, ს. ყაუხჩიშვილისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებმა და გამოსვლებმა.

1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ შექმნა საფუძველი ენობრივი პოლიტიკის სფეროში არაერთი ღონისძიების გატარებისა.

1920 წელს გაიმართა ენის მცოდნეთა კონფერენცია. საორგანიზაციო კომისიამ (წევრები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე,

ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე) 1921 წელს გამოსცა წიგნაკი “სალიტერატურო ქართულისათვის“ (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად), რომელშიც პირველად იყო წარმოდგენილი რამდენიმე სადავო საკითხი: დავიწყებოდა თუ დავიწყებოდა? საქმე ისაა თუ საქმე იმაშია? და სხვა.

1921 წელს ქართული ენა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადდა. ხანგრძლივად დევნილი და შევიწროებული ენა საჭიროებდა დახვეწას, ლექსიკით გამდიდრებას, პირველ რიგში სამეცნიერო ტერმინოლოგიით შევსებას.

1925 წელს სამთავრობო დონეზე დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომელსაც ვუკოლ ბერიძე ხელმძღვანელობდა.

1934 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია (30 წევრის შემადგენლობით), რომელმაც განიხილა თბილისის უნივერსიტეტის ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისიისა და ენისა და ტერმინოლოგიის კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა და 1936 წელს ცალკე წიგნად გამოსცა “სალიტერატურო ქართულის ნორმები“ (I). მასში წარმოდგენილია ნორმათა დადგენის პრინციპები და რეკომენდაციები სადავო საკითხებზე.

1946 წელს მთავრობის დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ნორმათა დამდგენი კომისია, რომელსაც ჯერ ს. ჯანაშია თავმჯდომარეობდა, შემდეგ - ა. შანიძე.

1953 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის ხელმძღვანელობა ავტომატურად ეკისრებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო კომისიაში შედიოდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, პრესის მუშაკები.

სალიტერატურო ენის ძირითადი სადავო ფორმების მოგვარებაში, ნორმების დადგენაში ხელი შეუწყო ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის “ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ დამუშავებასა და გამოცემას 1941 წელს. მაშინ ამ ლექსიკონში 15000 ერთეული შედიოდა, საბოლოო გამოცემა კი, რომელიც 1998 წელს განხორციელდა, 80000-მდე ერთეულს შეიცავს.

1970 წელს გამოქვეყნდა “თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (კრებული პირველი), რომელშიც შეტანილია საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები. მისი გამოცემა განმეორდა 1986 წელს.

კომისიის ხელშეწყობით ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სპეციალური კრებული “ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. პირველი წიგნი 1972 წელს გამოვიდა. კრებულში გამოქვეყნებული წერილები სალიტერატურო ენის ნორმირებას ეხება.

1991 წელს, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია. მასამდე, კომისია გადავიდა უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში და მისი ფუნქციაც გაფართოვდა. მას ევალუება არა მხოლოდ ნორმათა დადგენა, არამედ ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრა და რეგულირებაც, ამავე სფეროს კონტროლი აკისრია საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტს.

ქვეყნის გართულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო კომისიის საქმიანობა რამდენიმე წლით შეწყდა. საორგანიზაციო მუშაობა განახლდა 1994 წელს. 1995 წლის ოქტომბერში გაიმართა კომისიის პირველი სხდომა.

1996 წელს ქ.ქუთაისში შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი კომისია და ენის სამსახური, ხოლო 1997 წელს დაარსდა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა.

თანამედროვე ეტაპზე, უცხოენოვანი კულტურის მოძალების პირობებში, ისევ აქტუალურია საქართველოს სახელმწიფო ენის ნორმების დაცვა. ნორმირების პრობლემათა მოგვარება ქართული სალიტერატურო ენის ერთიანობის შენარჩუნების საწინდარია, ერთიანი სახელმწიფო ენა კი - ქვეყნის ძლიერების საფუძველი.

ლიტერატურა

- ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
- შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

- ე. ბაბუნაშვილი, თ. უთურგაიძე, ანტონ I-ის ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991.
- გ. გოგოლაშვილი, ქართული - ენაჲ შემკული და კურთხეული, თბ., 2004.
- კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბ., 1998.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1986.
- ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; თბ., 1988.
- ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან: ქსკს, XI, თბ., 1998.
- ლ. ლეჟავა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან: ქსკს, XII, თბ., 2004.
- ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები, თბ., 2004.
- დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
- დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები: თსუ შრომები, X, თბ., 1986.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- რ. სალინაძე, სილოვან ხუნდაძე და სალიტერატურო ქართული: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 1996.
- რ. სალინაძე, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გზები: საკანდ. დისერტაცია, თბ., 1997.
- თ. უთურგაიძე, ილია და სალიტერატურო ქართული: ქსკს, IX, თბ., 1989.
- ი. ქავთარაძე, ენის ისტორიის წყაროები და მათი გამოყენების პრინციპები: ქესს, თბ., 1981.
- ა. შანიძე, სალიტერატურო ქართულის საჭირობოროტო საკითხები, თბ., 1979.
- მზ. შანიძე, სიტყუაჲ ართრონათჳს - ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.
- არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, თბ., I, 1950.
- არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, ქსკს, I, თბ., 1972.
- არნ. ჩიქობავა, სალიტერატურო ენა და ნორმა: ქსკს, II, თბ., 1979.
- შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
- ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის საფუძვლები, თბ., 1927.

5.2. ნორმირების პრინციპები

ენა იცვლება და ვითარდება ისტორიულად თავისი შინაგანი იმპულსების წყალობით. სამეტყველო ჩვევაში მომხდარი ცვლილებები დაკავშირებულია საჭიროებასთან, რომლის მიხედვითაც ადამიანი ცდილობს, უფრო გასაგები გახადოს თავისი აზრები და სურვილები.

ცვლილება ენაში ყოველ მოლაპარაკეზე ვრცელდება, თუმცა თითოეულ ენობრივ მოვლენას თავისი საზღვრები აქვს. ყოველმა მოლაპარაკემ რომ დაიწყოს ენაში ცვლილებების შეტანა, იგი შეწყვეტდა თავისი დანიშნულებისამებრ ფუნქციონირებას.

ნორმის გამომუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიისა და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს. ამ მხარის მოვლა, ნორმისათვის ობიექტური საფუძვლის შექმნა ენის სპეციალისტს ევალება, წესის დადგენაში სპეციალისტი მონაწილეობს, მაგრამ მწერალს, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს, საერთოდ სამწერლო ენის მომხმარებელთა ფართო წრეს ეწევა ანგარიში.

არნ. ჩიქობავას მიაჩნდა, რომ მოვლენის ახსნა ნორმის დადგენას უნდა უსწრებდეს. მოვლენის ახსნა ესაა “დიაგნოზის დასმა“, ნორმის დადგენა “მკურნალობას“ უდრის. “თუ მოვლენა ახსნილია, მკურნალობა დიაგნოზზე იქნება დამყარებული. თუ მოვლენა აუხსნელია, თუ არ ვიცით, რა როგორ მივიღეთ, მკურნალობა ალალ ბედზე იქნება დამყარებული“.

ნორმა სალიტერატურო ენის ერთიანობის საფუძველია. ნორმის შემუშავება, სავალდებულო წესების დადგენა მყარ მეცნიერულ წინამძღვრებს, პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპების ჩამოყალიბებას წინ უძღოდა თაობათა ფიქრი, შრომა, კამათი თეორიულ საკითხთა გარშემო.

მეტად ფასეულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის 10-20-იანი წლების მოღვაწეთა ნააზრევი სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპებთან დაკავშირებით. ქართულ პერიოდიკაში (“ცისკარში“, “საქართველოს მოამბეში“, “ივერიაში“, “დროებაში“, “კვალში“...) ასახულია ილია ჭავჭავაძის, დავით ყიფიანის, გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, პეტრე მირიანაშვილის, ალექსანდრე ნანეიშვილის, ვაჟა ფშაველას, გრიგოლ ყიფშიძის,

ალექსანდრე ხახანაშვილის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სილოვან ხუნდაძის, გიორგი წერეთლის... ძირითადი დებულებები, მსჯელობა, კამათი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი “ბანაკი“ - ამერლები და იმერლები... საკამათო არა მარტო ორ “ბანაკს“ შორის, არამედ თითოეულ “ბანაკშიც“ ბევრი იყო. საგულისხმოა, რომ მათ შორის საერთო უფრო მეტი იყო, თითქმის ყველა პრინციპულ საკითხში ეს მოღვაწენი ერთი აზრისანი იყვნენ. მაგალითად, ერთხმად იყო მიღებული და გაზიარებული ილია ჭავჭავაძისა და მისი ერთგული თანამებრძოლის - დავით ყიფიანის თვალსაზრისი ისტორიზმის პრინციპის შესახებ: “ზწირად იქნება, რომ კანონები ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე, ამიტომ ახალი ენა ძველ ენას არ ჰგავს“ (ილია); “ენა წინ მიდის, იცვლება, მდიდრდება ახალი სიტყვებით“ (ვაჟა ფშაველა); “მთელს მსოფლიოში უძრავი არა არის რა... ენაც ამგვარს დაუცხრომელს მოძრაობაში არის“ (დიმ. ყიფიანი).

ნორმირების პრინციპების შემუშავების თვალსაზრისით განსაკუთრებული ამაგი დასდო სალიტერატურო ქართულს სილოვან ხუნდაძემ. მან ამ საკითხს მიუძღვნა რამდენიმე წიგნი და სტატია, სადაც კონკრეტულ სადავო საკითხთა მოგვარებასაც ცდილობდა და ნორმირების საყრდენ, ამოსავალ დებულებებსაც აყალიბებდა. ნორმირების პრინციპები უფრო სრულად წარმოიჩინა წიგნებში: “სალიტერატურო ქართული“ (1901 წ.), “ქართული მართლწერა“ (1911 წ.), “ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ (1927 წ.).

საუკუნოვანი განსჯისა და ძიების შედეგად ჩამოყალიბდა ის პრინციპები, რომლებიც შეიმუშავა და დაამტკიცა ქართული სალიტერატურო ენის რესპუბლიკურმა კომისიამ (არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით). ეს პრინციპები დაედო საფუძვლად 1936 წელს გამოცემულ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებულს და შემდეგ 1970 წელს გამოცემულ კრებულს “თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I“. ამ პრინციპებს ემყარება დღესაც სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა.

ენის სპეციფიკა, რასაც უნდა ეყრდნობოდეს თვით პრინციპების დადგენა, გულისხმობს შემდეგ ძირითად მხარეებს: 1. ენა სისტე-

მა; 2. ენა სოციალური მოვლენა; 3. ენა აზროვნებისა და ურთიერთობის იარაღია (ლ. ლეჟავა, 2004, გვ.49).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპები ასეთია:

1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, არ უნდა შეიქმნეს ხელოვნური ნორმები, ცოცხალი ენისაგან დაშორებული.

2. გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელად უნდა დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული თვალსაზრისით (დაღმა, აქაური, იქაური, ვდგავარ, ვზივარ), რასაც უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს, ის საკითხად ვერ იქცევა.

3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილვე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც:

- ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;
- ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;
- გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და
- დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

შენიშვნა: იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილვედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა.

ამ შემთხვევაში მოცილვე მოვლენათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს, რომელიც:

- ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;

- ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;
- გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.

მაშასადამე, სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული:

1. გავრცელებულობა
2. ტრადიცია
3. რამდენად სწორია გრამატიკულად ამოსავალი ფორმა
4. ენის სისტემის უნიფიცირება, ენის განვითარების შინაგანი კანონი და პერსპექტივა.

გავრცელებულობასა და ენობრივი სისტემის უნიფიკაციას სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნორმირებისას აუცილებელია გათვალისწინება ენის განვითარების შინაგანი კანონებისა და ფორმათა ჩამოყალიბების პერსპექტივისა, რაც ენის სისტემის შენარჩუნების საფუძველია. ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერება, უნიფიკაციის ძლიერი ტენდენცია სწორედ ენის სისტემის შექმნას ემსახურება. თუ ეს პრინციპი უგულვებელყოფილია, სისტემა ენისა ზარალდება, საბოლოოდ, სისტემა ირღვევა, რაც ზოგჯერ ენაში არსებული შეცდომების საფუძველიც ხდება. მაგალითად, თუ არ არის გათვალისწინებული ნორმა, მხოლოდ გრამატიკული წესის გამოყენებით შეცდომას თავიდან ვერ ავიცილებთ. ასეთი წინააღმდეგობა ხშირია პირის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებით. გავიხსენოთ ერთ-პირიანი ზმნები: **გასტანს, გასწია, ჰყვავის...** ან კიდევ: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მესამე პირდაპირ ობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა, თუმცა გვხვდება ზმნები, რომლებშიც O_3 პირის პრეფიქსი ფუძესაა შეხორცებული: **ასწევს, გამოსცემს, გამოსცა, გასცემს, გასცა** და სხვა. ეს ფორმები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მისაღებია, დასაშვებია, სხვა ზმნებში კი, როგორცაა: **სოქვა, გადასწყვიტა, დასტოვა...** პირის ნიშანი ზედმეტია და ფორმებიც მცდარია. მართებულია: **ოქვა, გადაწყვიტა, დატოვა...** მაშასადამე, პირველ შემთხვევაში ძლიერია ტრადიცია, მეორეში - გრამატიკული წესი.

ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე თავს იჩენს ფორმათა ჭიდილი, ვარიანტები, პარალელიზმი. “სალიტერატურო ენის ნორმა, შესაძლოა, პარალელურ ვარიანტთაგან ერთ-ერთს

ამკვიდრებდეს, სხვას კი უარყოფდეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრივ ენის თვალსაზრისით დამკვიდრებული ფორმა სავალდებულოა, უარყოფილი კი - არასავალდებულო. ენაში შემთხვევით არაფერი არ ჩნდება. ენის თვალსაზრისით ორივე “სავალდებულოა“, კანონზომიერია, შეპირობებულია ენის შინაგანი შესაძლებლობებით, ოღონდ მათგან ერთ-ერთს სალიტერატურო ენა თავისი პრინციპების შესაბამისად ანიჭებს უპირატესობას“ (ბ. ჯორბენაძე, 1985, გვ. 20).

სალიტერატურო ენის ნორმა უნდა იყოს ზედმიწევნით ზუსტი, რისი საფუძველიც ზემოდსახელებულ პრინციპებთან ერთად არის მოთხოვნა - ერთმა ფორმამ გამოხატოს ერთი მნიშვნელობა, განსხვავებული სემანტიკა კი დიფერენცირებული ფორმებით გამოიხატოს.

სადაც ეს პრინციპი გატარდა, იქ მოხდა კიდევ ფორმალურ-სემანტიკური დიფერენციაცია. მაგალითად: გარდაიცვალა - გადაიცვალა, აღიზარდა - აიზარდა, კარნახობს - უკარნახებს, პასუხობს - უპასუხებს და სხვა. შდრ.: დამიხატავს (ის მე მას) - დამიხატავს (მე ის). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მართებულია მყოფადი-თურმეობითის გაუდიფერენცირებელი ფორმები. სამაგიეროდ, ფორმათგამიჯვნის პროცესი ცოცხალ მეტყველებაში გატარდა და -ავ (ავრეთვე -ამ) თემისნიშნის ზმნათა I თურმეობითში -ია დაბოლოებიანი ფორმები (დამიხატია...) გავრცელდა.

ნორმათა დადგენას საფუძვლად ედება ობიექტური ანალიზის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ გაანალიზდება ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის ისტორია, გაირკვევა, რამდენად ეგუება ეს მოვლენა ენის განვითარების ტენდენციებს, რამდენად გამართლებულია დღევანდელი ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, რამდენად გავრცელებული და დამკვიდრებულია ენაში (ე. ი. აქვს თუ არა სოციალური სანქცია), როგორია მისი გამოყენების სიხშირე კლასიკოსთა ენაში, არის თუ არა სხვაზე უფრო მარტივი წარმოების პრინციპის მიხედვით და ნათელი - მნიშვნელობის მიხედვით (ლ. ლეჟავა, 1989, გვ. 89).

სალიტერატურო ენა საერთოეროვნული ენაა. ის უნდა იყოს დახვეწილი, ერთიანი, რასაც განაპირობებს ნორმათა დადგენის პრინციპთა ლოგიკურობა, სიზუსტე და სრულყოფილება.

ლიტერატურა

- ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1971, თბ., 1986.
- ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, თბ., 1988.
- ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
- ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან: ქსკს, IX, თბ., 1989.
- ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან: ქსკს, XI, თბ., 1998.
- ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები, თბ., 2004.
- რ. საღინაძე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები: საიუბილეო კრებ., შოთა ძიძიგური-90, თბ., 2002.
- რ. საღინაძე, ზმნურ ფორმათა ვარიაციულობა და ნორმირების საკითხები ქართულში: გელათის მეცნ. აკად. ჟურნ., №2, თბ., 2003.
- არნ. ჩიქობავა, სალიტერატურო ენა და ნორმა: ქსკს, II, თბ., 1979.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

5.3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები უკვე დიდი ხანია დადგენილია. მიუხედავად ამისა, ენის განვითარების ცოცხალი პროცესი ხშირად ეთრჩება, ეწინააღმდეგება დაკანონებულს, იქმნება წინააღმდეგობა ნორმასა და მეტყველებას შორის, თავს იჩენს შეცდომები.

მეტყველი ინდივიდი, რომელიც ცდილობს საკუთარი ენობრივი სისტემა დაამთხვიოს ენობრივ იდეალს (სალიტერატურო ენას), არჩევანის წინაშე დგება. იგი ვალდებულია დაიცვას სალიტერატურო ენის ნორმა. სხვა შემთხვევაში მეტყველი (რომელიც ანგარიშს არ უწევს სალიტერატურო ენის ნორმას) არ დგება არ-

ჩვენის წინაშე, თავისუფლად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე წარმოთქვამს ფორმებს.

მსგავსი ფაქტები დამაფიქრებელია. შესაძლოა, სწორედ აქ იკვეთება ენობრივ ერთეულთა დამკვიდრების, ნორმად ქცევის ტენდენცია.

საინტერესოა თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე ფორმათწარმოებისა და ფორმათდამკვიდრების პროცესი.

დღეს წინააღმდეგობა შეიმჩნევა არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის, არამედ თვით ნორმებშიც. ამის შედეგია ნორმათა დარღვევის შემთხვევები, ენობრივ ფორმათა ვარიანტები.

ენა მუდმივად განვითარებადი, ცვალებადი ფენომენია. მასში დევს ბუნებრივი მექანიზმი, რომელიც თავიდან იცილებს სიჭრელეს, პარალელიზმს, ორაზროვნებასა და გაუგებრობას... ნაირგვარ ფორმათაგან ზოგი მხოლოდ წერილობითს ძეგლებს შემორჩება, ზოგი კი სალიტერატურო ენის კუთვნილებად ანუ ნორმად იქცევა. ასე მოხდა, მაგალითად, **ვ** ბგერის ცვლილებასთან დაკავშირებით: დღეს ქართულში არის სიტყვები: **ბავშვი, ბავში, ბოვში, ბოში**. პირველი სალიტერატურო ენის კუთვნილებათა, დანარჩენი - დიალექტებისა. საინტერესოა, როგორ გაჩნდა ან ერთი, ან დანარჩენი ვარიანტები და როგორ მოხდა მათი დამკვიდრება?

არნ. ჩიქობავას მიხედვით, ამ სიტყვათა ძირია **შევ, ბა-** თავსართია. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო **ბაშვი, ბავში** სიტყვის ცვლის შემდგომი საფეხურია. **ვ** დაიკარგა იქ, სადაც თავდაპირველად იყო და დამკვიდრდა იქ, სადაც შემდეგ გაჩნდა:

ბაშვი→ბავშვი→ბავში→ბოვში→ბოში.

ამათგან სალიტერატურო ენაში **ბავშვი** დამკვიდრდა.

ანალოგიურად მოხდა ბევრ სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, თანამედროვე ქართულში ნორმადაა ქცეული:

აბინავებს (<აბინაეზს<ბინა)

ატყვევებს (<ატყვევებს<ტყვე)

აქვავებს (<აქვავებს<ქვა)

ახევებს (<ახეებს<ხე)

სხვა შემთხვევაში უფრო იყო მოსალოდნელი **ვ** ჩართული ფორმები **ო**-ზე დაბოლოებულ სახელთაგან ნაწარმოებ **ებ** თემისნიშნის შემნათა აწმყოში, მაგრამ სალიტერატურო ქართულში **ვ**-ს გა-

რეშეა წარმოდგენილი: **აბოლოებს, ადროებს, ავიწროებს, აუთოებს, აფართოებს, აწარმოებს, აჯადოებს, აჯილდოებს...**

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით დაკანონებულია **ვ** ჩართული ფორმები წყვეტილში: **დააბოლოვა** (და არა დააბოლავა), **ადროვა, დაავიწროვა** (ან **შეავიწროვა**), **გააუთოვა** (ან **დააუთოვა**), **გააფართოვა, აწარმოვა, მოაჯადოვა, დააჯილდოვა...**

ანალოგიის გზით სასაუბრო ენაში აღნიშნულ ზმნათა **ვ** ჩართული ფორმები გავრცელდა აწმყოშიც, ე. ი. გაჩნდა ვარიანტები, რომელთაგან:

მცდარია:

აბოლოვებს
ადროვებს
ავიწროვებს
აუთოვებს
აფართოვებს
აწარმოვებს
აჯადოვებს
აჯილდოვებს

მართებულია:

აბოლოებს
ადროებს
ავიწროებს
აუთოებს
აფართოებს
აწარმოებს
აჯადოებს
აჯილდოებს

ო-ს შემდეგ და **-ებ** სუფიქსის წინ **ვ**-ს ჩართვა V-XI საუკუნეთა ქართულისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. წერილობითს ძეგლებში დადასტურებულია: **სათნოვება, სარწმუნოვება, უსჯულოვება, უცხოვება...**

შემდგომ საფეხურზე ამ ფორმებში დაიკარგა **ვ** და სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა: **სათნობა, სარწმუნობა, უსჯულობა, უცხოება...**

ზოგჯერ პარალელური ვინიანი და უვინო ფორმები ნორმითაც არის დაშვებული. მაგალითად, ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის “ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის” მიხედვით მართებულია:

(**გაულონივრდება; გაულონივრდა; გაღონივრება||**)

გაულონიერდება; გაულონიერდა; გაულონიერება

(**გაღონივრდა||**) **გაღონიერდა**

(**გაღონივრებულია||**) **გაღონიერებულია**

მასდ.: (**გაღონივრება||**) **გაღონიერება**

მიმღ.: (გალონიერებული||) გალონიერებული (გვ.182).

შდრ.: **ლონიერი** (<ლონე) - **ნებიერი** (<ნება)

ნებიერი→**ნებივრობა, განებივრება, განებივრებული, ანე-ბივრებს...**

ნებიერი-საგან მიღებულ ზმნურ და სახელზმნურ ფორმებში არჩევანი გაკეთებულია: ვინიანი ფორმებია დაკანონებული. უვინო ფორმები არც გვხვდება.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ზოგჯერ **ვ**-ს ჩართვა-ჩაუბრუნებლობა სემანტიკურ სხვაობას ქმნის. მაგალითად:

გაციება (<ციება) - **გააციებს**

გაციებული (ვისაც გააცია)

შდრ.: ვინიანი გაცივება (<ცივი) - **გააცივებს**

გაცივებული (ვინც ან რაც გააცივებს ან გაცივდა)

(ქართული ენის ორთ. ლექს., გვ.184).

ხშირად სასაუბრო ენასა და დიალექტებში **ვ** დაკარგულია, დარღვეულია ნორმა: გააციებს, გაციებულა, გაციებული (გაცივების მნიშვნელობით).

თანამედროვე სალიტერატურო ენაში, ცოცხალ მეტყველებასა და დიალექტებში **ვ**-ს ჩართვა-დაკარგვის ნაირგვარი ფაქტები დასტურდება. ბაგისმიერი **ო**-ს გვერდით კბილბაგისმიერი **ვ** შეიძლება დაიკარგოს ან გაჩნდეს.

მცდარია:

- აიტკიო
 - უთაო, უთაობა
 - უდაო, სადაო
- მაგრამ: გამბედავობა
გაჭყინვოდა
გაჭყიდვოდა
გაპპრანჭვოდა
დაპფანტვოდა

მართებულია:

- აიტკივო
- უთავო, უთავობა
- უდავო, სადავო
- გამბედაობა
- გაჭყინოდა
- გაჭყიდოდა
- გაპპრანჭოდა
- დაპფანტოდა

როგორც წესი, ნორმირებისას დიდ როლს თამაშობს გავრცელებულობა. ზოგჯერ ზოგიერთი მოვლენა იმდენად ფართოდ გავრცელებულია ენაში, რომ აშკარად გამოიკვეთება წინააღმდეგობა ნორმასა და მეტყველებას შორის. მაგალითად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით **-ობ** თემისნიშნისანი ზმნების I თურმეობითში ჭარბია **ვ**. უნდა იყოს: **ვცნობ, ვეცნობი — მიცნია,**

გამიცნია და არა: **მიცვნია, გამიცვნია; ვგრძნობ — მიგრძნია** და არა: **მიგრძვნია**. სასაუბრო ენა ვინიან (**მიცვნია, მიგრძვნია**) ფორმათა დამკვიდრების ტენდენციას ავლენს.

ხშირად გავრცელებულობა ნორმებში არსებულ ვარიანტულ ფორმათა არჩევანის საშუალებაა. მაგალითად, “თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ რეკომენდებულია როგორც თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმები:

შევიცილებივარ / შევისცილებივარ
მივიჩიერებივარ / მივისჩიერებივარ
ვკითხე / ვჰკითხე
მოვწონვარ / მოვისწონვარ
ვძულვარ / ვსძულვარ
ვგავარ / ვჰგავარ
მოვთხოვე / მოვისთხოვე
მოვტაცე / მოვისტაცე

უმჯობესია, უპირატესობა მიეცეს პირველ ვარიანტს.

ნორმის დადგენისას აუცილებელია ანგარიში გაეწიოს ენის შინაგან კანონებსა და მისწრაფებას უნიფიცირებისა და სისტემის ერთიანობისაკენ, სიმეტრიულობისაკენ. თუმცა ზოგჯერ ამა თუ იმ ნორმის შემოტანა ხდება თვითნებურად, ინდივიდუალური ენობრივი ალლოთი. მაგალითად, ვითარებით ბრუნვაში დონის დაყრუებას ხელს უწყობდა მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ანალოგია. დონიანი ფორმის დაკანონებით შეფერხდა ბრუნვათა სისტემის უნიფიკაციის ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ვითარებითის დაბლოება **დონი** ნორმაა და აუცილებელია მისი დაცვა, ზეპირ მეტყველებაში მეტწილად მაინც **თან** ისმის.

ენობრივ დარღვევათა საფუძველი ზოგჯერ სწორედ ნორმის უზუსტობაა. მაგალითად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მიცემითში დასმულ I-II პირის ნაცვალსახელთა თანდებულებიან და ზმნისართიან ფორმებთან მართებულად უსანო ფორმებია მიჩნეული:

მცდარია:

ჩემსკენ (ჩვენსკენ...)
ჩემს (ჩვენს...) წინაშე
ჩემს (შენს...) წინ
ჩემს (შენს...) მიერ

მართებულია:

ჩემკენ (ჩვენკენ...)
ჩემ (ჩვენ...) წინაშე
ჩემ (შენ...) წინ
ჩემ (შენ...) მიერ

ჩემს (შენს...) მაგიერ
ჩემს (შენს...) ახლოს
ჩვენს (თქვენს) შორის

ჩემ (შენ...) მაგიერ
ჩემ (შენ...) ახლოს
ჩვენ (თქვენ) შორის

სასაუბრო ენაში უფრო გავრცელებულია სანიანი ფორმები. თანდებულ- და ზმნიზედადართულ ფორმათა მართლწერას საფუძვლად არ უდევს ერთიანი პრინციპი, სხვა შემთხვევაში სალიტერატურო ენის ნორმებით გამართლებულია სანიანი ფორმები: **ჩემს (შენს, ჩვენს, თქვენს) იქით, ჩემს (შენს...) შემდეგ (შემდგომ)**. ამ ფორმათა ანალოგიით ზემოთ აღნიშნულ ფორმებშიც გაჩნდა **ს**. მაშასადამე, მისწრაფება უნიფიკაციისაკენ, სისტემურობისაკენ ბუნებრივად აისახა ცოცხალ მეტყველებაში.

ნორმა ზუსტი არ არის **ისმის — ისმება** ფორმებთან დაკავშირებითაც. **ისმის კითხვა** თუ **ისმება კითხვა**?

ქეგლ: **ისმის** - 1. ყურთასმენამდე აღწევს, გასაგონი ხდება - მოისმის, გაისმის. ზარის ხმა ისმის. 2. გადატ. იციან და ლაპარაკობენ ვისიმე, რისამე შესახებ. მათ შესახებ აღარაფერი ისმის.

ისმება || ისმევა — 1. სმა (დალევა) შეიძლება: სუფრაზე ბევრი ღვინო ისმება. 2. შეიძლება დასვან, დასვამენ.

ორთ. ლექს.: 1. ისმება || ისმის; ისმებოდა || ისმოდა (კითხვა). 2. ისმება (წყალი) [ისმევა ||] ისმება.

ყოველივე ეს ნორმის უზუსტობაზე მეტყველებს. **კითხვა ისმება** და არა კითხვა ისმის, ე. ი. არ არის მომხდარი ფორმათა დიფერენციაცია.

ანალოგია ხშირად არის ნორმის დარღვევის მიზეზი. მაგალითად, კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებითთან ერთად ისე იბრუნვის, როგორც თანხმომავანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად. განსხვავება იმაშია, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით კუთვნილებით ნაცვალსახელებს მიცემითსა და ვითარებითში უნდა დაერთოს -ს ნიშანი: **ჩემს (შენს, მის)** მეგობარს, მეგობრად, **ჩვენს (თქვენს, მათს)** მეგობარს, მეგობრად. თანხმომავანფუძიანი მსაზღვრელის ანალოგიით სასაუბრო ენაში გვხვდება დარღვევები: ჩემ მეგობარს, ჩემ მეგობრად, მათ მეგობარს, მათ მეგობრად...

ანალოგიის გზით ფუძედრეკადი უთემისნიშნო ზმნების პარალელურად ენაში გავრცელდა თემისნიშნიანიც.

მცდარია:	მართებულია:
გლეჯავს გლიჯავს	გლეჯს
გრეხავს გრიხავს	გრეხს
ჩხრეკავს ჩხრიკავს	ჩხრეკს
წყვეტავს წყვიტავს	წყვეტს

ასევე გამოვყოფთ მეშველზმნიან ფორმებს.

მცდარია:	მართებულია:
ვიცინივარ	ვიცინი
ვტირივარ	ვტირი
ვმღერივარ	ვმღერი
ვცემკვავარ	ვცემკვავ
ვხტივარ	ვხტი
ვყვირივარ	ვყვირი

უმეშველზნო ფორმები ძველი ყალიბია. შდრ.: **ვზი-ვზივარ, ვრბი-გავრბივარ**. ამ შემთხვევაში მეშველზმნიანი წარმოება განვითარდა, ძველი დაიკარგა. სხვა შემთხვევებში კი დაკანონებულია ძველი ყალიბი: **ვტირი, ვყვირი...**

ნორმირების თვალსაზრისით საინტერესოა სხვა მეშველზმნიან ფორმათა ვარიანტებიც.

მცდარია:	მართებულია:
ვგევარ	ვგავარ
ვდგევარ	ვდგავარ
ვყევარ	ვყავარ
მიყყევარ	მიყყავარ
მიმყევხარ	მიმყავხარ

აგრეთვე: ნარიან საწყისთა ანალოგიით (პოვნა, შოვნა) ენაში გაჩნდა ზმნური ვარიანტები, რომელთაგან:

მცდარია:	მართებულია:
იპოვნის	იპოვის
იპოვნა	იპოვა
იპოვნოს	იპოვოს
უპოვნია	უპოვია
იშოვნის	იშოვის
იშოვნა	იშოვა
იშოვნოს	იშოვოს
უშოვნია	უშოვია

ანალოგია საერთოდ ენაში ძლიერ მოქმედი პრინციპია. იგი ხშირად სისტემის უნიფიკაციის საფუძველიცაა. ასეა **დაუნატავს — დაუნატია, დაუბამს — დაუბია...** ზმნათა შემთხვევაშიც. ენაში პარალელურ ფორმათა დიფერენციაცია მომხდარია: ცოცხალ მეტყველებაში **-ია** დაბოლოებიანი თურმეობითა გავრცელებული.

დაუნატავს, დაუბამს... ორმაგ სემანტიკას გამოხატავს. აქ ნორმა ჩამორჩება ენის განვითარებას. სალიტერატურო ენაშიც აუცილებელია დიფერენცირება. **-ია** დაბოლოებიან ფორმათა ნორმად ქცევა ენის შინაგანი განვითარების კანონით, უნიფიკაციის პრინციპითაა შეპირობებული. ამის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე სასაუბრო ენაში უთემისნიშნო პარადიგმის გავრცელება:

ნორმის მიხედვით უნდა იყოს **დავუბამვარ, დაუბამხარ, დაუნატავხარ**, მაგრამ სალაპარაკო ენაში გავრცელებულია უთემისნიშნო ფორმები: **დავუბივარ, დაუბიხარ, დავუნატავივარ, დაუნატავიხარ**. I-II პირის უთემისნიშნო ფორმათა პარადიგმის გავრცელებაა **დაუნატია, დაუბია**.

ზოგჯერ არასწორადაა გაგებული ენაში არსებული ფორმები.

მაგალითად: **იღებს — ღებულობს, იგებს — გებულობს...** ეს ზმნები სინონიმებად აღიქმება, თუმცა ისინი განსხვავდებიან როგორც წარმოების, აგებულების, ისე სემანტიკის (მომენტურობა-განგრძობითობის) თვალსაზრისით. მათი ნორმირებაც ამ უკანასკნელის საფუძველზე მოხდა და სალიტერატურო ენაში ორივე ფორმა დამკვიდრდა. ბ. ჯორბენაძის მიხედვით, ასეთია, აგრეთვე, **იწვის** (შემა იწვის) - ცეცხლი უკიდია და **იწვება** (კარტოფილი იწვება) - ცეცხლზე ძალიან ფიცხდება. ქველ-ის მიხედვით, **იწვის** და **იწვება** სინონიმებია. შესაბამისი მოქმედებითი კი სხვადასხვა სემანტიკის ორივე ფორმისათვის არის **წვავს**. ის, რაც მოქმედებითში მხოლოდ კონტექსტით განსხვავდება ან ზმნისწინს იყენებს ამ მიზნით (დაწვავს-შეწვავს), ვნებითში ორგვარი (ადრინდელი-იწვის და გვიანდელი-იწვება) ყალიბით განსხვავდა. ენამ სწორედ ამისთვის მიმართა პარალელურ წარმოებას, რომლის დანიშნულება სრულიადაც არ არის მხოლოდ ლექსიკურ მნიშვნელობათა დაპირისპირება.

ენას პარალელურ ფორმათა დიფერენციაციისათვის ნაირგვარი საშუალებები მოეპოვება:

ა) ერთ-ერთია გვარის მიხედვით დიფერენცირება: მაგალითად,

მაღავს — იმაღვის || იმაღების... მას შემდეგ, რაც ვნებითის ყალი-

ბის საბოლოო გაფორმება აწმყოში მოხდა -ა სუფიქსით, გაჩნდა ერთი სემანტიკის **იმაღვის** || **იმალება** ფორმები, რომელთაგან დღეს ნორმაა **იმალება**. სხვა შემთხვევაში სწორია ორივე: **ილიმება** || **ილიმის** ან, პირიქით, -ს სუფიქსიანი ფორმაა მართებულად მიჩნეული: **[იქადნება კი არა] იქადის**, **[იცოხნება კი არა] იცოხნის...**

ბ) ზოგჯერ დიფერენციაციის საფუძველი შეიძლება იყოს დროის კატეგორია. მაგალითად: **პასუხობს — უპასუხებს, კარნახობს — უკარნახებს ...** პირველი აწმყოა, მეორე - მყოფადი ... თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფორმები გამიჯნულია, თუმცა შეცდომები მაინც არსებობს.

დარღვევები გვხვდება სხვა ზმნურ ფორმებთანაც. მაგალითად: გარდამავალ ორპირიან ზმნათა I-II თურმეობითის ფორმებში გაჩენილია ნ.

მცდარია:

გაუყიდნია, გაეყიდნა
უცემნია, ეცემნა
დაუთესნია, დაეთესნა
უთამაშნია

მართებულია:

გაუყიდა, გაეყიდა
უცემია, ეცემია
დაუთესია, დაეთესია
უთამაშია

ეთამაშა || **ეთამაშნა** შემთხვევაში **ნ** მადიფერენცირებელია, ამდენად, აუცილებელია: **ეთამაშა** ის მას (წყვეტილი) და **ეთამაშნა** მას [ის] (II თურმეობითი).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით -ებ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნებს I თურმეობითსა და III კავშირებითში თემის ნიშნის შემდეგ **ინ** დაერთვის.

მცდარია:

აეშენებია, აეშენებოს
დაებადებია, დაებადებოს
გაეკეთებია, გაეკეთებოს
დაეშავებია, დაეშავებოს

მართებულია:

აეშენებინა, აეშენებინოს
დაებადებინა, დაებადებინოს
გაეკეთებინა, გაეკეთებინოს
დაეშავებინა, დაეშავებინოს

ხშირად ენაში აღგილი აქვს სუფიქსთა მონაცვლეობას. ზმნათა ერთ ნაწილში (ამკობს, ახშობს, ათბობს, აჭკნობს, ანგარიშობს, თავობს, დიდობს...) -ობ სუფიქსი დამკვიდრებულია და მერყეობის შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. პარალელური ფორმები დასტურდება სალიტერატურო ენაში: **საყვედურობს// ესაყვედურება, პატრონობს//ეპატრონება...**

ზოგჯერ **-ობ || -ებ** სუფიქსები განასხვავებენ სხვადასხვა ძირის ზმნებს: **იწყობს—იწყებს (დაწყობა—დაწყება), იცნობს—იცნებს (დაცნობა—დაცნება)...**

ზოგჯერ **-ობ || -ებ** მონაცვლეობა შეცდომათა მიზეზიც ხდება.

მცდარია:

წარმოიშვება

იხრჩვება

იფვლება

მართებულია:

წარმოიშობა

იხრჩობა

იფლობა

სხვა შემთხვევებში კანონიერად **-ებ** სუფიქსიანი ფორმებია მიჩნეული.

მცდარია:

ასწრობს

აწობს

უშობს

გამოუშობს

ბიბინობს

კუნტრუშობს

ჭიკჭიკობს

აპირობს

კისკისობს

ლაქლაქობს

ტიტინობს

ჩუხჩუხობს

ტრიალობს

წრიალობს

ღრიალობს

ფრიალობს

ბრჭყვიალობს

მართებულია:

ასწრებს

აწებს

უშვებს

გამოუშვებს

ბიბინებს

კუნტრუშებს

ჭიკჭიკებს

აპირებს

კისკისებს

ლაქლაქებს

ტიტინებს

ჩუხჩუხებს

ტრიალებს

წრიალებს

ღრიალებს

ფრიალებს

ბრჭყვიალებს

თუ საწყისი **-ვა** მარცვალზე ბოლოვდება, თემის ნიშნად ზმნას **-ავ** მოუდის, თუ **-მა-ზე, — -ამ**.

მცდარია:

ვაბავ

ვიცვავ

ვსვავ

დავარტყავ

მართებულია:

ვაბამ

ვიცვამ

ვსმამ

დავარტყამ

ხშირად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები დარღვეულია ზმნისწინიან ფორმებშიც.

მცდარია:

- ავღნიშნე
- ავღწერე
- ვანხორციელებ
- ანსახიერებს
- გაანთავისუფლა
- ანვითარებს
- ინკუბრება
- გაანცვიფრა
- წაადგენს
- ღზრდის
- ღძრავს
- ანზოგადებს
- ანრისხებს
- ანცალკევებს
- ანსხვავეებს

მართებულია:

- აღვნიშნე
- აღვწერე
- გახორციელებ
- ასახიერებს
- გაათავისუფლა
- ავითარებს
- იკუბრება
- განაცვიფრა//გააცვიფრა
- წარადგენს
- ზრდის
- ძრავს
- აზოგადებს
- არისხებს
- აწალკევებს
- ასხვავეებს

კიდევ უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება. თუმცა წარმოდგენილი მასალაც მოწმობს, რომ ზოგჯერ არა მხოლოდ მეტყველი ინდივიდი, არამედ თვით ენის განვითარების ცოცხალი პროცესიც ეურჩება, ეწინააღმდეგება დაკანონებულს. ენაში ყოველთვის ჩნდება ზოგიერთი ფორმის ფონეტიკურად თუ მორფოლოგიურად შეპირობებული ვარიანტები, იწყება პარალელურ ფორმათა ჭიდილი. სწორედ მათი გამიჯვნის პროცესი აისახება ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლში და შედეგად მიიღება ახალ-ახალი ენობრივი ერთეულები, რომელთაგან მხოლოდ მცირედი ნაწილი აღმოჩნდება საყოველთაო დამკვიდრებისათვის საჭირო მონაცემების მქონე.

ამდენად, ნორმათა დარღვევის მიზეზია არა მხოლოდ, როგორც ვ. თოფურია აღნიშნავდა, “ჩვენი დაუდევარი, უყურადღებო მოპყრობა ლიტერატურული ენის ნორმათა დაცვისათვის“ (ვ. თოფურია, 1965, გვ. 45), არამედ ენაში მიმდინარე პროცესები, ენის შინაგანი განვითარების კანონის მოქმედება.

აუცილებელია ენის ნორმების ცოდნა, რადგან ენა სავსეა პარალელური ფორმებით და, როცა არჩევანის წინაშე დავდგებით, უნდა შეგვეძლოს, უპირატესობა მივანიჭოთ სტანდარტულ, კანონიერ ფორმას.

ლიტერატურა

- ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
- შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
- ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1985, თბ., 1988.
- ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
- ალ. კობახიძე, როგორ ვიცავთ ქართული ენის ნორმებს? ქსკს, XI, თბ., 1998.
- დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.
- რ. სალინაძე, ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.
- რ. სალინაძე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები: კრებული - შოთა ძიძიგური 90, თბ., 2002.
- რ. სალინაძე, ზმნურ ფორმათა ვარიაციულობა და ნორმირების საკითხები ქართულში: გელათის მეცნ. აკად. ჟურნ., №2, თბ., 2003.
- რ. სალინაძე, ვ ბგერის ცვლილების რამდენიმე შემთხვევა და ნორმირება: ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკულტეტის შრომები, VIII, ქუთაისი, 2006.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.
- ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I-XII, თბ., 1966-2004.
- არნ. ჩიქობავა, სალიტერატურო ენა და ნორმა: ქსკს, II, თბ., 1979.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

პირთა საძიებელი

